









ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა ჩიხლაძე

# „დასახვრეტი საქმე"

თემურ ჩიხლაძე

სოსო წერეთელი

დათო მიქაბერიძე

გია ტაბიძე

თინათინ ფეტვიაშვილი

გეგა კობახიძე

კახა ივერიელი

პაატა ივერიელი

დღემდე გამოუქვეყნებელი

უნიკალური მასალები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკა ჩიხლაძე

# „დასახვრეტი საქმე“

თბილისი
გამომცემლობა აზრი
2001

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკა ჩიხლაძე
„დასახვრეტი საქმე“

პირველი გამოცემა

ილია ნახუცრიშვილი
მხატვარი

ლევან ხერხეულიძე, გოგა დევდარიანი
ფოტომასალა

ივანე კიკნაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა

*გამომცემლობა აზრი*
თბილისი, მერაბ კოსტავას 14, I სართული
ტელ.: 99 01 06 ფაქსი: 98 97 87
ელ. ფოსტა: mcrc@ip.osgf.ge

ყველა უფლება დაცულია.
ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოპირის გადაღება და მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერა, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნეს საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 99928 70 49 4

© *ეკა ჩიხლაძე* 2001
© *გამომცემლობა აზრი* 2001

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მინდა, გულწრფელი და განსაკუთრებული ბოდიში მოვუხადო 1983 წლის 18 ნოემბერს თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადი რეისი №6833-ის თვითმფრინავში დაზარალებულ ადამიანებს და მათ ოჯახებს იმ ტკივილისთვის, რომელსაც ჩემდაუნებურად მივაყენებ ქვემორე მოყვანილი სასამართლო ნივთმტკიცებებისა და საზარელი ფაქტების გამოქვეყნებით, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნება სიმართლეში გარკვევა.

ეკა ჩიხლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

*წინათქმა 9*

*ავტორისაგან 11*

ნაწილი I: საბედისწერო რეისი

„ბანდიტური აქცია აღკვეთილია“ *14*

განაჩენი *15*

წინასწარი და სამსჯავრო „გამოძიება“ *24*

ჩემი ვერსია *79*

ნაწილი II: საბჭოეთის ჯოჯოხეთში შობილნი

გენეტიკური შიში *104*

გზა *114*

მამა *124*

სოსო *137*

დათო *140*

გეგა *144*

გია *145*

ძმები *146*

ONE WAY *149*

რისთვის დახვრიტეს მამაჩემი *154*

„საიდუმლო ექვსი დღის შექმნათა“ *165*

ნაწილი III: დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინათქმა

ეკა ჩიხლაძე თოთხმეტი წლის იყო, როცა მამამისი დახვრიტეს. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ სასიკვდილო განაჩენი თვითმფრინავის გატაცებისათვის გამოუტანა ადამიანს, რომელიც 1983 წლის 18 ნოემბერს იმ თვითმფრინავში, რომლის გატაცებაც ბრალად ედებოდა, საერთოდ არ მჯდარა. ბერი თეოდორე, ერობაში თეიმურაზ ჩიხლაძე, თვითმფრინავის გატაცების მცდელობიდან ორი თვის შემდეგ დააპატიმრეს, რადგან გამტაცებელთა ორგანიზატორად რამდენიმე კანდიდატურა განიხილებოდა ხელისუფლების მიერ და მხოლოდ ორი თვის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ბერი ჩიხლაძის წარდგენა სასამართლოზე მთავარი ორგანიზატორის ამპლუაში მათთვის იდეალური ვარიანტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ ნორმალურ საზოგადოებას აბსურდულად მოეჩვენებოდა გამოძიების ბრალდება თეიმურაზ ჩიხლაძის მიმართ, ათეისტურ საბჭოთა სახელმწიფოს არ სურდა ხელიდან გაეშვა შესაძლებლობა რელიგიის „მავნებლობის“ დემონსტრირებისა. ბერი თეოდორეს გასამართლება, როგორც ბანდიტური ჯგუფის მეთაურისა, რამდენიმე მიზნით იყო განპირობებული და ხელისუფლებისათვის უმთავრესს სწორედ იმის ჩვენება წარმოადგენდა, თუ როგორ „ხრწნის“ ქრისტიანობა საბჭოთა ახალგაზრდობას. როგორი დაუჯერებელიც უნდა იყოს, ადამიანს იმ თვითმფრინავის გატაცებისათვის მიუსაჯეს დახვრეტა, რომელშიც იგი საერთოდ არ ყოფილა და სასამართლოს დასრულებიდან თვენახევარში, 1984 წლის 3 ოქტომბერს, სხვებთან ერთად დახვრიტეს ბერი თეოდორე...

მაშინ ეკა ჩიხლაძე თოთხმეტი წლისა იყო და მიუხედავად ასაკისა, მაინც მიხვდა, რომ მამამისს მოექცნენ იმდენად უსამართლოდ, როგორც არავის საბჭოთა კავშირშიც კი და მან გადაწყვიტა თვითონ მიეგნო სიმართლისათვის იქ, სადაც იგი არ არსებობდა. არსებობდა ძალიან დიდი სურვილი იმისა, რომ ვიღაცას გაეცა პასუხი კითხვაზე „რატომ?“ და ამ პასუხის ძიებას ეკა ჩიხლაძემ რამდენიმე წელიწადი მოანდომა. ადვილი

წარმოსადგენია, რა სირთულეები ხვდებოდა გზად თოთხმეტი წლის ქართველ გოგონას მათგან, ვინც ასეთი მონდომებით იცავდა ბოროტების იმპერიას. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი პრობლემა შეხვდებოდა გზად ეკა ჩიხლაძეს, ის კი მაინც მიდიოდა. მიდიოდა, რადგან ყოველთვის იცოდა, რომ მამამისი დახვრიტეს მხოლოდ იმის გამო, რომ მან მდინარის დინების საწინააღმდეგოდ მოინდომა ცურვა. ასეთებს კი სახელმწიფო რეჟიმი, როგორც წესი, კლავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელისუფლება ადამიანში არა მარტო თავისუფლების სურვილსა და მოთხოვნილებას, არამედ დაუოკებელ ჟინსა და წყურვილს ამჩნევს. ასეთი ადამიანების ყველაზე მეტად მაშინ ეშინიათ, როცა მათში რწმენისა და ზნეობის გარდა ცოდნასა და ინტელექტს აღმოაჩენენ. თეიმურაზ ჩიხლაძე კი არა მხოლოდ საკუთარ თაობაში, მართლაც გამორჩეული პიროვნება იყო ინტელექტითა და განათლებით, ყველა იმ თვისებით, რომელთა გამოც იგი დახვრიტეს. დახვრიტეს მათ, ვისაც აშინებს სხვისი აზროვნება და თავისუფლება...

გაივლის კიდევ მრავალი წელიწადი, ჩვენი საზოგადოება ცოტა იმაზე უკეთესი გახდება, ვიდრე დღეს არის და ჩვენც ვიცხოვრებთ ნორმალურ სახელმწიფოში — ქვეყანაში, სადაც ოცნების გამო არავინ გესვრის ტყვიას, სადაც ყოველი დაფარული გაცხადდება.

მანამდე კი მკითხველსა და ქართულ საზოგადოებას, ადამიანებს, ვისაც შეუძლიათ სხვისი ტკივილი გაითავისონ და მეტი იცოდნენ იმის შესახებ, რაც 1983 წლის 18 ნოემბერს თვითმფრინავში და თბილისის აეროპორტში მოხდა, ეკა ჩიხლაძე სთავაზობს უნიკალურ მასალას, ისტორიის დეტალებს, რომელთა შესახებ არავინ იცოდა, რადგან მათ საგულდაგულოდ მალავდნენ. ჩვენ გვიმალავდნენ სიმართლეს, რომელიც, საბედნიეროდ, ვერ მოკლეს...

დათო ტურაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ავტორისაგან

ეს წიგნი შედგება რამდენიმე პირობითი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში თქვენ მოგეცემათ უნიკალური საშუალება, უშუალოდ გაეცნოთ სუკის ,,სრულიად საიდუმლოს" გრიფით აღბეჭდილ საქმე №201-ს, ანუ იმას, რაც ამდენი ხნის განმავლობაში ალილუიასავით მქონდა გაზუთხული, შინაგანად ცოცხლად მჭამდა და უსამართლოდ მოყენებული საშინელი ტკივილის საზიზღარ შეგრძნებას არ მინელებდა. მეორე ნაწილში შევეცდები აღვადგინო საბჭოთა ტირანული იმპერიის ასოციაციური სურათი, სახელმწიფო მანქანის თავისებურებები და დოგმატურ-იდეოლოგიური პრინციპები, რომლისაგან თავის დასაღწევად უზრუნველი სიცოცხლის და წარმატებული კარიერის სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე შეგდება ღირდა. მე გაგიზიარებთ ჩემს სუბიექტურ მოგონებებს, რომლებიც ,,თვითმფრინავის ბიჭებთან" ურთიერთობისაგან შემომრჩა. ვეცდები დაგანახოთ ჩემი მაშინდელი, 14 წლის ბავშვის თვალით დანახული და აღქმული ჩემთვის ახლობელი ადამიანების პიროვნული სახე. მესამე ნაწილში თქვენ გაეცნობით საქმე №201-ის დოკუმენტურ მასალას: ,,შავი ყუთის" შიფროგრამას, თვითმფრინავის სქემას, ფოტოებს და სხვ., რომელთაგან უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით ვაქვეყნებ იმას, რაც გახდა ნამდვილი მიზეზი და საბაბი იმისა, რომ დაეხვრიტათ მამაჩემი, მღვდელ-მონაზონი თეოდორე (თემურ) ჩიხლაძე — კაცი, რომელიც არამც თუ არ მონაწილეობდა თვითმფრინავის გატაცების მცდელობაში, არამედ არც ყოფილა თვითმფრინავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## საბედისწერო რეისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბანდიტური აქცია აღკვეთილია"

„18 ნოემბერს შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფი ყაჩაღურად თავს დაესხა სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს „ტუ 134ა" თვითმფრინავს, რომელიც მიფრინავდა მარშრუტით თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადი მისი ხელში ჩაგდებისა და საზღვარგარეთ გატაცების მიზნით. თვითმფრინავში 57 მგზავრი იყო. ბანდიტური აქციის განხორციელებისას ბოროტმოქმედებმა მოკლეს ეკიპაჟის სამი წევრი და ერთი მგზავრი. მიუხედავად ამისა ეკიპაჟის მეთაურმა და წევრებმა გმირული და თავგანწირული მოქმედებით შეძლეს თვითმფრინავის თბილისის აეროპორტში დაშვება. მგზავრთა სიცოცხლისა და თვითმფრინავის დაღუპვისაგან გადასარჩენად ბრძოლისას ეკიპაჟის წევრებმა მოკლეს სამი ბოროტმოქმედი. დაკავებულნი არიან დანარჩენებიც. თავდამსხმელებმა გამოიჩინეს განსაკუთრებული სისასტიკე: არ გაანთავისუფლეს ბავშვები, აგრეთვე — მძიმედ დაჭრილი ადამიანებიც კი, რომელთა გადარჩენა ალბათ ჯერ კიდევ შეიძლებოდა. ბოროტმოქმედთა დაკავებისას მგზავრთაგან მეტი მსხვერპლი არ ყოფილა. მიმდინარეობს გამოძიება. დაწვრილებით ინფორმაციებსა და ცნობებს ბოროტმოქმედთა შესახებ გაუწყებთ".

საქართველოს ტელევიზია, „მოამბე"

1983 წლის 18 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განაჩენი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით

„ჩიხლაძე თეიმურაზ ვლადიმერის ძე ცნობილი იქნას (სტილი დაცულია. — ავტ.) დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 78 მუხლით, 19 და $242^2$ მუხლის მესამე ნაწილით, 19 და 84 მუხლის პირველი ნაწილით: საქ. სსრ სსკ 78 მუხლით მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით; საქ. სსრ სსკ 19 და $242^2$ მუხლის მესამე ნაწილით მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით; საქ. სსრ სსკ 19 და 84 მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლით. საქ. სსრ სსკ 40 მუხლის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ შეფარდებული დარჩეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით.

ივერიელი კახა ვაჟას ძე, ივერიელი პაატა ვაჟას ძე, კობახიძე გერმანე მიხეილის ძე, ფეტვიაშვილი თინათინ ვლადიმერის ასული, თითოეული მათგანი ცნობილი იქნას დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 78 მუხლით, $242^2$ მუხლის მესამე ნაწილით, 17 მუხლის მეორე ნაწილით და 84 მუხლის პირველი ნაწილით; ივერიელი კახა ვაჟას ძეს, ივერიელი პაატა ვაჟას ძეს, კობახიძე გერმანე მიხეილის ძეს, თითოეულ მათგანს: საქ. სსრ სსკ 78 მუხლით მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით; საქ. სსრ. სსკ $242^2$ მუხლის მესამე ნაწილით მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით; საქ. სსრ სსკ 17 მუხლის მეორე ნაწილითა და 84 მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლით. საქ. სსრ სსკ 40 მუხლის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ შეფარდებული დარჩეთ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივერიელი კახა ვაჟას ძეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით;

ივერიელი პაატა ვაჟას ძეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით;

კობახიძე გერმანე მიხეილის ძეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით;

ფეტვიაშვილი თინათინ ვლადიმერის ასულს საქართველოს სსრ სსკ 78 მუხლით მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 14 (თოთხმეტი) წლით, პირადი ქონების კონფისკაციით; 242 მუხლის მესამე ნაწილით მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთას 14 (თოთხმეტი) წლით, პირადი ქონების კონფისკაციით; საქ. სსრ სსკ 17 მუხლის მეორე ნაწილითა და 84 მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლით. საქ. სსრ სსკ 40 მუხლის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და თინათინ ვლადიმერის ასულ ფეტვიაშვილს საბოლოოდ მოსახდელად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 14 (თოთხმეტი) წლით, პირადი ქონების კონფისკაციით, საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით".

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია

თავმჯდომარე თ. გერსამია — თბილისი

სახალხო მსაჯულები: თ. ნიშნიანიძე — 1984 წლის 13 აგვისტო

კ. ილურიძე

„...წინასწარი და სასამართლო-სამსჯავრო გამოძიების მასალებით დასტურდება, რომ დამნაშავეთა ჯგუფის წევრები თავიანთ თავყრილობებზე იმუშავებდნენ საზღვარგარეთ უკანონო წასვლის სხვადასხვა ვარიანტებს. გარდა ამისა იმუშავებდნენ და მსჯელობდნენ ისეთ მეთოდებზეც, რომლებიც დაკავშირებული იყო წასვლის ლეგალურ გზებთანაც.

...ბანდიტური ჯგუფის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება თვითმფრინავზე შეიარაღებული თავდასხმის, მისი ხელში ჩაგდებისა და ასეთი საშუალებით უცხოეთში წასვლის შესახებ..."

„კახა ივერიელი: ...ჯერ ერთი, ძალზე სწრაფად შეიძლებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრის გადალახვა, ვერ მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესწრებოდა თვითმფრინავის დაპელენგება, აქედან გამომდინარე ჩამოგდებაც... მეორე — ჩვენს, ე. ი. ბანდიტებს შორის თვითმფრინავში იქნებოდნენ სხვა მგზავრებიც, ეს კი ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ დალუპავდნენ თავისსავე მოქალაქეებს. მესამე — საზღვარგარეთ ჩვენ ჩავფრინდებით როგორც ბანდიტები და იქ არ შეგვამოწმებდენ, გაგვიგებდენ, რომ უკან დასაბრუნებელი გზა არა გვაქვს და თუკი ვინმე გაბედავს საბჭოთა კავშირში დაბრუნებას, მას აუცილებლად მიუსჯიან სასჯელის უმაღლეს ზომას". — **ტ. 2, ს. ფ. 94.**

„როგორც წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების ბრალდებით დასტურდება, თ. ვ. ჩიხლაძის მიერ შემუშავებული თვითმფრინავის ხელში ჩაგდების გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი... ღვთისმსახურის ტანსაცმელის სპეციფიურობის გათვალისწინებით გაიტანდა იარაღს... აფრენის შემდეგ თ. ვ. ჩიხლაძე თითქოსდა ცნობისმოყვარეობის გამო უნდა შესულიყო პილოტების კაბინაში და გადაეცა მფრინავებისათვის წერილი მოთხოვნით — შეეცვალათ ფრენის კურსი და დამჯდარიყვნენ თურქეთის ტერიტორიაზე, ხოლო ამავე დროს თვითმფრინავის აფეთქების მუქარით აეძულებინა პილოტები დამორჩილებოდნენ მის ნებას". — **ტ. 21, ს. ფ. 182.**

„...1982 წლის დასაწყისისთვის დ. რ. მიქაბერიძე, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან იძენს ცეცხლსასროლ იარაღს — „ნაგანის" სისტემის რევოლვერს. ანალოგიური სისტემის იარაღი იქნა შეძენილი 1983 წლის აპრილში მიქაბერიძისა და წერეთლის მიერ. გამოირკვა ისიც, რომ მიქაბერიძეს ივნისის თვისათვის კიდევ ჰქონდა ერთი პისტოლეტი... 1983 წლის ნოემბრის თვის დასაწყისში მათ უკვე ჰქონდათ გამოძიებით დაუდგენელი გზით მოპოვებული ოთხი ცეცხლსასროლი იარაღი და ორი ცალი ხელყუმბარა, რაც საკმარისად იქნა მიჩნეული დასახული დანაშაულებრივი მიზნების განხორციელებისათვის.

1983 წლის ნოემბრის დასაწყისიდან 18 ნოემბრამდე (თვითმფრინავზე თავდასხმის დღემდე), ბანდიტური ჯგუფის წევრები ღებულობენ ცალმხრივ გადაწყვეტილებას და რამდენიმე თავყრილობას აწყობენ თ. ვ. ჩიხლაძის მონაწილეობის გარეშე... ბანტიდური ჯგუფის წევრებმა თავისი ინიციატივით მიიღეს ზემოხსენებული გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ ამ პერიოდისთვის „რაღაც საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებით"

განაწყენდნენ ჩიხლაძეზე. გარდა ამისა, ,,აღარ უნდოდათ ყოფილიყვნენ ჩიხლაძის გავლენის ქვეშ საზღვარგარეთ გასვლის შემდეგაც, სურდათ დამოუკიდებლად ეცხოვრათ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე წლის 7 და 8 ნოემბერს დ. რ. მიქაბერიძემ, ი. კ. წერეთელმა, თ. ვ. ფეტვიაშვილმა და გ. მ. კობახიძემ ამ უკანასკნელის ბინაზე განიხილეს თვითმფრინავში იარაღის შეტანისა და მასში ბანდის წევრების შეღწევის კონკრეტული საკითხები ,,საქორწინო მოგზაურობის" მოტივით: უნდა მოეწყოთ ქორწილი გ. მ. კობახიძის და თ. ვ. ფეტვიაშვილის ფაქტიურ შეუღლებასთან დაკავშირებით.

გადაწყდა ისიც, რომ ქორწილზე მოიწვევდნენ თბილისის აეროპორტის ავიარაზმის გადაზიდვის სამსახურის განყოფილების საერთაშორისო სექტორის მიღებისა და გამგზავრების მორიგეს, მათ ამხანაგს — ანა იოსების ასულ ვარსიმაშვილს. 1983 წლის 11 ნოემბერს... მიიღეს გადაწყვეტილება შეეთავაზებინათ კ. ვ. ივერიელსა და პ. ვ. ივერიელისთვის, მიეღოთ მონაწილეობა თვითმფრინავის ეკიპაჟზე თავდასხმაში... რაზეც მიიღეს თანხმობა". — **ტ. 21, ს. ფ. 189.**

,,...განსაზღვრეს ,,ტუ 134" თვითმფრინავის მარშრუტი, რომელიც ასრულებდა რეისს: თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადი.

ასეთი არჩევანი იმით დასაბუთდა, რომ თვითმფრინავში ბევრი მგზავრი იქნებოდა და მის ჩამოგდებას ვერ გაბედავდნენ. კ. ვ. ივერიელმა მიქაბერიძისგან მიღებული ფულით და ბანდის დანარჩენი წევრების პასპორტებით, 1983 წლის ნოემბერში შეიძინა 7 ბილეთი... 18 ნოემბრისათვის.

1983 წელს 15 და 16 ნოემბერს, დაბა წყნეთში, დ. რ. მიქაბერიძის მშობლების აგარაკზე იკრიბებიან ბანდის წევრები: ს. კ. წერეთელი, დ. რ. მიქაბერიძე, კ. ვ. ივერიელი, და პ. ვ. ივერიელი, გ. თ. ტაბიძე და გ. მ. კობახიძე... 16 ნოემბერს თ. ვ. ფეტვიაშვილთან შეხვედრისას უკარნახა მას გ. მ. კობახიძემ... შემდეგი წერილი:

,,მფრინავებო, ჩვენ 7 კაცი, მოვითხოვთ დასვათ თვითმფრინავი თურქეთის ერთ-ერთ აეროდრომზე. ჩვენ შეიარაღებულნი ვართ. თუ თქვენ მოგვატყუებთ და არ დაგვემორჩილებით, ავაფეთქებთ თვითმფრინავს. აგრეთვე გაფრთხილებთ, არაფერი შეატყობინოთ მიწაზე. იფიქრეთ სტიუარდესებზე და მგზავრებზე. თუ თანახმა ხართ შეასრულოთ ჩვენი მოთხოვნები, მაშინ ერთ-ერთი თქვენთაგანი გამოვიდეს სალონში"... წერეთელი ასეთ ლონისძიებაზე არ დათანხმდა და გაანადგურა წერილი.

გეგმის შესაბამისად (ტაბიძისა და ძმები ივერიელების გარდა) ბანდის წევრები შეიკრიბნენ რესტორანში მოწყობილ კობახიძისა და ფეტვიაშვილის ქორწილზე, რის შემდეგ გ. კობახიძის ბინაში გვიან საღამოს მივიდნენ ა. ი. ვარსიმაშვილი, თ. ფეტვიაშვილის ორი მეგობარი — ე. ვ. შალუტაშვილი და ა. გ. მელივა. იმ ვარაუდით, რომ გამოიყენებდა ე. ვ. შალუტაშვილსა და ა. გ. მელივას თვითმფრინავში იარაღის შესატანად, კობახიძემ ისინი დაპატიჟა ე. წ. „საქორწინო მოგზაურობაში"... ა. ი. ვარსიმაშვილს... თხოვეს, მათთვის იმავე რეისზე ბილეთების შოვნა, რაც მან შეასრულა. თ. ვ. ფეტვიაშვილი და გ. მ. კობახიძე ღებულობენ გადაწყვეტილებას (ი. კ. წერეთლის წინადადებით), რომ ჩანთა იარაღით შეეტანათ შალუტაშვილის მეშვეობით თვითმფრინავში, ამასთან, ბუნებრივია, რომ ამ უკანასკნელს არ უნდა სცოდნოდა, თუ რა იყო ჩანთაში...

მიქაბერიძემ თ. ფეტვიაშვილს სთხოვა სწორკუთხოვანი ფორმის ჩანთა, რის შემდეგ კობახიძის ბინიდან წაიყვანა ბანდის ხსენებული წევრები თავის სახლში. ჩააწყვეს იარაღები, ყუმბარები, მელივას სახლთან ჩასვეს იგი და შალუტაშვილი, განაგრძეს გზა აეროპორტისაკენ. მათ ჩანთაში ჰქონდათ „ტტ"-ის ორი პისტოლეტი, „ნაგანის" სისტემის რევოლვერი, „რევსტერის" მარკის რევოლვერი, „ურგ" და „ურგ-ნ" მარკის ორი სასწავლო ხელყუმბარა... გარდა ამისა თვითმფრინავში შეტანილი იქნა დამრტყმელ-დამამსხვრეველი მოქმედების ცივი იარაღი — „ნუნჩაკები".

ფეტვიაშვილმა სთხოვა შალუტაშვილს, ეტარებინა მისი (ფეტვიაშვილის) კუთვნილი ჩანთა... განუცხადა, თითქოს მასში იყო ნარკოტიკული ნივთიერება სიგარეტების სახით. შემოწმების შემთხვევაში უკან დააბრუნებდნენ. აეროპორტში მისვლისას შევიდნენ... ვარსიმაშვილის სამუშაო ოთახში, საიდანაც ამ უკანასკნელის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, ბარგის შემოწმებისა და სპეციალურ კონტროლის გარეშე, „ინტურისტის" სამსახურებრივი გასასვლელის გავლით, შალუტაშვილმა... გაიტანა ხელჩანთა წერეთელთან, მიქაბერიძესთან, კობახიძესთან და ფეტვიაშვილთან, აგრეთვე მელივასთან ერთად და მიიტანა ავიალაინერ „ტუ 134"-ის №65807 ბორტზე.

თვითმფრინავში ბანდის წევრები მოთავსდნენ პირველი სალონის 5, 6 და 7 რიგებში, სადაც შალუტაშვილი და მელივაც მოთავსდნენ.

კ. ვ. ივერიელი, პ. ვ. ივერიელი და გ. თ. ტაბიძე დამოუკიდებლად მოვიდნენ (მოსკოვის დროით 15 საათზე) აეროპრტში, მგზავრთა საერთო ნაკადთან ერთად შევიდნენ თვითმფრინავის პირველ სალონში და დაიკავეს ადგილები 4, 5 და 6 რიგებში... (ფრენა შეფერხდა მეტეოპირობების გამო). ბანდიტთა ჯგუფის წევრები განაგრძობდნენ „საქორწინო მოგზაურობასთან" დაკავშირებული მხიარულობის იმიტაციას: შამპანურს ბოთლებიდან სვამდნენ...

მოსკოვის დროით 15 საათსა და 43 წუთზე თვითმფრინავმა კურსი აიღო ბათუმისაკენ. აფრენიდან 5–10 წუთის შემდეგ კობახიძემ, მიქაბერიძის დავალებით, შალუტაშვილს გამოართვა ხელჩანთა იარაღებითა და ხელყუმბარებით და გადასცა (მიქაბერიძეს). ბანდის წევრებს შორის მიქაბერიძემ გაანაწილა იარაღები: თვითონ დაიტოვა პისტოლეტი „ტტ", ტაბიძეს გადასცა „ნაგანის" სისტემის რევოლვერი, ერთი ხელყუმბარა ფეტვიაშვილის მეშვეობით გადასცა კობახიძეს, მეორე კი — პაატა ივერიელს. „რევსტერის" სისტემის რევოლვერი — კახა ივერიელს, ხოლო მეორე პისტოლეტი „ტტ" — წერეთელს, რომლებმაც აქვე გაცვალეს ურთიერთშორის ხსენებული იარაღები.

გეგმის თანახმად, კახა ივერიელი 16 საათსა და 13 წუთზე ადგა თავისი ადგილიდან და ი. კ. წერეთელთან ერთად გაემართა პილოტთა კაბინისაკენ, მისცა რა ამით დანარჩენ წევრებს ეკიპაჟზე და მგზავრებზე თავდასხმის დაწყების ნიშანი.

ამ ნიშნის მიღებისთანავე პაატა ივერიელმა შეცდომით მიიჩნია რა სალონის მეორე რიგში მჯდომი მგზავრი ა. ა. სოლომონია საჰაერო ხომალდის გამცილებელ პოლიციის თანამშრომლად, მისი მოკვლის მიზნით ძლიერად ჩაარტყა შამპანურის ბოთლი თავში. ტაბიძემ იმავე მიზნით ესროლა სოლომონიას თავში „ნაგანის" სისტემის რევოლვერიდან. მიღებული ჭრილობებისაგან სოლომონია გარდაიცვალა.

ასევე შეცდომით მიიჩნიეს რა სალონის პირველ რიგში სამოქალაქო ავიაციის პილოტის ფორმაში მჯდომი ა. მ. პლოტკა ეკიპაჟის წევრად, მისი მკვლელობის მიზნით ტაბიძემ ორჯერ ესროლა „ნაგანიდან", მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანებები ჯანმრთელობის მოშლით (ორი ბრმა ჭრილობა მარჯვენა მხარში და ერთი ანალოგიური ჭრილობა წელის არეში)... პაატა ივერიელმა და კობახიძემ თავს ზემოთ ასწიეს ხელყუმბარები და მგზავრე-

ბის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის აღკვეთის მიზნით, აფეთქებათა მუქარით უბრძანეს მათ, დაწოლილიყვნენ სავარძლებს ქვეშ და არ ემოძრავათ, ამასთან გამოაცხადეს, რომ თვითმფრინავი თურქეთში მიფრინავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მხრივ კახა ივერიელი წერეთელთან ერთად ახორციელებდა რა თვითმფრინავის ეკიპაჟზე უშუალო თავდასხმის ოპერაციას, შეიჭრა ბორტგამცილებელთა სალონში, საიდანაც აპირებდა პილოტების კაბინაში შეჭრას. კახა ივერიელი... მოითხოვდა ვალენტინა კრუტიკოვასგან სატელეფონო კავშირით გადაეცა პილოტებისათვის ბანდიტების მოთხოვნა „გაფრენილიყვნენ თურქეთში"... უცებ სალონიდან კრუტიკოვასთან ტაბიძეც შეიჭრა და ასევე სიკვდილის მუქარით უბრძანა მას, ბორტგამცილებლებისათვის დაწესებული ნიშნით დაეკაკუნებინა პილოტების კაბინის კარზე, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა იძულებით; კაბინის კარი გააღო საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მფრინავ-შტურმანთა რაზმის ინსპექტორმა ზ. ტ. შარბათიანმა, რომელსაც ტაბიძემ მკვლელობის მიზნით „ნაგანიდან" ესროლა, ხოლო კახა ივერიელმა იმავე მიზნით „რევსტერიდან" ექვსჯერ ესროლა შარბათიანს, რის შედეგაც იგი მოკლე ხანში გარდაიცვალა.

განაგრძეს რა თვითმფრინავის ეკიპაჟზე თავდასხმა... კახა ივერიელმა მიაბჯინა რევოლვერი „რევსტერი" თავზე პილოტ-ინსტრუქტორს ა. ბ. გარდაფხაძეს და უბრძანა მას, შეეცვალა კურსი — გაფრენილიყო თურქეთში. აქვე ტაბიძემ მოკლა ჭედიაც.

...პილოტთა კაბინაში მყოფმა ეკიპაჟის შტურმანმა ვ. ლ. გასოიანმა, თავისი ტაბელური იარაღით აუტეხა მათ სროლა, რის შედეგად გ. თ. ტაბიძე მოკლულ იქნა, ხოლო ი. კ. წერეთელი და კახა ივერიელი დაიჭრნენ, რითაც პილოტებს მიეცათ საშუალება განეხორციელებინათ პილოტთა კაბინის ბლოკირება.

18 ნოემბერს 16 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით თვითმფრინავის დაჯდომისთანავე დ. მ. მიქაბერიძემ, დარწმუნებულმა მათი ოპერაციების საბოლოო ჩაშლაში, პისტოლეტით მოიკლა თავი.

ი. კ. წერეთელმა, რომელიც დაჭრილი მოთავსდა თვითმფრინავის საბარგო დანაყოფში, პისტოლეტ „ტტ"-დან გასროლით მოკლა ბორტგამცილებელი ვ. ნ. კრუტიკოვა იმ დროს, როდესაც

იგი ბორტგამცილებელ ი. ნ. ხიმიჩის კვალდაკვალ გადახტა სათა-დარიგო გასასვლელით თვითმფრინავიდან და ამით შეეცადა ბან-დიტებისაგან თავის დაღწევას". — **ტ. 21, ს. ფ. 194.**

„უპირველესად პ. ივერიელი და აგრეთვე გ. კობახიძე უკრძა-ლავდნენ მგზავრებს ამდგარიყვნენ ადგილებიდან... ესარგებლათ ტუალეტით, წყლით; ყოველნაირად ამცირებდნენ მათ ადამიანურ ღირსებებს.

საჰაერო ხომალდში (რომელშიც აფრენის მომენტისათვის 58 მგზავრი და 7 ეკიპაჟის წევრი იყო) ზემოხსენებული ბანდიტური თავდასხმის შედეგად მოკლული იქნა ეკიპაჟის სამი წევრი და ერთი მგზავრი. ეკიპაჟის ერთმა წევრმა და შვიდმა მგზავრმა მი-იღეს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები.

სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველომ ავია-ლაინერის დაზიანების შედეგად განიცადა 560 839 მანეთის და 40 კაპიკის ოდენობით მატერიალური ზარალი (საჰაერო ხომალ-დი „ტუ 134ა", ბორტის ნომერი 65807).

1984 წლის 27 თებერვალს ამ სისხლის სამართლის საქმიდან გამოყოფილ იქნა საქმე თვითმფრინავისთვის სამხედრო ნაწილე-ბის მოსამსახურეების მიერ ცეცხლის დაშენის ფაქტზე (დაიღუპა ერთი და სხეულის დაზიანება მიიღო 11 მგზავრმა)".

მე შემოგთავაზებთ ძიების მასალებს, თარგმნის დროს დოკუ-მენტის სტილი და შინაარსობრივი შესაბამისობა არანაირად არ შემილამაზებია. აქ მოყვანილ საბუთებში სიტყვასიტყვით არის გადმოცემული დოკუმენტის შინაარსი სტილისტური შელამაზების გარეშე.

შემდეგ მე ჩამოვაყალიბებ ჩემ ვერსიას — სუბიექტურ აზრს, რომელიც მე ობიექტური ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის შემდეგ გამიჩნდა. ამ აზრთან დათანხმება ან არ დათანხმება თქვენი უფლებაა.

ჩემს ყველა ახლობელს მიაჩნია, რომ მე ყველა მოვლენასთან დაკავშირებით გამაჩნია საკუთარი, გადამეტებულად ტენდენციუ-რი აზრი, მაქვს ჩემი ვერსია. ვაღიარებ, რომ ეს არ არის ჩემი სა-უკეთესო თვისება.

მიმაჩნია, რომ ადამიანებს მანამ არაფერი გვეშველება, სანამ არ ვისწავლით აზროვნებას და არ განვსაზღვრავთ მსოფლიოსთან ჩვენი ურთიერთობების პრინციპს; სანამ არ მივეჩვევით საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებასთან დადებული იმ კონტრაქტის კითხვას, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე თავიდან ვერ აგვიცილებია. ჯერ ჩვენივე სურვილით ლანგარზე მივართმევთ სხვას გადაწყვეტილებისა და დასკვნის მიღების უფლებას, მერე კი ჩვენი პიროვნული არჩევანის წმინდა უფლებას არაორაზროვნად მოვითხოვთ მიტინგებზე ტრანსპარანტებით, ხმის სრულ ჩახლეჩამდე. ებრაელები, როცა ვინმეს სწყევლიან, ამბობენ: შენი არ იცოდე და სხვისი არ გესმოდესო. ღმერთო, რა საჭიროა ამ უკიდურესი სილენჩის გამოვლინება ცხოვრებაში, როდესაც შეიძლება შენიც იცოდე და სხვასაც დაუგდო ხანდახან ყური.

განა შეიძლება, მომჩივანთან ერთად მოპასუხის აზრი არ გაიზიარო?

შეიძლება ნორმალური ადამიანი დაეყრდნოს იმ პროკურორის სიტყვას, რომელსაც სწორედ ადამიანის თავზე ლაფის დასხმაში უხდიან ფულს?

საბჭოთა რეჟიმში ცხოვრების 70-მა წელიწადმა ჩვენ, ყველა სიკეთესთან ერთად, წაგვგლიჯა გადაწყვეტილების მიღებისა და მნიშვნელობის შეგრძნების აუცილებლობა. ჩვენ შეგნებულად დავიდგით უღელი იმ პრინციპით, რომ მთავრობა მაღლაა, მან უკეთ იცის, და ამით იერარქიულად დაბალ კლასად ჩამოვყალიბდით. მთავრობას კი აზროვნებაგადაჩვეული ადამიანების არც ეშინია და აღარც სათვალავში აგდებს. გადავიქეცით სტატისტებად და ნუ გაგვიკვირდება, სტატისტებს აინუნშიც არ ჩააგდებენ და განუკითხავად გააჩაღებენ ჩვენი ბედით მანიპულირებას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინასწარი და სამსჯავრო „გამოძიება“

გერმანე მიხეილის ძე კობახიძე: „1981 წელს გაზაფხულზე მე დავუმეგობრდი დათო მიქაბერიძეს (სტილი დაცულია. — ავტ.). ჩვენ ადრეც ვიცნობდით ერთმანეთს, მხოლოდ არ ვმეგობრობდით. საქმე იმაში იყო, რომ მე ვიღებდი კინოფილმს, როგორც მოყვარული და მჭირდებოდა მუსიკა ფილმისთვის. ვიცოდი, რომ მიქაბერიძეს კარგი ფირფიტები ჰქონდა. მე მას დავუკავშირდი და შემდეგ მასთან სახლში მივედი. ამის შემდეგ ჩვენ დავმეგობრდით... ერთი თვის შემდეგ მიქაბერიძესთან სახლში გავიცანი სოსო წერეთელი... სოსო წერეთელი ჩემთვის ძალიან საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა, განათლებული ადამიანი ჩანდა, კარგად ხატავდა, ჩვენც, მე და დათოსაც გვასწავლიდა ხატვას. აღმოჩნდა, რომ ის კარგად ერკვევა რელიგიაში. ბევრს გვესაუბრებოდა სხვადასხვა რელიგიებზე, უმეტესად ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. გვასწავლიდა იოგის ვარჯიშებს... ჩემი ცხოვრება ამ დროს ძალიან შეიცვალა. უფრო დავინტერესდი ცხოვრებით, უფრო ახალი თვალით დავუწყე ყურება... სახლში კარადიდან ბაბუაჩემის ნაქონი ძველისძველი ბიბლია გადმოვიღე, დავიწყე კითხვა. ძალიან დამაინტერესა. მჯეროდა რასაც ბიბლია ქადაგებდა... ხანდახან ეკლესიაში დავდიოდით, მაგრამ ჩვენ არ მოგვწონდა ეკლესიის მსახურნი, კრიტიკის თვალით ვუყურებდით მათ. ისინი ერთს ამბობდნენ, მეორეს აკეთებდნენ... სოსო წერეთელი გვიყვებოდა, რომ დასავლეთის ქვეყნებში ასე არ ხდება. იქ ეკლესიაში პატიოსანი სამღვდელოებაა, რომ თვითონ მრევლიც მაღალ დონეზე დგას რელიგიაში, რომ ბევრი ისეთი ლიტერატურა არსებობს, რაც აუცილებელია ქრისტიანისათვის. თანდათან ჩვენ გვებადებოდა სურვილი გვენახა, ახლო გაგვეცნო ეს საზოგადოება, გვქონოდა მათთან კონტაქტი. საერთოდ ჩვენ დავინტერესდით დასავლეთის ქვეყნებით. დავინტერესდით იმ ცხოვრების სტილით,

როგორითაც ცხოვრობდა თანამედროვე დასავლეთის ახალგაზრდობა. ეს ის ინტერესია, რაც ყველა ჩვენი ხნის, თუნდაც ჩვენზე უფროსი თაობის კაცს შეიძლება იზიდავდეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემმა ძველმა მეგობრებმა რომ გაიგეს, ბიბლიას ვკითხულობ და რელიგიით ვარ დაინტერესებული, დაცინვა დამიწყეს. გიჟი ხარო, მეუბნებოდნენ. მეც ნელ-ნელა ჩამოვცილდი მათ. მათ ვერ წარმოედგინათ, როგორ შეიძლება კაცმა უარი თქვას დაბადების დღეზე წასვლაზე, გართობაზე და სხვადასხვა სიამოვნებაზე; ყველაფერ იმაზე, რაც მათ ცხოვრებას წარმოადგენდა...

იმ ზამთარს დათო მიქაბერიძემ თავის ამხანაგ ლადო მაისაიას სთხოვა, რომ თუ შეიძლება, შენს აგარაკზე წყნეთში ერთი თვით ვიცხოვროო. მან ნება დართო. შემდეგ მეც ავედი წყნეთში... მე და დათომ წყნეთში საერთოდ დავივიწყეთ უცხოეთში წასვლაზე ფიქრები. უკვე არარეალურად გვეჩვენებოდა ჩვენი იქ წასვლა. მივხვდით, რომ ჯერ პატარები ვართ და პრინციპში ჯერ არავითარი სპეციალობა არ გაგვაჩნია, სოსოც რამდენიმეჯერ იყო ჩვენთან წყნეთში. ისიც აღარ ლაპარაკობდა არაფერს უცხოეთზე...

გაზაფხულზე ჩემი ახლანდელი მეუღლე თინა ფეტვიაშვილი გავიცანი... 1982 წლის ზაფხულში ჩემი ახლანდელი ცოლი დასასვენებლად წავიდა. მე ისევ მარტო დავრჩი, ამ პერიოდში მე სულ ვეძებდი კონტაქტს დათოსთან და სოსოსთან. რამდენჯერმე ვნახე კიდეც... ამ ზაფხულს გავიცანი გია ტაბიძე. ლენინის მოედანზე შეგვხვდა მე, წერეთელს და მიქაბერიძეს. წერეთლის ნაცნობი აღმოჩნდა. რესტორან „დურუჯში" დაგვპატიჟა, იქ გავიგე, რომ რამდენიმეჯერ ნაჯდომი იყო ციხეში. სულ ციხის ამბებს ყვებოდა. არავითარი საზღვარგარეთ ცხოვრება ან რამე ამგვარი მისგან იმ პერიოდში არ გამიგია... შემოდგომაზე სოსომ და დათომ ჩემი სახლის ახლოს ლვოვის ქუჩაზე იქირავეს სახელოსნო. ახლა უფრო ხშირად ვხედავდი მათ. იყო დღეები — თითქმის ყოველდღე. უცხოეთზე ლაპარაკი აქაც გრძელდებოდა...

ჩვენ ვოცნებობდით უცხოეთში მოხვედრაზე, რათა ბოლოს და ბოლოს საკუთარი თვალით გვენახა ის, რაზეც ამდენი გვესმოდა. ძირითადად უცხოეთის, კერძოდ დასავლეთის ეკლესიებზე ინფორმაციას სოსო წერეთელი გვაძლევდა. მან კარგად იცოდა გერმანული ენა და გვეუბნებოდა, ეს აქ წავიკითხე ეს — იქო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი ინფორმაცია სოსოს და დათოს რადიოთიც ჰქონდათ მიღებული, კერძოდ „ამერიკის ხმიდან" ან „თავისუფლებიდან". მეც მისმენია ამ სადგურებისთვის...

ლვოვის ქუჩაზე გავიცანი აგრეთვე კახა ივერიელი. იმ დღეს მე, სოსო, დათო და კახა მთელი დღე ერთად ვიყავით, ეს აღდგომა დღე იყო. ჩვენ ვიყავით რესტორან „ქალაქურში". იქიდან ტრადიციისამებრ წავედით სიონის ეკლესიაში. კახა ივერიელი საერთოდ ყველაფერს ლანძღავდა. ასეთი ხასიათი აღმოაჩნდა. არაფერი არ მოსწონდა — არც რესტორანი, არც ეკლესია... უცხოეთში წასვლის სურვილს ისიც გამოთქვამდა... საერთოდ მოსწონდა დასავლური ცხოვრების სტილი... მინდა დავუმატო, რომ სახელოსნოში ყოფნის პერიოდში დათომ და სოსომ პოლიტიკაზე დაიწყეს ლაპარაკი. აქტიურად მსჯელობდნენ ამა თუ იმ საკითხზე. ისინი ამბობდნენ, რომ რეიგანი სწორ პოლიტიკას ეწევა... 1983 წლის გაზაფხულზე სოსომ და დათომ ბაპტისტურ ეკლესიაში ორი ამერიკელი მორწმუნე გაიცნეს. ისინი ბათუმში მიემგზავრებოდნენ. სოსო და დათოც წავიდნენ ბათუმში.

სოსომ და დათომ გამოთქვეს მათთან სურვილი, რომ სურთ ამერიკაში ჩასვლა, რადგან ძალიან აინტერესებთ ნახვა ამ საზოგადოებისა. იმათმა თურმე უთხრეს, ჩვენ ვერაფრით ვერ დაგეხმარებით, ჩვენ აბა რა შეგვიძლიაო. ამ საქმის გამო დათო მიქაბერიძე ბათუმის უსაფრთხოების კომიტეტშიც კი დაიბარეს, მაგრამ შეიტყვეს, რომ ამ უცხოელებთან კონტაქტს არავითარი რამე სერიოზული ხასიათი არ ჰქონდა. სერიოზული იმ მხრივ, რომ თუნდაც შპიონაჟი, ან რაიმე ამგვარი...

გაზაფხულზე მე, სოსოს და დათოს გადაწყვეტილი გვქონდა ლენინგრადში წასვლა. სოსომ გვითხრა, რომ ერმიტაჟის დირექტორი მამამისის ამხანაგია და დახურული ფონდების ნახვას შევძლებთო. დათოს არ შეეძლო წამოსვლა, რადგან პროექტებზე უნდა ემუშავა (ის არქიტექტურულზე სწავლობდა). მე ცოტა ფული მქონდა ზაფხულისთვის შენახული, სოსომაც თქვა, რომ ცოტა ფული მასაც ჰქონდა. ლენინგრადის თვითმფრინავზე ბილეთის შოვნა პრობლემა იყო. მაშინ მე და სოსო წავედით აეროპორტში სოსოს ძველ ნაცნობთან ნანა ვარსიმაშვილთან, რომელიც მსახურობდა ძველი აეროპორტის შენობაში მორიგე-გამცილებლად. ნანა შეგვპირდა ბილეთს, მეორე დღეს სოსომ დაურეკა. ნანამ ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინგრადზე ვერ გვიშოვა ბილეთი და მოგვცა ბილეთები მოსკოვზე. მოსკოვიდან ჩვენ მატარებლით ლენინგრადში ჩავედით. იქიდან ჩამოსვლისას ჩვენ თბილისში დაგვხვდნენ ტალინელი სტუმრები. წინა დღეს ჩვენ ჩასვლამდე ჩამოსულიყვნენ. სასტუმრო ვერ ეშოვათ და ღამე მიქაბერიძის აგარაკზე წყნეთში გაეთიათ...

უცხოეთში ცხოვრებაზე ლაპარაკი ჩვენი სტუმრებისგან არ გამიგია, ის კი არა, პირიქით, სულ ტალინზე ლაპარაკობდნენ. ჩვენთან ესეა, თქვენთან ეს არ ვარგა, მოკლედ, არაფერი ჩვენი არ მოსწონდათ. იმ დღის შემდეგ აღარც მინახავს ესენი, ისე წავიდნენ ესტონეთში...

4 ოქტომბერს მე ბათუმში წავედი გადაღებებზე... ბათუმში მსახიობმა ია ნინიძემ მითხრა, რომ მოსკოვში არისო ჩამოსული ბერძენი კინორეჟისორი და ეძებსო ახალგაზრდა მსახიობებს ფილმისათვის. იას ამ კინოფილმის სცენარიც ჰქონდა თან. მითხრა, რომ არისო როლები შენთვის და შენი ცოლისათვისაც. მითხრა, თბილისში რომ ჩავალთ, აუცილებლად მომიტანეო შენი და შენი ცოლის ფოტოებიო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს ამიხდებოდა ნატვრა, თუ რეჟისორს მოვეწონებოდი. ორი თვით საბერძნეთში წავიდოდი. ეს ქვეყანა ძალიან მაინტერესებდა, რადგანაც სწორედ საბერძნეთში მოიკიდა ფეხი პირველად ქრისტიანულმა რელიგიამ. თან გადაღებები გემზე უნდა ყოფილიყო. მოკლედ, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი. ამ ფაქტთან დაკავშირებით მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, ხელი ჯერ არ მოგვეწერა. მე ეს ამბავი ჩემი ცოლის დედასაც ვუთხარი. ვთხოვე, ჯერჯერობით ხელს არ მოვაწერთ-მეთქი. თქვენ თვითონაც მოგეხსენებათ, რომ ოფიციალურ ცოლ-ქმარსაც, თუ მათ ბავშვები არა ჰყავთ, უჭირთ საზღვარგარეთ წასვლა...

რამდენიმე დღის შემდეგ დათომ მითხრა, მარიომ, ე. ი. ტალინელმა ნაცნობმა დამირეკაო და მითხრა, რაღაც სერიოზული მოხდა და თბილისში უნდა ჩამოვიდეო შენთან. რა მოხდაო, არ უთქვამსო. რაც მე და ჩემი მეუღლე ბათუმიდან ჩამოვედით, დათო და სოსო სულ ჩვენთან იყვნენ სახლში. ისინი ჩემი მეჯვარეები უნდა ყოფილიყვნენ. ის დღეები სულ ერთად ვიყავით, ერთად ვსეირნობდით, ვერთობოდით. 9 ნოემბერს ჩემს ცოლს ბათუმიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ 19 ნოემბერს შენი ქმარი ბათუმში უნდა იყოსო გადაღებებზე. 10 ნოემბერს სოსომ და დათომ გამოგვიარეს მე და

ჩემ მეუღლეს და წაგვიყვანეს გია ტაბიძის დაბადების დღეზე. დაბადების დღის ბოლოს დავრჩით მარტო მე, სოსო, დათო და ჩემი ცოლი. ლაპარაკი ჩამოვარდა ლექსო თორაძეზე, ზოგი იძახდა, დარჩაო უცხოეთში საცხოვრებლად, ზოგი იძახდა, ტყუილიაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საღამოს ტაბიძის დღეობაზე არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა კერძოდ ჩვენს წასვლაზე უცხოეთში. წასვლის წინ ტაბიძემ რატომღაც უცხოური პიჯაკი მაჩუქა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 19 ნოემბერს მე ბათუმში უნდა წავსულიყავი. დათო მიქაბერიძემ შემომთავაზა, ბათუმში მე და სოსოც წამოვალთო, მხოლოდ 18-ში წავიდეთო, რადგან პარასკევი დღე უწევდა და სურდათ, რომ კვირამდე დარჩენილიყვნენ, რადგან დათოს ლექციები ბევრი ჰქონდა გაცდენილი და მეტს ვეღარ გააცდენდა, სოსოც სამსახურში უნდა ყოფილიყო ორშაბათს. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი თვრამეტში გამგზავრებაზე ბათუმში. მეორე დღეს დათო მიქაბერიძე მოვიდა ჩემთან და მითხრა, მომეცი პასპორტები, ბილეთებს მე ავიღებო. მეც მივეცი ჩემი და ჩემი მეუღლის პასპორტები. ეს იყო დაახლოებით 12 ან 13 რიცხვში. 15 ნოემბერს მე, სოსო წერეთელი და დათო მიქაბერიძე ვესტუმრეთ კახა და პაატა ივერიელებს სოსოს წინადადებით. იმ დღეს გავიცანი კახას ძმა პაატა ივერიელი. უცხოეთზე არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა. იმავე საღამოს დამირეკა დათო მიქაბერიძემ და მითხრა, შენთან საქმე მაქვსო და ხვალ დილით 10 საათზე გრიბოედოვის ძეგლან მოდიო. თან მითხრა, ვერაფრით გია ტაბიძესთან ვერ ვრეკავ და იქნებ შენ დაურეკო და უთხრა, რომ ხვალ ისიც მოვიდესო 10 საათზე გრიბოედოვის ძეგლთან. მე დავრეკე, მაგრამ მეუღლემ მითხრა, სახლში არ არისო. მე ჩემი ტელეფონი ჩავაწერინე. მოგვიანებით თვითონ დარეკა და მე ვუთხარი, რომ 10 საათზე მოსულიყო გრიბოედოვის ძეგლთან.

მეორე დღეს გრიბოედოვის ძეგლთან შევხვდი ტაბიძეს. მერე მოვიდა წერთელი, თქვა, რომ ძმებ ივერიელებს უნდა დაველოდოთო. ცოტა ხანში ისინიც მოვიდნენ. სულ ბოლოს მოვიდა მიქაბერიძე. ჩვენ კახა ივერიელის სამსახურის მანქანით წავედით წყნეთში დათო მიქაბერიძის აგარაკზე. იქ კახამ მანქანა გაუშვა. როცა ბინაში შევედით, ტაბიძემ მითხრა, გვერდზე ოთახში გავიდეთო მე და შენ. გვერდზე ოთახში გასვლისას მან მითხრა, ჩვენ გვაქვსო გეგმა, რომ ბათუმში მიმავალი თვითმფრინავი გავიტაცოთ შენი ქორწილის მეორე დღესო. ბორტგამცილებლის ხელით ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილს შევუგზავნითო მფრინავებს, სადაც იქნება მოთხოვნა, თუ თვითმფრინავს თურქეთის რომელიმე აეროდრომზე არ დასვამთ, ჩვენ მას ავაფეთქებთო. ისინი ასეთ შემთხვევაში ვალდებულნი არიან შეასრულონ მოთხოვნა, რადგან მგზავრების სიცოცხლეზე ისინი პასუხს აგებენო და სპეციალური ინსტრუქციაც კი აქვთო მიღებული, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა აასრულონო ასეთი სახის მოთხოვნა. მე ვიცი, რომ შენ გინდა საზღვარგარეთ ცხოვრება და იმიტომაც განდეთო ეს გეგმა... მე ვუთხარი, გავიდეთ-მეთქი იქით ოთახში, ვნახოთ სხვები რა აზრის არიან-მეთქი ამ საქმეზე.

ჩვენ გავედით იქით ოთახში, მიქაბერიძე რაღაცას უხსნიდა ძმებ ივერიელებს. ისინიც ლაპარაკობდნენ თავის აზრებს, რომ შევედით, დათომ მკითხა, გითხრაო ყველაფერი ტაბიძემ, რასაც ვაპირებთო? კი-მეთქი. ნუ გეშინიაო, ეს არც ისე საშიშია, შენ როგორც გგონიაო. შენ და შენი ცოლი, მხოლოდ იჯდებით სალონში. არაფრის გაკეთება შენ არ გევალება, როგორც ჩვეულებრივი მგზავრი ისე იქნებიო. აქ მე წერილზე ვკითხე, რომ არ დაემორჩილონ ამ წერილს, მართლა აafეთქებთ-მეთქი თვითმფრინავს. აქ ისევ ტაბიძე ჩაერია. არ არსებობს, რომ არ დაემორჩილონ, ამდენ ხალხს ხომ არ დაღუპავენ. რა დარწმუნებულები არიან, რომ მართლა არ ავაფეთქებთო. შემდეგ მიქაბერიძემ გვერდზე ოთახიდან გამოიტანა ჩანთაში ჩადებული იარაღები — სამი იარაღი იყო და ორი ყუმბარა...

აღმოჩნდა, რომ სანამ მე და ტაბიძე ვლაპარაკობდით იქითა ოთახში, დათო ივერიელებს უყვებოდა თუ როგორ შეიტანდნენ იარაღს თვითმფრინავში. შემდეგ მეც დამიწყო მოყოლა, რომ სოსო წერეთლის ნაცნობის ანა ვარსიმაშვილის მეშვეობით, რომელიც მუშაობდა ძველი კორპუსის სამორიგეო სამსახურში, შეიტანდა თვითონ დათო იარაღს, რადგან თუ ნანა ჩვენ გაგვატარებდა თავისი გასასვლელიდან, ჩხრეკა არ მოხდებოდა. აქ იყო სხვადასხვა აზრები. კახა ივერიელი იძახოდა, მაინც რომ გაგვჩხრიკონ, მერე სად წავიდეთო, დათო ამშვიდებდა. საერთოდ საშინელი ყაყანი იდგა. არაფერზე არ მოხდა შეთანხმება იმ დღეს. გადაწყდა, მეორე დღეს 2 საათზე კვლავ შევხვედროდით ერთმანეთს გრიბოედოვის ძეგლთან...

იმ საღამოს 5 საათზე უნდა შევხვედროდი სოსოს და დათოს, რათა ერთად გვენახა ნანა ვარსიმაშვილი. 5 საათზე მე მათ შევხვდი ძველი თბილისის უბანში. იქ, სადაც ბარებია, რადგან სოსომ თქვა, რომ შეიძლება იქ მოვიდესო ნანა ვარსიმაშვილი.

რომ მივედი, სოსომ მითხრა, შენ ცოლსაც დაურეკეო, რომ მოვიდესო. მე დავურეკე ჩემს ცოლს და ისიც მოვიდა. ჩვენ ბარში ველოდებოდით ნანას. მერე სოსომ თქვა, ალბათ არ მოვა და თვითონ დაურეკა ტელეფონით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს ნანა მოვიდა გამოფენაზე თავის ამხანაგთან ერთად. გამოფენის შემდეგ ჩვენ წავედით რესტორან ,,არაგვში". იქ ვიჯექით ბარში...

ერთ საათში დავიშალეთ. მე ნანა ქორწილში დავპატიჟე. იმ ღამეს ველაპარაკე ჩემს მეუღლეს თვითმფრინავის გატაცების შესახებ. ის ძალიან აღელვებული და შეშინებული ჩანდა, ვერაფრით ვერ ვამშვიდებდი, რადგან თვითონ ვიყავი დასამშვიდებელი. მთელი ღამე არ მიძინია...

პარალელურად ჩვენს სახლში დიდი არეულობა სუფევდა ქორწილის გამო. სულ ვიღაც მოდიოდა. სადღაც წასვლა. ცოლი თავის კაბაზე დარბოდა. დედაჩემი ნერვიულობდა, ვერაფერს ვერ ვასწრებო. ყველაფერი პრობლემა იყო. მოკლედ საშინელი ქაოსი იდგა. ყველაფერი აირ-დაირია. ეს ქორწილი საბედისწერო იყო ჩემთვისაც და ჩემი ცოლისთვისაც...

საღამოს 6 საათისთვის წყნეთში ავედით. იქ უკვე გეგმა მზად გვქონდათ, რომელიც ასე გამოიყურებოდა: მე, ჩემი ცოლი, სოსო წერეთელი და დათო მიქაბერიძე (ამას ყველაფერს დათო ყვებოდა) უნდა გავსულიყავით იმ გასასვლელით, საიდანაც ნანა ვარსიმაშვილი გაგვიყვანდა. დათო მიქაბერიძეს უნდა გაეტანა იარაღი. თვითმფრინავში ყველა მოთავსდებოდა პირველ სალონში. ათი წუთის შემდეგ თვითმფრინავის აფრენისა, გია ტაბიძე და კახა ივერიელი შევიდოდნენ ბორტგამცილებლის განყოფილებაში და ეტყოდნენ, რომ პახმელიაზე არიან და ბორჯომს ან რაიმე წამალს მოსთხოვდნენ. მერე გამოელაპარაკებოდნენ, დალევას შესთავაზებდნენ, ეტყოდნენ, იქნებ მფრინავებსაც უნდათ დალევა, შეეკითხეთო. თუ მფრინავები კარს გააღებდნენ, მაშინ ტაბიძე და კახა ივერიელი შევიდოდნენ მფრინავის კაბინაში იარაღებით და აიძულებდნენ პილოტებს თვითმფრინავის თურქეთში დასმას. მათ უნდა დახმარებოდა აგრეთვე სოსო წერეთელი, რომელსაც პილოტების კარის გაღების შემთხვევაში ტაბიძე ან კახა ივერიელი მისცემდნენ ნიშანს. ან დაუძახებდნენ ან, თუ წერეთელი თვითონ შენიშნავდა კარის გაღებას, უნდა დახმარებოდა მათ. მიქაბერიძეს

და პაატა ივერიელს სალონისაკენ უნდა ჰქონოდათ ყურადღება,
რომ მგზავრებს ხელი არ შეეშალათ — არავინ ადგილიდან არ ამ-
დგარიყო. კიდევ თქვეს, ყველაფრის განსაზღვრა ძნელია, ამიტომ
სიტუაციის მიხედვით უნდა ვიმოქმედოთო ძირითადად. მე და ჩე-
მი მეუღლე ისე უნდა ვმჯდარიყავით, თითქოს ამ ამბავს არც ვე-
ლოდით. და თუ გეგმა ჩაიშლებოდა, იმ შემთხვევაში, თუ თვით-
მფრინავი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაჯდებოდა, მე და
ჩემმა მეუღლემ თითქოს არაფერი არ ვიცოდით. ჩემი და სოსოს
ასვლიდან ერთი საათი დავყავით წყნეთში. შემდეგ თბილისში ჩა-
ვედით. თბილისში ქორწილის სამზადისი იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოიდგინეთ, ამ აურზაურს რამხელა განცდა და ნერვიუ-
ლობა ერთვოდა ჩემი და ჩემი ცოლისა. ისე გამოვითიშე, ვეღარა-
ფერს ვერ ვაკონტროლებდი. ჩემი ცოლის დაწყნარებას ცალკე
ვუნდებოდი. ჩემი ფიქრები ერთი იყო. როგორმე, რადაც არ უნ-
და დამჯდომოდა, მეპოვნა გამოსავალი... საბოლოოდ გადავწყვი-
ტე, ქორწილში ან ქორწილის შემდეგ მეთქვა ყველაფერი მა-
მაჩემისათვის. თან დარწმუნებულიც არ ვიყავი, რომ ვეტყოდი.
მოკლედ ყოველ მხარეს ცეცხლი მენთო. ფსიქიურად საშინლად
ვგრძნობდი თავს. თან დედაჩემთან სულ ვთამაშობდი, თითქოს
კარგ ხასიათზე ვარ, რომ არაფერი შეეტყო. ჩემი ცოლი აღარა-
ფერს აღარ მეკითხებოდა. ხედავდა, რა დღეში ვიყავი. ის კი ალ-
ბათ ჩემზე უარესად იყო. ქორწილის დღეც გათენდა, თუ ამას
ქორწილი ჰქვია. მიქაბერიძე, წერეთელი და ჩემი ცოლის ორი
ამხანაგი ეკა და ანა მოვიდნენ ჩვენთან სახლში. სახლიდან ჩვენ
წავედით სიონის ეკლესიაში ჯვრის დასაწერად. აქ გველოდე-
ბოდნენ სტუმრები, მათ შორის, ნანა ვარსიმაშვილიც. ჯვრისწე-
რის შემდეგ ჩვენ წავედით რესტორან ,,დურუჯში'', სადაც ქორ-
წილი უნდა გადაგვეხადა. შუა ქორწილში უცებ შემოვიდა გია
ტაბიძე. მოვიდა ჩემთან და ჩემს მეუღლესთან. მოგვილოცა, შემ-
დეგ მიქაბერიძეს უთხრა, გარეთ გამომყევიო. მიქაბერიძე გაყვა,
15 წუთში უკან დაბრუნდა. დაბრუნებისას მითხრა, ასე მკითხაო
ტაბიძემ, ხომ არ გადაიფიქრაო. მე ვუთხარი, რომ არა არ გადა-
უფიქრებია-მეთქი. მერე თვითონ მკითხა, ხომ არ გადაიფიქრეო,
ვუთხარი, არა-მეთქი (ის, რომ ბედი დამცინოდა, გამოჩნდა იმა-
შიც, რომ ეკლესიაში მოსვლისას ჩემმა დებმა მითხრეს, მამა გუ-
შინ მოსკოვში წავიდაო სასწრაფო საქმეზე)...

სოსო წერეთელმა მითხრა, უთხარიო ნანა ვარსიმაშვილს, რომ ხვალ ბათუმში მიდიხარ და შენი ცოლის ორ ამხანაგსაც უთხარი, თუ წამოვლენ ჩვენთან ერთად ბათუმში დროის გასატარებლად, რადგან კარგი იქნება, თუ ერთ-ერთი მათგანი გაიტანსო იარაღების ჩანთას... მე ანასაც და ეკასაც ვუთხარი, წამოდით-მეთქი ბათუმში რამდენიმე დღით. ისინიც სიხარულით დამთანხმდნენ, თუ მშობლებმა გაგვიშვეს, უსათუოდ წამოვალთო. ნანა ვარსიმაშვილმა კი პირდაპირ მითხრა, რომ აეროპორტში მოსვლისას ჩემთან მოდით და მე გაგატარებთო.

მეორე დღეს 18-ში ორის ნახევრისათვის მოვიდნენ ჩემთან სოსო წერეთელი და დათო მიქაბერიძე. დათომ ჩემს მეუღლეს სთხოვა ქალის ხელჩანთა, რაშიც იარაღი უნდა ჩაეწყო... შემდეგ მე, სოსო და ჩემი მეუღლე გამოვედით გარეთ. დედაჩემს იქითა ოთახში გადავძახე, 5 საათზე მოვალ-მეთქი, რადგან ძალა არ მქონდა, რომ მისთვის შემეხედა. ის, ვისი გულისთვისაც ის ცხოვრობდა, მის ბედნიერებას მთელი ცხოვრება ელოდა, ახლა, ქორწილის დღეს, უჩუმრად მიიპარებოდა სამუდამოდ სადღაც.

ჩემს სახლთან მანქანა გავაჩერეთ „გაზ 21“ მარკის. მანქანაში მიქაბერიძემ უთხრა ჩემს ცოლს, რომ ხელჩანთა რომელიმე შენს ამხანაგს მიეციო და უთხარი, რომ შიგ არის ნარკოტიკები, კერძოდ მოსაწევი საშუალება, პლანს რომ ეძახიან. მე დავუმატე, რომ ყველაზე ბოლოს წამოვიდეს და ჩვენი გაჩხრეკის შემთხვევაში დატოვოს აეროპორტის ტერიტორია-მეთქი. პირველად ჩვენ მოვედით მიქაბერიძის სახლში. ის სახლთან გადავიდა და ჩემი ცოლის ხელჩანთა გადაიტანა. 15 წუთში ის დაბრუნდა იგივე ხელჩანთით და თავისი ბარგით. მანქანის პატრონმა გვითხრა, აეროპორტში ვერ წაგიყვანთო. ჩვენ კეკელიძის ქუჩაზე, პირდაპირ მანქანიდან გავაჩერეთ ცარიელი ტაქსი, სადაც სოსო და დათო გადასხდნენ. მე და ჩემმა ცოლმა იმავე მანქანით განვაგრძეთ გზა. მივედით ანას სახლთან კეცხოველის ქუჩაზე. კერძო მანქანა გავუშვით. ჩამოვიდნენ ეკა და ანაც და ჩვენ ყველანი ერთ მანქანაში ჩავჯექით, იმ ტაქსში, რომელშიც მიქაბერიძე და წერეთელი ისხდნენ. მანქანაში ჩემმა მეუღლემ უთხრა ეკას, რაც დავავალეთ. ზუსტად რას ეუბნებოდა, არ გამიგია, რადგან ჩუმად ელაპარაკებოდა. მე კი ამ დროს ანას ვესაუბრებოდი. ზუსტად ვერ ვიხსენებ, ვინ გადასცა ეკას იარაღის ხელჩანთა. ვუშვებ, რომ შეიძლება დათომ მისცა

მანქანაში, ანდა დათომ ეს ხელჩანთა მანამდე მისცა ჩემს ცოლს და ჩემმა ცოლმა შემდეგ მისცა ეკას. აეროპორტში ნანა ვარსიმაშვილი დაგვხვდა. შეგვიყვანა ერთ-ერთ ოთახში. იქ კიდევ ორი ქალი იყო. მე სოსო წერეთელს ფული გამოვართვი და მივეცი ნანა ვარსიმაშვილს, რათა ეკასთვის და ანასთვის ბილეთები ეყიდა. სოსო ბუფეტში გავიდა და იყიდა ოთხი ბოთლი შამპანური. ერთი ბოთლი იქვე გავხსენით. დალიეს ჩემი და ჩემი ცოლის სადღეგრძელო. ცოტა ხანში ნანამ თქვა, დროაო და შენობიდან ისე გავედით გარეთ, რომ არავის გავუჩხრეკივართ. თვითმფრინავში პირველები ავედით, ორი ბორტგამცილებელი ქალი იყო სალონში. ნანაც ამოგვყვა სალონში. შემდეგ პილოტები ამოვიდნენ. მერე კი მგზავრების ნაკადს მოყვნენ ტაბიძე და ძმები ივერიელები. ტაბიძემ ამოსვლისას ჩანთიდან ბიბლია ამოიღო და მითხრა, იკითხეო. ჩემს ცოლს რაღაც ტაბლეტებს სთავაზობდა, დალიეო, მაგრამ მე არ მივეცი ნება. მე და ჩემი ცოლი ვისხედით სალონის მარჯვენა მხარეს მეხუთე თუ მეექვსე რიგში. ჩვენს წინ მოთავსდა დათო მიქაბერიძე. ჩემს გვერდით სალონის მარცხენა მხარეს ანა და ეკა. მათ უკან პაატა ივერიელი, მის უკან სოსო წერეთელი. კახა ივერიელი აღარ მახსოვს სად იჯდა, მგონი სადღაც ჩვენს უკან. ტაბიძე კი ხან მიქაბერიძეს მიუჯდებოდა, ხან კი მის წინ იკავებდა ადგილს. თვითმფრინავმა ნახევარი საათი დააგვიანა. უნდა გაფრენილიყო 15 სთ. 15 წუთზე და გაფრინდა დაახლოებით 15 სთ. 45 წუთზე.

დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ თვითმფრინავის აფრენისა, მიქაბერიძემ მითხრა, გამორთვიო ეკას იარაღების ჩანთა. მე გამოვართვი ჩანთა და მივაწოდე მიქაბერიძეს. შემდეგ მიქაბერიძის გვერდზე ჯდებოდა თითო კაცი და ართმევდა იარაღს. კერძოდ ტაბიძეს, კახა ივერიელს და მიქაბერიძეს ჰქონდათ იარაღი. იარაღის გადაცემის შემდეგ მიქაბერიძემ უკან გადმოწვია ხელი და ყუმბარა გადმომცა... მე ყუმბარა ჯიბეში ჩავიდე. აფრენიდან დაახლოებით 20 წუთის შემდეგ ტაბიძე ადგა და გავიდა ბორტგამცილებლის განყოფილებაში. მას უკან გაჰყვა კახა ივერიელი. უცებ შიგნით ყვირილი მოისმა. მიქაბერიძე წამოხტა ადგილიდან და დადგა სალონში იარაღით. თან ყვიროდა, არ გაინძრეთო. ამ დროს ტაბიძე გამოვარდა ბორტგამცილებლის განყოფილებიდან, ხალხს დაუყვირა: ხელები თავზე დაიწყვეთო, და შემდეგ მისგან მარცხნივ მჯდომ პილოტს, რომელიც პირველ სავარძელში იჯდა სახით მგზავრებისაკენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელში ესროლა, მე მგონი, ორჯერ. პაატა ივერიელიც წამოხტა და შამპანურის ბოთლი ჩაარტყა თავში პირველ რიგში მდგომ კაცს. მე ყუმბარა ამოვიღე ჯიბიდან, რომელიც ხელში ისე მქონდა ჩაბღუჯული, რომ ბევრმა შეიძლება ვერც დაინახა და ვყვიროდი, დაწექით, დაწექით-მეთქი, თორემ სუყველას ასე და ასე მოგვივა-მეთქი (ამ დროს მე უცენზურო სიტყვებით ვილანძღებოდი, ე. ი. მსუბუქად რომ ვთქვა, ყველას დედა გვეტირება-მეთქი). ამ დროს ადგილიდან არ ავმდგარვარ, ზურგით ვიყავი უკან შეტრიალებული, ამ დროს გამცილებლის განყოფილებაში პაატა ივერიელის გარდა ყველა იყო შესული, მაგრამ შიგ რა ხდებოდა, ვერ ვხედავდი, რადგან კარებზე ფარდა იყო ჩამოფარებული და რომც არ ყოფილიყო, მაინც ვერ დავინახავდი, რადგან კედლები გვეფარებოდა, კარი ხომ შუაშია, სავარძლები კი გვერდებზეა განლაგებული.

პაატა ივერიელი სალონში იდგა, ხელში იარაღი ეჭირა (არ ვიცი, საიდან მოხვდა იარაღი მის ხელში) და ყვიროდა: გაიჭედა, გაიჭედაო, და რაღაცას უჩხიკინებდა. ბოლოს მგონი გააკეთა. მიქაბერიძემ მიკროფონი აიღო ხელში, რომლითაც ბორტგამცილებლები ესაუბრებიან მგზავრებს. ამბობდა, არავის არაფერს არ ვერჩით, მხოლოდ გვინდა, რომ თვითმფრინავი თურქეთის რომელიმე აეროდრომზე დასვათო. ამ დროს შიგნით გაისმა სროლის ხმები და გამცილებლის ოთახიდან გამოვიდნენ წერეთელი, რომელიც ყელში იყო დაჭრილი და კახა ივერიელი, ის მკერდში იყო დაჭრილი. ამ დროს თვითმფრინავმა დაიწყო მანევრირება. ხან ზევით ადიოდა, მერე უცებ ქვემოთ დაეშვებოდა. ისე, რომ მთელი იატაკი... ამოვარდა, ეს გრძელდებოდა დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში, შეიძლება მეტიც. უცებ ჩემს წინ სკამზე აღმოჩნდა ერთ-ერთი ბორტგამცილებელი, უნდოდა თავის განყოფილებაში შესვლა. მე მას ხელი ვტაცე და არ ვუშვებდი. ვუყვიროდი, მოგკლავენ-მეთქი. იმას კი თითქოს არ ესმოდა სულ ამ ფრაზას იმეორებდა: „У меня нету оружия, у меня нету оружия". შემდეგ მეორე გამცილებელი მომვარდა და მითხრა, ალბათ პილოტები სულ დახოცეს, იმიტომ ირწევაო თვითმფრინავი. უთხარი იმათ, შემიშვან და მე დავაჯენო თვითმფრინავს. მეც ვუთხარი წადი-მეთქი. მეორე გამცილებელსაც გავუშვი ხელი და კაბინისაკენ დავიყვირე, არ ესროლოთ, ესენი დასვამენ-მეთქი თვითმფრინავს. არ ვიცი, გაიგეს თუ არა ჩემი ხმა. გვერდზე ჩემი ცოლი საშინლად ყვიროდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიროდა. მე გაოგნებული ვიყავი, არაფრით არ ველოდი ასეთ რამეს. ეს ნამდვილი ომი იყო. მერე მიქაბერიძე მომვარდა უცებ და მითხრა, მორჩაო, თბილისში ვჯდებითო და იარაღი მომიშვირა. მე ხელი ვტაცე და წართმევა დავუპირე, მაგრამ ხელი გამომტაცა...

ერთ-ორ წუთში თვითმფრინავი დაჯდა. მომხვდა ტყვია ფეხში... დაიწყო სროლა გარედან. ვინ ისროდა ვერ ვხედავდი... ჩემს უკან იჯდნენ: კახა ივერიელი, სოსო წერეთელი და პაატა ივერიელი. ისინი პირველი სალონის ბოლოს იყვნენ და ვიღაც კაცს ელაპარაკებოდნენ. შემდეგ გავიგე, რომ ამ კაცისათვის უთქვამთ, ჩადი და გადაეცი, თურქეთში დაგვაჯინონო. ეკამ და ანამ მთხოვეს, ჩავალთო თვითმფრინავიდან. ანა იძახდა, ფეხში ვარ დაჭრილი. მე ისინი არ დამიკავებია. მე და პაატამ გასასვლელთან სამი ქალი დავაყენეთ, რათა მათ ელაპარაკათ... ვინც მოვიდოდა, ერთ-ერთი — ჩემი მეუღლე. პაატა ივერიელმა... მითხრა, შეგიძლიაო, შენ და შენი მეუღლე ჩახვიდეთო. შენ ისეთი არაფერი არ გაგიკეთებია და შეიძლება გაპატიონ კიდევაცო. ჩვენო არ გვეწყინებაო, მაგრამ მე არ შემეძლო ეს გამეკეთებინა. აქ იყო რაღაც კაცური მომენტი, რომელსაც მე გვერდს ვერ ავუვლიდი, თუმცა ვიცოდი, რომ ეს მეუღლის შეწირვას ნიშნავდა. რადგან, რომ ჩამოვსულიყავით, იმ წუთში ჩემი ცოლის საქმე ბევრად კარგად იქნებოდა. მოკლედ მე არ ჩავედი. ამ დროს მარტო მე და პაატა ივერიელი ვიძლეოდით ,,განკარგულებებს'', რადგან არც სოსოს და არც კახას ლაპარაკი არ შეეძლოთ. ჩვენ ვუთხარით მგზავრებს, რომ ილუმინატორებისთვის ხელი მიედოთ, რათა კიდევ არ ესროლათ გარედან. მოვიდა ვიღაც კაცი, რომელიც ქვემოდან ელაპარაკებოდა ქალებს. მან თქვა, თურქეთი არ გღებულობთო. თუ გინდათ, ირანში წადითო. ჩვენ ვუთხარით, ირანში არა და ისრაელში გაგვიშვითო. ამ დროს ჯარისკაცებმა შორიდან ალყის შემორტყმა დაგვიწყეს. ქალები უყვიროდნენ, წადით, თორემ სუყველას დაგვხოცავენო. ისინი ხან მოხსნიდნენ ალყას, ხან ისევ შემოგვარტყამდნენ. ასე იყო მთელი ღამის განმავლობაში. მერე ისევ ის კაცი მოვიდა და ქალებს უთხრა, ისრაელი თანახმააო დ მოსკოვმაც დაგვრთოო ნება. ახლა ბენზინს ჩავასხამთო, მანამდე კი პილოტი უნდა ამოვიდეს და შეამოწმოსო, დანადგარები დაზიანებული ხომ არ არისო. ჩვენ ვუთხარით, რომ მარტო ტრუსებში ამოსულიყო, რადგან გვეშინოდა, კაბინიდან არ ესროლათ ჩვენთვის. პილოტი ამოვიდა, შეამოწმა. დაზიანებული

არაფერი არ იყო. შემდეგ დიდი ხანი არ ასხამდნენ ბენზინს. ბოლოს, იქნებოდა ასე სამი საათი, ჩაასხეს ბენზინი და კვლავ გვითხრეს, იგივე კაცი ამოვაო ისევ ტრუსებში კაბინაშიო, რადგან ბენზინს ისე ვერ ჩაასხამენ, თუ შიგნით რაღაც არ ჩაირთოო. ეს ოპერაციაც ჩატარდა. მერე გვითხრეს, პროკურორი მოვაო, რაღაც უნდა დაგელაპარაკოთო. მოვიდა პროკურორი, რომელმაც გვითხრა, თუ ჩამოხვალთ თვითმფრინავიდან, ყველას სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო.

ჩვენ არ დავეთანხმეთ, რადგან გვეგონა, გვატყუებდნენ და ჩასვლისას დაგვხოცავდნენ. ვუთხარით არა, ისრაელში გაგვიშვითო. კიდევ ერთი საათი ვიყავით ასე. როგორც კი გათენდა, ჯარისკაცები შემოცვივდნენ თვითმფრინავში და აგვიყვანეს".

ივერიელი კახა ვაჟას ძე დაბადებული 1955 წელს ქ. თბილისში, ქართველი, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, უმაღლესი სამედიცინო განათლებით. დამთავრებული აქვს ქ. მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახ. ხალხთა მეგობრობის საერთაშორისო უნივერსიტეტი. მუშაობდა საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფლის ამბულატორიის გამგედ. ბრალად ედება 1983 წლის 18 ნოემბერს №6833 რეისზე ბანდიტურ თავდასხმაში მონაწილეობის მიღება. პირადად, მიზჯენით მოკლა თბილისის მფრინავ შტურმანთა ავიარაზმის უფროსი ინსტრუქტორი ზაველ შარბათიანი.

წინასწარი ძიების მასალების თანახმად, 1983 წლის 18 ნოემბერს „ბანდიტური" ჯგუფი გაიყო ორ ნაწილად. ერთი ჯგუფი, ასე ვთქვათ მექორწილეები, „ინტურისტების" გასასვლელით ავიდა თვითმფრინავის ბორტზე, ხოლო მეორე ჯგუფი — ძმები ივერიელები და გია ტაბიძე, მგზავრთა ნაკადთან ერთად ავიდა თვითმფრინავში. როგორც კახა ივერიელი ამბობს, გია მოსულა გრიბოედოვის ძეგლთან და ხელში რატომღაც იქვე ნაყიდი გლობუსი სჭერია. ეს იყო ერთადერთი ნივთი, რის წაღებასაც იგი სამშობლოდან აპირებდა. კახა და პაატა უბრალოდ, სპორტულად იყვნენ ჩაცმულები. გია კი მომენტის მნიშვნელობის ხაზის გასასმელად შარვალ-კოსტუმში ყოფილა გამოწყობილი, თან ლამაზი ყვითელი რომბებიანი ჰალსტუხიც ჰქონია გაკეთებული. ყველა ნერვიულობდა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ მათ წინა ღამე ფაქტიურად არ უძინიათ, რადგან იგი დათო მიქაბერიძის მშობლების აგარაკზე მეგობარ გოგონებთან ერთად გაატარეს.

კახა მოგვიანებით იტყვის: მე მაინც მქონდა იმედი, რომ ყველაფერი ჩაიშლებოდა. იგივეს გაიმეორებს პაატა ივერიელი. თან იმასაც დაამატებს, რომ თავში აეკვიატა მამა თეოდორეს წინასწარმეტყველური გაფრთხილება იმის შესახებ, რომ თუკი ჩვენ ამას მაინც გავაკეთებდით, საშინელი გამოუსწორებელი ტრაგედიით დამთავრდებოდა ყველაფერი, მაგრამ უკან მაინც არ დავიხიეთ და აეროპორტში ტაქსით მივედითო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმფრინავი უნდა გასულიყო 15:40 სთ-ზე მოსკოვის დროით, მაგრამ „მეტეოპირობების გამო“ ფრენის დაწყება გადაიდო. კახა ივერიელი: „ადგილს ვერ ვპოულობდი, განუწყვეტლივ სალონში მიმოვდიოდით, რადგან ლაინერის სიმძიმის ცენტრის გათვალისწინებით მეხუთე რიგებამდე, სადაც განლაგებული იყო ჩვენი ადგილები, დაჯდომის უფლებას არ გვაძლევდნენ. მე, სოსო, პაატა და გია ჩავედით ტრაპთან და დავიწყეთ სიგარეტის მოწევა. ამ დროს თვითმფრინავში გეგასთან მივიდა ვიღაც კაცი, რომელსაც გია ტაბიძემ მეფე-პატარძლის სადღეგრძელოს შესმა შესთავაზა, რაზეც ის დათანხმდა და შეზარხოშებულმა სტიუარდესასთან დაიწყო უხეშად ლაპარაკი. ამ უკანასკნელმა კი სალონში მილიციას გამოუძახა. მათ ჩაიწერეს მგზავრის ვინაობა, თვითმფრინავიდან იგი არ ჩამოუსვიათ. ამის მერე 15 წუთში თვითმფრინავმა დაიწყო ცაში აფრენა. აფრენის მომენტისათვის ჩვენ თვითმფრინავში განვლაგდით შემდეგნაირად.

მე ვიჯექი 4В-ზე, სოსო — 4Г-ზე, დათო მიქაბერიძე — სოსოს უკან 5Г-ზე, გია ტაბიძე — ჩემ უკან 5В-ზე, თინა და გეგა — 6В და 6Г-ზე. პაატა — თინიკოს ორი მეგობარი გოგონას უკან 6Б-ზე. ამ დროს მეორე სალონიდან გამოვიდა შუა ხნის კაცი და დაჯდა პირველი სალონის წინა რიგში 2Б-ზე, საავიაციო ფორმაში მჯდომი მამაკაცის გასწვრივ, რომელიც იჯდა 1Г-ზე. გია ტაბიძემ ჩაიჩურჩულა, რომ ალბათ სწორედ ეს კაცი არის თვითმფრინავის უშიშროების გამყოლი თანამშრომელი, რადგან იგი უკანა სალონიდან სპეციალურად წინ, პილოტების ადგილზე გადმოჯდა. დათო მიქაბერიძე გამუდმებით იმას ამბობდა, რომ დროა დავიწყოთ, თორემ ვერ მოვასწრებთო. თვითმფრინავის აფრენიდან არ გასულა 15 წუთზე მეტი, რომ მე შევამჩნიე, როგორ გადასცა მიქაბერიძემ სოსო წერეთელს იარაღი, მაგრამ თუ რა იარაღი იყო, ვერ შევამჩნიე. უკვე შემდგომ იმისა, რაც სოსომ ის ქამრის შიგნით

ჩაიდო, მარცხენა მხარესთან უფრო ახლოს, მე შევამჩნიე, რომ დათომ მას პატარა კალიბრიანი რევოლვერი გადასცა. დათო რამდენიმეჯერ ეცადა ჩემთვისაც გადმოეცა პისტოლეტი „ტტ“. ის ცდილობდა ჯერ სავარძლის ქვეშიდან მოეწოდებინა იგი ჩემთვის, მერე სკამის საზურგიდან ეცადა, მაგრამ ასე იარაღი გამოჩნდებოდა. მგზავრებს იარაღის გადმოცემის მომენტი რომ ვერ დაენახათ, მე გავიხადე ლურჯი ქურთუკი და დათოს მივაწოდე. მიქაბერიძემ შიგნით გაახვია იარაღი და პირდაპირ ქურთუკით გადმომაწოდა. ასე მივიღე პისტოლეტი „ტტ“. მიქაბერიძემ აგრეთვე ტაბიძესაც მისცა იარაღი, მაგრამ ზუსტად რომელი, ვერ შევამჩნიე, პაატასთვის და გეგასთვის მას იარაღი არ გადაუცია.

ამ დროს მიქაბერიძემ კიდევ რამდენიმეჯერ გაიმეორა, რომ დაწყების დროა, თორემ ვერ მოვასწრებთო. სოსომაც დამაჩქარა. მე რაღაცნაირად შევყოვნდი. როცა სოსომ ეს დაინახა, მკითხა, რა გჭირსო. მე ვუპასუხე, რომ არ ვიცი პისტოლეტ „ტტ“-თი სარგებლობა და ვთხოვე სქემის დახატვა. რაზეც წერეთელმა მიპასუხა, რომ ახლა ამის დრო არ არის, გადმომცა პატარა რევოლვერი, რომელიც მცირეკალიბრიან ტყვიებს ისროდა და გამომართვა პისტოლეტი „ტტ“. ყველაფერი ეს დათვლილ წამებში ხდებოდა. მე გავიგონე, რომ ტაბიძე, რომელიც ჩემ უკან იჯდა, თითქოსდა წამოიწია თავისი ადგილიდან. მეც ავდექი ჩემი სავარძლიდან, გავუნთავისუფლე ამით წერეთელს გზა. მე უკვე მოვემზადე სტიუარდესებთან წასასვლელად, რომ ამ დროს დავინახე პაატა, რომელიც ჩემკენ მოემართებოდა. მან ყურში მითხრა, რომ მას დაავალეს, ბოთლი ჩაერტყა თავში 25-ზე მჯდომი მგზავრისთვის. აქვე მკითხა, რა ვქნაო. მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და ის მიხვდა, რომ ეს უნდა გაეკეთებინა. ამ დროს სად იყვნენ სოსო და გია ტაბიძე, მე ვერ შევამჩნიე.

ძმასთან დალაპარაკების შემდეგ მე გავემართე სტიუარდესების განყოფილებისაკენ. რევოლვერი შარვალში წელთან მქონდა გაჩრილი, მარჯვენა მხარეს. როცა სტიუარდესებთან შევედი, დავინახე, რომ ისინი ორნი იყვნენ და სოსო წერეთელიც მათთან ერთად იყო. მე მარცხენა ხელით ამოვიღე რევოლვერი (მე ცაცია ვარ) და დავუყვირე ბორტგამცილებლებს, რომ თვითმფრინავი დაპყრობილია და რომ ჩვენ მივფრინავთ თურქეთში. ეს ბრძანებაა, ვთქვი მე და ვუთხარი, რომ გადაეცათ მფრინავებისათვის. ამას ყოველივეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვყვიროდი მუქარის ტონით, მეკავა რა ხელში ამ დროს რევოლვერი. ბორტგამცილებლებს ძალიან შეეშინდათ და თქვეს, რომ გადასცემდნენ ჩვენს მოთხოვნებს. ამავდროულად ითხოვეს, რომ ჩვენ არ გვესროლა. ამ დროს მე ვიმყოფებოდი იმ კარებთან ახლოს, რომელსაც პირველ სალონში მივყავართ. მე შევიხედე სალონში, რათა დამენახა, თუ რა ხდებოდა. დავინახე, ვილაც ქალმა 2Б-ზე მჯდომ მგზავრს თავზე რაღაც თეთრი დაადო, მგონი ნაჭერი, რომლის ქვეშიდანაც მოდიოდა სისხლი, რომელსაც მთელი სახე მოესვარა. თავში ჩარტყმის მომენტი მე არ დამინახავს. იმავდროულად მე შევნიშნე, რომ ტაბიძემ ამ მგზავრს ესროლა და იგი სავარძელში შეტოკდა. მივხვდი, რომ ტაბიძემ მიზანში მოახვედრა.

ტაბიძე მოტრიალდა და სამოქალაქო ავიაციის მფრინავის ფორმაში მყოფ მგზავრს ორჯერ ესროლა. მაგრამ მოარტყა თუ არა, ვერ გეტყვით, რადგან თეჯირი ხელს მიშლიდა. ვერც იმას ვიტყვი, რა იარაღი ეჭირა ხელში, რადგან იგი სულ იქნევდა იარაღს. ის ,,ნაგანსაც'' გავდა და ,,ტტ''-საც. გავიფიქრე, რომ ეს შესაძლოა ,,ტტ'' ყოფილიყო, რადგან ძალიან ჰგავდა. ზუსტად კი ვერ ვიტყვი, რადგან ახლომხედველი ვარ.

სროლების შემდგომ ტაბიძე შეიჭრა სტიუარდესების ოთახში. ამ დროს სად იმყოფებოდნენ პაატა, მიქაბერიძე და კობახიძე, მე არ დამინახავს. როდესაც გია ბორტგამცილებლებს მიეჭრა, მე ვაიძულე პატარა სტიუარდესა ტელეფონით დაერეკა და გადაეცა ჩვენი მოთხოვნები. ის იყო აპირებდა ამის გაკეთებას, რომ ტაბიძემ სტაცა ხელი, გამოგლიჯა ტელეფონი და მუქარით წაათრია სტიუარდესა პილოტების კაბინის კარისაკენ. თან დამიყვირა, რომ ყველაფერი სწრაფად უნდა გაკეთდეს, თორემ ვერ მოვასწრებთო. წერეთელი სტიუარდესების ოთახში არ იყო და ამიტომ მიმაჩნია, რომ იგი მფრინავების კაბინისაკენ ტაბიძეზე და პატარა სტიუარდესაზე ადრე გაემართა, სად იყო ამ დროს მეორე ბორტგამცილებელი, მე არ მახსოვს, მაგრამ თავში მისთვის რევოლვერი მე არ ჩამირტყამს. რადგან მე ვიდექი მფრინავების კაბინისაკენ გასასვლელში, ტელეფონთან ახლოს, ვხედავდი, რომ ტაბიძემ მიიყვანა პატარა სტიუარდესა მფრინავების კაბინასთან, თვითონ კი კარს უკან დაიმალა. კართან სოსო წერეთელი მე არ შემინიშნავს. დავინახე რა, რომ კარები გაიღო და ტაბიძემ მოისროლა ბორტგამცილებელი და შევარდა მფრინავებთან, გავვარდი მის საშველად.

გზად გადავახტი ბორტგამცილებელს, რომელიც გასასვლელში იწვა. მფრინავების კაბინის კართან მე შევეფეთე ვიღაც კაცს მფრინავის ფორმაში. როგორც მაგონდება, ის მომელოტო იყო, ე. ი. თავზე ცოტა თმა ჰქონდა შერჩენილი და მიბჯენით რამდენიმეჯერ ვესროლე. ზუსტად არ მახსოვს — რამდენჯერ. შემდეგ თითქოსდა სამ პილოტს ვხედავდი, რომლებიც ისხდნენ, მერე გავიგონე ტაბიძის ხმა, „ესროლე, ესროლე, თორემ მოგკლავს“. სად იყო იგი ამ დროს, ზუსტად თქმა არ შემიძლია, მაგრამ მგონი ჩემგან მარცხნივ. მე დაუყვირე მფრინავებს, რომ გაფრენილიყვნენ თურქეთში და დავუმატე, რომ თვითმფრინავი გატაცებულია. აგრეთვე მე მოვითხოვე, თვითმფრინავი თურქეთში ამერიკულ ბაზაზე დაესვათ. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ მე ახლომხედველი ვარ და ცუდად ვხედავ. თანაც თავდასხმის მომენტში ვიმყოფებოდი ძალიან აღგზნებულ მდგომარეობაში და სავსებით დასაშვებია, რომ ზოგიერთი დეტალი არ აღიბეჭდა ჩემს ცნობიერებაში. ამ მიზეზით მე არ შემიძლია ვთქვა, სად იმყოფებოდა და რას აკეთებდა ტაბიძე მფრინავების კაბინაში. არ შემიძლია ვთქვა, სად იყო კაცი მფრინავის ფორმაში მას შემდეგ, რაც მე მას ვესროლე ჩემი რევოლვერიდან. თითქოს ის კაბინაში დაეცა, თითქოს გასასვლელისაკენ გაცოცდა. თვით სროლის მომენტიც მცირეკალიბრიანი რევოლვერიდან, რომელიც მე მქონდა, კარგად არ მახსოვს. ერთადერთი, რაც მე დამამახსოვრდა, ის იყო, რომ ჩემს მიერ გამოშვებული ტყვიები სადღაც ძალიან რბილად შედიოდა, თითქოს მე ვესროდი ბამბას ან რაღაც ამდაგვარს. მე იმ ადამიანის სახის ამოცნობაც არ შემიძლია, რომელსაც ვესროდი. პილოტების კაბინაში ბნელოდა და მე ისე ვმოქმედებდი, როგორც ბურუსში.

ტაბიძის შეძახილის შემდეგ, „ესროლე, ესროლე, თორემ მოგკლავს“, მე უცებ ვიგრძენი დარტყმა მარცხენა ბეჭის არეში. შიგნიდან რაღაც წამომივიდა პირისკენ და ამ დროს ვიგრძენი სისუსტე. ბარბაცით გამოვაღწიე მფრინავების კაბინიდან. ვერაფერს ვხედავდი, ისე მოვდიოდი სალონის მიმართულებით, რათა პაატას გამოვმშვიდობებოდი, რადგან ვფიქრობდი, რომ მომკლეს. გასასვლელში მე სისხლი ვარწყიე და როცა სალონში შევედი, ძმას შევხვდი, რომელმაც ერთ-ერთ რიგში დამსვა. რომელში, არ მახსოვს. თვითონ პაატა დაჭრილი არ ყოფილა. როცა მფრინავების

კაბინიდან გამოვდიოდი, ვიმეორებ, ვერაფერს ვხედავდი. ამ მიზეზის გამო არ შემიძლია, ვთქვა, სად იმყოფებოდნენ სოსო და გია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი რას ყვება იგი 1984 წლის 30 იანვრის ჩვენებებში: „ისეთი გრძნობა მქონდა, რომ არავინ არ აქტიურობდა. ყველა ფეხს ითრევდა, მოქმედების დაწყება თითქოს ბოლო მომენტში აღარავის არ გვინდოდა. მე ავიღე „რევსტერი“, სოსომ აიღო ჩემი „ტტ“. მე დათოს ვუთხარი, იქნებ გიას იარაღი არ მისცე-მეთქი, რადგან ძალიან აღელვებული იყო, თითქმის შეურაცხადი, ძალიან ნერვიულობდა. ჩვენ ჯერ ვფიქრობდით არ მიგვეცა მისთვის იარაღი, რადგან აღგზნების გამო სიტუაციის კონტროლი გაუჭირდებოდა... ტაბიძემ ატეხა სროლა; ჯერ ესროლა პლოტკას, მერე შევვარდა პილოტებთან. მე მას მივყევი. არ მახსოვს საერთოდ ვისროლე თუ არა, რადგან ძალიან აღგზნებული ვიყავი და საშინლად ვღელავდი. მახსოვს, რომ უეცრად მესროლეს, სალონში გამოვვარდი ძმასთან გამოსამშვიდობებლად“. კითხვაზე პასუხობს, რომ „მე არასდროს არ მისროლია იარაღიდან, თუ არ ჩავთვლით მამაჩემის სანადირო თოფს და ბიჭებთან ერთად ერთხელ თუ ორჯერ, თითო-თითო გასროლას, მე საერთოდ არ ვიცი სროლა“. — **ტ. 2, ს. ფ. 1–5.**

ძნელი დასაჯერებელია ადამიანისაგან მოისმინო, რომ სროლა არ იცის, როდესაც მის მიერ პროფესიულად ნასროლ „კანტროლკას“ ნახავ. გამომძიებლის კითხვაზე: „დააზუსტეთ, რომელ ხელში გეკავათ თქვენ მცირეკალიბრიანი იარაღი, როდესაც პილოტების კაბინაში ესროდით ადამიანს მფრინავის ფორმაში“, კახა იმავე დღეს აჩვენებს: „მცირეკალიბრიანი რევოლვერი სროლის მომენტში... მე მეჭირა მარჯვენა ხელში. ეს რევოლვერი მე მოვისროლე სადღაც გასასვლელში ან ბორტგამცილებლის ოთახში, ზუსტად აღარ მახსოვს. მგონი მარჯვენა ხელის მოქნევით მოვისროლე სადღაც და სალონში უიარაღოდ შევედი, ორივე ხელი მკერდზე მეჭირა“. — **1984 წლის 15 თებერვალი.**

ეს ჩვენება იმით არის საინტერესო, რომ ყურადღებით წაკითხვისას უმნიშვნელო, მაგრამ ძალიან საყურადღებო ნიუანსების აღმოჩენა შეიძლება, რაზეც მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. კახა ყველა თავის ჩვენებაში 15 თებერვლამდე და შემდგომაც ამბობს ერთსა და იმავეს. კერძოდ: „თავდასხმის მომენტში ვიმყოფებოდი ძალიან აღგზნებულ მდგომარეობაში“, „სროლის მომენტში... კარგად არ მახსოვს“. ამ ფატალური აღიარებით კახამ,

გამოძიებასთან ურთიერთობის გამოცდილების უქონლობის გამო, მათ შეუზღუდავი ვერსიებისა და ფაქტებით მანევრირების საშუალება მისცა. კახა იმის მაგიერ, რომ მყარად დამდგარიყო თავის პირვანდელ პოზიციაზე, გამოძიებას თვითონ გადაუგდო თოკი და საკუთარი ხელით განასკვა მარყუჟი. საქმე ისაა, რომ მოვლენებს ოდნავ რომ გადავასწროთ, ეკიპაჟის ცოცხლად დარჩენილი წევრები პირდაპირ ან ნაწილობრივ ადასტურებენ იმას, რომ შარბათიანს ესროლა ტაბიძემ და არა ივერიელმა.

ირინა ხიმიჩი, ბორტგამცილებელი: „კარი გაიღო და მასში შარბათიანი გამოჩნდა, იმავდროულად ტაბიძე, რომელიც კარს იქით იდგა, ეცა შარბათიანს და რამდენიმეჯერ გაისროლა... რამდენჯერ გაისროლა ტაბიძემ პირადად, არ ვიცი, მაგრამ დავინახე, რომ შარბათიანს ესროლა... მე მოვასწარი შემემჩნია, რომ შარბათიანს ხელი მარჯვენა მხარზე ეჭირა და ნელ-ნელა იკეცებოდა". — **ტ. 7, ს. ფ. 6.**

გაბარაევი სლავა შალვას ძე, მეორე მფრინავი: „...როდესაც მარჯვნივ გამოვიხედე, კაბინაში ოცდაათიოდე წლის კაცი დავინახე (გია ტაბიძე — ავტ.) ღია ფერის თმით, ღია ყავისფერ პიჯაკში. ის ქართულად ყვიროდა, „თურქეთისკენ მოატრიალეთო". დავინახე აგრეთვე, რომ შარბათიანი იატაკზე იწვა. ჭედია კი ამ დროს თავის სავარძელზე იჯდა და თავი უკან გადაეგდო. ამ დროს კაბინაში შემოვარდა მეორე მამაკაცი, დაახლოებით იგივე ასაკის, შავთმიანი, ოდნავ შემელოტებული (კახა ივერიელი — ავტ.)". — **ტ. 7, ს. ფ. 2.**

ძიების მომენტისათვის გია ტაბიძე მოკლული იყო. მისთვის მუხლის დამძიმება გამოძიების ინტერესში არ შედიოდა, პირიქით, მოკლული შარბათიანის მასზე ჩამოწერა ივერიელისათვის სასჯელის ზომის შემსუბუქებას ნიშნავდა, რაც ავტომატურად გავრცელდებოდა „ბანდის" დანარჩენ წევრებზეც. საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეჭვმიტანილებისათვის ჯერ სასჯელის უმაღლესი ზომა განსაზღვრეს, რომელსაც მოგვიანებით გამოძიებამ მიუსადაგა თავისი ვერსია, ანუ ამოცანის ამოხსნა პირდაპირ პასუხიდან დაიწყეს, რასაც მოგვიანებით შინაარსი, კითხვა და ამოხსნა მოჰყვა.

ამ ინციდენტის 10 თვის თავზე სასამართლო სამსჯავროს წინაშე წარდგენილ ოთხ ბრალდებულს ერთი მთლიანი დანაშაულებ-

რივი წარმონაქნის სახე მიეცა. საკმარისი იყო ერთ-ერთს მისადაგებოდა დახვრეტის მუხლი, რომ იგივე ავტომატურად ვრცელდებოდა დანარჩენებზეც. კახა ივერიელი იყო ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი თავდამსხმელი, რომლის წინააღმდეგ ამუშავდა საკავშირო უშიშროების ნარჩევი გამომძიებლების მთელი ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 10 თვის განმავლობაში მათ შეძლეს კახა ივერიელის დამუშავება და იგი საბოლოოდ თვითონ რწმუნდება, რომ შარბათიანს მიბჯენით ექვსჯერ ესროლა, საიდანაც ერთი სნაიპერულად პირდაპირ შუბლში დაუმიზნა და გულწრფელი სინანულის გრძნობა უჩნდება ამის გამო.

კახა ივერიელის გაგება გარკვეულწილად შესაძლებელია, რადგან თავდასხმა გრძელდებოდა დაახლოებით ათ წუთზე ნაკლები დროის განმავლობაში, „შავი ყუთის" მიხედვით საერთოდ 1 წუთი. ეს ძალიან მცირე დროა იმისათვის, რომ ანალიზს დაუქვემდებარო მომხდარი ფაქტები. მით უმეტეს, ძლიერი ალგზნების მომენტში, როცა პროფესიონალებისგან განსხვავებით, გული მართლაც რომ ამოვარდნაზე გაქვს. თუ ამას კახას საშინელ ახლომხედველობას (მარჯვენა -3 ჰქონდა, მარცხენა -4; სათვალეს პრინციპულად არ ატარებდა) დავურთავთ. ნახევრად ბნელ კაბინაში ის ბევრს ვერაფერს გაარკვევდა. რაც შეეხება გია ტაბიძეს, მას ბრალად ედებოდა ბორტმექანიკოს ჭედიას და მგზავრ ალუდა სოლომონიას განზრახ მკვლელობა.

გარდაფხაძე ახმადგერ ბოდოს ძე: „მე, გარდაფხაძე ახმადგერ ბოდოს ძე, ხომალდის მეთაური, მეორე პილოტი გაბარაევი სლავა შალვას ძე, შტურმანი გასოიანი ვლადიმერი და ბორტმექანიკოსი ჭედია ვასრულებდით რეისს №6883 თბილისი-ბათუმი-ლენინგრადი-კიევი. თვითმფრინავში იმყოფებოდნენ აგრეთვე შემმომწმებელი მფრინავ-შტურმანთა განყოფილების უფროსის მოადგილე შარბათიანი, ბორტგამცილებლები — ვალია კურტიკოვა და ირინა ხიმიჩი. მე, მეორე პილოტმა და შტურმანმა მივიღეთ სატაბელო იარაღი — „მაკაროვის" ტიპის პისტოლეტები. დაახლოებით 15 საათსა და 26 წუთზე მოსკოვის დროით მე ეკიპაჟთან ერთად ავედი „ტუ 134"-ზე საბორტო ნომერი 65807. კარში შემეგება ბორტ გამცილებელი და მიპატაკა, რომ პირველ სალონში იმყოფებიან მგზავრები, რომლებიც „ინტურისტის" ოთახიდან შემოვიდნენ. რამდენი კაცი იყო, ვალიამ არ მითხრა, მე კი არ დამითვლია.

მას მერე, რაც თვითმფრინავში მგზავრების დანარჩენი ნაწილიც ჩასხდა... ბორტმექანიკოსმა შიგა საკეტით დაკეტა კაბინის კარები. მე დისპეტჩერს რადიოს მეშვეობით ვთხოვე ძრავების ჩართვის უფლება. შემატყობინეს, რომ ამინდი გაუარესდა და ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, ძრავები არ ამემუშავებინა. შეყოვნება ერთ საათს გაგრძელდა. ერთ საათში ავფრინდით... დაახლოებით ქუთაისის თავზე დავუკავშირდი თბილისის აეროპორტის სადისპეტჩერო პუნქტს. მათ შეგვატყობინეს, რომ ბათუმის აეროპორტში ხილვადობა გაუარესდა და შემცირდა 3 კმ-მდე. ნატანების რაიონში ქ. ბათუმის აეროპორტიდან შეგვატყობინეს, რომ ცუდი ხილვადობის გარდა დაიწყო ძლიერი ზურგის ქარი ზღვიდან. მე გადავწყვიტე, თბილისის აეროპორტში დავბრუნებულიყავი. როდესაც მობრუნება და სიმაღლის აკრეფა დავიწყე, ჩვენს კაბინაში მოგვიკაკუნა შემმოწმებელმა შარბათიანმა. ბორტმექანიკოსმა კარი გაუღო, შარბათიანი შემოუშვა და კარი დაკეტა... როდესაც ხელმეორედ დავუკავშირდი ბათუმის აეროპორტს, გაისმა სროლის ხმა. მოვტრიალდი და დავინახე, კარი ღიაა და დაჭრილი შარბათიანი ძირს ეცემა. ვინ გაალო კარი, არ დამინახავს. ამის შემდგომ კაბინაში შემოვარდა ორი შეიარაღებული და მე და მეორე პილოტს თავზე მოგვადეს პისტოლეტები. ბოროტმოქმედთა სახეები მე არ დამინახავს, რადგან ისინი თავების განძრევის უფლებას არ გვაძლევდნენ. ბოროტმოქმედმა ჩამომგლიჯა საყურისი და მიბრძანა თურქეთში გაფრენა. ამ დროს ბორტმექანიკოსი ჭედია ჩაერია საუბარში, რაზეც გაისმა გასროლა და იმავდროულად ჭედია დავარდა. მეორე გასროლის შემდეგ, რომლისგანაც ჭედია დაიღუპა, გაისმა მესამე გასროლა და ბოროტმოქმედი, რომელიც იდგა ჩემ ზურგს უკან, წაბორძიკდა. ამ დროს მეორე ბოროტმოქმედმა დაიყვირა, „ვინ ისვრის?". ამ დროს მე ბუდიდან გავაძრე პისტოლეტი და ბოროტმოქმედების მიმართულებით სროლა დავიწყე. ერთი მათგანი დავარდა, მეორე კი გავარდა თვითმფრინავის სალონში. ატყდა ორმხრივი სროლა. კარის ჩაკეტვა ჩვენ არ შეგვეძლო, რადგან კარში იწვნენ შარბათიანი და მოკლული ბოროტმოქმედი. მე შტურმანს ვუბრძანე, გამოეთრია სხეული კარებიდან და ჩაეკეტა ის. მე კი ამ დროს მას დავიფარავდი პისტოლეტიდან გახსნილი ცეცხლით. კარიდან ბოროტმოქმედი ბორტგამცილებელმა ვალიამ გაათრია, შარბათიანი კი თავისით შემო-

ცოცდა (შუბლში საკონტროლო გასროლით! — ავტ.), რის შემდეგ ჩვენ მოვახერხეთ კარის ჩაკეტვა. სროლის დროს მე ვისროდი ერთდროულად სამი პისტოლეტიდან — ჩემი, მეორე პილოტისა და შტურმანის პისტოლეტებიდან — და დავხარჯე თითქმის ყველა ტყვია. თუ არ ვცდები, ბოროტმოქმედებს ხელში ზარაზნიანი პისტოლეტები (ზარაზნიანი პისტოლეტი არ არსებობს. — ავტ.) ჰქონდათ. ჩემი ანგარიშით ისინი სულ სამნი იყვნენ. ორნი, რომელნიც კაბინაში შემოვარდნენ და მესამე გამხდარი, სიმპათიური, კართან რომ იდგა, საიდანაც კაბინის მიმართულებით ხსნიდა ცეცხლს. სხვა ბოროტმოქმედი მე არ დამინახავს. აგრეთვე მსურს აღვნიშნო ისიც, რომ როდესაც კარის დაკეტვას ვცდილობდით, მე მივეცი ბრძანება მეორე პილოტს, თვითმფრინავის ძლიერი ევოლუციები გაეკეთებინა, რათა სალონში მყოფ ბოროტმოქმედებს დამიზნების საშუალება არ ჰქონოდათ. გარკვეული ხნის შემდეგ მე თვითმფრინავი დავსვი ქ. თბილისის აეროპორტში. ჩემი ბრძანების თანახმად, მეორე პილოტი ავარიული ბაგირით კაბინის სარკმლიდან გარეთ გადაძვრა. მას შტურმანი და მე მივყევით, თავში დაჭრილი შარბათიანი კაბინაში დარჩა — რა ხდებოდა თვითმფრინავის სალონში, ჩემთვის უცნობია, რადგან მე შიგნით არ შევსულვარ“. **— 1983 წლის 21 ნოემბერი, ტ. 7, ს. ფ. 2-3.**

ალსანიშნავია, რომ არსებობს 18 ნოემბრის ჩვენებაც, რომელიც საქმის მასალებიდან ამოღებულია. გარდაფხაძის მოწმობით, მან გაიგონა ორი გასროლა, ერთით შარბათიანი დაიჭრა, მეორეთი — ჭედია, მესამე გასროლაზე მოკლული იქნა ტაბიძე და შემდეგ დაიჭრა ივერიელი კახა.

თუ შარბათიანს მხარში ესროლა ტაბიძემ, რაზეც მოწმობს სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნა, და ამით მოახდინა მისი ფაქტობრივი გაუვნებელყოფა, რაღად დასჭირდა ივერიელს მისთვის ესროლა მაშინ, როდესაც წინ კიდევ ოთხი პოტენციურად შეიარაღებული კაცი ეგულებოდა. და მეორე კითხვა, რომელიც არ მაძლევს მოსვენებას: როგორ შეძლო შუბლში საკონტროლო გასროლით დაჭრილმა შარბათიანმა კაბინაში შეცოცება? ირინა ხიმიჩი, რომელსაც მთელი სურათის აღქმის რეალური საშუალება ჰქონდა, აჩვენებს: „მე მოვასწარი შემემჩნია, რომ შარბათიანს ხელი მარჯვენა მხარზე ეჭირა და ნელ-ნელა იკეცებოდა“. გარდაფხაძის ჩვენების მიხედვით, ბორტგამცილებელმა ბოროტმოქმედი

გაათრია, თავში დაჭრილი შარბათიანი კი თავისით შემოცოცდა. მე არ მინდა ვინმეს ჩემი აზრი მოვახვიო, მაგრამ გთხოვთ, დააკვირდეთ განსვენებული შარბათიანის სურათს (გვ. 219) და მიპასუხოთ კითხვაზე: შეეძლო თუ არა მას, ასეთი ხარისხის ჭრილობით, თუნდაც ერთი მოძრაობის გაკეთება? მე არ ვამბობ კაბინაში შემოცოცებასა და ხელით მხრის დაჭერაზე. ანდა: განა შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი თავშია დაჭრილი, თუ მას შუბლში საკონტროლო გასროლა აქვს მიღებული, რაც ელვისებურ სიკვდილს იწვევს. რატომ ეკიდა მას ხელი მხარზე და არა თავზე?

ბორტმექანიკოსის სავარძელი მდებარეობს მფრინავების კაბინის წინა განყოფილებაში, რომელიც ძირითადი დონიდან ოდნავ ქვევით არის განლაგებული. იგი მფრინავების სავარძლებს შორის მდებარეობს და პირი შტურმანის განყოფილებისკენ აქვს მიქცეული. შტურმანის განყოფილება მდებარეობს ბორტმექანიკოსის წინ და დონით ქვემოთ, ზედ თვითმფრინავის ქიმში. თავდასხმა განხორციელდა მფრინავების დონის გასწვრივ. ამ დროს ბორტმექანიკოსი ჭედია არ ამდგარა თავისი სავარძლიდან, რადგან ნაბრძანები ჰქონდა, არ განძრეულიყო. გასოიანის, გაბარაევის და ხიმიჩის მტკიცებებით, იგი სწორედ თავისი სავარძლიდან ჩაცურდა მოკვლის შემდეგ. იმის მერე, რაც შტურმანმა თავდამსხმელთა მიმართულებით დაიწყო სროლა, ჭედია იჭრება წინიდან უკან გამავალი ჭრილობით. როგორ მოახერხებდა მფრინავის უკან მდგომი გია ტაბიძე, რომელსაც ბრალად ედებოდა ჭედიას მკვლელობა, იგი წინიდან წელსქვემოთ დაეჭრა? და საერთოდ, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდოდა თავში ზღვის დონიდან თითქმის 5000 მეტრზე მყოფი თვითმფრინავის პილოტების ხოცვა-ჟლეტვა, მით უმეტეს, თუ არ ეცოდინებოდა მისი მართვა? ჭედიას გვამის საექსპერტიზო სურათზე ჭრილობა დაფიქსირებულია როგორც ბრმა ტყვიით მიყენებული დაზიანება. ძიების დროს საქმეში ბრმა ტყვიად მხოლოდ ეკიპაჟის და ჯარისკაცების მიერ გასროლილ ტყვიებს იხსენიებენ.

მე ძალიან დიდი ბოდიში მინდა მოვუხადო დაღუპული ეკიპაჟის წევრებისა და მგზავრების ოჯახებს. მე ვაცნობიერებ, რომ ამ თემაზე საუბრით, მითუმეტეს ამ მასალების გამოქვეყნებით, მათ საშინელ ტკივილს ვაყენებ, რასაც გულწრფელად განვიცდი. წარმომიდგენია, რა მტკივნეული და შეურაცხმყოფელია, როდესაც შენი ახლობლის მკვლელის გამართლებასა და თავისუფლე-

ბის იდეალებზე გიკიჟინებენ. მაგრამ ვფიქრობ, რომ უსამართლობის შეგრძნების გასაბათილებლად ერთხელ და სამუდამოდ ღირს ამ სიტუაციაში გარკვევა.

ვნული ბიბლიოთეკა

მე ვერავის მოვახვევ ჩემს სუბიექტურ აზრს. ეს მხოლოდ ჩემი პიროვნული ვერსიაა და რადგან ჩვენს დემოკრატიულ სამშობლოში სიტყვის თავისუფლება არ იზღუდება, მე თავს უფლებას მივცემ, გამოვიყენო ეს საშუალება და გამოვთქვა ჩემი ჰიპოთეზა.

გასოიანი ვლადიმერი: „მე — შტურმანი გასოიანი, მეთაური გარდაფხაძე, სტაჟიორი გაბარაევი, ბორტინჟინერი ჭედია და შემმოწმებელი სამოქალაქო ავიაციის სამმართველოდან — შარბათიანი შევადგენდით თბილისი-ბათუმი-ლენინგრადი-კიევის თვითმფრინავის ეკიპაჟს. მეტეოროლოგიური პირობების გამო ფრენის დაწყება 1 საათითა და 20 წუთით შეყოვნდა. მე თვითმფრინავის წინა ნაწილში ვიჯექი, შტურმანის ჩვეულ სამუშაო ადგილზე, რომლის შესასვლელი შირმით გადატიხრულია. ბათუმიდან ჩვენ მოვბრუნდით თბილისისკენ. მე კურსის გავლით ვიყავი დაკავებული, როცა გავიგონე რაღაც ხმები, რომლებიც ბათქს წააგავდა. გავიხედე კაბინაში და ამ დროს დავინახე, როგორ შეჰყვირა და დავარდა შარბათიანი, ბორტმექანიკოსი ჭედია კი ჩამოცურდა სავარძლიდან. იმავე წუთში მე დავინახე შავწვერებიანი ადამიანი, რომელსაც ეჭირა პისტოლეტი და მივხვდი, რომ ჭედია და შარბათიანი დაჭრილები იყვნენ. ამოვიღე პისტოლეტი და ვესროლე წვერიანს ორჯერ, ის დაეცა. მერე ვესროლე მეორეს, ის კი სალონში გაიქცა. მე არ შემეძლო კარების დაკეტვა, რადგან სალონიდან ვიღაც მიმიზნებდა. ამ დროს კრუტიკოვამ გაათრია ბოროტმოქმედი, დაჭრილი შარბათიანი კი თავისით შემოცოცდა კაბინაში. მინდა აღვნიშნო, რომ ეკიპაჟის შემადგენლობიდან სროლა პირველმა მე ავტეხე, რადგან დანარჩენები მოკლებულები იყვნენ ამ შესაძლებლობას". **— 1983 წლის 18 ნოემბერი.**

ეს ჩვენება შეიძლება გასოიანის პირველ ჩვენებადაც მივიჩნიოთ. რადგან თვითმფრინავის გატაცების დღესვე იქნა ჩამორთმეული და შესაბამისად, სათანადო დამუშავებას მოკლებულია, რადგან თვითონ გამომძიებლები არ არიან ჯერ სრულად გარკვეულნი მომხდარში და ის მიმართულებაც არა აქვთ დადგენილი, რომლითაც უფრო მოსახერხებლად შეჰკრავდნენ საქმეს. გასოიანის და შარბათიანის ჩვენებების შეჯერებისას ნათელია, რომ აშკარა

უხუსტობები იკვეთება. გარდაფხაძისგან განსხვავებით გასოიანი განსვენებულ ჭედიაზე ამბობს, რომ იგი სავარძლიდან ჩამოცურდა და არა დავარდა. გასოიანი ამბობს, რომ მან დაინახა, როგორ შეყვირა და დავარდა შარბათიანი. ამის შემდეგ მისი თქმით, მან ატეხა სროლა და აღარაფერს ამბობს იმ ტყვიაზე, რომელიც საბრალდებო დასკვნის თანახმად შარბათიანს ივერიელმა ესროლა იმის მერე, რაც ტაბიძემ უკვე დაჭრა იგი. არადა მას ეს აუცილებლად უნდა დაენახა. გარდა ამისა, გასოიანს ისეთი ოპერატიულობით აუტეხია საპასუხო სროლა, რომ ივერიელს გულით რომ მოენდომებინა ცეცხლის გახსნა, ამის საშუალება არ ექნებოდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქმეში არ დევს გარდაფხაძის 18 ნოემბრის ჩვენება. გარდა ამისა, გასოიანს ეკიპაჟის ყველა წევრზე მეტი ჩვენება აქვს ჩამორთმეული, თუმცა იგი თავის განყოფილებაში იჯდა და ლოგიკურად ნაკლები ინფორმაცია უნდა ჰქონოდა. გასოიანი თავის საწინააღმდეგოდ, რა თქმა უნდა, არაფერს იტყოდა, ხოლო გარდაფხაძე, რომელმაც ყველაფერი კარგად დაინახა, ადვილად დაადასტურებდა ბრმა ტყვიების წარმომავლობას და წინასწარი „დამუშავების" გარეშე მისი ჩვენება საქმისთვის სასარგებლო არ იქნებოდა. ამიტომაც დაფიქსირდა მისი 21 ნოემბრის ჩვენება, როდესაც უკვე გამომძიებლებიც გაერკვნენ სიტუაციასა და საქმის წარმართვის საჭირო მიმართულებაში.

ახლა მინდა შემოგთავაზოთ გასოიანის დამატებითი დაკითხვის ოქმი, რომელიც ასე იწყება:

„წინა წაკითხვის დროს აღელვებული და დაბნეული ვიყავი მომხდარით. გთხოვთ ჩემი ახლანდელი ჩვენება მიიჩნიოთ მართებულად, ხოლო წინა ჩვენება ჩათვალოთ არასწორად.

15 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით ჩვენ უნდა ავფრენილიყავით, მაგრამ ვინაიდან ჩვენმა კიეველმა მეგობარმა თმის სამაგრების ყიდვა მთხოვა, მე ოდნავ დამაგვიანდა და კაბინაში სალონის გავლით შევედი. ჩვენ იმ დღეს, 18 ნოემბერს, ვაწარმოებდით რეისს... თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადი. ეკიპაჟის შემადგენლობაში შევდიოდით მე — შტურმანი, მეთაური-სტაჟიორი — III კლასის პილოტი ვიაჩესლავ გაბარაევი, ბორტმექანიკოსი — ჭედია ანზორი, პილოტი-ინსტრუქტორი — გარდაფხაძე და შემმოწმებელი პილოტ-ინსპექტორი — შარბათიანი. ჩვეულებისამებრ, მე შირმით ვხურავ ჩემს განყოფილებას. პილოტების კაბინაში ორი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარძელია — მფრინავებისთვის. მათ შორის კი ბორტმექანიკოსის სავარძელია. ასაფრენ ზოლზე გაყვანის წინ დისპეტჩერმა შემატყობინა, რომ მეთაური და ინსტრუქტორი უნდა გამოცხადებულიყვნენ აეროდრომზე სადისპეტჩერო პუნქტში. ისინიც წავიდნენ და თან ფრენის დავალება წაიღეს. მთელი ამ დროის განმავლობაში რა ხდებოდა სალონში, ჩემთვის უცნობია, რადგან მე ჩემი ადგილიდან არ ავმდგარვარ. დროის ამ მონაკვეთში უცხოები პილოტების კაბინაში არ შემოსულან. შემოვიდა მხოლოდ ბორტგამცილებელი ირინა ხიმიჩი, რომელმაც თქვა, რომ სალონში იმყოფება მთვრალი მგზავრი, რომელიც უცენზურო სიტყვებით ილანძღება და მილიციის გამოძახება გვთხოვა. შემმოწმებელმა ინსპექტორმა შარბათიანმა, რომელიც ამ დროს კაბინაში იმყოფებოდა, რაციით მილიცია გამოიძახა... შევამჩნიე როგორ მოვიდა მილიციის მანქანა. გადმოსვეს მათ ის მგზავრი თუ არა, ჩემთვის უცნობია. მალე მობრუნდნენ გარდაფხაძე და გაბარაევი, რომლებმაც შეგვატყობინეს, რომ ამინდი ზღვარზეა, მაგრამ ფრენა შესაძლებელია. ჩვენ ფრენისთვის მზადება დავიწყეთ. მე ვიყავი ჩემ ადგილზე, გარდაფხაძე იჯდა სავარძელში ფრენის მიმართულებით მარჯვენა მხარეს. ეს სავარძელი საერთოდ მეორე პილოტის სამუშაო ადგილია. გაბარაევი კი იჯდა სავარძელში, ფრენის მიმართულებით მარცხენა მხარეს, სადაც, როგორც წესი, ხომალდის მეთაური ზის. ბორტმექანიკოსი ჭედია თავის სამუშაო ადგილზე — გარდაფხაძისა და გაბარაევის სავარძლებს შორის — იჯდა. შემმოწმებელი შარბათიანი ბორტმექანიკოს ჭედიას ზურგს უკან იდგა. იმის შემდეგ, რაც ჩვენ ავფრინდით, იგივე სახით ვიყავით განლაგებულნი... მეთაური გარდაფხაძე დაუკავშირდა ქ. ბათუმის სადისპეტჩერო სამსახურს, საიდანაც შეატყობინეს, რომ ამინდი გაუარესდა და ბათუმს ჩვენი მიღება არ შეუძლია. გარდაფხაძემ მიიღო გადაწყვეტილება დაბრუნებულიყო ქ. თბილისის სათადარიგო აეროპორტში. ნატანების რაიონში ჩვენ ქ. თბილისის მიმართულებით შემოტრიალება დავიწყეთ. როცა ჩვენ ჯერ კიდევ ბრუნში ვიყავით, მე უცებ გავიგონე ბათქი, რომელიც შამპანურის მკვეთრად გახსნის ხმას წააგავდა, მაგრამ უფრო მოგუდული იყო. არ ვიცი რამდენი, მაგრამ არანაკლებ სამისა. მე უკვე ყვირილი გავიგონე, უფრო სწორედ შეყვირება, ასე ჩვეულებრივ ყვირის ადამიანი, რომელსაც ატკინეს. თუმცა შირმა ჩამოფარებული მქონდა, ხელსაწყოების დაფას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირმას შორის პატარა ღიობი იყო, რომელშიც მე ოდნავ მობრუნებულმა გავიხედე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შეყვირების ხმაზე მივხვდი, რომ ეს შარბათიანი იყო. ყვირილის მიზეზი რომ გამერკვია, ღიობში გავიხედე. მე მივაქციე ყურადღება, რომ პილოტების კაბინის კარი ღია იყო, შარბათიანი კი არ ჩანდა. კაბინაში იმყოფებოდა უცხო პირი, რომელსაც ხელში ,,ნაგანის'' სისტემის რევოლვერი ჰქონდა. მე იარაღში კარგად ვერკვევი და ამიტომ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ,,ნაგანის'' სისტემის რევოლვერი. ის პატარა ზომის იყო, დოლური მოწყობილობით. აღნიშნული უცხო კაცი იყო მაღალი, მკვრივი აგებულების, შუბლთან ოდნავ შეთხელებული თმით... მე მივხვდი, რომ ეკიპაჟზე ბანდიტური თავდასხმა განხორციელდა და ამიტომ ჩემი ტაბელური იარაღის გამოყენების გადაწყვეტილება მივიღე. ამ დროს მე კვლავ გავიგონე რამდენიმე ბათქი, რომელიც სროლის ხმას ჰგავდა, არანაკლებ სამისა, და ღიობში გავიხედე. დავინახე, როგორ ჩამოცურდა თავისი ადგილიდან ბორტმექანიკოსი ჭედია. მე მივხვდი, რომ მას ესროლეს. შუაში და ცოტა უკან გარდაფხაძესა და ჭედიას შორის, მე კიდევ ერთი თავდამსხმელი დავინახე, რომელსაც ხელში ცეცხლსასროლი იარაღი ეჭირა. ეს იყო პისტოლეტი, მაგრამ რა სისტემისა, არ ვიცი, მაგრამ მას დოლური მოწყობილობა არ ჰქონდა. თავდამსხმელს იარაღი გარდაფხაძის საფეთქელთან ეჭირა. ეს თავდასხმელიც აგრეთვე მაღალი ტანისა იყო, ჰქონდა წითური ულვაშები და მეტყველი თვალები. თუ არ ვცდები, ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა. მეორე თავდამსხმელი, რომელიც მე პირველად დავინახე, შავი სვიტრით, მექანიკოს ჭედიასა და გაბარაევს შორის იმყოფებოდა, მათგან ოდნავ უკან. მას ხელში ეჭირა ,,ნაგანის'' სისტემის რევოლვერი და გაბარაევის საფეთქელზე ჰქონდა მიბჯენილი. გარდაფხაძის წინ მდგომი თავდამსხმელი სახით ჩემკენ იდგა, მეორე, რევოლვერით, იმის გამო, რომ კაბინა ვიწროა, გვერდშექცევით იდგა. მათ აღგზნებული, სასტიკი სახეები ჰქონდათ. ისინი მხეცებს ჰგავდნენ. რას ლაპარაკობდნენ, არ მესმოდა. მე მხოლოდ გარდაფხაძის ხმა მესმოდა, რომელიც ეკითხებოდა, რა გინდათ ჩვენგანო. მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩვენს ეკიპაჟზე თავდასხმაა განხორციელებული და გადავწყვიტე მესროლა. მე თავდაპირველად წითურ ულვაშა თავდამსხმელს (გიას — ავტ.) ვესროლე ორსამჯერ მკერდის არეში. იგი მკვეთრად შეხტა, ოდნავ შემობრუნდა

და პირქვე დავარდა. ამ დროს მეორემ (კახა — ავტ.), რომელიც გაბარაევთან იდგა რევოლვერით, ისტერიკულად დაიყვირა ,,ვინ ისვრისო“, და მე მასაც ვესროლე, თუ არ ვცდები, ორჯერ. თავში ვუმიზნებდი, მაგრამ სად მოვარტყი, არ ვიცი. მან რაღაც გაურკვევლად დაიღრიალა და კაბინიდან გავარდა. ამის მერე იარაღი შტურმანის მაგიდაზე დავაგდე და სოხუმის აეროპორტის დისპეტჩერს გადავეცი თავდასხმისა და სროლის შესახებ. ამ დროს მეთაური გარდაფხაძე სროლით იგერიებდა თავდამსხმელებს, რომლებიც კაბინაში შემოღწევას მაინც ცდილობდნენ. მე სხვა, ჩემთვის უცნობი ბანდის წევრებს ვგულისხმობ. მაშინ გარდაფხაძემ დამიყვირა, გამოვსულიყავი და პილოტების კაბინის კარები დამეხურა. ჭედიას, რომელსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა, ფეხებში ჩავავლე ხელი და ჩემს კაბინაში შევათრიე. შემდეგ გადავხსენი მისი სავარძელი, რითაც დაჭრილ შარბათიანს პილოტების კაბინაში შემოცოცების საშუალება მივეცი. ის პილოტებს შორის იატაკზე იწვა. ფეხები მოკლული ბანდიტისა, რომელსაც მე პირველად ვესროლე, კარების დახურვას მიშლიდა. მე მისი გარეთ გათრევა მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი... გარდაფხაძემ თითქმის მთლიანად გაისროლა ჩემი, თავისი და გაბარაევის ვაზნები და გაბარაევს უბრძანა, განეხორციელებინა თვითმფრინავის ევოლუციები, რათა ბანდიტებს მიზანში სროლის საშუალება არ ჰქონოდათ, რადგან პილოტთა კაბინის კარი კვლავაც ღია იყო. ამ დროს ვიღაცამ წინა საბარგო განყოფილებიდან კაბინაში შემოაგდო კრუტიკოვა, რომელიც ტიროდა, გვემუდარებოდა თურქეთში გავფრენილიყავით, თორემ ბანდიტები ყველას გაგვანადგურებდნენ... მე ამ დროს მოკლულის ფეხების კარიდან მოცილებას ვცდილობდი და ვთხოვე კრუტიკოვას ოდნავ თავისკენ მოექაჩა, რაც მან გააკეთა. რა ხდებოდა მგზავრთა სალონში, მე არ ვიცი... ამის შემდეგ მე კარის მიხურვა და ჩაკეტვა შევძელი. კარის ჩაკეტვიდან 20 წუთში ჩვენ თბილისის აეროპორტში დავეშვით, ბრძანების თანახმად გავჩერდით და ძრავები გამოვრთეთ. ამ დროს დავინახეთ თვითმფრინავის გასწვრივ მორბენალი ჯარისკაცები, რომლებიც კაბინიდან მარცხენა მხარეს იმყოფებოდნენ. არ ვიცი რატომ, მაგრამ უცებ ჯარისკაცებმა ავტომატური ჯერი გახსნეს თვითმფრინავის მიმართულებით. მე გავიგონე ტყვიების დარტყმა თვითმფრინავის გარსზე. მეთაური რაციით დაუკავშირდა დისპეტჩერს და სთხოვა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცებს ცეცხლი შეეწყვიტათ, თორემ მათ შეეძლოთ მოვეკალით. დაახლოებით 20-30 წუთის განმავლობაში ჩვენ მფრინავების კაბინაში ვიმყოფებოდით, შემდეგ კი ხომალდის მეთაურის სარკმლის გავლით დავტოვეთ თვითმფრინავი, რადგან მიწიდან შესაბამისი ბრძანება მივიღეთ. ცოტა ხანში ჩვენ ჰოსპიტალში წაგვიყვანეს. არ მახსოვს როდის, მაგრამ ჩემი მეშვეობით ჩატარდა ამოცნობა და მე ფოტოებზე მივუთითე ის პირები, რომლებიც ჩვენს ეკიპაჟს დაესხნენ თავს. აი ყველაფერი, რისი ახსნაც მე შემიძლია“. **— 1984 წლის 17 იანვარი, 18 საათი და 10 წუთი.**

მე არ ვიცი იმ დაავადების სახელი, როდესაც ადამიანი მეხსიერებას ნაწილობრივ ჰკარგავს, მაგრამ ბატონ გასოიანს უდავოდ ეს დაავადება სჭირს. ის ამტკიცებს, რომ იარაღების სპეციალისტია და უშეცდომოდ შეძლო უცხოური „ნაგანის“ ტიპის რევოლვერის („რევსტერის“ — ავტ.) ამოცნობა, ხოლო მშობლიური „ტტ“ იმავე მანძილიდან ვერ იცნო. მან ხმის ტემბრით ზაველ შარბათიანის წამოყვირება გაარჩია, ძრავის ხმაურში გასროლა კი შამპანურის ბოთლის გახსნის შედეგად წარმოქმნილ ბათქად მოესმა. შეძლო პატარა, მოუხერხებელი განყოფილებიდან, სადაც მისივე თქმით, მობრუნებაც კი ჭირს, მოწყობილობათა დაფასა და შირმას შორის დარჩენილი ღიობიდან ისე ესროლა, რომ ტყვიებმა სამ პილოტს გვერდი აუარა და მხოლოდ ბორტმოქმედნი დაჭრა. ეს გამოცდილ სნაიპერსაც გაუჭირდებოდა! მე არ ვამტკიცებ, რომ გასოიანმა ჭედიას შეგნებულად ესროლა, მაგრამ ძალიან დიდი ალბათობა არსებობს, რომ ჭედია სწორედ გასოიანის მიერ არის მოკლული.

მოდით, ერთი წუთით ექსპერტიზის დასკვნა გვერდზე გადავდოთ და წარმოსახვით, სალი აზრით მოვახდინოთ თავდასხმის სცენის რეტროსპექტივა. როგორ ფიქრობთ, კაბინაში შემოჭრილ თავდამსხმელებს, რომლებიც პილოტების უკან იმყოფებოდნენ, და მათ თავებზე უკნიდან ჰქონდათ იარაღები მიბჯენილი, განა არ გაუჭირდებოდათ, ბალისტიკაში არსებული ყველა კანონზომიერების გათვალისწინებით, წინიდან უკან მიმართული ჭრილობით დაეჭრათ წელს ქვემოთ (ღვიძლში) ჭედია, რომელიც თავდასხმის დონიდან ოდნავ ქვემოთ და სახით გასოიანის პირდაპირ იჯდა, თავის სამუშაო სავარძელში? ექსპერტიზის დასკვნაში ხსენებული ჭრილობა დაფიქსირებულია როგორც ბრმა ტყვია. ძიე-

ბა ბრმა ტყვიას, როგორც უკვე ავღნიშნეთ, მხოლოდ ჯარისკაცებისა და პილოტების ნასროლ ტყვიებს უწოდებს.

ვ. გასოიანის ჩვენების თანახმად, მან ხელსაწყოების დაფასა და მტიხრავ შირმას შორის დარჩენილი ვიწრო ღიობიდან კაბინაში მას შემდეგ შეიხედა, რაც მოგუდული ბათქის სამიოდე ხმა და შემდეგ შარბათიანის შეყვირება გაიგონა. როდის ცრუობს გასოიანი? როდესაც ამტკიცებს, რომ გასროლის ხმა მოგუდულ ბათქად ეჩვენება თუ როდესაც ამბობს, რომ უცხო კაცის (შარბათიანი შემმოწმებელი იყო) შეყვირებაში (და არა ხმამაღალ ყვირილში) შარბათიანის ხმა ამოიცნო. პილოტების კაბინაში, რომელიც 10 კვ. მ-ს არ აღემატება, ჩართული ძრავების ფონზე, როდესაც სპეციალური მგუდავი მექანიზმის გარეშე განხორციელებული გასროლა მოგუდულ ბათქად მოეჩვენა, მას შარბათიანის შეყვირება და მით უმეტეს მისი გარჩევა როგორ შეეძლო? ან პირიქით, თუ შარბათიანის ხმა გაიგონა, მკვეთრ სროლის ხმასაც გაიგონებდა.

გასოიანმა თავდამსხმელების დანახვისთანავე სიტუაციას უცებ აუღო ალღო, მაგრამ ადეკვატური აღმკვეთი ღონისძიებების მაგიერ იგი უცნაურად იქცევა: ჯერ ყურადღებით აკვირდება თავდამსხმელებს, არკვევს ვის რა იარაღი აქვს, ვის რა აცვია, შეუცდომლად ხაზავს მთელ ბალისტიკურ სურათს, თუმცა მისი სამუშაო ადგილიდან ვიწრო თვალსაწიერის გამო ამ ყველაფრის დანახვა შეუძლებელია, უსმენს ბანდიტების დიალოგს. და ეს მაშინ, როდესაც „სასტიკმა მხეცებმა“ შირმის იქით ნახევარი ეკიპაჟი ამოხოცეს და არც მეორე ნახევარს უმზადებდნენ უკეთესს ხვედრს. და როდესაც იგი უკვე საბოლოოდ რწმუნდება, რომ თავდასხმაა განხორციელებული, შემდეგ იღებს სროლის გადაწყვეტილებას. თუმცა „შავი ყუთის“ შიფროგრამის მიხედვით, თავდამსხმელების გაუვნებელყოფა 1 წუთში მოხდა. მთელი ამ გაწელილი ჩვენების გასაღები ჭედიას სიკვდილია, რადგან გასოიანი სროლის გადაწყვეტილებას მხოლოდ მისი სიკვდილის მერე იღებს. უფრო სწორედ, მას მერე, როცა სამუშაო სავარძლიდან ჩამოცურებული ჭედია დაინახა. გასოიანი არ ჰგავს გაუბედავ კაცს. როგორც კი მას სროლის საშუალება მიეცა, უკან არ დაუხევია, ისე დაცალა მთელი მჭიდე იარაღი. იგი ამტკიცებს, რომ სროლა სწორედ მან გახსნა („მე თავდამსხმელებს თავში ვუმიზნებდი“) და მთელი ეკიპაჟის ცოდვების აღებაში გარდაფხაძესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეცილა. გასოიანს, გამომძიების კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე, ხელოვნურად გაჰყავს დრო, რაშიც მას გამომძიებლები საკმაოდ კვალიფიციურად ეხმარებიან. იგი თავის ქმედებებს სწორედ ჰედიას დაჭრის მერე იწყებს, რათა არ გაჩნდეს ეჭვი, რომ ეს უკანასკნელი გასოიანის ხელიდან გასროლილი ბრმა ტყვიით დაიჭრა. მით უმეტეს, რომ სასროლი პოზიციიდან, საიდანაც გასოიანმა ცეცხლი გახსნა, შეუძლებელი იყო შემხვედრი ბარიერის, ე. ი. ჰედიას გვერდის ავლა. შტურმანის განყოფილება მდებარეობს თვითმფრინავის ცხვირში, ანუ ბორტმექანიკოსის სავარძლის წინ და ქვემოთ. შირმის იქითა ღიობიდან ნასროლის ვექტორული მიმართულება ზუსტად ჰედიას სავარძელზე გადის. გასოიანს გამოძიება მთელი ძალით ეხმარება, რომ პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს და ტაბიძეს დააბრალოს, რომელიც უკვე მოკლულია და ვერაფერს დაამტკიცებს. ერთადერთ მოწმეს კახა ივერიელს კი ,,არაფერი ახსოვს''.

გასოიანი დამატებით ჩვენებაშიც ადასტურებს წინა ჩვენებაში მიცემულ ჩვენებას იმის თაობაზე, რომ შუბლში ტყვიადაჭედებული შარბათიანი თავისით შემობობღდა კაბინაში. ნუთუ კახა ივერიელის ადვოკატს ერთხელ მაინც არ მოუვიდა თავში ის აზრი, რომ კაცი, რომელიც თავშია დაჭრილი, თავისით გადაადგილებას ვერ შეძლებდა? საინტერესოა, რომ გასოიანი სთხოვს კრუტიკოვას, ტაბიძის გვამი სალონის მიმართულებით გაათრიოს, რის შემდეგაც ცხვირწინ უხურავს მას კარს და ბანდიტების საგლეჯად ტოვებს. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ეკიპაჟის ცოცხლად დარჩენილი სამი წევრი გულგრილად ფეხებზე იკიდებს 58 მგზავრის სიცოცხლეს: სალონის მიმართულებით სპონტანურ, დაუმიზნებელ სროლას იწყებს, რის შედეგად უამრავი კაცი დაიჭრა და ერთი კი დაიღუპა — ალუდა სოლომონია, რომლის ერთადერთი დანაშაული, როგორც პაატა ივერიელმა უთხრა, ის იყო, რომ იგი თავდამსხმელებმა რეისის სუკის გამცილებლად მიიჩნიეს, რადგან მეორე სალონიდან პირველი სალონის მეორე რიგში დაჯდა ფორმიანი პილოტის — ა. პლოტკას — გასწვრივ. პაატა ივერიელმა ამ უკანასკნელს ჯერ თავში ღვინო ,,აისის'' ბოთლი ჩაარტყა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ იარაღი არ ჰქონდა, თავი გადაუხვია. დაჭრილ სოლომონიას ამის მერე ადგილი არ შეუცვლია. სოლომონიას მიღებული აქვს ცეცხლსასროლი ჭრილობა (გვ. 216), რომელიც იწყება მარჯვენა ტუჩ-კბილის არე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში და გამოდის მარჯვენა საფეთქელსა და ყურს შორის. იგი ირიბია და სროლის მიმართულებით მარჯვნიდან მარცხნივ დახრილი ხაზით ხასიათდება, რაც ძალიან წააგავს კაბინიდან, შიგნიდან გარეთ სროლის შედეგად მიღებულ ჭრილობას. გარდა ამისა, რატომ დახარჯავდნენ თავდამსხმელები მასზე ამდენ ძალისხმევას, თუკი იგი უკვე გაუვნებელყოფილი იყო? და რატომ მიაყენებდნენ მას უაზრო, თეატრალურ, ირიბ ჭრილობას, როცა ძირითადი თავდასხმა ჯერ კიდევ არ იყო განხორციელებული?

გასოიანი აგრეთვე აჩვენებს, რომ თვითმფრინავმა დაიწყო დიდი ძალით ევოლუცია და ჯერ ისედაც შეშინებული მგზავრები კიდევ უფრო დიდ პანიკაში ჩავარდნენ — ეგონათ, რომ უცილობლად იღუპებოდნენ. თვითმხილველების თქმით, ევოლუციები იმდენად ძლიერი ხასიათისა იყო, რომ მგზავრები სკამებიდან ხტებოდნენ და ძირს ეხეთქებოდნენ. ამ დროს ბევრმა მათგანმა სხეულის სერიოზული დაზიანებები მიიღო. საქმეში არის გასოიანის და გარდაფხაძის წერილები, რომელშიც ისინი ადასტურებენ, ტექნიკურად რა უბედურება შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ ქმედებას, ანუ კაბინიდან საპასუხო სროლას, სადაც თავმოყრილია თვითმფრინავის ყველა ძირითადი ხელსაწყო თუ მართვის პულტი. თვითმფრინავის ეკიპაჟსაც და 58 მგზავრსაც გარდუვალი სიკვდილი ელოდა. როგორც პროფესიონალ მფრინავებს, მათ ამ საშიშროების შესახებ სხვებზე მეტი უნდა სცოდნოდათ. შესაბამისად, საბჭოთა სამშობლოს „პრესტიჟის“ დაცვის მაგიერ ჯობდა თავისი კოლეგები და მგზავრები დაეცვათ.

გასოიანის ჩვენებებში აშკარად შეიმჩნევა გარკვეული ალოგიკურობა, ძალიან თვალში მოსახვედრად იჭიმება პაუზა თავდასხმის განხორციელების დასაწყისსა და საპასუხო რეაქციას შორის. აი როგორ გამოიყურება გასოიანის ჩვენების საბოლოო, შეჯერებული ვარიანტი:

„ნაგანებთან ბრუნის დროს მე გავიგონე მოგუდული ბათქი, რომელიც შამპანურის გახსნას ჰგავდა. შემდეგ შარბათიანის ყვირილი (უკვე ყვირილი. — ავტ.). მიზეზის დასაზუსტებლად მე გავიხედე ხელსაწყოების დაფასა და შირმას შორის დატოვებულ ღიობში. კაბინის კარი ღია იყო. შარბათიანი არ ჩანდა. კახა ივერიელი „ნაგანით“ ხელში პილოტ-ინსტრუქტორ გარდაფხაძის უკან იდგა. მე ყველაფერს მივხვდი და გადავწყვიტე იარაღის გამოყენება. ამ

მიზნით მივტრიალდი, რათა ამეღო იარაღი და აი ამ დროს გავიგონე სროლები და დავინახე გია „ტტ“-თი, გარდაფხაძის უკან მდგომი. ამ დროს ჭედია უკვე სავარძლიდან ცურდებოდა. კახა იდგა გაბარაევის უკან, რომელიც იყო სტაჟიორ-მეთაური. ორივეს იარაღი მფრინავების საფეთქლებზე ჰქონდათ მიდებული. ამ სიტუაციაში მე მივიღე სროლის გადაწყვეტილება და ვესროლე გიას არა უმეტეს ორი ტყვიისა. კახამ ქართულად დაიყვირა „ვინ ისროლა?“. იგი ამ დროს გვერდულად იდგა. მასაც არა უმეტეს ორისა ვესროლე. ტაბიძე იდგა ჩემკენ სახით. ივერიელი გაიქცა სალონის მიმართულებით. ამ დროს შემოვიდა კრუტიკოვა, რომელიც ტირილით გვთხოვდა თავდამსხმელების ნების დამორჩილებას და თურქეთში წასვლას. მას რაიმე ძალადობის ნიშანი არ ჰქონია“. **— 1984 წლის 9 აპრილი.**

ეს ჩვენება უკვე ძიებისთვის მეტ-ნაკლებად სასურველ შესაბამისობაშია მოსული. აქ მეტი დახვეწილობით არის დაფიქსირებული დროის და მოვლენათა თანაწყობა. არაბუნებრივი ქმედითი პროსტრაცია, რომელიც გასოიანს რაღაცით უნდა შეევსო, მეტი დამაჯერებლობისათვის შეავსებინეს სიტყვებით. ამ ფრაზით გამოძიება ცდილობს რაიმეს ქმედებით (გადავწყვიტე, მოვტრიალდი, ამეღო...) შეავსოს ის პაუზა, რაც მაღალი რანგის პროფესიონალებს უდავოდ თვალში მოხვდებოდათ.

გაბარაევი სლავიკ შალვას ძე დაბადებული ქ. თბილისში 1934 წელს, მესამე რანგის პილოტი: „...18 ნოემბერს ჩვენი ეკიპაჟი, ხომალდის მეთაური ახმადგენ ბუხულოს ძე გარდაფხაძე, შტურმანი ვლადიმერ გასოიანი, ბორტმექანიკოსი ანზორ ჭედია და მფრინავ შტურმანთა განყოფილების უფროსი პილოტ-ინსტრუქტორი ზაველ შარბათიანის შემადგენლობით, ვასრულებდით რეისს №6833 მარშრუტით თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადი. თბილისიდან ჩვენ გამოვფრინდით 16 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით. გაფრენის წინ, როდესაც მე, გარდაფხაძე და შარბათიანი თვითმფრინავისაკენ მივემართებოდით (ჩასხდომა უკვე გამოცხადებული იყო, მაგრამ მგზავრების ძირითადი ნაწილი ჯერ არ იყო მოსული), 150 მეტრის სიშორიდან მე თვალი მოვკარი სამ-ოთხ კაცს, რომლებიც თვითმფრინავში სხდებოდნენ. რამდენადაც მე ეს ხალხი შორიდან შევნიშნე, მათი შეთვალიერება ვერ მოვახერხე. როდესაც თვითმფრინავში ჩავსხედით, ხელსაწყო-

ები შევამოწმეთ და დისპეტჩერს ძრავის ამუშავების უფლება ვთხოვეთ. მაგრამ სადისპეტჩეროდან არ მოგვცეს აფრენის უფლება, რადგან ბათუმში ცუდი მეტეოპირობები იყო. ჩვენ შევიცადეთ 15-20 წუთი და ხელმეორედ ვითხოვეთ აფრენის უფლება. მათ ისევ არ დაგვრთეს ამის ნება. მე და ხომალდის მეთაური გამოვედით თვითმფრინავიდან და სამეთაურო-სადისპეტჩერო პუნქტისკენ გავემართეთ. ხუთი წუთის მერე აფრენის უფლება მოგვცეს. მე და მეთაური თვითმფრინავში დავბრუნდით და ავფრინდით. ფრენა 6000 მეტრის სიმაღლეზე მიმდინარეობდა. 20-25 წუთის ფრენის შემდეგ, როცა ბათუმთან მიახლოება და დაშვება დავიწყეთ, შეგვატყობინეს, რომ ცუდი ამინდის გამო თვითმფრინავს ვერ მიიღებდნენ. ჩვენ მარჯვენა ბრუნით შემოვბრუნდით და 5700 მეტრის სიმაღლეზე კურსი თბილისისაკენ ავიღეთ. მე მარცხენა შტურვალთან ვიჯექი, რადგან მეთაურ-სტაჟიორის რანგში მივფრინავდი. მარჯვენა შტურვალთან ხომალდის მეთაური გარდაფხაძე იჯდა. ჩვენ შორის კი — ბორტმექანიკოსი ჭედია. იმის მერე, რაც კურსი თბილისისაკენ ავიღეთ, ორ-სამ წუთში მგზავრთა სალონის მხარეს სროლის ხმა გავიგონე. როგორც მახსოვს, ხუთი ან მეტი გასროლა იყო. როდესაც მარჯვნივ გამოვიხედე, კაბინაში ოცდაათიოდე წლის, ღია ფერის თმიანი მამაკაცი დავინახე ღია ყავისფერ პიჯაკში, რომელიც მეთაურს საფეთქელზე იარაღს უშვერდა და ქართულად ყვიროდა: „მოატრიალე თურქეთისკენ“. მე აგრეთვე დავინახე, რომ შარბათიანი იატაკზე იწვა ბორტმექანიკოსის უკან. ბორტმექანიკოსი ჭედია კი თავის სავარძელზე იჯდა უკან გადაგდებული თავით. ამ დროს კაბინაში შემოვარდა მეორე მამაკაცი, დაახლოებით იგივე ასაკისა, შავთმიანი, ოდნავ შემელოტებული, პირველზე ოდნავ დაბალი მას ხელში ბარაბნიანი პისტოლეტი ეჭირა (ბარაბნიანი პისტოლეტი არ არსებობს. — ავტ.). მან შარბათიანი გასწია და მეთაურს მივარდა, თან ქართულად უყვიროდა, თურქეთისკენ მოატრიალე თვითმფრინავიო. როგორც მე მახსოვს, მამაკაცები კაბინაში ერთიმეორის მიყოლებით შემოვარდნენ. რათა დაეწყნარებინა, მეთაური ეუბნებოდა, რომ ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც მათ სურთ. ამ დროს შტურმანის განყოფილებიდან, სადაც გასოიანი იჯდა, სროლების ხმა გაისმა და დავინახე, რომ ქერათმიანი დაეცა, ხოლო მეორე გავარდა და ჩემი მხედველობის არედან გაქრა. ეს დრო ხომალდის მეთაურმა

ოვნული ბიბლიოთეკა

თავდასხმის მოსაგერიებლად გამოიყენა, ბუდიდან ამოიღო იარაღი და სროლა ატეხა. მე ამ დროს თვითმფრინავს ვმართავდი და მეთაურის ბრძანებით სპეციალურად ვაკეთებდი ევოლუციებს, ესე იგი გადატვირთვებს, რათა თავდამსხმელებს წონასწორობა დაეკარგათ და დამიზნების და სროლის საშუალება არ ჰქონოდათ. მეთაურმა შტურმანს მისცა განკარგულება როგორმე პილოტთა კაბინის კარი დაეხურა. შტურმანმა ჯერ ჭედია ჩაათრია თავისთან, შემდეგ შარბათიანი და მიხურა კარი. მთელი ეს დრო სროლა გრძელდებოდა, მეთაური შტურმანს იფარავდა, კაბინის კარების იქიდანაც ისროდნენ. სულ რამდენი გასროლა მოხდა, არ მახსოვს. როდესაც პილოტების კაბინის კარი დავხურეთ, ოდნავ დავწყნარდით და თბილისამდე მაქსიმალური სიჩქარით ჩამოვფრინდით. როდესაც დავეშვით, ბრძანების თანახმად, თვითმფრინავი მეოთხე საფრენი ბილიკის დასაწყისში გავაჩერეთ და ძრავები გამოვრთეთ. ამ დროს ატყდა სროლა თვითმფრინავის მიმართულებით. მე მესმოდა გასროლების ჯერები და ტყვიის ფიუზელიაჟზე მოხვედრის ხმა. მალე სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც არა უმეტეს 40-60 წამისა გაგრძელდა. შემდეგ კვლავ სროლის ხმა გავიგონე და რომლის მერეც თითქოს რაღაც ამიშინდა და ფეხში ტკივილი ვიგრძენი. მეთაურის მითითებით მე გავაღე სარკმელი და მაშველი ბაგირის მეშვეობით დავეშვი მიწაზე და კოჭლობით მივირბინე თვითმფრინავის შორიახლოს მდგომ ადამიანებთან. დამიწყეს გამოკითხვა, რა მოხდაო. და მეც, როგორც შემეძლო, ვუხსნიდი... მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ბორტზე უბილეთო მგზავრი გვყავდა, 112-ე რაზმის მფრინავი, გვარი არ მახსოვს, სასწრაფოდ კიევს უნდა გაფრენილიყო. იგი ასაკეც სკამზე იჯდა, საბარგულთან, პილოტების კაბინასა და მგზავრების სალონს შორის. რამდენი თავდამსხმელი იყო, არ ვიცი. დავინახე მხოლოდ ორნი, რომლებიც კაბინაში შემოიჭრნენ... სანნაწილიდან რომ ვბრუნდებოდი, გოგონა საავიაციო ფორმაში აეროპორტის მუშაკებს უხსნიდა, რომ ეს მან გაიყვანა თავდამსხმელები საკონტროლო პუნქტის გვერდის ავლით...“ **— 1983 წლის 18 ნოემბერი.**

აქ ნიშანდობლივი ისაა, რომ, მფრინავის თქმით, შარბათიანს ესროლა „პირველმა მამაკაცმა“ ანუ ტაბიძემ და მხოლოდ ამის მერეა შემოსული ივერიელი. გარდა ამისა, მყარდება ვარაუდი იმის შესახებ, რომ ჭედია ვერაფრით ვერ იქნებოდა მოკლული უკნიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნასროლი ტყვიით. მით უმეტეს, რომ მას მკვეთრი მოძრაობები არ გაუკეთებია, რადგან კვლავ სავარძელში მჯდომი რჩებოდა.

,,აფრენამდე ჩვენ შეგვკრიბა მეთაურმა და პირობით სიგნალზე შეგვითანხმა. ფრენის დაწყების მომენტში შარბათიანი სალონში იმყოფებოდა. შემდეგ პირობითი ნიშნით მან კაბინის კარზე დააკაკუნა. მას კარები ჭედიამ გაუღო. შარბათიანი ჭედიას უკან დაჯდა. ფრენის 20-25 წუთი ნორმალურად მიმდინარეობდა. უცებ შარბათიანი მოტრიალდა ნახევარი ბრუნით მარცხნივ და კარი გააღო. მე ხუთი-ექვსი გასროლა გავიგონე. მე თავი მარჯვნივ მოვაბრუნე და დავინახე ტაბიძე, რომელსაც იარაღი გარდაფხაძის საფეთქელთან ეჭირა. სად იმყოფებოდა ამ დროისთვის შარბათიანი, მე არ დამინახავს. გიას შემდეგ კვალდაკვალ მოჰყვა კახა ივერიელი და იარაღი დამადო, თან თავი ილუმინატორს მიმაბჯენინა, ისე, რომ მე არ შემეძლო განძრევა. ჭედია სავარძლიდან წამოიწია და სროლა გაისმა. ვინ ესროლა მას, მე არ დამინახავს". და იქვე: ,,მე შევამჩნიე, როგორ ეჭირა გასოიანს შარბათიანის ხელი, რომელიც ნელ-ნელა ცდილობდა კაბინაში შემოცოცებას". **— 1984 წლის 17 იანვარი, ტ. 7, ს. ფ. 3-4.**

მფრინავები, რანგობრივი განსხვავების და საპასუხო ქმედებების ხარისხობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, მრავალ ნიუანსში ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. მაგალითად — ფრენის დაწყებაში. გარდაფხაძე ამბობს, რომ დისპეტჩერს რაციით დაუკავშირდა, თუმცა გასოიანის თქმით იგი ძირს არის ჩასული. განსხვავებულია მათი ვერსია თავდამსხმელების განლაგებისა და გასროლების რაოდენობის თაობაზე. მაგრამ არის საკითხები სადაც სამივე აბსოლუტურად შეჯერებულ და შეხმატკბილებულ პოზიციაზე დგას:

1. თავდასხმა პირველმა განახორციელა გ. ტაბიძემ, რომელმაც შარბათიანი მხარში დაჭრა;

2. თავდასხმის დროს და შემდგომაც ჭედია არ ამდგარა თავისი სავარძლიდან;

3. ზაველ შარბათიანი დაიჭრა, მაგრამ ცოცხალი იყო, რადგან თავდასხმის მოგერიების შემდეგ თავისით შემოცოცდა კაბინაში; თბილისში დაჯდომისას კი კვლავ ცოცხალი იყო.

პილოტების პირველი ჩვენებები საბოლოო ჩვენებებისაგან თვისობრივად განსხვავდება. ამ განსხვავებას ის დეტალები

იწვევს, რომლებიც თავდაპირველად გამოძიებას ეპარება მხედველობიდან, ხოლო მოგვიანებით კორექტულად ასწორებს სიტყვებით: „აღელვებული ვიყავი“ და „არ მახსოვს“. მაგალითად, გასროლების რაოდენობა. პირველად მიცემულ ჩვენებებში ყველა ჯერდება ორ-სამ გასროლას, ხოლო ძიების ბოლოსთვის ეს რიცხვი რვამდე იზრდება. ბოლო ბალისტიკური ექსპერტიზის ჩვენებით შარბათიანს „რევსტერი“ №927927-დან სამი ტყვია აქვს მხარში მიღებული, დანარჩენი სამი ტყვიის ავტორი, თავში მოხვედრილი ტყვიის ჩათვლით, გაუგებარია. ჭედიას სხეულიდან ამოიღეს „ტტ“ №21670-ის ტყვია, თუმცა ტაბიძეს „ნაგანი“ ეჭირა ხელში, რადგან პლოტკა მის მიერ №65851 „ნაგანიდან“ გასროლილი ტყვიებით არის დაჭრილი მხარში. მაგრამ საბოლოო დასკვნაში ყველა გასროლა მათემატიკური სიზუსტით არის დათვლილი; ნასროლი გილზების და ტყვიების ოდენობა აფთიაქური სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს, რაც თავისთავად ეჭვს იწვევს; რადგან ბოლოს, როდესაც გარედან დაუშინეს ცეცხლი, ვისი ტყვია და ვისი გილზა სად ეგდო, წარმოუდგენელი დასადგენია.

მე კვლავ მინდა დავუბრუნდე შარბათიანის ეპიზოდს, სადაც გაბარაევი უჩვენებს: „როდესაც კარზე პირობითი ნიშნით დააკაკუნეს, შარბათიანი ნახევარბრუნით მარცხნივ მოტრიალდა და გააღო კარი. მე გავიგონე როგორ ესროლეს მას და დავინახე, როგორც წაიქცა“. — **ტ. 7, ს. ფ. 2-3.** სხვა სიტყვებით, მას კარების გაღებისთანავე ესროლეს. ბორტგამცილებლების განყოფილებასა და პილოტების კაბინას შორის კარი სივიწროვის გამო შიგნიდან გარეთ იღება. თუ ვივარაუდებთ, რომ მან გააკეთა ნახევარწრიული ბრუნი მარცხნივ, მაშინ კარი შარბათიანს მარცხენა ხელით უნდა გაეღო და ეს ბუნებრივია. მარჯვენა მხარე მას კაბინის სიღრმისაკენ მიმართული ექნებოდა. ივერიელი ცაციაა. მან იარაღი მარცხენა ხელით ჩაიდო მარჯვენა მხარეს, ქამრის ქვეშ **(ტ. 2, ს. ფ. 4).** იმისთვის, რომ მას შარბათიანი მარცხენა მხარში დაეჭრა, მას ძალიან არაბუნებრივი, აკრობატული მოძრაობა უნდა გაეკეთებინა, და ეს მაშინ, როდესაც ყველა მოძრაობა ხელისმოწერასავით ინსტიქტური და რეფლექსური უნდა ყოფილიყო. მაგრამ გასოიანის მიერ იარაღის აღების არ იყოს, გამოძიებამ კახას ცაციობა ვერაფრით ვერ მოირგო და ბოლო ჩვენებაზე ისეც ათქმევინეს, რომ იარაღი მარჯვენა ხელით ვისროლეო. მაგრამ აქ სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგობა იჩენს თავს. კახა ივერიელი ხომ აჩვენებს, რომ მან იარაღი მარცხენა ხელით ჩაიდო მარჯვენა მხარეს, ქამრის ქვეშ (ეს ჩვენება არსად არ იცვლება. — ავტ.). როგორღა უნდა ამოეღო მას ასეთნაირად ჩადებული იარაღი მარჯვენა ხელით? თუნდაც სათამაშო იარაღით სცადეთ ამ პროცედურის თანმიმდევრულად გამეორება. ოღონდ ფრთხილად! შეიძლება, ხელის მტევანი დაიზიანოთ!

ივერიელმა არ იცოდა სროლა, იყო ახლომხედველი, კაბინაში გიას მერე შევარდა, სადაც სივიწროვის გამო ნახევარბრუნით შეიჭუჭყა. ცაციობის მიუხედავად, ქამრის მარჯვენა მხარეს მარცხენა ხელით ჩადებული იარაღი მარჯვენა ხელით ამოიღო და ესროლა კაცს, რომელიც საწინააღმდეგო მხარეს იდგა და სნაიპერულად შუბლში მოარტყა! დაჭრილი კი ამის შემდეგ თავისი ფეხით კაბინაში შეცოცდა და თბილისამდე ცოცხალი იყო. თუ ეს ასეა, ჩვენ ახალ ბალისტიკურ კანონთან და სასწაულთან გვაქვს საქმე!

და აი კახა ივერიელის ჩვენება რომელზეც 10 თვე მუშაობდა საკავშირო უშიშროების ყველაზე ინტელექტუალური გუნდი და რომელიც საშინელებათა ფილმის ფსიქოლოგიური ტრილერის ყველა მოთხოვნას პასუხობს და კონკურენტი არა ჰყავს:

„როდესაც მე გიას მივყევი კვალდაკვალ, შევვარდი კაბინაში და ექვსჯერ მიბჯენით შარბათიანის მიმართულებით ვისროლე „რევსტერის“ ტიპის რევოლვერიდან; მართალია ცაცია ვარ, მაგრამ მაინც მარჯვენა ხელში მეჭირა. შარბათიანი იატაკისაკენ ჩაცურდა. მე იარაღი კაბინის მარჯვენა მხარეს მჯდომ პილოტს დავადე საფეთქელზე. ამ დროს გია გავიდა და წერეთელს „ნაგანი“ გაუცვალა „ტტ“-ში, რომ შემოვიდა, ხელი მკრა და კაბინის მარცხენა მხარეს მჯდომი პილოტის ზურგს უკან აღმოვჩნდი, რომელსაც „რევსტერი“ მივადე თავზე. გიამ კი მარჯვენა მხარეს მჯდომ პილოტს მიადო და უბრძანა, „თურქეთში გაფრინდით“. კაბინის სივიწროვის გამო მე ცხვირისაკენ ნახევარწრიული ბრუნით, მარცხენა მხარით ვიდექი. გიამ ჭედიას ესროლა. ამ დროს ვიღაცამ ისროლა. მე ვიყვირე, ვინ ისროლა-მეთქი და ამ დროს დამჭრეს. სალონში გამოვედი ძმასთან დასამშვიდობებლად. უნდა აღვნიშნო, რომ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, მე ძალიან აღგზნებულ მდგომარეობაში ვიყავი. ჯეროვნად, ბოლომდე მაინც ვერ

ვხვდები, რა მოხდა, მაგრამ როდესაც გავეცანი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, გავიგე, რომ შარბათიანისათვის ექვსჯერ მისვრია მარჯვენა ხელით. მე მარცხენა მხარში ვესროდი შარბათიანს და ვარდნის პროცესში კიდევ ხუთჯერ გამისროლია, რომელიც თავში მოხვედრილა. მე იარაღი ერთ დონეზე მეკავა და თავში არ დამიმიზნებია". — **1984 წლის 21 მაისი.**

ირინა ნიკოლოზის ასული ხიჩიძე დაბადებული 1959 წელს, რეისი №6833-ის ცოცხლად დარჩენილი ბორტგამცილებელი: „თვითმფრინავის ბორტზე ჩვეულებრივ სამედიცინო შემოწმების შემდეგ ავედი. იქ რამდენიმე ადამიანი ძირითად ჯგუფზე ადრე ასულიყო „ინტურისტების" გასასვლელიდან. ეს რომ გავიგე, დავინტერესდა თუ რომელი ქვეყნის დელეგაცია იყო, რაზეც მიპასუხეს, რომ ისინი „ინტურისტის" თანამშრომლის ნანას ნაცნობები იყვნენ. ფრენა ამინდის გამო იდებოდა. სალონში ერთი მგზავრი, მოქალაქე ვინმე გალოგრე უწესოდ იქცეოდა, ხმაურობდა, უცენზურო სიტყვებს იძახდა და მე იძულებული ვიყავი, ბორტზე მილიცია გამომეძახებინა. თუ არ ვცდები, ფრენა საათზე მეტი ხნით ფერხდებოდა. შეფერხების გამოცხადებიდან დაახლოებით 30 წუთში თვითმფრინავში კვლავ ნანა ამოვიდა, რომელიც თავის ნაცნობებთან მივიდა. მერე მისი ნაცნობები ქვემოთ ჩავიდნენ მოსაწევად. აფრენის დროს მე და ვალია კრუტიკოვა ჩვენს ბუფეტ-სამზარეულოში ვსადილობდით. როდესაც ყავის სმა დავაპირეთ, ჩვენთან სოსო წერეთელი შემოვიდა, რომელმაც გვთხოვა, რომ მისთვის გაგვეკეთებინა ყავა. მე ალბათ არც შევუსრულებდი მას ამ თხოვნას, რომ არ დამენახა, რომ იგი ნანას ნაცნობი იყო. მე დავინტერესდი, თუ რატომ ისარგებლეს მათ „ინტურისტის" გასასვლელით. რაზეც სოსომ მიპასუხა, რომ ისინი ნანას ნაცნობები არიან და ამით ნანამ თავისი პატივისცემა გამოხატაო. და კვლავ გაიმეორა, რომ ისინი მეჯორწილეებს ბათუმში მიჰყვებიან... რომ გეგა ცნობილი კინომსახიობია. ჩამოთვალა ფილმები მისი მონაწილეობით... საკუთარ თავზე სოსომ თქვა, რომ თვითონაც კინოსტუდია „ქართული ფილმის" მხატვარი იყო. ის ამას ყავის სმის დროს გვიყვებოდა.

აუცილებელია ითქვას, რომ შემმოწმებელი შარბათიანი ფრენის დაწყებამდე, დაწყების მომენტში და შემდგომ პერიოდშიც იჯდა ასაკეც სკამზე, რომელიც პილოტების კაბინის უკან, სამო-

სამსახურო კარის ილუმინატორის ქვეშ არის და საიდანაც წინა საბარგული იტვირთება. აფრენიდან 20 წუთის შემდეგ მე პილოტების კაბინისაკენ გავემართე, რათა ბათუმში ჰაერის ტემპერატურა გამეგო და დავინახე, ჩემ წინ როგორ შევიდა შარბათიანი პილოტებთან და კარი მიიხურა. ამ დროისათვის კრუტიკოვა ბუფეტ-სამზარეულოში რჩებოდა და მარცხენა ბორტზე მდებარე ასაკეც სკამზე იჯდა. სოსო კი მის პირდაპირ მაცივრის გასწვრივ იდგა. ჩემს პირობით კაკუნზე კარი შარბათიანმა გაალო და ჩემს კითხვაზე მიპასუხა, რომ ბათუმში +8$^0$-ია, მაგრამ მთხოვა თვითმფრინავის დაშვება არ გამომეცხადებინა, რადგან ბათუმში ცუდი მეტეოპირობებია და შეიძლება უკან დავბრუნებულიყავით. ამის შემდეგ მან კარი მიიხურა და მე ბუფეტ-სამზარეულოში დავბრუნდი. იქ დავინახე სოსო, კახა ივერიელი, ტაბიძე, მგონი გეგა, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მე მგონი ისიც იყო მათთან (გეგა თავდასხმაში არანაირად არ მონაწილეობდა. — ავტ.) და თუ არ ვცდები, მათთან მეხუთე კაციც იმყოფებოდა... ვალია აღარ იჯდა, მათ მიერ კუთხეში მომწყვდეული იდგა. ისინი... მოწევას აპირებდნენ, რისი უფლებაც არ მივეცით და ჩვენი განყოფილების დატოვება ვთხოვეთ. კიდევ ვიმეორებ, სოსო, კახა და ტაბიძე კარგად დავიმახსოვრე, გეგა — არც ისე, ხოლო მეხუთე საერთოდ არ მახსოვს. როცა ისინი გავიდნენ, მე გადავწყვიტე მენახა, რა ხდებოდა სალონში და პირველ სალონში გამავალი ფარდა გადავწიე, კართან გავჩერდი, შესაძლოა ერთი ნაბიჯი გადავდგი.

მე დავინახე ილუმინატორის გვერდზე 2A სავარძელში მჯდომ 52-53 წლის, ოდნავ მელოტ მგზავრს ორივე ხელით თავი ეჭირა, სახეზე სისხლი ჩამოსდიოდა, ყვიროდა და შველას ითხოვდა. მის მახლობლად მარცხენა რიგების სავარძლებისაკენ ტაბიძე იდგა ნახევარბრუნით, ხელში რაღაც ეჭირა, მაგრამ რა, ვერ დავინახე. იატაკზე, მეორე რიგის გვერდით შუშის ნამსხვრევები დავინახე. ცოტა ხნით ადრე ტაბიძე დავინახე, სალონში მიმავალს ხელში ბოთლი ეჭირა, და რატომღაც ჩემთვის გავიფიქრე, რომ ეს მან ჩაარტყა მგზავრს თავში. ტაბიძეს ხელში რაღაც ეჭირა, მაგრამ რა, ვერ მოვასწარი დამენახა. პირველი სალონის შუაში, დაახლოებით მეხუთე რიგის გასწვრივ, როგორც მე მაგონდება, კახა ივერიელი იდგა. შესაძლებელია, მე ის ძმაში მეშლება, რომელსაც ხელში თავს ზემოთ აწეული ყუმბარა ეჭირა

და ყვიროდა: ,,ყველა ადგილებზე ისხედით, არავინ ადგეს, თვითმფრინავი გატაცებულია, თურქეთში მივფრინავთ“. თავის სიტყვებს ის უცენზურო გინებას აყოლებდა. ვიმეორებ, მე ვერ დავამტკიცებ დაბეჯითებით, რომ ეს მაინც და მაინც კახა ივერიელი იყო, რადგან მთელი ყურადღება დასისხლიანებული მგზავრისაკენ მქონდა გადატანილი. მაგრამ პირველი სალონის შუაში რომ ვიღაც მაღალი კაცი იდგა ყუმბარით და ველურივით ყვიროდა, ეს ნამდვილად კარგად მახსოვს. შეიძლება პაატა ივერიელიც იყო, რადგან ორივე ძმა მაღლები და დაახლოებით ერთნაირი აგებულების არიან. თუ არ ვცდები, გეგა და თინა თავ-თავიანთ ადგილებზე ისხდნენ. მიქაბერიძე სად იყო, ყურადღება არ მიმიქცევია, ყველაფერი ზემოთ ნახსენები წამებში ხდება. ამის შემდეგ ტაბიძე, კახა ივერიელი, მიქაბერიძე დათო და პაატა ივერიელი, ოთხივენი მომვარდნენ და შემიყვანეს ბუფეტ-სამზარეულოში, სადაც სოსო და ვალია კრუტიკოვა იმყოფებოდნენ. სხვათაშორის, ვალია ისევ მარცხენა ბორტის კუთხეში იდგა.

ბუფეტ-სამზარეულოში ტაბიძე და სოსო წერეთელი ეცნენ კრუტიკოვას და პილოტების კაბინისაკენ წაიყვანეს, უთხრეს რომ მფრინავებისთვის დაეკაკუნებინა და მოეთხოვა, რომ თურქეთში გაფრენილიყვნენ. ამ დროს ან მიქაბერიძემ ან კახამ, ზუსტად არ შემიძლია ვთქვა, უკნიდან დამიჭირეს ხელებით და მფრინავების კაბინის გასასვლელში დამაყენეს. მე ვეცადე ფეხი განგაშის ღილაკისთვის დამეჭირა, მფრინავები რომ გამეფრთხილებინა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვძებნე ღილაკი. მერე მე თავდამსხმელებს შევთავაზე მფრინავებთან ტელეფონით დაკავშირება და თურქეთში გადასვლის მოთხოვნის გადაცემა. რამდენიმეჯერ დავაჭირე ტელეფონის ღილაკს, მაგრამ მფრინავები არ პასუხობდნენ. იმის გამო, რომ მე მფრინავების კაბინის გასასვლელში ვიდექი, კარგად დავინახე ის, რაც ხდებოდა.

მე დავინახე, რომ ტაბიძე და წერეთელი შეიარაღებულები — პირველი მგონი პისტოლეტით, მაგრამ ზუსტად მტკიცება არ შემიძლია, რადგან იარაღის კარგად შეთვალიერება ვერ მოვახერხე, სოსო კი ლურჯტარიანი დანით — პილოტების კაბინასთან იდგნენ. ჰქონდა თუ არა სოსოს იარაღი, მე ვერ შევამჩნიე. მაშ, ასე: ტაბიძე მფრინავების გარდერობის ახლოს, კაბინის კარის უკან იდგა, სოსო კი წინა საბარგულთან დაიხარა. კრუტიკოვა კი ზუსტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარების წინ იდგა, ისე, რომ მისი „გლაზოკიდან“ დანახვა შეიძლებოდა. რომელმა მათგანმა დაუკაკუნა მფრინავებს, მე არ ვიცი, რადგან არ დამინახავს. კაბინის კარი კი გაიღო და მასში შარბათიანი გამოჩნდა. იმავდროულად ტაბიძე, რომელიც კარს იქით იდგა, ეცა შარბათიანს და გაისროლა... გასროლები-მეთქი, იმ მიზეზით ვამბობ, რომ ისინი რამდენიმე იყო. რამდენჯერ ისროლა პირადად ტაბიძემ, არ ვიცი, მაგრამ დავინახე, რომ ის შარბათიანს ესროდა. როდესაც მან სროლა დაიწყო, კრუტიკოვა კარებიდან მოისროლა და ის გასასვლელში აღმოჩნდა. მე მოვასწარი შემემჩნია, რომ შარბათიანმა ხელი მარჯვენა მხარზე იტაცა და ნელ-ნელა ჩაიკეცა. ამ დროს მეც გადამაგდეს და თვითმფრინავის შესასვლელ კართან აღმოვჩნდი, სადაც განგაშის ღილაკს დავაჭირე ფეხი. ვის ვეჭირე უკნიდან და ვინ გადამაგდო, მაინც ვერ დავინახე. ამ დროს საშინელი სროლა ატყდა... მე მგონია, რომ ის, ვისაც უკნიდან ვეჭირე, პილოტების კაბინისაკენ გავარდა, რადგან როცა ვვარდებოდი, პირველ სალონში შემსვლელი არავინ დამინახავს. რამდენი დრო გავიდა, ვერ ვიტყვი, მაგრამ რომელიღაც თავდამსხმელმა, არ ვიცი, ზუსტად ვინ, იატაკიდან ამაყენა და პირველ სალონში შემიყვანა. მეოთხე რიგის დონეზე მე უკნიდან თავში რაღაც ბლაგვი ჩამარტყეს, ვფიქრობ, რომ ეს იყო პისტოლეტი. გონზე რომ მოვედი, 4ВГ სავარძელში ვიჯექი, ჩემი ფეხები კი გასასვლელში ეკიდა. ჩემ უკან მჯდარმა გეგამ თმებში ჩამავლო ხელი და ასე ვისხედით... როდესაც გონზე მოვედი, დავინახე, რომ კახა ივერიელი ბუფეტ-სამზარეულოდან გამოვიდა. მას ორივე ხელი მკერდზე ეჭირა. მარჯვნივ მკერდზე მე სისხლის ლაქა შევნიშნე. ხელში იარაღი ეჭირა, მაგრამ რევოლვერი თუ პისტოლეტი, არ ვიცი, ვერ დავიმახსოვრე. თუ არ ვცდები იგი მეხუთე რიგში დაჯდა. ამ დროს საშინელი რყევა ატყდა, თაროებიდან ნივთები ცვიოდა. ისეთი შეგრძნება იყო, რომ თვითმფრინავმა მართვა დაკარგა. მახსოვს, რომ მე გეგას ვუთხარი, ალბათ მფრინავები ამოხოცეთ და ჩვენ ვვარდებით-მეთქი, და ვთხოვე მფრინავებთან შეშვება. მათ მფრინავებთან ვალია კრუტიკოვა გააგზავნეს, რომელიც მე მარცხენა ბორტის მესამე რიგთან დავინახე... გეგამ და მისმა მეგობარმა, ვგულისხმობ მიქაბერიძეს, რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს და დათომ ჩემი გაშვება ბრძანა. მე მეორე რიგამდე მივედი და წავიქეცი. რატომ — ვერ ვიტყვი. გონზე რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვედი, გავიგონე, როგორ განაცხადა მიქაბერიძემ, რომ მე შეიარაღებული ვარ. მე ფორმის პიჯაკის კალთები შევიხსენი და ვუპასუხე, რომ უირალო ვარ... მიქაბერიძემ, რომელსაც ხელში პატარა რევოლვერი და ყუმბარა დავუნახე, მფრინავებთან გამაგზავნა, თან მითხრა, რომ თუ თვითმფრინავი თურქეთში არ დაჯდება, მაშინ ის ყველას ამოგვხოცავს.

მფრინავების კაბინას რომ მივუახლოვდი, ასაკეც სკამზე მჯდომი ვალია კრუტიკოვა დავინახე, რომელიც მოხრილი იჯდა. მან მითხრა, რომ ნუ დააკაკუნებ, რადგან მფრინავები კარს მაინც არ გააღებენო. მე მის გვერდით ჩავიმუხლე. დაჭრილი თუ იყო, არ უთქვამს, არც მე შემიმჩნევია მის ტანსაცმელზე სისხლი. რომ მოვტრიალდი, გასასვლელში ტაბიძე იწვა უმოძრაოდ, ფეხებით კაბინისკენ, მივხვდი რომ მკვდარი იყო.

წინა საბარგულში სოსო წერეთელი შევნიშნე, თან საბარგულის ბადე ჩამოშვებული იყო. იგი უიარაღოდ იყო და ორივე ხელი ყელზე ეჭირა. აუცილებელია აღვნიშნო, რომ თვითმფრინავის ნჯღრევა პრაქტიკულად იმ დროს დამთავრდა, როდესაც იატაკზე ვიჯექი დაჭრილი პლოტკას გასწვრივ.

როდესაც მე და ვალია მფრინავების კაბინასთან ვისხედით, მიქაბერიძემ იკითხა, სოსო თუ არის ცოცხალიო. რომ გაიგო ცოცხალიაო, მთხოვა მისგან სიგარეტი ამეღო. სოსომ ჩვენ ერთი სიგარეტი მოგვაწოდა და ვალიამ იგი დათოს მისცა, რომელმაც კვლავ გაიმეორა, რომ თუ თვითმფრინავი თურქეთში არ დაჯდებოდა, იგი აუცილებლად მოგვკლავდა.

ამ დროს მიწა გამოჩნდა და მე და ვალია მივხვდით, რომ თბილისში ვეშვებით. თუმცა ვაგრძელებდით მიქაბერიძის დამშვიდებას, თურქეთში ვეშვებითო. როდესაც თვითმფრინავი ჯდებოდა, ვალიამ შემომთავაზა საფრენ ბილიკზე გადახტომა. გაეღო სამუშაო გასასვლელი, უფრო სწორედ სათადარიგო გასასვლელი, რომლის სიახლოვესაც ვისხედით. მე ვუთხარი, რომ თვითონ გადამხტარიყო, მაგრამ მან უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ შეიძლებოდა ბორბლების ქვეშ მოხვედრილიყო. ამ დროს თვითმფრინავი ბორბლებით მიწას შეეხო და მიქაბერიძე ეცა ილუმინატორს, თუ მგონი პირველ სალონში შევარდა. მე და ვალიამ ამით ვისარგებლეთ, კარი, უფრო სწორედ სათადარიგო გასასვლელი გავაღეთ. მე ხელებზე დავეკიდე და მიწაზე, უფრო სწო-

რედ ბეტონზე დავვარდი; სროლები და ყვირილი გავიგონე, დაწექით. მერე არაფერი მახსოვს... მინდა აღვნიშნო, რომ კარებს რომ ვაღებდით, სოსო წერეთელმა ეს დაინახა, მაგრამ ხელი არ შეუშლია. მერე უკვე ჰოსპიტალში გავიგე, რომ ვალია კრუტიკოვა დაიღუპა, მაგრამ რისგან, დღემდე არ ვიცი". **— 1984 წლის 17 თებერვალი.**

ეს ჩვენება ბორტგამცილებელ ირინა ხიმიჩის გულწრფელობაზე მეტყველებს. იგი ფაქტებს მეტ-ნაკლები სიზუსტით და დამახინჯების გარეშე გადმოსცემს, რითაც სრულად ჰკრავს სურათს. მაგალითად, ის ამბობს, რომ კარგად დაინახა, როგორ ესროლა შარბათიანს ტაბიძემ მხარში და არა თავში. და რომ ამ უკანასკნელმა ხელი სწორედ მხარზე წაივლო. იგი აგრეთვე ამბობს იმასაც, რომ მგზავრმა ალუდა სოლომონიამ ტრავმა მიიღო ღვინის ბოთლის თავში ჩარტყმის შედეგად. მართალია, ის ამას ტაბიძეს აბრალებს, სინამდვილეში კი ეს პაატა ივერიელმა გააკეთა. ყურადსაღებია ისიც, რომ ის არც სოსო წერეთელს უკარგავს თავის სიმართლეს. მისი თქმით, სოსოს იარაღი არ ჰქონია და მას ორივე ხელი ყელზე მიედო. ხოლო როდესაც მან დაინახა, როგორ აპირებდნენ ბორტგამცილებლები თვითმფრინავიდან მიწაზე გადახტომას, მათთვის ხელი არ შეუშლია. ხიმიჩი იმასაც აჩვენებს, რომ გეგა მთელ ამ ისტორიაში მხოლოდ სტატისტის როლში იყო და ბოლო მომენტში თავს ზემოთ ხელოვნური ხელყუმბარა ასწია მგზავრების შესაშინებლად.

ივერიელი პაატა ვაჟას ძე დაბადებული 1957 წელს, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, უმაღლესი სამედიცინო განათლებით, ქირურგი. ქ. თბილისის ქირურგიის კათედრის კლინიკის ორდინატორი. დამთავრებული აქვს ქ. მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახ. ხალხთა მეგობრობის საერთაშორისო უნივერსიტეტი. მცხ. თბილისში, კამოს ქუჩა №4, ბინა 93.

„როგორც მე ამა წლის 18 იანვარს დაკითხვაზე ვაჩვენე, ტაბიძემ თვითმფრინავზე თავდასხმა დაიწყო პირველი სალონიდან, როდესაც ესროლა პირველი რიგის 1Г-ზე მჯდომ შტურმანს. მე კი ჩემი მხრივ, თავში ბოთლი ჩავარტყი მგზავრს, რომელიც იჯდა 2A ადგილზე. ამის შემდეგ ტაბიძე გაიქცა მფრინავების კაბინის მიმართულებით, საითაც მეც გავემართე. როდესაც სტიუარდესების განყოფილებაში შევედი, გავიგონე, თუ როგორ ყვიროდნენ ისინი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ გვესროლა პილოტებისთვის, თან აცხადებდნენ, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ ისე, როგორც ჩვენ ვეტყვით. ამ დროს მე ძმის კახას და სოსოს ქურთუკები დავინახე. ისინი პილოტების კაბინაში შევიდნენ. ტაბიძე ამ დროისთვის აღარ დამინახავს და მიმაჩნია, რომ ის მფრინავებთან პირველი შევარდა. იყო თუ არა თვითმფრინავში შემმოწმებელი, მე არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში არანაირი შემმოწმებელი მე არ შემინიშნავს და როდის შევიდა მფრინავების კაბინაში, ვერ ამიხსნია. შემეშინდა, რომ მომხვდებოდა ტყვიები, რომლებიც პილოტების კაბინიდან მოფრინავდნენ... დავტოვე სტიუარდესების განყოფილება და პირველ სალონში გამოვედი. როდესაც მეორე-მესამე რიგს მივუახლოვდი, თვითმფრინავი შეირყა და მე ფეხზე ვერ გავმაგრდი და თვითმფრინავის მარჯვენა ბორტს მივეყრდენი... ამ დროს ვიგრძენი, რომ ფეხის რბილობში ტყვია ჩამეჭედა. ყუმბარა მე ხელში მქონდა და მგზავრებს, რომლებიც სხვათა შორის სროლის დროს თავიანთი ადგილებიდან არ ამდგარან, ეს უნდა დაენახათ. მინდა აღვნიშნო, რომ პილოტების კაბინიდან გამოსროლილი ტყვიები მარჯვენა და არა მარცხენა ბორტის გასწვრივ მიფრინავდა. ვიგრძენი, რომ დაჭრილი ვიყავი, მე მაინც მოვახერხე ფეხზე დადგომა და ამ დროს ჩემი ძმა დავინახე, რომელიც პირველ სალონში შემოვიდა. მას მარჯვენა ხელი მკერდზე მიედო, შავ სვიტრზე, მკერდთან, სისხლის ლაქა აჩნდა და შევამჩნიე, რომ იმ ადგილას სვიტრი გამოგლეჯილი ჰქონდა. უფრო სწორედ, კახას სვიტრზე ჰქონდა ნახვრეტი, თითქოს ნახვრეტის კიდეები გარეთ იყო გადმობრუნებული. კახას პირიდან სისხლი სდიოდა. მან მითხრა, მომკლესო. მე ძმა მე-10 თუ მე-11 რიგამდე მივიყვანე, სადაც მარჯვენა ბორტის მიმართულებით დავსვი. სანამ ძმას სავარძელში ჩავსვამდი, ვკითხე, თუ რა მოხდა. კახამ მიპასუხა, რომ მან სთხოვა ტაბიძეს, არ ესროლა. მაგრამ მან არ დაუჯერა და შედეგად აი რა გამოვიდა. ძმა რომ დავსვი, დავინახე მიქაბერიძე პისტოლეტით ხელში, რომლის მჭიდეც უკიდურესად უკანა მდგომარეობაში იყო და არ იკეტებოდა. როდესაც მასთან მივედი, დათომ გადმომცა პისტოლეტი „ტტ“, თვითონ კი პილოტების კაბინის მიმართულებით გაიქცა სტიუარდესების კაბინაში. ის ჩემი მხედველობის ველში იმყოფებოდა და მე დავინახე, როგორ აიღო მიქაბერიძემ იატაკიდან „ნაგანის“ ტიპის რევოლვერი. მე კი თითი დავა-

ჭირე ტყვიას და ,,ტტ''-ის მჭიდე ჩაიკეტა. მომეჩვენა, რომ მასში სამი ტყვია იყო დარჩენილი. ამ დროს სტიუარდესები უყვიროდნენ პილოტებს, რომ თურქეთისაკენ მოებრუნებინათ. მიქაბერიძემ გადატენა ,,ნაგანი'' ტყვიებით, რომლებიც ჯიბიდან გამოიღო და დადგა რა სტიუარდესების კაბინის მარცხენა ბორტთან, დაიწყო სროლა პილოტების კაბინის მიმართულებით. თვითმფრინავმა ხან ვარდნა, ხან აწევა დაიწყო, ე. ი. ორმოებს აკეთებდა. ყველა მგზავრი თავ-თავიანთ ადგილებიდან ამოფრინდა და უკან ეხეთქებოდა სავარძელში. ამ დროს მე მეხუთე თუ მეექვსე სავარძლის უკან ვიმალებოდი, რადგან პილოტების კაბინიდან თვითმფრინავის მარჯვენა ბორტის მიმართულებით კვლავ მოფრინავდა ტყვიები. როდესაც თვითმფრინავი ღრუბლებიდან გამოვიდა, სიჩუმემ დაისადგურა, ე. ი. სროლა შეწყდა. ამ დროს დათომ აიღო მიკროფონი და სტიუარდესების ოთახიდან დაიწყო მგზავრების დამშვიდება; ის ამბობდა, რომ ჩვენ მათ არაფერს დავუშავებდით, ოღონდ კი პილოტებმა თვითმფრინავი თურქეთში დასვანო. მინდა აღვნიშნო, რომ სანამ დათო მიმართავდა მგზავრებს... მეც მივმართე მათ თხოვნით, რომ მათაც მოეთხოვათ თურქეთში წასვლა. მგზავრებიდან თითო-ოროლა შეძახილი გაისმა და ამის შემდეგ ყველაფერი ჩაწყნარდა. სად იმყოფებოდნენ ამ დროს სოსო, ტაბიძე, კობახიძე ცოლით, მე არ დამინახავს. სალონში იმყოფებოდა დაჭრილი კახა, მიქაბერიძე იდგა სტიუარდესების ოთახში. აუცილებელია აღვნიშნო, რომ კახამ შემატყობინა, რომ როდესაც ტაბიძესთან ერთად შევარდა კაბინაში და გიამ სროლა ატეხა, მფრინავები მზად იყვნენ თავდასხმისთვის და ქვემოდან ვიღაც მათგანმა ესროლა მას. ჩემმა ძმამ ვინმეს თუ ესროლა, არ უთქვამს''.
**— 1984 წლის 21 იანვარი.**

,,მე დავთანხმდი, მონაწილეობა მიმეღო თვითმფრინავზე თავდასხმასა და მის საზღვარგარეთ გატაცებაში. აუცილებელია აღვნიშნო, რომ ჩვენი დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა წევრი მშვენივრად აცნობიერებდა, რომ მძიმე დანაშაულის ჩადენას ვაპირებდით, მაგრამ ვიყავით რა ანტისაბჭოთა სულისკვეთებით განწყობილნი, არც ერთ ჩვენთაგანს არ მიუღია არანაირი ზომები ამის აღსაკვეთად. როდესაც გეგმას ვამუშავებდით წყნეთში, მიქაბერიძემ განაცხადა, რომ ბათუმიდან თურქეთში საზღვარზე გადაფრენა 15 წუთზე ნაკლებს დაიჭერს და ჩვენს ჩამოგდებას ვერ

მოასწრებენო. სოსომ და დათომ იცოდნენ, რომ საპორტო ქალაქ ტრაპიზონში არის ამერიკული სამხედრო ბაზები და თუ თურქეთის ხელისუფლება ჩვენს დაჭერას დააპირებდა საჰაერო ბანდიტიზმის გამო, მაშინ ჩვენ ამერიკელებთან შეხვედრას მოვითხოვდით, რომლებსაც ჩავბარდებოდით. მომავალში ჩვენ ალბათ ამერიკელებს პოლიტიკურ თავშესაფარს ვთხოვდით, მაგრამ კონკრეტული საუბარი, საზღვარგარეთ გაქცევის გეგმის განხილვის დროს, ჩვენს შორის არ ყოფილა. ყველაფერი დამოკიდებული იქნებოდა შემდგომ ვითარებაზე. მახსოვს, მე ვთქვი, რომ გაზეთში წავიკითხე სტატია, სადაც ლაპარაკი იყო თურქეთში თვითმფრინავის გატაცებაზე და რომ თურქეთის ხელისუფლება არ აძლევს პოლიტიკურ თავშესაფარს თვითმფრინავის გამტაცებლებს; არამედ 7 წლით მკაცრი რეჟიმის ბანაკში თავისუფლების აღკვეთას უსჯის...

ახლა მე გავაგრძელებ ჩემს წინა ჩვენებას „ტუ 134"-ის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით. როგორც წინა ჩვენებაში აღვნიშნე, მე და კახა ვიმყოფებოდით პირველ სალონში, თან ორივე დაჭრილები ვიყავით, დათო იდგა სტიუარდესების ოთახში და პერიოდულად ისროდა პილოტების კაბინის მიმართულებით, საიდანაც საპასუხო გასროლები ისმოდა. როდესაც თვითმფრინავი ღრუბლებს დაბლა დაეშვა და თანაბრად დაიწყო ფრენა, დავინახე დედამიწა. სალონის მგზავრებმა დაიწყეს საუბარი, რომ ეს უკვე თურქეთია. მე არ დავეთანხმე, თუ ეს თურქეთია, ზღვა რატომ არ ჩანს-მეთქი. ამ დროს მე დაახლოებით მარჯვენა ბორტის მერვე რიგში ვიმყოფებოდი, და როცა დაახლოებით 60 წლის ქალმა დაინახა, რომ ფეხის გადასახვევს ვეძებდი, თავის შავ კაბას შემოახია ქვედა ნაწილი და ფეხი გადამიხვია, მაგრად შემომახვია, რათა სისხლისდენა გაეჩერებინა. მიქაბერიძე ალბათ მიხვდა, რომ თბილისში ვეშვებოდით და რევოლვერის ლულა საკუთარი საფეთქლისაკენ გაიშვირა, მითხრა, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი გამოსავალიღა დაგვრჩა — თავის მოკვლა. მე დავუყვირე, რომ მას ეს არ გაეკეთებინა. ამ დროს თვითმფრინავი მიწას შეეხო და აეროდრომზე გაირბინა. პილოტების კაბინიდან გაისმა სროლები და ტყვიები თითქოს ჯერით სალონში შემოფრინდნენ, მე დავიხარე და როდესაც თვითმფრინავმა უკვე გაჩერება დაიწყო, მისი დაცხრილვა უკვე გარეთ მოალყე ჯარისკაცებმა დაიწყეს. თვითმფრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავის გაჩერების შემდეგ ყურადღება მივაქციე მიქაბერიძეს, რომელიც სტიუარდესების ოთახში ნახევრად მჯდომარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. თვალები გახელილი ჰქონდა, სახეზე კი ღიმილი შერჩენოდა, თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრდაო. დროის რაღაც მონაკვეთის შემდეგ დავინახე, რომ ის იწვა ზურგზე პირაღმა. სროლის მომენტი, როდესაც მან თავი მოიკლა, მე არ დამინახავს. აგრეთვე ვერ შევამჩნიე სროლის კვალი მის თავზე. გადახტა თუ არა ვინმე თვითმფრინავიდან იმ დროს, როდესაც იგი საფრენ ბილიკზე მიგორავდა, არ შემინიშნავს, მაგრამ უკვე მოგვიანებით ყურადღება მივაქციე, რომ მარცხენა ბორტის საავარიო ლუკი მეორე სალონში გახსნილია. მეორე სალონში მარჯვენა ბორტის საავარიო ლუკის სახელური აგრეთვე ქვემოთ იყო დაშვებული, თვითონ ლუკი კი დახურული იყო. ალბათ ვიღაც მის გახსნასაც ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო... იმასთან დაკავშირებით, რომ მე ერთადერთი დავრჩი მეტ-ნაკლებად ჯანმრთელი, დავიწყე ცოცხალი თანამზრახველების ძებნა. დავინახე, რომ გეგა კობახიძე იჯდა მეექვსე რიგში, მას მგონი მარჯვენა ფეხი ჰქონდა წინ გამოწეული მარჯვენა ბორტის სავარძლის გასწვრივ. მე ვკითხე, რა მოხდა-მეთქი, მან მიპასუხა, რომ ფეხში იყო დაჭრილი. სად იყო თინა, არ დამინახავს. ალბათ ის სავარძლების უკან დაიმალა. ასე და ამგვარად, თვითმფრინავის გაჩერების შემდეგ მასში შემდეგი ვითარება იყო: ჩემი ძმა კახა იჯდა მე-10 ან მე-11 რიგში, მკერდში დაჭრილი. გეგა კობახიძე იჯდა მეექვსე რიგში, ფეხში დაჭრილი... მიქაბერიძე იწვა სტიუარდესების ოთახში. თინა სადღაც იმალებოდა. მათთან მოსული ქალიშვილები, მე მგონი, თავ-თავიანთ ადგილებზე ისხდნენ. ტაბიძე და წერეთელი სალონში არ იმყოფებოდნენ და არც სტიუარდესების ოთახში დამინახავს. ვფიქრობ, რომ ისინი პილოტთა კაბინის მახლობლად იმყოფებოდნენ, სადაც მე არ მივდიოდი, რადგან გასროლების მეშინოდა.

...როდესაც მგზავრები თვითმფრინავის გაჩერების მერე ეცადნენ თავ-თავიანთი ადგილებიდან წამომდგარიყვნენ, მე მივუშვირე პისტოლეტი „ტტ", რომელიც მიქაბერიძემ გადმომცა და ვუბრძანე მათ, არ განძრეულიყვნენ. ისინი დამემორჩილნენ. ამ დროს ყუმბარა მე უკვე აღარ მქონდა და ვფიქრობ, რომ ის ალბათ ჩემი დაჭრის შემდეგ ან ფეხის გადახვევის დროს ჯიბიდან ამომივარდა. გარეთ ჯერ კიდევ დღე იყო, მაგრამ რა დრო იყო, არ

ვიცი, ვერ გეტყვით, რადგან საათი არ მქონია. გავიხედე ილუმინატორში და მარჯვენა ბორტიდან ალყაში მდგომი ჯარისკაცები დავინახე, სადღაც შორს მილიციის ავტომანქანა იდგა... მე ვთხოვე, რომელიმე მგზავრი გასულიყო და ეთქვა ჯარისკაცებისათვის, რომ მათ არ ესროლათ, რადგან მათ შეეძლოთ მოეკლათ ან დაეჭრათ მგზავრები. ქალმა, რომელმაც ფეხი გადამიხვია, გამოთქვა გარეთ გასვლის სურვილი, რათა ჯარისკაცებისთვის გადაეცა ჩემი თხოვნა. თუ არ ვცდები, ის სტიუარდესების ოთახის სამოსამსახურო გასასვლელით გავიდა, რომელიც თვითმფრინავის მარჯვენა ბორტზე მდებარეობს. მე მერვე ან მეცხრე რიგში ვიჯექი და მისი თვითმფრინავიდან გასვლა არ დამინახავს. ის წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ამ დროს სროლა შეწყდა, მაგრამ მე შევამჩნიე, რომ ჯარისკაცებმა მოძრაობა დაიწყეს, და რაკი შემეშინდა, რომ ისევ სროლას დაიწყებდნენ, გარეთ კიდევ რამდენიმე მგზავრი გავუშვი. მათ რიცხვში შემიძლია დავასახელო მგზავრი, რომელიც ჩემი ძმის კახას პირდაპირ იჯდა. მას ვუთხარი, რომ მე და ჩემი ძმა ექიმები ვართ, რომ ჩვენ მივაფურთხეთ ყველაფერს და თურქეთში გაფრენა გვინდა. ეს მგზავრიც გავიდა და აღარ დაბრუნებულა. ჯარისკაცებმა ისევ მოძრაობა დაიწყეს და ერთმა მგზავრმა, ეროვნებით რუსმა, რომელიც მხარში დაიჭრა, თქვა, რომ გავიდოდა გარეთ და ჯარისკაცებს სთხოვდა, არ ესროლათ. ამის გაკეთების ნება დავრთე და ისიც წინა მგზავრთან ერთად გასასვლელიდან გავიდა, რადგან იმ მომენტში ტრაპი მოადგეს. გავიგონე რა თვითმფრინავის ქვეშ რაღაც ფორიაქი, მე დავუძახე მაღალ ქართველს მეორე სალონიდან, რომელსაც ვუჩვენე პისტოლეტი და ვკითხე, ნახა თუ არა მან, რომ ხელში ბომბი მქონდა, რომელიც სხვათა შორის, იმ მომენტისათვის უკვე აღარ მეპყრა ხელთ. იმ მგზავრმა დამიდასტურა. ვუთხარი, გასულიყო და გადაეცა, რომ თუ ჯარისკაცები თვითმფრინავს მოუახლოვდებოდნენ, თვითმფრინავს ავაფეთქებდი ამ ბომბით. ისიც გავიდა და აღარ დაბრუნებულა. თვითმფრინავიდან ჯარისკაცებთან მოლაპარაკებაზე კიდევ რამდენიმე მგზავრი გავიდა, რამდენი ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ არც ერთი არ დაბრუნებულა. ეს ყოველივე თვითმფრინავის დაშვებიდან ერთი საათის განმავლობაში ხდებოდა. მოვიდა ვიღაც კაცი, ალბათ აეროპორტის წარმომადგენელი და გასასვლელში მდგომი პირების მეშვეობით

გვკითხა, რა გვინდოდა. მე მხოლოდ კითხვები მესმოდა, თვითონ კაცი კი არ დამინახავს. მე ვთხოვე გადაეცა, რომ თურქეთში გაფრენა გვინდა. მან მითხრა, რომ მოგვცემდნენ ახალ თვით-მფრინავს, თუ ჩვენ დაჭრილებს და მოკლულებს წინასწარ გადავცემდით. მე უარი ვთქვი... რადგან შემეშინდა, რომ ამ დროს შეიძლებოდა ჯარისკაცები შემოვარდნილიყვნენ, ჩემი იარაღი კი ვაჩნას ჰქონდა. ისიც ვიცოდი, რომ ტყვიაგაუმტარ ჟილეტებში იქნებოდნენ და ჩვენ უცებ განგვაიარაღებდნენ. მე მოსალაპარაკებლად კობახიძის ნაცნობი გოგონებიც გავგზავნე. რაღაც დროის განმავლობაში ისინი კართან იდგნენ და მერე მიწაზე გადახტნენ. გარეთ ბნელდებოდა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ გარედან გვისმენდნენ სპეციალური ხელსაწყოებით, რომლებიც მფრინავების კაბინასა და სალონში იყო. ამ მიზეზის გამო გადავწყვიტე, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და აეროპორტის ადმინისტრაციისათვის მეჩვენებინა, რომ ყველაფრისათვის მზად ვიყავით, თუ არ დააკმაყოფილებდნენ ჩვენს მოთხოვნებს. ამ მიზნით მე დავიწყე მგზავრების მუქარა, რომ ყველას გადავცხრილავდი, რამდენიმეჯერ ვთქვი, რომ თვითმფრინავს ავაფეთქებდით. იქ ბიძაშვილები ისხდნენ. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მოლაპარაკებაზე გავუშვი, გავაფრთხილე, რომ თუ არ დაბრუნდებოდა, მის ბიძაშვილს მოვკლავდი. არ დაბრუნდა. მე გაუბედავი რომ არ ვგონებოდი, მეორე ბიჭს ვუთხარი, რომ მოვკლავდი. თუმცა იქვე ვუთხარი, რომ წადი, ნახე ის შენი ბიძაშვილი და უთხარი, რომ ლაჩარია, რადგან ნათესავი მოსაკლავად გაიმეტა. ისიც ვუთხარი, რა იცის შენმა ბიძაშვილმა, ვინ ვარ და რატომ ფიქრობს, რომ არ მოვკლავდი თვითმფრინავში დარჩენილს. მან თქვა, რომ როგორც კი შეხვდება მას, ყველაფერს გაარკვევს, ოღონდ თვითმფრინავიდან არ გავიდა, რადგან მარჯვენა მხარში იყო დაჭრილი. ბიძაშვილები მეორე სალონის ბოლოში ისხდნენ. იმისთვის, რომ მგზავრები თავზე არ დაგვსხმოდნენ, მე დავიწყე განსახიერება ბანდიტისა, რომელიც ყველაფრისათვის მზადაა. ვცდილობდი სალონში გადავაადგილებულიყავი, რათა ყველა მგზავრი მხედველობის არეში მყოლოდა. ხელში პისტოლეტი „ტტ“ მქონდა. მე და გეგამ თინას ვთხოვეთ მოლაპარაკებების წარმოება აეროპორტის ადმინისტრაციასთან, რასაც იგი აკეთებდა. გარედან გვითხრეს, რომ საჭიროა მფრინავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორტზე ამოშვება, რათა მან შეძლოს მისი დათვალიერება და შეფასება — შეუძლია თუ არა თვითმფრინავს გაფრენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დავეთანხმე, ოღონდ მოვითხოვე, რომ ის ტრუსებში ამოსულიყო, რადგან მეშინოდა, რომ მფრინავი იარაღს ამოიტანდა და ყველას ამოგვხოცავდა. ამასთანავე რატომღაც ვფიქრობდი, რომ გარედან ცრემლმდენ მაშხალას შემოაგდებდნენ და თინას მეშვეობით გადავეცი მიწას, რომ თვითმფრინავთან ახლოს არავინ მოსულიყო, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მგზავრს ამოვხოცავდი... რადგან სალონში შუქი არ იყო, რაღაც დროის განმავლობაში ჩვენ ყველანი სიბნელეში აღმოვჩნდით. შემდეგ მოვიდა მფრინავი, რომელიც კაბინაში ალბათ ცხვირიდან ამოვიდა. მან სალონში შუქი ჩართო, მაგრამ რაღაც პერიოდში შუქმა დაიწყო ქრობა. მე ვიფიქრე, რომ აკუმულატორები დაჯდა. მფრინავი თუ მფრინავები კიდევ რამდენიმეჯერ შევიდნენ სალონში და მე თინას მეშვეობით ვთხოვე მათ სუსტი შუქის ანთება. მე მეშინოდა, რომ სნაიპერი დაგვინახავდა სალონში და მოგვკლავდა. მგზავრებს ვუბრძანე ილუმინატორებზე ფარდების ჩამოფარება...

როგორც მახსოვს, სოსო წერეთელი სალონში გამოჩნდა უკვე იმის შემდეგ, რაც გეგას ნაცნობი გოგონები ძირს გადახტნენ. სოსო კისერში იყო დაჭრილი და კატრინის გვერდით დაჯდა. კატრინთან დაკავშირებით ადრე მოგახსენეთ. მინდა აღვნიშნო, რომ ჯერ კიდევ გაფრენამდე სოსომ გეგას და ჩემი სურათები დახატა, რომელიც სადღაც თვითმფრინავში დარჩა... ვინ დაჭრა ჯერ კიდევ დაფრენამდე სოსო, მე არ მიკითხავს. ამ დროს კახამ მთხოვა, მესროლეო, რადგან ტკივილს ველარ ვიტანო. მე კატრინს ვთხოვე ჩემი ჩანთიდან ამოეღო ბინტი და მოეწოდებინა... მაგრამ მე კახამდე ვერ მივაღწიე, იმდენად ცუდად ვიყავი. მე მაინც ვერ შევძელი მისი გადახვევა... მე ვიპოვე ჩემი ნატყვიარი პასპორტი და მივაწოდე კატრინს სამახსოვროდ, რადგან თურქეთში მაინც აღარ დამჭირდება-მეთქი...

რადგან ყველა მგზავრი, რომელნიც კართან დავაყენე, ძირს ხტებოდა და გარბოდა, გადავწყვიტე კარებში დამეყენებინა ერთ-ერთი მეუღლეთაგანი. თვითმფრინავში ბავშვიანი ქალი იყო. ვუბრძანე ბავშვი ადგილზე დაეტოვებინა, თვითონ კი კართან დამდგარიყო, მარცხენა ბორტის გასასვლელთან. იქვე იდგა თინა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღონდ მარჯვენა ბორტის გასასვლელთან. იმ ქალბატონს მართლაც ბოლომდე არ მოუცვლია ფეხი. მინდა აღვნიშნო, რომ მთელი ჩვენი ჯგუფიდან მხოლოდ მე შემეძლო მეტ-ნაკლებად გადაადგილება. ამიტომაც მგზავრთა მიმართ გამომწვევად და სახიფათოდ ვიქცეოდი. მეშინოდა, რომ კაცები მეცემოდნენ და შუაზე გამგლეჯდნენ... მერე მე ვუთხარი თინას და იმ ქალს, მოეძებნათ იარაღი. ბავშვიანმა ქალმა მართლაც მოძებნა „ნაგანი“ და მომიტანა. მე თავიდან შემეშინდა კიდევაც, იარაღი რომ დავუნახე, მაგრამ ქმარმა დამამშვიდა და მითხრა, რომ მისმა ცოლმა სროლა არ იცის...

ამის მერე თინამ მოიტანა მცირეკალიბრიანი იარაღი... ის მე ჩემთვის დავიტოვე, ხოლო გეგას მივეცი „ნაგანი“ და ჩვენ ორს სამიზნეზე გვყავდა მგზავრები. სოსო ძალიან ცუდად გახდა. მთხოვა, რომ თუ ვინიცობაა, თვითმფრინავში ამოვარდებოდნენ სამხედროები, არ ჩამებარებინა იგი და მომეკლა. მე მგზავრებს ტუალეტში თითო-თითოდ ვუშვებდი, თვითონ კი მოვშარდე ტაბიძის ჩანთაში, რომელიც ჩემ მახლობლად აღმოვაჩინე. მართალია, თავიდან მე არ ვუშვებდი მგზავრებს ტუალეტში, მაგრამ როდესაც წარმოვიდგინე, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო სალონში, თუკი ყველა თავის ბუნებრივ მოთხოვნილებას იქვე დაიკმაყოფილებდა, ძალაუნებურად დავთანხმდი და ტუალეტში მათ სათითაოდ ვუშვებდი. ვაღიარებ, რომ ამ დროს უცენზუროდ ვიგინებოდი და ცინიკურად ვიქცეოდი, მაგრამ ამას ყველაფერს, როგორც უკვე ვთქვი, ვაკეთებდი იმისთვის, რომ მგზავრებს და აეროპორტის ადმინისტრაციას დაეჯერებინა, რომ დასაკარგი არაფერი გვაქვს და თვითმფრინავს ნამდვილად ავაფეთქებთ. იმის შემდეგ, რაც მფრინავები თვითმფრინავის ცხვირის ნაწილიდან კაბინაში ორჯერ ავიდნენ და რაღაცის შემოწმება დაიწყეს, თვითმფრინავთან მოიყვანეს მანქანა და თითქოს ავზის საწვავით ავსება დაიწყეს. მოვიდა აეროპორტის წარმომადგენელი, რომელმაც იკითხა, სად ვაპირებდით გაფრენას. თინას მეშვეობით გადავეცით, რომ თურქეთში, ქალაქ ხაშერში. როგორც მახსოვს, ეს ქალაქი ან სოსომ დაასახელა, ან გეგამ. წარმომადგენელი წავიდა. დაახლოებით ორი საათის შემდეგ დაბრუნდა და თქვა, რომ ხაშერში პატარა აეროპორტია და ვერ მიგვიღებდა. მერე დაინტერესდა, თურქეთის სხვა ქალაქში ხომ არ გაფრინდებითო,

და სოსომ თინას მეშვეობით გადასცა, რომ თანახმანი ვართ გაგვფრინდეთ ტრაპიზონს. ამის შემდეგ კიდევ კარგა ხნით გაქრა და რომ დაბრუნდა, გვითხრა, რომ თურქეთი უარზეა. შემოგვთავაზა ირანში გაფრენა, მაგრამ უარი ვუთხარით. შემოგვთავაზა დაგვესახელებინა ქვეყანა. მოვითათბირეთ, რომ თანახმანი ვართ, გავფრინდეთ ისრაელში, ქალაქ თელ-ავივში. ეს მოლაპარაკებები უკვე დაახლოებით ღამის 12 საათის შემდეგ, 2 საათზე მიმდინარეობდა...

ქალებს სტიუარდესების ოთახიდან წყალი შემოჰქონდათ. მერე ქვემოდან ჩაიდანით წყალი მოგვაწოდეს, მაგრამ მე ის არ დავლიე, რადგან ვფიქრობდი, რომ მოწამლული იყო. დილამდე ცოტა ხნით ადრე გეგამ ორჯერ მიმიხმო თავისთან და ცდილობდა დავეწყნარებინე. ის ამბობდა, რომ თავის მოკვლა არ ღირს, რადგან ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული, ჯერ კიდევ არის ცოცხლად დარჩენის იმედი. მე კი ვიცოდი, რომ ჩვენ ყველა შემთხვევაში განწირულები ვიყავით. თუ ცოცხალი გადავრჩებოდით, აუცილებლად დაგვხვრეტდნენ. მე ვფიქრობდი, ძმაც მომეკლა და თავიც მომეკლა, მაგრამ ვაჟკაცობა არ მეყო. მე შევთავაზე გეგას, ცოლთან ერთად ჩაბარებოდა ხელისუფლებას. ჩემზე კი ვთქვი, რომ ჩემი ძმა კვდება, მის გარეშე კი ჩემთვის სიცოცხლეს აზრი არა აქვს, რადგან მე ძალიან მიჯაჭვული ვარ მასზე. გეგამ ჩაბარებაზე უარი განაცხადა და თვითმფრინავიდან არ გავიდა. ამ ჩვენს საუბარს იმ ქალის ქმარი ისმენდა, რომელიც სტიუარდესების ოთახში იდგა. მანაც ჩაბარება გვირჩია და დაამატა, შეიძლება არც დაგვხვრიტონო. სპეცრაზმის შემოსვლამდე, დილით ადრე, ჩვენი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები თვითმფრინავში განლაგებულები ვიყავით შემდეგნაირად: კახა იჯდა თავის ადგილას მე-10 თუ მე-11 რიგში. მე ვიჯექი პირველი სალონის ბოლოში, მარცხენა ბორტთან, ილუმინატორთან მყოფ სავარძელში. სოსო იჯდა მეორე სალონში, დაახლოებით მე-3 ან მე-4 რიგში, მარცხენა სავარძელში, მარჯვენა ბორტთან. გეგა იწვა პირველ სალონში მე-5 და მე-7 რიგებს შორის გასასვლელში. ქალები, რომლებსაც მე დავავალე თვითმფრინავის შემოსასვლელების მეთვალყურეობა — მათ შორის თინაც იყო — სტიუარდესების ოთახში იმყოფებოდნენ. იქვე იწვა მიქაბერიძე. ტაბიძე არ დამინახავს. როგორც ექიმი, მე ვაცნობიერებდი, რომ

რაზმი თვითმფრინავში შემოვარდებოდა დილით ადრე, როდესაც ადამიანებს ძილი ეძალებათ და მათთან გამკლავება უფრო ადვილია. ამის შესახებ მგზავრებსაც კი ვუთხარი. მით უფრო, რომ თინამ შემატყობინა, ჩვენ უკან რაღაც თვითმფრინავი იმყოფებაო. რატომღაც გავიფიქრე, რომ სწორედ ამით ჩამოვიდოდა შემპყრობი ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე დილით მე გავიგონე თვითმფრინავის ფიუზელაჟზე ნაბიჯების ხმა და თვითმფრინავმა რწევა დაიწყო. გავიფიქრე, რომ ახლა შემოვარდება შემპყრობი ჯგუფი და სწორედ ამ დროს სროლის ხმა გავიგონე. აგრეთვე დავინახე, როგორ ჩამოხსნეს მარჯვენა ბორტის სათადარიგო გასასვლელის ლუკი. მე თავი ხელებით დავიფარე და ილუმინატორისკენ მივიკუნტე. ორივე ხელში მე მქონდა პატარა რევოლვერი და პისტოლეტი „ტტ". ტყვიების სტვენა გავიგონე, რომლებიც ჩემი აწეული ხელებისა და სახის ახლოს მოფრინავდნენ. თვალებთან წითელი რგოლები გამიჩნდა და რატომღაც მომეჩვენა, რომ ყველა ტყვია თავში მომხვდა. როგორც ჩანს, მე ცოტა ხნით გონება დავკარგე და გონზე რაციის ხმაზე მოვედი, სადაც ამბობდნენ, რომ მთავარი წვერებიანი ტერორისტი აყვანილია. გავიგონე, როგორ უთხრა ერთმა სპეცრაზმელმა მეორეს, რომ მე ვსუნთქავ. მათ სახეზე მომანათეს და მე ვთქვი, რომ მეთაური არა ვარ. მერე მათ მკითხეს, შემეძლო თუ არა სიარული, და როდესაც ჩემგან დადებითი პასუხი მიიღეს, შემომთავაზეს თვითმფრინავიდან გასვლა. როდესაც სალონში მივდიოდი, დავინახე, რომ იქ აღარავინ იყო და მე მივხვდი, რომ თვითმფრინავს ბოლო ვტოვებდი. ტრაპზე მე მითხრეს, ხელები ჯერ თავზე დამედო, მერე ზურგსუკან. მე ხელბორკილები გამიკეთეს და როდესაც ტრაპიდან ჩამოვყავდით, თვითმფრინავთან ახლოს მდგომმა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა სროლა ამიტეხეს. ჩემმა თანმხლებლებმა, რომლებიც ხუთნი იყვნენ, შემომარტყეს ალყა და ამიტომ არც ერთი ტყვია არ მომხვედრია. მერე ვიღაცამ იყვირა, სროლა შეწყვიტეთო და მე აეროპორტის მილიციაში მიმიყვანეს. იქ დამკითხეს და შემდეგ ორთაჭალის ციხეში წამიყვანეს. ციხეში ფეხი გადამიხვიეს და დაკითხვაზე საქართველოს სსრ სუკის საგამოძიებო განყოფილებაში წამიყვანეს. ასე და ამგვარად 1983 წლის 19 ნოემბრის დილის შემდეგ მე ჩვენი დანაშაულებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფის წევრები აღარ მინახავს და მათი ბედი ჩემთვის დღემდე უცნობია“. — **1984 წლის 23 იანვარი.**

ორივე ძმის — ივერიელების — ყველა ჩვენების მიხედვით, გეგა კობახიძე სტატისტის როლში იყო ანუ არ უნდა ჩარეულიყო თავდასხმაში და ჩუმად ეკონტროლებინა სიტუაცია, ხოლო როდესაც პაატა მარტო დარჩა, მან თავი ვალდებულად ჩათვალა, სიტუაციაში ჩარეულიყო და დაჭრილ მეგობრებს გვერდში ამოდგომოდა. მის მიერ ჩადენილი ერთადერთი რეალური კანონსაწინააღმდეგო ქმედება იყო ის, რომ ბოლოს, როდესაც თავდასხმა უკვე დიდი ხნის მოგერიებული იყო, ხელში ეჭირა ხელოვნური სათამაშო ხელყუმბარა. როგორც თვითონ ამბობს, ისე მქონდა ყუმბარა ხელში ჩაბლუჯული, რომ მე მგონი, ჩემ გარდა არც არავის დაუნახავსო. პაატამ შესთავაზა კიდეც, ჩადი შენს ცოლთან ერთად და ხელისუფლებას ჩაბარდიო. მაგრამ როგორც თვითონ წერს, იყო ამაში რაღაც მამაკაცური მომენტი და მე არ შემეძლო ასე მოვქცეულიყავიო. გეგას თავისი ვაჟკაცური თავდადება მეგობრების მიმართ ძალიან მძიმედ და ძვირად დაუჯდა. რაც მეტს ვფიქრობ და რაც მეტ მასალას ვეცნობი, მივდივარ დასკვნამდე, რომ იგი საოცრად კეთილშობილი ადამიანი იყო — სუფთა, და რამდენად ტრივიალურადაც უნდა ჟღერდეს, რაინდული სულის მქონე. ვერ წარმომიდგენია ქვეყანაზე იმაზე დიდი მავნებლობა და ბოროტმოქმედება, როგორც არის გეგა კობახიძის ლამაზი და წმინდა სიცოცხლის ხელყოფა. ეს იყო ბიჭი, რომლის მაგალითზე თაობები უნდა გაზრდილიყვნენ; ბიჭი, რომელიც მიუხედავად თავისი გარეგნული სისუსტისა, შინაგანად სალ კლდეზე მაგარი აღმოჩნდა. მისი სიკვდილით ჩვენს თაობას, ჩვენს ქალაქს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დააკლდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჩემი ვერსია

1983 წლის 15 ნოემბერს დათო მიქაბერიძის მშობლების აგარაკზე დაბა წყნეთში შედგა შეკრება, რომელშიც მონაწილეობდნენ დათო მიქაბერიძე, სოსო წერეთელი, პაატა ივერიელი, კახა ივერიელი, გია ტაბიძე და გეგა კობახიძე. შეხვედრის მიზანი იყო თვითმფრინავის თურქეთში გატაცებასთან დაკავშირებული დეტალების დადგენა. ძლიერი აღელვების გამო, ფაქტობრივად ვერანაირი სამოქმედო გეგმის შემუშავება ვერ მოხერხდა, რადგან როგორც კახა ივერიელი მოწმობს, „ჩვენ ყველა თითქმის ერთდროულად ვლაპარაკობდით და ისეთი საშინელი ყაყანი იდგა, რომ ერთმანეთის ერთი სიტყვაც ვერ გავიგეთ". პიროვნული ფაქტორიდან გამომდინარე გადაწყდა, რომ თავდასხმის ოპერაციის ძირითადი პასუხისმგებლობა თავის თავზე გია ტაბიძეს აეღო, რომელსაც დაეხმარებოდა კახა ივერიელი, რადგან ამ ორს, სხვებთან შედარებით, საქმის წარმატებით დასრულების მეტი თეორიული შანსი ჰქონდათ. გეგას და მის მეუღლეს სტატისტების როლი ერგოთ. ისინი ჩუმად უნდა მსხდარიყვნენ დანარჩენ მგზავრებთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ ოპერაცია ჩაიშლებოდა, მგზავრთა ნაკადს შეუერთდებოდნენ და თვითმფრინავიდან ჩავიდოდნენ. შეკრებაზე გადაწყდა, ბათუმში მიმავალი მცირე ზომის „იაკ 40" ტიპის თვითმფრინავის გატაცება. „იაკს" „ტუსაგან" განსხვავებით ნაკლები ეკიპაჟის წევრი მართავს და მფრინავების კარები არაჰერმეტულად იკეტება. 18 ნოემბერს ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო. ძმები ივერიელები შეხვდნენ გრიბოედოვის ძეგლთან გია ტაბიძეს, რომელსაც იქვე გლობუსი ეყიდა. იგი ხელში გლობუსით და ჯიბეში სამი მანეთით, „ბეჟ" პიჯაკში და ყვითელ რომბებიან ჰალსტუხში გამოწყობილი, ძმებ ივერიელებთან ერთად ტაქსით წავიდა აეროპორტში, სადაც ყველანი საერთო ნაკადთან ერთად ავიდნენ თვითმფრინავში. გეგა კობახიძე,

ჯგუფის წევრები აღარ მინახავს და მათი ბედი ჩემთვის დღემდე უცნობია". — **1984 წლის 23 იანვარი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორივე ძმის — ივერიელების — ყველა ჩვენების მიხედვით, გეგა კობახიძე სტატისტის როლში იყო ანუ არ უნდა ჩარეულიყო თავდასხმაში და ჩუმად ეკონტროლებინა სიტუაცია, ხოლო როდესაც პაატა მარტო დარჩა, მან თავი ვალდებულად ჩათვალა, სიტუაციაში ჩარეულიყო და დაჭრილ მეგობრებს გვერდში ამოდგომოდა. მის მიერ ჩადენილი ერთადერთი რეალური კანონსაწინააღმდეგო ქმედება იყო ის, რომ ბოლოს, როდესაც თავდასხმა უკვე დიდი ხნის მოგერიებული იყო, ხელში ეჭირა ხელოვნური სათამაშო ხელყუმბარა. როგორც თვითონ ამბობს, ისე მქონდა ყუმბარა ხელში ჩაბღუჯული, რომ მე მგონი, ჩემ გარდა არც არავის დაუნახავსო. პაატამ შესთავაზა კიდეც, ჩადი შენს ცოლთან ერთად და ხელისუფლებას ჩაბარდიო. მაგრამ როგორც თვითონ წერს, იყო ამაში რაღაც მამაკაცური მომენტი და მე არ შემეძლო ასე მოვქცეულიყავიო. გეგას თავისი ვაჟკაცური თავდადება მეგობრების მიმართ ძალიან მძიმედ და ძვირად დაუჯდა. რაც მეტს ვფიქრობ და რაც მეტ მასალას ვეცნობი, მივდივარ დასკვნამდე, რომ იგი საოცრად კეთილშობილი ადამიანი იყო — სუფთა, და რამდენად ტრივიალურადაც უნდა ჟღერდეს, რაინდული სულის მქონე. ვერ წარმომიდგენია ქვეყანაზე იმაზე დიდი მავნებლობა და ბოროტმოქმედება, როგორც არის გეგა კობახიძის ლამაზი და წმინდა სიცოცხლის ხელყოფა. ეს იყო ბიჭი, რომლის მაგალითზე თაობები უნდა გაზრდილიყვნენ; ბიჭი, რომელიც მიუხედავად თავისი გარეგნული სისუსტისა, შინაგანად სალ კლდეზე მაგარი აღმოჩნდა. მისი სიკვდილით ჩვენს თაობას, ჩვენს ქალაქს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დააკლდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩემი ვერსია

1983 წლის 15 ნოემბერს დათო მიქაბერიძის მშობლების აგარაკზე დაბა წყნეთში შედგა შეკრება, რომელშიც მონაწილეობდნენ დათო მიქაბერიძე, სოსო წერეთელი, პაატა ივერიელი, კახა ივერიელი, გია ტაბიძე და გეგა კობახიძე. შეხვედრის მიზანი იყო თვითმფრინავის თურქეთში გატაცებასთან დაკავშირებული დეტალების დადგენა. ძლიერი აღელვების გამო, ფაქტობრივად ვერანაირი სამოქმედო გეგმის შემუშავება ვერ მოხერხდა, რადგან როგორც კახა ივერიელი მოწმობს, „ჩვენ ყველა თითქმის ერთდროულად ვლაპარაკობდით და ისეთი საშინელი ყაყანი იდგა, რომ ერთმანეთის ერთი სიტყვაც ვერ გავიგეთ". პიროვნული ფაქტორიდან გამომდინარე გადაწყდა, რომ თავდასხმის ოპერაციის ძირითადი პასუხისმგებლობა თავის თავზე გია ტაბიძეს აეღო, რომელსაც დაეხმარებოდა კახა ივერიელი, რადგან ამ ორს, სხვებთან შედარებით, საქმის წარმატებით დასრულების მეტი თეორიული შანსი ჰქონდათ. გეგას და მის მეუღლეს სტატისტების როლი ერგოთ. ისინი ჩუმად უნდა მსხდარიყვნენ დანარჩენ მგზავრებთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ ოპერაცია ჩაიშლებოდა, მგზავრთა ნაკადს შეუერთდებოდნენ და თვითმფრინავიდან ჩავიდოდნენ. შეკრებაზე გადაწყდა, ბათუმში მიმავალი მცირე ზომის „იაკ 40" ტიპის თვითმფრინავის გატაცება. „იაკს" „ტუსაგან" განსხვავებით ნაკლები ეკიპაჟის წევრი მართავს და მფრინავების კარები არაჰერმეტულად იკეტება. 18 ნოემბერს ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო. ძმები ივერიელები შეხვდნენ გრიბოედოვის ძეგლთან გია ტაბიძეს, რომელსაც იქვე გლობუსი ეყიდა. იგი ხელში გლობუსით და ჯიბეში სამი მანეთით, „ბეჟ" პიჯაკში და ყვითელ რომბებიან ჰალსტუხში გამოწყობილი, ძმებ ივერიელებთან ერთად ტაქსით წავიდა აეროპორტში, სადაც ყველანი საერთო ნაკადთან ერთად ავიდნენ თვითმფრინავში. გეგა კობახიძე,

თინიკო ფეტვიაშვილი, სოსო წერეთელი, დათო მიქაბერიძე და თინიკოს ორი მეგობარი — ეკა მელივა და ეკა შალუტაშვილი — ნანა ვარსიმაშვილის მეშვეობით სპეცკონტროლის გვერდის ავლით „ინტურისტების“ გასასვლელით ავიდნენ თვითმფრინავში. იარაღი — ერთი „ნაგანი“, ერთი „ტტ“, ერთი „რევსტერი“ და ორი ბუტაფორიული ხელყუმბარა თვითმფრინავის ბორტზე აიტანა ეკა შალუტაშვილმა ისე, რომ არაფერი იცოდა. ყველაზე საშინელი, რაც მათ წინ ელოდათ, ის იყო, რომ პატარა ზომის „იაკ 40“-ის ნაცვლად ისინი „ტუ 134“-ის ბორტზე აღმოჩნდნენ. ამით აიხსნება ის თითქმის საათნახევრიანი პაუზა მგზავრების თვითმფრინავში ჩასხდომას და აფრენას შორის. ოფიციალურად ეს შეყოვნება ახსნილი არის როგორც ცუდი მეტეოპირობებიდან გამომდინარე აუცილებლობა, თუმცა „შავი ყუთის“ შიფროგრამა MC-61 იწყება სიტყვებით „Погода в аэропорту посадки Батуми хорошая, выше минимума“. — **ტ. 13, ს. ფ. 17. (გვ. 180).** ამ ფაქტთან დაკავშირებით ხომალდის მეთაური ამბობს, რომ იგი რამდენიმეჯერ რადიოხაზის მეშვეობით დაუკავშირდა მიწას; თუმცა შტურმანი გასოიანი, იმის შემდეგ, რაც ეკიპაჟი აფრენისათვის სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდა, აჩვენებს: „командир корабля Гардапхадзе и второй пилот Габараев ушли, взяв с собой задание на полет“. — **ტ. 7, ს. ფ. 15.** თვითმფრინავში დაბრუნებულ მფრინავებს მიღებული ჰქონდათ გარკვეული ინსტრუქციები. მთელი ამ დროის განმავლობაში თავდამსხმელებს შორის საშინელი პანიკა ატყდა, რადგან ისინი ფაქტიურად არ იცნობდნენ „ტუ 134“-ის ტექნიკურ სპეციფიკას. გამოითქვა მოსაზრება, რომ საერთოდ გადაედოთ დაგეგმილი ოპერაცია, მაგრამ მაშინ რჩებოდა იმის რეალური საშიშროება, რომ ისინი მიწაზე დაშვებისთანავე და ხელმეორე კონტროლისას დაეპატიმრებინათ იარაღის უკანონო ტარებისათვის. გარდა ამისა, გადაწყვეტილების გაუქმებას ხელს ფსიქოლოგიური ფაქტორიც უშლიდა, რადგან ისინი მორალურად უკვე შემზადებულები იყვნენ საბჭოთა კავშირიდან გასაქცევად. ქორწილამდე ერთი დღით ადრე გეგა, სოსო და პაატა ცდილობდნენ თეიმურაზ ჩიხლაძესთან შეხვედრას იმ იმედით, რომ იგი მოახერხებდა ამ ყველაფრის ჩაშლას. იგი კი ამ დროს ქალაქში არ იყო. უნდა ითქვას, რომ ჩიხლაძე წინასწარ აფრთხილებდა მათ, რომ ეს ოპერაცია საშინელი კრახით დამ-

თავრდებოდა, უამრავი სისხლი დაიღვრებოდა და საწადელს მაინც ვერ მიაღწევდნენ, თავსაც დაიღუპავდნენ და სხვასაც.

ლაინერის სიმძიმის ცენტრის ბალანსის გათვალისწინებით ბორტ გამცილებლებმა პირველი ექვსი რიგის მგზავრებს თავ-თავიანთი ადგილების დაკავების უფლება არ მისცეს და რადგან ბიჭებს სწორედ ეს ადგილები ჰქონდათ აღებული, ისინი იძულებული გახდნენ ტრაპთან ჩასულიყვნენ, სადაც სიგარეტის მოწევა დაიწყეს. ბორტ გამცილებელმა ირინა ხიმიჩმა სთხოვა საზაფხულო საავიაციო ფორმაში ჩაცმულ მფრინავ ა. პლოტკას, რომელიც ეკიპაჟის წევრი არ იყო, ჩასულიყო ქვევით და აეკრძალა ბიჭებისათვის ტრაპთან სიგარეტის მოწევა. ა. პლოტკას სასწრაფო საქმე გამოუჩნდა კიევში და ამიტომ იგი, როგორც კოლეგა, ეკიპაჟის წევრებმა უბილეთოდ აიყვანეს ბორტზე და პირველი სალონის 1Г ადგილი მიუჩინეს. გამტაცებლებს ერთი წუთითაც არ უვარაუდიათ, რომ პლოტკას იარაღი არ ჰქონდა ან არ ყოფილა ეკიპაჟის წევრი; ზუსტად ისევე, როგორც მგზავრი ა. სოლომონია, რომელიც თვითმფრინავის აფრენის შემდეგ მე-2 სალონიდან წინ გადმოვიდა და პლოტკას გასწვრივ წინა 2Б ადგილზე დაჯდა. მოსკოვის დროით 15 საათსა და 43 წუთზე თვითმფრინავმა „ტუ 134 ა“ №65807 რეისი №6833 თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადი მარშრუტის შესრულება დაიწყო. გაფრენიდან 5-10 წუთის შემდეგ გეგა კობახიძემ მიქაბერიძის დავალებით ეკა შალუტაშვილს გამოართვა ხელჩანთა იარაღებითა და ხელყუმბარებით და გადასცა დათო მიქაბერიძეს, რომელმაც გაანაწილა ისინი შემდეგი თანმიმდევრობით: თვითონ დაიტოვა პისტოლეტი „ტტ“, ტაბიძეს გადასცა „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი, ერთი ხელყუმბარა ფეტვიაშვილის მეშვეობით გადასცა გეგა კობახიძეს, მეორე კი — პაატა ივერიელს, ხოლო „რევსტერის“ სისტემის რევოლვერი — წერეთელს, რომელმაც უმალ გადასცა იგი კახა ივერიელს. ამ დროს თვითმფრინავის ეკიპაჟმა მიიღო თბილისის აეროპორტში დაბრუნების გადაწყვეტილება „ცუდი მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე“. თავდამსხმელებს შორის ისედაც არსებული პანიკა უფრო გაძლიერდა და მათი „ჩაშვების“ ვერსია გაამყარა. თვითმფრინავში ბიჭები განლაგებული იყვნენ შემდეგი თანმიმდევრობით: სოსო წერეთელი — 4Г, კახა ივერიელი — 4В, დათო მიქაბერიძე — 5Г, გია ტაბიძე — 5В, თინა ფეტვიაშვილი — 6Г, გეგა კობახიძე — 6В, პაატა ივერიელი — 6Б.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით კახა ივერიელი წამოდგა თავისი ადგილიდან და ამით გზა გაუხსნა სოსო წერეთელს, რომელიც სტიუარდესების ოთახისკენ გავიდა ყავის დასალევად. მას მოგვიანებით დათო მიქაბერიძეც შეუერთდა. გია ტაბიძე მივიდა პაატა ივერიელთან და ყურში ჩასჩურჩულა, გაუვნებელეყო 2Б-ზე სკამზე მჯდომი კაცი — სოლომონია, რომელიც რამდენიმე წუთის წინათ მეორე სალონიდან ხსენებულ ადგილზე გადმოჯდა. პაატა და გია თითქმის ერთდროულად დაიძრნენ რიგებისაკენ. კახამ ორი ტყვიით ხელსა და მკლავში დაჭრა ა. პლოტკა, ხოლო პაატამ ღვინო „აისის" ბოთლი თავში ჩაარტყა სოლომონიას. ჩხრეკისას მათ იარაღი არ აღმოაჩნდათ და პაატამ სოლომონიას ბინტით თავი გადაუხვია. ოფიციალური ვერსიისაგან განსხვავებით ტაბიძეს სოლომონიასათვის არ უსვრია, როგორც ამას ბორტგამცილებელი ი. ხიმიჩიც ადასტურებს: „Я увидела, что сидящий возле иллюминатора в кресле 2А пассажир лет 52-53, держится обеими руками за голову... и кричит, чтобы ему помогли... на полу возле второго ряда я увидела осколки стекла". კახა ივერიელმა, რომელიც ამ დროს უკვე სტიუარდესების ოთახში იყო, თმებში ხელი სტაცა ხიმიჩს და აიძულებდა მფრინავებთან ტელეფონით დაკავშირებას. ამ დროს სოსო წერეთელი ხელით აკავებდა ვ. კრუტიკოვას. სტიუარდესების ოთახში შემოვარდნილმა გ. ტაბიძემ წერეთელს გამოგლიჯა კრუტიკოვა ხელიდან და აიძულა იგი, მფრინავების კაბინის კარზე პირობითი სიგნალით დაეკაკუნებინა. 16 საათსა და 13 წუთზე 40 წამზე, მოსკოვის დროით, კაბინის კარი გაალო ზაველ შარბათიანმა, რომელსაც გია ტაბიძემ სამჯერ ესროლა მხარში. ირინა ხიმიჩი: „В это же мгновение Табидзе, стоявший за дверью, кинулся к Шарбатяну и произвел в него выстрелы... Я успела заметить, что Шарбатян схватился за правое плечо и начал оседать". — **ტ. 7, ს. ფ. 72.**

კაბინაში ტაბიძესთან ერთად ივერიელიც შევარდა. მათ უბრძანეს ეკიპაჟს თვითმფრინავის თურქეთში გადაყვანა. ამ დროს შტურმანი გასოიანი ხსნის საპასუხო ცეცხლს, რის შედეგად კვდება ტაბიძე და მძიმედ იჭრება ივერიელი, რომელიც სალონში ძმასთან გამოსამშვიდობებლად ბრუნდება. ბორტმექანიკოს ა. ჭედიას, რომელიც თავისი სავარძლიდან არ ამდგარა, ხვდება წინიდან შემავალი ტყვია, რაც მის სიკვდილს იწვევს. ოფიციალურად ჭედი-

ას სიკვდილი ბრალდება გ. ტაბიძეს, რომელიც ამ დროს მის უკან 1 მეტრსა და 75 სანტიმეტრის დაშორებით იმყოფებოდა. მოსკოვის დროით 16 საათზე 14 წუთსა და 40 წამზე, ანუ ოპერაციის დაწყებიდან 1 წუთში (16:13:40-დან 16:14:40-მდე) ეკიპაჟმა მასზე განხორციელებული თავდასხმა მოიგერია. ხომალდის მეთაურმა ა. გარდაფხაძემ ატეხა სროლა სალონის მიმართულებით: „В это время я выхватил из кобуры пистолет и стал стрелять по направлению преступников. Во время перестрелки я стрелял разновременно из трех пистолетов: своего, второго пилота и штурмана, и израсходовал почти все патроны". – **ტ. 7, ს. ფ. 3.**

სავარაუდოდ, ამ დროს დაიღუპა მგზავრი ა. სოლომონია პილოტთა კაბინიდან გამოფრენილი ტყვიით, რომელიც ხასიათდება ირიბი გამჭოლი მიმართულებით. ანალოგიური, გაკრული ჭრილობა აქვს მას მიღებული მხარზეც. ეკიპაჟის მეთაური ა. გარდაფხაძე იძლევა თვითმფრინავის ძლიერი ევოლუციების ბრძანებას: „Я дал команду второму пилоту – делать сильные эволюции самолета, чтобы преступники не могли прицелиться", რის შედეგადაც უსაფრთხოების ქამრებშეხსნილი მგზავრები თავისი ადგილებიდან ამოვარდნენ და მერე იატაკს ეხეთქებოდნენ. ამ დროს უამრავმა ადამიანმა მიიღო ორთოპედიული ტრამვები. მეთაურის ბრძანებით გასოიანმა თავის განყოფილებაში ჩაათრია ჭედია, რადგან მისი სკამი ზუსტად გასოიანის განყოფილების ჩასასვლელის წინ მდებარეობდა და მას იქიდან გამოსვლაში უშლიდა ხელს. ამის მერე გასოიანმა გაიტყუა კაბინიდან კრუტკოვა, რომელიც ტირილით თურქეთში წასვლას ითხოვდა, დაავალა რა მას სალონის მიმართულებით ტაბიძის გვამის გათრევა, რის შემდეგ ცხვირწინ მიუხურა კარი. იქვე წინა საბარგულში ყელში მძიმედ დაჭრილი წერეთელი ეგდო. შარბათიანი, რომელიც ორმხრივი სროლის მომენტში კარებში იყო ჩამჯდარი, თავდასხმის მოგერიების შემდეგ თავისით შემოცოცდა კაბინაში. ა. გარდაფხაძე: „Я дал возможность вползти в пилотскую кабину раненному Шарбатяну, который так и оставался лежать между пилотами... Преступника от дверей оттащила бортпроводница Валя, а Шарбатян отполз сам". – **ტ. 7, ს. ფ. 3.**

ამის მერე მფრინავებმა მოახერხეს კაბინის ჰერმეტული კარის შიგნიდან ჩაკეტვა. სალონში ვითარება შემდეგნაირად განვითარდა: კახა ივერიელი მძიმედ დაჭრილი იჯდა პირველი სალონის

ბოლოში; იქვე იდგა სალონიდან ნასროლი ტყვიით ფეხში დაჭრილი პაატა ივერიელი; დათო მიქაბერიძემ, როგორც კი თვითმფრინავი თბილისში დაეშვა, იარაღის თავში გასროლით თავი მოიკლა; თინა და გეგა თავ-თავიანთ ადგილებზე ისხდნენ. სიტუაციაზე კონტროლი საკუთარ თავზე აიღო პაატა ივერიელმა, რადგან თვითონაც დაჭრილს სხვებთან შედარებით მეტ-ნაკლებად შეეძლო გადაადგილება. როდესაც თვითმფრინავმა შასები გამოუშვა და სათადარიგო აეროდრომზე დაჯდომას აპირებდა, მოსკოვის დროით 16 საათსა 42 წუთზე მე-8 პოლკის საჯარისო ფორმირებამ, ე. წ. მე-8 პოლკმა თვითმფრინავის მიმართულებით ავტომატური ჯერით გახსნა ცეცხლი, რომელიც დაახლოებით 20-25 წუთს გრძელდებოდა.

16-42 С – что он делает там, пассажиров убьет этот солдат, стреляет по самолету.

16-42 С – по самолету стреляйте.

16-42 С – передайте, чтобы по самолету не стреляли, что делают, они же убьют нас, елки-палки. – ამონარიდი მაგნიტოფონის ჩანაწერიდან МС-61, გვ. 15, ს. ფ. 139.

სამხედროების ასეთი ქმედებების შედეგად დაიღუპა ერთი მგზავრი ნ. აბოვიანი; მძიმედ დაიჭრა 21 კაცი, მათ შორის მეორე პილოტი გაბარაევი და გეგა კობახიძე. გარდა ამისა, ირინა ხიმიჩის თქმით: „Когда самолет пошел на посадку, Валя предложила прыгать. Мы с Валей открыли дверь, т.е. запасной выход, и я, повиснув на руках, спрыгнула. Упав на землю, точнее на бетонку, услышала выстрелы и крики, чтобы ложилась. Хочу отметить, что когда мы открывали дверь, Сосо Церетели это видел, но он нам не препятствовал... Церетели Сосо я увидела в переднем богажнике, причем сетка багажника за ним была задвинута. Он был без оружия и держался за горло".

ვალია კრუტიკოვას ირინა ხიმიჩისაგან განსხვავებით ნაკლებად გაუმართლა. იგი თვითმფრინავიდან ხტომის მომენტში გარედანაა მოკლული. თუმცა ოფიციალური ვერსიით იგი უიარაღო, მძიმედ დაჭრილმა სოსო წერეთელმა მოკლა! თან ზემოდან ისე მოახერხა სროლა, რომ კრუტიკოვა წელს ქვემოთ, ხტომის მომენტში, ლამის შუაზე გადაწყვიტა (გვ. 220).

გარედან ნასროლმა ტყვიებმა თვითმფრინავის ფიუზელაჟი დააზიანა და სალონში შემოაღწია. პაატამ მგზავრებს უბრძანა,

თავები ძირს დაეწიათ, ხელები კი ილუმინატორებზე მიედოთ. მას უნდოდა დაენახვებინა იმათთვის, ვინც სროლის ბრძანება გასცა, რომ თვითმფრინავში უიარაღო, მშვიდობიანი მგზავრები ისხდნენ. კახა ამბობდა: მე არასოდეს მინახავს ასეთი პაატა, ის შეშლილივით დადიოდა სალონში წინ და უკან და ბოლო ხმაზე ღრიალებდა, ჩვენ თავისუფლებისათვის მაინც ვკვდებით, ამ დამპლებისაგან წასვლა გვინდოდა, თქვენ რაღას გერჩიან, აი, თქვენი დედა... მთავრობა, сволочи, звери, по безоружным пассажирам стреляют... აღსანიშნავია რომ მრავალ მგზავრს სწორედ თითის ფალანგებზე აქვთ მიღებული ჭრილობები. სიტუაციის დრამატიზმი რომ არა, ვითარებამ ლამის ტრაგიკომიკური იერსახე მიიღო, რადგან ის, ვისგანაც ხალხი უნდა დაეცვათ, თავად იცავდა ხალხს მთავრობისაგან.

შემდგომი მოვლენები საკმაოდ სწრაფად განვითარდა. მას მერე, რაც თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა, ერთი საათის ფარგლებში იქ მიიყვანეს თავდამსხმელების მშობლები. წინასწარი ოპერატიული ინფორმაციის გარეშე წარმოუდგენელი იყო ასეთი სიზუსტით ჯერ თავდამსხმელების ვინაობის დადგენა და მერე მათი ახლობელ-ნათესავების მოძებნა.

თავდამსხმელთა მშობლებმა სთხოვეს ხელისუფლებას, მიეცათ საშუალება დალაპარაკებოდნენ შვილებს იმ იმედით, რომ ჩაბარებასა და დაყოლიებას შესძლებდნენ, რაზეც კატეგორიული უარი მიიღეს. რამდენიმეჯერ თვითმფრინავში ავიდა ,,აეროპორტის წარმომადგენელი'', რომელიც ვითომდა თვითმფრინავის საფრენად ვარგისიანობას ადგენდა. თვითმფრინავი კი გარედან იმიტომ დაცხრილეს, რომ მისი ხელახალი აფრენის საშუალება მოესპოთ. ,,აეროპორტის წარმომადგენელს'' ჰქონდა კონკრეტული დავალება:

1. შეესწავლა ადგილზე ოპერატიული ვითარება, თავდამსხმელების ფიზიკური მდგომარეობა და მათი ძალთა განლაგება; 2. პილოტებმა, რომლებიც გარედან სროლის შეწყვეტისთანავე ავარიული ლუკიდან სათადარიგო ბაგირით ჩაცოცდნენ, ვერ შეძლეს თან დაჭრილი შარბათიანის ჩაყვანა. არადა შარაბათიანმა, როგორც ინსტრუქტორმა, ეჭვგარეშეა, იცოდა თვითმფრინავის მართვა. ასეთი ადამიანის ხომალდის ბორტზე დატოვება ყოვლად წარმოუდგენელი ამბავი იყო. ამიტომ, სავარაუდოდ, გაიცა მისი ლიკვიდაციის ბრძანება. აი ამით აიხსნება მის შუბლზე საკონტროლო გასროლის

შედეგად მიყენებული ცეცხლსასროლი იარა. შარბათიანის მოკვლის ბრძანებით შეეძლოთ როგორც ეკიპაჟის წევრებს, ასევე იმ პირს, რომელიც თვითმფრინავს „ცხვირიდან“ ამოწმებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭებს გულუბრყვილოდ ეგონათ, რომ ისხდნენ თვითმფრინავში, რომლის მგზავრების უსაფრთხოებას ხელისუფლება სათვალავში ჩააგდებდა. დაახლოებით ღამის 2 საათიდან დაიწყო მოლაპარაკებები გამტაცებლებსა და ხელმძღვანელებს შორის. ეს უკანასკნელები ხან ირანში გაფრენას სთავაზობდნენ და ხან ისრაელშია, რადგან თურქეთი არ გღებულობთო. პაატას ბრძანებით მოსალაპარაკებლად გადიოდნენ მგზავრები, მაგრამ უკან, რა თქმა უნდა, აღარ ბრუნდებოდნენ. გამთენიისას თვითმფრინავში იმყოფებოდნენ დაჭრილი თავდამსხმელები და ის მგზავრები, რომლებსაც გარედან მიღებული ჭრილობების გამო თვითმფრინავიდან გადახტომის უნარი არ შესწევდათ. პაატა, როგორც ექიმი, გრძნობდა, რომ მათ ასაყვანად დილის 6 საათისთვის მოვიდოდნენ, რადგან ამ დროს ფიზიოლოგიურად ყველაზე ძალიან გეძინება. 6 საათსა და 45 წუთზე თვითმფრინავში 10 საათით ადრე ჩამოსული „ალფას“ სპეცრაზმი შეიჭრა და ფაქტობრივად ერთადერთი ფეხზე მდგომი პაატა ივერიელი გააუვნებელყო. საგულისხმოა ისიც, რომ ძმასთან მსგავსების გამო იგი სავარაუდოდ მეთაურად მიიჩნიეს, რის შესახებ რაციით აცნობეს მიწას და როდესაც „ალფას“ მებრძოლებს იგი ტრაპიდან ჩაჰყავდათ, რამდენიმე სამოქალაქო ტანსაცმლიანმა პირმა მისი მიმართულებით ცეცხლი გახსნა. იგი მაშინ სიკვდილისგან „ალფას“ წევრებმა იხსნეს. თავი ჩააწევინეს და ცოცხალი წრე შემოარტყეს. პაატა მსროლელებს კახა ეგონათ და არ უნდოდათ იგი ცოცხალი დარჩენილიყო, რადგან მან ერთმა იცოდა, სინამდვილეში რა მოხდა მფრინავების კაბინაში — ანუ სიმართლე იმის შესახებ, თუ ვინ მოკლა ბორტმექანიკოსი ანზორ ჭედია, ინსტრუქტორი შარბათიანი, მგზავრი სოლომონია, ბორტგამცილებელი ვალია კრუტიკოვა და გია ტაბიძე.

სოსო წერეთელს, რომელიც ყელში მძიმედ იყო დაჭრილი, იმის მაგიერ, რომ ექიმთან წაეყვანათ, ვანდალურად, თითქმის ლინჩის წესით სცემეს. არც დანარჩენებს დადგომიათ უკეთესი დღე, მათ შორის სამი თვის ფეხმძიმე თინიკო ფეტვიაშვილს. გეგა კობახიძეს, რომელსაც ბოლო წუთამდე სტატისტის როლი ერგო, პაატა ივერიელმა უთხრა კიდეც, ჩადით შენ და შენი ცოლი,

რადგან არაფერი ჩაგიდენიათ ისეთი, რაც მძიმე სასჯელს გამოიწვევსო. გეგა თვითმფრინავიდან არ ჩასულა, რადგან როგორც თვითონ იტყვის მოგვიანებით, ,,აქ იყო რაღაც კაცური მომენტი, რომელსაც მე გვერდს ვერ ავუვლიდიო''.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი დიდი უბედურება ის იყო, რომ განურჩევლად ბარიკადისა, ამ საშინელების შედეგი ორივე მხარემ ერთნაირი სისასტიკით იწვნია; მაგრამ მეორე არანაკლები უბედურება ის არის, რომ თვითმფრინავში სიკვდილს სასწაულით გადარჩენილი ხალხი საკუთარმა მთავრობამ სამშვიდობოზე გამოღწევისთანავე კინაღამ თვითმფრინავშივე გადაბუგა.

წარმოიდგინეთ სიტუაციის მარაზმამდე მისული აბსურდულობა: მთელი ქვეყნის პარტიული თუ აღმასრულებელი ელიტა, ჩაფარ-ბოქაულიანად, იმის მაგიერ, რომ მგზავრების სიცოცხლის შენარჩუნების ფასად დაემორჩილოს ბანდიტების ნებას და თურქეთში გაფრენის ნება დართოს, დგას და უყურებს, როგორ ესვრის მე-8 პოლკის საჯარისო ფორმირება 60 კაცს ცეცხლს 20 წუთის განმავლობაში.

იმ დროს საბჭოთა კავშირში და მათ შორის, საქართველოს სსრ-ში რეალური ორხელისუფლებიანობა იყო. ამ ორხელისუფლებიანობას საქართველოში ინაურ-შევარდნაძის სახე ჰქონდა მიღებული. ძნელი სათქმელია, რომელი რომლის კარიერის დასამარებას ცდილობდა. დღეს ცხადია, რომ იმ ხსენებულმა თვითმფრინავმა ორივეს კარიერას ზედ გადაუფრინა და გამარჯვებამდე მიიყვანა ის ძალები, რომლებმაც ამის გაკეთების შანსი მისცეს შვიდ გულუბრყვილო ბიჭს, ისე რომ მათ თავშიც არ მოსვლიათ, რამხელა პოლიტიკის მარიონეტები ხდებოდნენ.

ვინ უფრო დიდი ბანდიტია ამ შემთხვევაში: ის ვინც საკუთარ სიცოცხლეს სწირავს თავისუფლების იდეალებისათვის და ამის მისაღწევად გარანტად იყენებს ყველაზე წმინდას და ხელშეუხებელს ნებისმიერ მთავრობისათვის — მის ხალხს; თუ ის, ვინც საკუთარი კარიერისტული ამბიციებიდან გამომდინარე იმავე ხალხს ავტომატებით ცხრილავს?!

ზემოთ ხსენებულ ,,შავი ყუთის'' შიფროგრამაში საუბარია ,,ვოიაკებზე''.

ვინ ,,ვოიაკებზე'' ლაპარაკობს პილოტი 5 წუთით ადრე? წინასწარ ხომ არ იცოდნენ მათ ამ თავდასხმის შესახებ, რომელსაც

იმდენად ელოდებოდნენ, რომ 1 წუთში მოიგერიეს? ხომ არ იყო ეს ვიღაცის კარიერისტული ინტრიგა? ინტრიგა, რომელიც სპეტაკი კომუნისტის ბრწყინვალე კარიერის შესაფერისი ტრამპლინი აღმოჩნდა?

ამ სიტუაციაში ხელაღებით ხელს ვერავის დაადებ. როდესაც ადამიანს ავთვისებიანი კიბო აქვს, რომელი მეტასტაზი მოუღებს მას პირველად ბოლოს, რთული სათქმელია.

საბუთის თანახმად, რომელსაც „შავი ყუთის" შიფროგრამას ვურთავ, ხსენებული ჩანაწერები სასწრაფო ლიკვიდაციას დაექვემდებარა. ის ერთადერთი სამხილი რაც უდავოდ პილოტების კანონსაწინააღმდეგო და დაუდევარ ქმედებებში ამხელდა, განადგურებულ იქნა, რასაც „совершенно секретно" გრიფიანი საბუთი მოწმობს. სამაგიეროდ დააფიქსირეს ხელოვნურად შეკოწიწებული შიფროგრამა, რომელშიც მიუხედავად სათანადო დამუშავებისა იკვეთება გაპარული ნიუანსები:

1. Погода в аэропорту посадки Батуми хорошая, выше нашего минимума. (გვ. 180)
2. Разрешил? Да, вояки разрешили. (გვ. 188)

და ეს თავდასხმამდე რამდენიმე წუთით ადრე! რა არის ეს? პილოტის ხუმრობა თუ ამაზრზენი საბჭოთა სინამდვილე?

დღეს როგორც უნდა შევხედოთ იმ სიტუაციას, ფაქტი რჩება ფაქტად. კერძოდ, იმ წყეულ თვითმფრინავში იმყოფებოდნენ კონკრეტული ადამიანები, რომელთა ერთადერთი დანაშაული იმ ავადსახსენებელ რეისზე ბილეთის აღება იყო. დღეს სოლომონიას, შარბათიანის და აბოვიანის ოჯახისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ კონკრეტულად ვინ მოუსწრაფა მათ ახლობლებს სიცოცხლე: ჯარისკაცმა თუ პილოტმა? განა ანზორ ჭედიას ცოლ-შვილს რაიმე შეღავათს მისცემს ის ფაქტი, რომ იგი ტაბიძემ კი არა, გასოინმა მოკლა? ან ვალია კრუტიკოვას მშობლებს დაუბრუნებს შვილს ის გარემოება, რომ ახალგაზრდა გოგო სოსო წერეთელმა კი არა, ვიღაც უსულგულო „სალდატმა" შუაზე გადაცხრილა. განა ამ ყველაფრის ცოდნა გააქარწყლებს მარტოობის ტკივილს ან ახლობელი ადამიანის დაკარგვით მოყენებულ ტანჯვას? არა მგონია, რადგან როდესაც შენ კვდები, ჯანდაბასაც წაუღია მთელი ქვეყანა თავისი მაღალი იდეალებითურთ. ხანდახან ვფიქრობ, რა აზრი აქვს დღეს ყოველივე ამის ქექვას? ნუთუ ქ-ნ ნათელა მაჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარიანს (გეგა კობახიძის დედა) ოდნავ მაინც შეუმსუბუქებს დარდს იმის ცოდნა, რომ მისი მართლაც არაჩვეულებრივი შვილის აბსოლუტურად უდანაშაულოდ დასაჯეს? ან ორი მთასავით ბიჭის დამკარგავ დედას ვინ აუხსნის, იცით, ქალბატონო, თურმე თქვენ ვაჟს კახას არავინ მოუკლავსო! ან ვინ გააცოცხლებს სოსო წერეთელს, რომლის ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ ამყაყებულ წუმპეში მონური სიცოცხლე მობეზრდა. ან რით ვანუგეშოთ მიქაბერიძის დედა, რომელმაც 21 წლის ბიჭი დაკარგა. ვინ აუხსნის გია ტაბიძის ცოლს, რომელიც დღემდე შავებში დადის, რომ მისი ქმარი მკვლელი არ ყოფილა? მე დამიბრუნებს ვინმე მამას, რომელიც ასე ძალიან მჭირდება? მამას, რომლის დანაშაული ის იყო, რომ ღმერთი უყვარდა და ალსარების საიდუმლო არ გასცა!

ის, რაც მოხდა, ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი და დიდი ხნით ადრე გათვლილი იყო.

ნეტა მართლა მკვლელები და ბანდიტები ყოფილიყვნენ, მაშინ ასეთი გაუსაძლისი აღარ იქნებოდა ეს გულისამრევი, განუკითხავი უსამართლობის შეგრძნება.

მე მიკვირს ის „გამბედაობა", რაც მაშინდელმა საზოგადოებამ თავისი დუმილით გამოიჩინა. შენ ცხვირწინ ადამიანების „სამაგალითო" დახვრეტის იგნორირება ხომ საკუთარ პოტენციურ სასიკვდილო განაჩენზე ხელის მოწერის ტოლფასია. ინდიფერენტულობის ეს საშიში ტენდენცია, სამწუხაროდ, დღემდე ჩვენი საზოგადოების სერიოზულ კომპლექსად რჩება. როდესაც ჩვენ ერთმანეთის ინტერესებს არ ვიცავთ, ამით საკუთარი თავისთვისაც გამოგვყავს წირვა. „მე ვიყო კარგად და ჯანდაბამდე გზა გქონიათ", — ეს არის ჩვენი საზოგადოების არსებობის პრინციპი, იმ საზოგადოებისა, რომელსაც ერთმანეთის ძვლებსა და სისხლზე გვაშენებინებენ ჩვენივე მდუმარე თანხმობით.

1984 წლის 13 აგვისტოს დახურულ კარს მიღმა გაიმართა საქმე №201 „თვითმფრინავის გამტაცებლების" სასამართლო პროცესი. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს №3 სხდომის დარბაზში, მარიონეტული სასამართლოს წევრებისა და უშიშროების აქტივისტების წინაშე წარდგა ხუთი ახალგაზრდა ადამიანი, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ რომაულ ცირკში ლომების საგლეჯად შეყრილ უიარაღო გლადიატორებს. სურათის სრული დამაჯერებლობისათვის ცერა თითი მთელ ქვეყანას ქვემოთ დაეშვებინეს

ებრაელი ხალხივით და მათი უდანაშაულო სისხლი საქართველოს სსრ-ის მოსახლეობის 67%-ს თავის თავზე აალებინეს. დაიგზავნა ღია წერილები ცეკაში, ჩეკაში, ტეკაში, ქარხნებში და მინდორ-ველად, სადაც კი მიუწვდათ ხელი, ყველგან ფართომასშტაბიანი დისკრედიტაციის კამპანია გააჩაღეს.

ბიჭები მკვლელებად, ნარკომანებად და სექსუალურ მანიაკებად მონათლეს, რომლებიც თვითმფრინავში ქალებს ყრიდნენ ტრაპიდან, ბავშვებს კი ყურებს აჭრიდნენ და დედების თვალწინ ჭამდნენ.

რაც შეეხება „ღირს მამა თეოდორეს", ეს საუბრის განსაკუთრებული თემა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ის თვითმფრინავში საერთოდ არ მჯდარა, ბანდის მთავარ ორგანიზატორად და რეციდივისტად მონათლეს, რომელიც ქვემოდან ზემოთ უკეთებდა „ზემოქმედებას და კოორდინაციას" ბიჭების მოქმედებებს.

აღსანიშნავია „ღირსი მამა თეოდორეს დამღუპველი, გამხრწნელი რელიგიური ზემოქმედება" დანაშაულებრივი ჯგუფის დანარჩენ წევრებზე. ამ ბრალდებათა დეტალური ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. იგი ძალიან წააგავს 30-იანი წლების „პრავდას" მოწინავე გვერდის სააგიტაციო სტატიას, რომელიც დიადი საბჭოთის მტრების წინააღმდეგ იყო მიმართული. სამსჯავრო სხდომის ოქმის მიხედვით, რომელიც ძირითადად სტენოგრაფირებულია და აზრის სისავსეს სრულად არ გადმოსცემს (მრავალი სიტყვა დამახინჯებულიცაა), კარგად ჩანს ასეთი ტენდენციურობა. აი რამდენიმე ამონარიდი:

„მე გახლავართ... მამა თეოდორე. 1979 წელს მოხდა ჩემი ბერად აღკვეცა, ანუ ჩემი გარდაცვალება. მე დავდე ფიცი, რომ მე აღარ ვარ და ჩემ ნაცვლად არის იესო ქრისტე. რა კანონებსაც მეუბნებოდა ჩემი სახარება, იმას ვასრულებდი. საქართველოს მართლმადიდებლური საეკლესიო წესით მე მოვითხოვ, თქვენო ბრწყინვალებავ... დაასწროთ დარბაზში ჩემი წარმომადგენლები და... კორესპონდენტი. ის იქნება ჩემი დამცველი და მე მას ვენდობი... არავის არა აქვს უფლება, ადამიანის უფლებები შეზღუდოს. კონსტიტუციიდან გამომდინარე, მე მაქვს სინდისის თავისუფლების უფლება, კრიტიკის უფლება... სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად დარღვეულია ღვთის მსახურის, ე. ი. ჩემი უფლება..." და იქვე: „როდესაც დამაკავეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა მომესმა, რომ მე გამოცდა მომელის და უნდა გავუძლო ამ გამოცდას.

...საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბრალი მედება, რომ 1979 წელს გავიცანი სოსო წერეთელი და დათო მიქაბერიძე... მე სოსო წერეთელი გავიცანი 1978 წელს, ის უკვე ასრულებდა დიაკვნის სამსახურს ოფიციალურად... საქმე იმაშია, რომ საქართველოში მაშინ არ არსებობდა ტიპიური მამაკაცთა სამონასტრო ეკლესია... მე და სოსო წერეთელმა დავიწყეთ ჩვენი მსოფლმხედველობის ამაღლება. სოსო იყო ძალიან მოწადინებული და.. ჩვენ დავიწყეთ სახარების დოგმებით ცხოვრება. სოსოს მამა ეახლა პატრიარქს და სთხოვა, აეკრძალა სოსოსთვის ეკლესიაში სიარული. ასევე ჩემი მშობლებიც წინააღმდეგები იყვნენ, ტაძარში მევლო... სოსო წერეთელმა თავის სახელოსნოში დახატა სურათი და მიართვა პატრიარქს. ეს სურათი დღემდე ესვენა საპატრიარქოში... სოსოს პატრიარქმა უთხრა, ნუღარ მოდიხარ ეკლესიაშიო. სოსოს გული დაწყდა და თქვა: პატრიარქს არ უნდა ჰქონდეს უფლება, ამიკრძალოს ხატთან მისვლაო. მე ვუთხარი პატრიარქს და მან მითხრა, თუ წერეთელი მართლა მორწმუნეა, მას უფლება აქვს შეხვდეს და ეკლესიის გარეთ ისაუბროთ სარწმუნოებაზეო.

სამწუხაროდ, ეკლესიაში მოხდა დიდი განხეთქილება და სოსოზე ამან დიდი ზეგავლენა მოახდინა.

მე, სოსო წერეთელმა და... შევქმენით „ქრისტიანული მრწამსის შემსწავლელი საზოგადოება“ ჭეშმარიტების შეცნობის და სახარების შესწავლის მიზნით.

...ამ დროს მე ვიყავი ბერად აღკვეცილი. მე ვურჩიე სოსოს, რომ მოეხერხებინა სტაჟირება სამხატვრო აკადემიაში და ამ გზით წასულიყო საზღვარგარეთ“. — **ტ. 21, გვ. 9-10.**

„თეიმურაზ ვლადიმირის ძე ჩიხლაძემ... იმყოფებოდა რა რელიგიური ბანგისა და საზღვარგარეთის ანტისაბჭოთა რადიოსადგურების გადაცემების გავლენის ქვეშ, 1979 წლიდან განიზრახა არაკანონიერი გზით წასულიყო საბჭოთა კავშირიდან პირთა ჯგუფთან ერთად და ამ მიზნისათვის შეუდგა თანამზრახველთა ძებნას... ამ მიზნით ეწყობოდა თავყრილობები... ასეთ ზემოქმედებათა შედეგად, თავის მხრივ, გააქტიურდნენ ი. კ. წერეთელი და დ. რ. მიქაბერიძეც, რომელთა დაბეჯითებითი თხოვნით თ. ვ. ჩიხლაძემ 1981 წლისთვის ნება

დართო ჯგუფში გაერთიანებულიყვნენ ჯერ კობახიძე გერმანე მიხეილის ძე (ზაფხულში), ხოლო მოგვიანებით (შემოდგომაზე) კახა ვაჟას ძე ივერიელი, შემდგომში კი პაატა ვაჟას ძე ივერიელი... ჩიხლაძის მიერ ჩამოყალიბებულმა ჯგუფმა მყარი ბანდიტური ორგანიზაციის ხასიათი მიიღო მისთვის დამახასიათებელი ყველა (მათ შორის შეიარაღებული) ნიშნით“ (ამონარიდი განაჩენიდან).

გაჭირვეული ხავსს ეკიდებოდაო, და ჩვენმა ოჯახებმა დაიწყეს ხელის მოწერების შეგროვება, რასაც თავდაპირველად ე. წ. ინტელიგენცია შიშნარევი ენთუზიაზმით, მაგრამ მაინც გამოეხმაურა, მაგრამ როდესაც დაიბარეს, სადაც ჯერ არს და თავაზიანად მიუთითეს მათ მიერ დაშვებულ შეცდომაზე, ხელის მოწერის უკან წაღებას ვინ ჩივის, სიკვდილით დასჯის მოთხოვნაზე მოაწერეს ხელი. ასე რომ, მაშინდელ საქართველოში ოდიოზურმა ფრაზამ „საქართველოს რესპუბლიკის სახელით“ აბსოლუტურად კონკრეტული იერსახე მიიღო.

ძნელია საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში მოიძიო ასეთი უტიფარი და თავხედი მსჯავრდებული, როგორიც მამა იყო. მან რატომღაც გადაწყვიტა თავის თავზე სახალხო დამცველის ფუნქცია ეტვირთა, რასაც, უნდა ითქვას, პირნათლად ართმევდა კიდეც თავს. თვითმფრინავის ეპიზოდის „განხილვისას“, როდესაც ის საერთოდ ჩუმად უნდა ყოფილიყო, რადგან არავინ არაფერს ეკითხებოდა, უშუალო მონაწილეების მაგიერ თვითონ ერთვებოდა პროკურორთან და მოსამართლესთან აქტიურ პოლემიკაში: მაგ., „...კი, მაგრამ, ბატონო მოსამართლევ, როგორ მოახერხებდა მძიმედ დაჭრილი წერეთელი ზემოდან ქვემოთ ესროლა კრუტიკოვასთვის ისე, რომ მას, თვითმფრინავიდან უკვე გადამხტარს, ტყვიები წელს ქვემოთ მოხვედროდა“.

ჩვენებების მისაცემად დარბაზში უკვე საბჭოთა კავშირის გმირი ა. გარდაფხაძე შემოიყვანეს. მამამ სიტყვა ითხოვა: „ბატონო ჩემო, თუ არის თქვენთვის ცნობილი იმ დაუწერელი ინსტრუქციის შესახებ, რომლის თანახმადაც მშვიდობიანი მგზავრების სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე თავდამსხმელებს უნდა დამორჩილებულიყავით?“ მოსამართლემ უთხრა: „ჩიხლაძე, იგი ამას შემდეგში გაითვალისწინებს“. მამა: „ბატონო, ცაში უმაღლესი პილოტაჟის და მკვდარი ყულფების დემონსტრირება რომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგეხდინათ, მაშინ როდესაც მგზავრებს უსაფრთხოების ქამრები შეხსნილი ჰქონდათ, ამდენი ხალხი რომ არ დაიჩეხებოდა? თქვენი მომაკვდავი მეგობარი კაბინაში რომ არ დაგეტოვებინათ, იგი ხომ არ დაიცლებოდა სისხლისაგან? (მამამ არ იცოდა, რომ შარბათიანი მოკლული იყო. — ავტ.) მაშინ, ბატონო, გილოცავთ საბჭოთა კავშირის გმირობას, თქვენ იგი ნამდვილად დაიმსახურეთ".

მოსამართლის კითხვაზე, — ასე გამალებით და გაშმაგებით რატომ იცავ, ჩიხლაძე, მათო, პროკურორმა თქვა, — იმიტომ, რომ ბანდის მეთაურია და აბა, რა უნდა ქნასო. მამამ კი მიუგო: „ბანდის მეთაური კი არა, სულიერი მამა ვარ და განსაცდელში ჩემი მრევლის დაცვა ჩემი უშუალო მოვალეობააო". ამ ფრაზებით მან განიმტკიცა ბანდის მეთაურობის ტიტული, თუმცა არც წინასწარი ძიების პერიოდში დაუკლა ხელი მცდელობისათვის. როგორც სასამართლოზე თქვა, „როდესაც კახა ივერიელი მაჩვენეს პირველად და ამხელა კახას ცრემლები დავინახე, მაშინ ვიფიქრე, ყველაფერს ჩემ თავზე ავიღებ, ოღონ მაგას ეშველოს რამე; რომ გავიგე, მისი მეორე ძმაც აქ იყო, სულ გადავირიე და ვიფიქრე, რაც უნდა იყოს, ნეტავ ესენი გადარჩნენ-მეთქი; აკი ჩემს ჩვენებაშიც მოგახსენეთ, მე დამხვრიტეთ, ოღონდ ესენი გადარჩნენო". ასეც მოიქცა. ტყუილსა თუ მართალს, იცოდა თუ არ იცოდა — ყველაფერს თავის თავზე იღებდა. მაშინ ვინმეს რომ ეთქვა, რომის პაპს შენ ესროლეო, იმასაც აღიარებდა, ოღონდ მათ შველოდათ რამე. ალბათ ფიქრობდა, რომ რაკი თვითმფრინავში არ იჯდა და რომ აშკარა კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია, ბრალის თავზე აღებით წლებს თუ დაიმატებდა. სამაგიეროდ მათ ააცილებდა სიკვდილს. მაგრამ სასამართლომ ურცხვ მექრთამესავით ქრთამიც აიღო და საქმეც არ გააკეთა.

მამა პროცესზე იმდენს ხუმრობდა, რომ კაცს ეგონებოდა, კინოში იღებდნენ პატიმრის როლში, რომელსაც საკმაოდ უნიჭოდ ასრულებდა, მომენტის ტრაგიზმის სრული იგნორირების გამო. სინამდვილეში ის ბოლო წუთამდე სხვებს ამხნევებდა და დანებების უფლებას და საშუალებას არ აძლევდა. როგორც მერე თინიკომ თქვა, თემური რომ არ ყოფილიყო, ალბათ ყველა დავიხოცებოდითო. საქართველოს ცენტრალური ტელევიზიით გაშვებულ ფილმში აჩვენებდნენ მომენტს, როდესაც მამა ლაპარაკობს და დანარჩენები იცინიან. აიო, — ამბობს დიქტორი, — მიუხედავად

ჩადენილისა, რა ცინიკურად იქცევიანო. სინამდვილეში მამა თა-ვისი მორიგი ცინიკური „ხუმრობით“ პატივცემულ სასამართლოს და მის წევრებს ამკობდა, რაც მისი ენაკვიმატობის წყალობით იმდენად კარგად გამოსდიოდა, რომ პროცესზე დამსწრე ჩეკისტებიც სიმწრით იკავებდნენ თავს ისტერიკული სიცილ-ხარხარისაგან.

სასამართლო პროცესი იმდენად სწრაფი ტემპებით და არა-კომპეტენტურობით მიმდინარეობდა, რომ ვერავინ — მათ შორის ვერც მოსამართლემ და პროკურორმა — ბოლომდე ვერ გაიგო, რა ხდებოდა და ვის რას ერჩოდნენ. ორ კვირაში „თათარიახნად გა-მოაცხვეს“ განაჩენი: პროკურორმა უმაღლესი სასჯელი მოითხო-ვა, რასაც მოსამართლე მთელი თავისი ამალით დიდი ენთუზიაზ-მით დაეთანხმა და უცებ სიჩუმემ, სიცარიელემ, სიცივემ დაისად-გურა; ყველა გაირინდა; ამას არავინ ელოდა; ამას არავინ ფიქ-რობდა და არავის წარმოედგინა. 15 წელი — კი, ბატონო; კულუ-რებში 8-10 წელს, მამაზე კი 3-დან 5 წლამდე ვარაუდობდნენ. მაგრამ დახვრეტა — არა! არა 1934, არამედ 1984 წელს! მართლაც მეტისმეტი იყო! მერე უცებ ისევ აირია ყველაფერი, ვერავინ ვე-რაფერს გრძნობდა და აკონტროლებდა.

ჯერი ბოლო სიტყვამდე მივიდა. ყველამ რაღაცა თქვა; მამა დინჯად ადგა: „როგორ, ახლავე ხომ არ მხვრეტთ, რა დროს სა-ბოლოო სიტყვააო“. მერე ლოცვა შეასრულა; ღმერთს შეევედრა, მომეცი ძალა სიმართლის აღიარებისა და თუ ღირსი ვარ, დამი-ცავიო „ღმერთო, შენითა და არა ჩემითა“. მერე გააგრძელა: „ბა-ტონო მოსამართლევ და სასამართლო შემადგენლობავ, მე თქვენ მიწოდეთ ბანდის ხელმძღვანელი. მე მინდა მოგახსენოთ, რომ არა-ვითარი ბანდა მე არ შემიქმნია, ვარ ღვთისმსახური და როგორც ჩვენი სახარება გვასწავლის, მე მინდოდა რწმენა — კაცთმოყვა-რეობა, სიმართლე და ჭეშმარიტება — შთამენერგა ხალხისთვის. ყველა წყობა ცდილობს თავის სიძლიერეზე, თავისი რიგების გაზ-რდაზე. მეც, სახარების თანახმად, ვცდილობდი მორწმუნეები შე-მომეკავშირებინა და მათში რელიგიური მსოფლმხედველობა გა-მეძლიერებინა, რომელიც მე მგონი აკრძალული არ არის. მე, ბა-ტონო მოსამართლევ, არაფერს არ ვთხოულობ, თავს დამნაშავედ არაფერში არ ვცნობ, საერთოდ არ ვიცი, აქ რას ვაკეთებ. ეს რომ ნორმალური ქვეყანა იყოს, მე აქ საერთოდ არ უნდა ვიჯდე. თუ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, წავალ რომელიმე მონასტერში და იქ

გავატარებ ჩემს გატანჯულ ცხოვრებას, რომელიც მაინც არ მინდა. თქვენ თუ მომკლავთ და ამით თუ სხვებს ეშველება რამე, მე უფრო სიამოვნებით წავალ ამ ქვეყნიდან და რახან სამაგალითო დასჯა გაქვთ დავალებული, ოთხი კაცის დახვრეტას, რომლებიც ისევ თქვენ გამოგადგებათ თავისი პროფესიონალიზმით, ისევ მე დამხვრიტეთ. ეს კია, რომ ეს ჩვენი საქმე დიდად გახმაურდება და ასე ადვილად ჩემი მოკვლა კარგს არაფერს არ მოგცემთ".

აქ კი მოსამართლემ უყვირა და ლაპარაკი აუკრძალა.

სასამართლო პროცესით გათვალისწინებული ფარსის დასრულების შემდეგ დაიწყო გაუთავებელი ტანჯვა-წამების ჩვიდმეტწლეული. განაჩენი ყოველგვარი კასაციის და გაპროტესტების უფლების გარეშე გამოიტანეს. ოჯახები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, იქნებ როგორმე სიტუაცია შემოეტრიალებინათ. ბაბუაჩემმა სხვებთან ერთად მიაშურა საბჭოეთის მექას — მოსკოვს. მოსკოვში მან თავისი მეგობრის ნახვა მოახერხა, რომელიც საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე იყო. მან უთხრა: „Эти парни для нас особой опасности уже не представляют, постреляли пару раз и бог с ними, а вот твой сынок орешек покрепче, он есть идеологический враг строя, следовательно его, навряд ли, пощадят".

ჩვენ თავზე ჭორ-მართლის მთელი ნიაღვარი წამოვიდა. კონკრეტული პიროვნებები, რომლებიც ხან „ნადზირატელები" და ხან მათი „თანასაკნელები" იყვნენ, ოჯახებს ურჩევდნენ, აქტიური ქმედებებისაგან თავი შეეკავებინათ ბიჭებისვე უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. იყო ვერსიები, რომ სიკვდილით დასჯა ციმბირის საბადოებში 15 წლით სასჯელის მოხდით შეუცვალეს, რომ მამა ვიღაც ჯაშუშზე გადაცვალეს და ა.შ. პაატას ჰყავდა მეგობარი, რომლის ბაბუა იყო საბჭოთა კავშირის გმირი პოკრიშკინი, ჩერნენკოს მეგობარი. ერთი პერიოდი ხმა დაირხა, რომ შვილიშვილის თხოვნით მან ჩერნენკოს ხელი მოაწერინა ბიჭების შეწყალებაზე. იმდენად დაგვაჯერეს, რომ ოჯახები ერთმანეთს გადარჩენას ვულოცავდით.

მამას განაჩენიდან მესამე დღეს მისმა „ავტორიტეტულმა" მეგობრებმა ციხის უკან ამიყვანეს დათქმულ დროს, საიდანაც ხმის მიწვდენა ვცადეთ, მაგრამ მერე საპასუხო სროლა ატყდა და იმ ადგილს გამომარიდეს. ვიყავი უწმინდესთან, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლებში ჩავუვარდი და დახმარება ვთხოვე. მაგრამ მან ვერაფერის გაკეთება მოახერხა. ის თავადაც არანაკლებ შეშფოთებული ჩანდა. მხოლოდ ის თქვა, რომ პირადად იყო გილაშვილთან და იმედი ჰქონდა, რომ მის თხოვნას ყურად იღებდნენ. მე მირჩიეს წერილის დაწერა და ცეკას პირველ მდივან შევარდნაძისთვის გადაცემა (გვ. 223). გარდა ამისა, ბიჭვინთაში ისვენებდა კოსიგინის შვილიშვილი, რომელსაც დედასთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა. დედამ შემომთავაზა, იმავე ღამით მისი მანქანით ხსენებული წერილები კოსიგინთან წაგვეღო. თბილისიდან ღამე გავედით: მე, დედა, მამის მეგობარი ავთო ხვიჩია და კიდევ ერთი პირი. დღის განმავლობაში, როდესაც მანქანით ქალაქში ვმოძრაობდით, ვამჩნევდით სხვადასხვა მანქანებს, რომლებიც კუდში დაგვდევდნენ. ამ და სხვა მიზეზებით, მაქსიმალური კონსპირაციის დაცვით თბილისიდან ღამის პირველ საათზე გავედით.

წეროვანის ,,ტეკთან'' დედა გააჩერეს და ზომაზე მეტხანს დააკავეს. ამის შემდეგ ნატახტართან დიდმა მანქანამ ორჯერ ,,დალნით'' დაგვაბნელა, რის შედეგადაც ხილიანზე მცხოვრები პიროვნება, რომელიც თბილისში უნდა ყოფილიყო ქორწილში, ჩვენს ,,პარპრიზზე'' აღმოჩნდა, ისე რომ, დედამ სიჩქარის განვითარებაც ვერ მოასწრო. უცებ იქვე გაჩნდა რაღაც წითელი მანქანა და შიგ მსხდომებმა ექიმებად წარმომიდგინეს თავი, რადგან ჩემ გარდა ჩვენს მანქანაში მსხდომები გარკვეული მოსაზრებით გარეთ არ გადმოსულან. ის ,,ექიმები'' დაზარალებულს სახეში მთელი ძალით ურტყამდნენ, თითქოს მოსასულიერებლად. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ის კაცი სავადმყოფოში გამთენიისას გარდაიცვალა. ვიცი ზუსტად მხოლოდ ის, რომ იმ პიროვნებამ მანქანის დარტყმისაგან მხოლოდ კიდურების მოტეხილობა მიიღო, სიკვდილის მიზეზი კი გაურკვეველი დარჩა. მამის განაჩენისგან თითქმის ერთ თვეში დედის სასამართლო პროცესი გაიმართა, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევდა ის, რომ იგი ჩიხლაძის ყოფილი მეუღლე იყო და მანქანაში რაღაც საბუთები უპოვეს.

ერთაბაშად იმდენი საშინელება დამატყდა თავს, რომ ემოციის, გაცნობიერების უნარი დავკარგე. ფაქტობრივად შოკირებულ მდგომარეობაში ვიყავი. ახლა რომ ვიხსენებ, თითქმის არ მიტირია არც მაშინ, სოსოს და დათოს ამბავი რომ გავიგე, არც სასამართლოს განაჩენის გამოტანისას, არც დედის ავარიის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს შიგნით რაღაც ჩამწყდა და გამიქვავდა. მერე, როცა რეალურად მივხვდი, სინამდვილეში რაც მოხდა, საჭმელზე უარი ვთქვი და კონტაქტში არავისთან არ შევდიოდი. ამით შეშინებულმა ბებიამ და ბაბუამ ,,ახლობლების'' რჩევით ნერვული დიაგნოზით დამაწვინეს საავადმყოფოში, სადაც თითქმის სამი თვე გავატარე პალატაში მარტომ (გვ. 222). ჩემთან შემოსვლის უფლება მხოლოდ განსაზღვრულ პირებს ჰქონდათ.

წლების განმავლობაში ჩემი ოჯახისთვის მამის შემდგომი ბედი უცნობი იყო. ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ანუ 1989 წლამდე აღსრულების ქაღალდიც არ მიგვიღია. როდესაც პასუხისთვის ციხის ადმინისტრაციას მივმართავდით, ,,ჩვენ არაფერი არ ვიცითო'', გვაგზავნიდნენ უკან, უმაღლეს სასამართლოში, რომელიც გვპასუხობდა: ,,ჩვენ აღარ გვეხებაო''. აქედან მივდიოდით საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საიდანაც მოსკოვში, პოლიტბიუროსთან არსებულ შეწყალების კომისიაში გვიშვებდნენ, ხოლო ეს უკანასკნელები თავაზიანად გვირჩევდნენ, სიტუაცია გაგვერკვია ადგილზე და ასე დავდიოდით ბორბალში გამოკეტილი ციყვებივით უთავბოლოდ წინ და უკან — გაურკვევლები და შეურაცხყოფილები.

17 წლის რომ გავხდი, მოსკოვში ჩავაკითხე ხსენებულ შეწყალების კომიტეტს, სადაც რა თქმა უნდა, ჩემი მიღება ფიქრადაც არავის მოსვლია. ეს კომიტეტი ტერიტორიულად მდებარეობს მოსკოვის ცენტრში და იქ, ჩემდა ბედად, შემთხვევით ამერიკელი ტურისტები ისხდნენ ფოტოაპარატებით. მე შევედი შენობაში და ხმამაღლა განვაცხადე, რომ თუ არ მიმიღებდნენ, იქვე მათ თვალწინ მივცემდი უცხოელ კორესპონდენტებს ინტერვიუს. მათ დამიჯერეს და მიმიღეს. არქივიდან ყველა საქმესთან არსებული საბუთის სკრუპულოზურად ამოღების შემდეგ განაცხადეს, რომ არ ფლობენ ინფორმაციას აღსრულების შესახებ და შემომთავაზეს, მომეთხოვა საქმის გადახედვა, რასაც უკვე არსებული ,,პერესტროიკის'' პოლიტიკური კლიმატიც უწყობდა ხელს.

ჩემი პირადი უსაფრთხოებიდან გამომდინარე ოჯახი წინააღმდეგი იყო ამ გადაწყვეტილების. მაგრამ მიუხედავად ამისა, მოვახერხე მათგან დამოუკიდებლად საჭირო თანხის გამონახვა და მამის მეგობრების საშუალებით დავიქირავე ლენინგრადელი ადვოკატი, რომელიც მაშინდელ საბჭოთა სივრცეში ცნობილი იყო

როგორც „ოქროს შვიდეულის“ წევრი. ჩვენი ურთიერთობა განისაზღვრა შემდეგნაირად: მას, როგორც ჩემი ინტერესების დამცველს, უნდა მიეღწია საქმის ხელახალი გადასინჯვისათვის ზეწესით სარჩელის საფუძველზე. მაგრამ უამრავი ხელისშემშლელი პირობის გამო, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაშინ საქართველოში ამის გაკეთება ვერ მოვახერხეთ. ჩვენ ძალიან შეგვიშალეს ხელი, ამიტომ ჩემმა ადვოკატმა გადაწყვიტა, საკავშირო პროკურატურისთვის მიემართა. ჩვენ თითქმის მივაღწიეთ საქმის ხელახლა გადასინჯვას, მაგრამ ამ დროს დაიშალა საბჭოთა კავშირი; საქართველოში 1989-1990 წლების მოვლენების შედეგად მთლიანად გაქრა საქმე და კვლავ იურიდიულ პრასტრაციაში ამოვჩნდით.

ამ დროს ჩემ თავს ხდებოდა საოცრად პარადოქსული ამბები — ანეგდოტურიც კი. მაგალითად, მე ვიღაცამ საკუთარი სახლის წინ „მესროლა“ და რატომღაც „ამაცილა“. გათვლა მარტივი იყო, მე ავტეხდი ყვირილს და მომხდარის ფონზე დავაბრალებდი იმას, ვისაც ლოგიკურად ეს აინტერესებდა. მაგრამ, რადგან სინამდვილეში მათ ეს არ გაუკეთებიათ და ლოგიკას თვითონაც ფლობენ, იძულებულები გახდნენ, დავეცავი მე იმ მხარისაგან, რომელიც მათთვის ჩემი განადგურების გადაბრალებას ცდილობდა და რაღაც პერიოდი უშიშროების დაცვაც მყავდა. ისე ჩაიხლართა ყველაფერი, მაკიაველსაც შეშურდებოდა. მიუხედავად ამისა, რაღაც ეტაპზე მაინც მივიღე გადაწყვეტილება, გამეხმაურებინა ის, რასაც ვაკეთებდი. ამით, ყოველ შემთხვევაში, ორივე ბანაკისაგან თავს დავიზღვევდი. გაჩნდა ჩემი წერილები პრესაში, ოღონდ იმდენად შეცვლილი, რომ წაკითხვის შემდეგ ყბა მომექცა და კინაღამ გული წამივიდა.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ სიცოცხლეში ვეღარასოდეს ვნახავდი სოსოს. მაგრამ თურმე არასოდეს არ უნდა თქვა, — „არასოდეს“. 17 წლის მერე მე ვნახე სოსო. ოღონდ მე ცოცხალი, მასზე უფროსი ვიყავი. სისხლისაგან დაცლილს და მძიმედ დაჭრილს, კომკავშირის აქტივისტებისაგან უპატრონო ძაღლივით ნაცემს ისე ამოხდა სუკის იზოლატორში სული, რომ ყელიდან ტყვიის ამოღებაც არ აღირსეს. სამაგიეროდ კუბო შეურჩიეს საგანგებო, წითელი ნაჭრით გადაკრული და 17 წლის წინათ სიკვდილმისჯილების სასაფლაოზე „ზარ-ზეიმით“ დაკრძალეს.

ბიბლიოთეკა

„მე ბედი ვინ მომცა, თორემ აქ ხომ არ გავჩნდებოდიო", ხშირად უთქვამს სოსოს მეგობრებისთვის. გაჩენის რა ვთქვა, არ ვიცი, მაგრამ სიკვდილში სხვებზე მეტად იღბლიანი აღმოჩნდა, ბოლოს ადამიანურად მაინც დაიმარხა. მისი სახელობის ქუჩა არსებობს თბილისში, სკოლა — საჩხერეში. თუმცა მეეჭვება, ამან მას ან მის ოჯახს ტკივილი შეუმსუბუქოს.

მთელი ცხოვრება თავისუფლებას ელტვოდნენ, ჩარჩოს მტვრევისგან ისისხლიანებდნენ თავ-ყბას — ყველგან, სადაც ამისი ადგილი იყო თუ არ იყო. ორიოდე წლის წინათ სახლში ქ-ნმა ნათელა მაჭავარიანმა დამირეკა, გეგა კობახიძის დედამ და მითხრა, რომ მას ვიღაც კაცები დაუკავშირდნენ, რომლებიც გარკვეული, უმნიშვნელო თანხის სანაცვლოდ მზად იყვნენ ჩვენი ბიჭების საფლავები ეჩვენებინათ და ჩვენთვის მათი ნეშტი გადმოეცათ. ჩვენ, რა თქმა უნდა, დავთანხმდით. მე და ნათელა მთელი დღე დავდიოდით სასაფლაოებზე და რაღაც საშინელ ფორმალობებს ვაგვარებდით. დათქმულ დღეს ბარ-ნიჩბებით ეკიპირებულები 15-ოდე კაცი გავედით დახვრეტილების სასაფლაოზე. ძმები ივერიელების მამამ ვაჟა ივერიელმა თან ოთხი სასახლე მოიტანა. თუმცა ოთხი კაცის მაგიერ მხოლოდ სოსო წერეთელის ნეშტს მივაკვლიეთ.

ჩემმა მტერმა ნახოს და განიცადოს, რაც იმ სისხლით მორწყულ მინდორში ხდებოდა. ამდენი გაუბედურებული ადამიანი ტანჯვით და იმავდროულად იმედის თვალით დავყურებდით მიწას, იქნებ საფლავი მაინც გვღირსებოდა. რეჟიმმა კიდევ ერთხელ ცინიკურად მოიქნია თავისი სისხლიანი კუდი: „ცოცხლებს ვეძებდით და ველოდებოდით, ბოლოს კი მკვდრებიც საოცნებო და სანატრელნი გაგვიხდნენ".

მთელი მსოფლიო თავისად მიაჩნდათ და ალბათ ამიტომ არიან ისინი დღეს ყველგან — ცაში, ზღვაში, მთაში, სიკვდილთან წინააღმდეგობის სულში, გაფრენის თავისუფალ იდეაში; ოღონდ არა იმ მიწაში, რომელმაც გააჩინა, გაზარდა და როდესაც პირველად ცხოვრებაში მისი თანადგომა და სიყვარული დასჭირდათ, სულმოკლე მეძავივით სამარცხვინოდ ზურგი შეაქცია, მათ სასიკვდილო განაჩენს ხელი მოაწერა მათივე სისხლით. ბიჭებთან ერთად თავისუფლების ქინიც დაიხვრიტა ისედაც დაშინებულ თაობაში; პროტესტი გადაიზარდა მორჩილებაში; და რომ არა ზემოდან

ნაბრძანები „თავისუფლება“, რომელმაც ხორცი იხსნა, მაგრამ სუ-ლი დაამონა, დარწმუნებული ვარ, ისინი დღესაც „ბანდიტებად, ნარკომანებად, ტერორისტებად“ დადაღულნი იქნებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მართლა სხვა დრო იყო. ვერც ერთ ადამიანს ვერ მოს-თხოვ, გინდა თუ არა „უფასო“ გმირი იყავიო. ამას მართლა არა-ვის პატიობდნენ. ზემოდან არასოდეს არ ჩანს ის, რაც სინამდვი-ლეში ქვევით ხდება. არავინ ვიცით, ვინ როგორ მოვიქცევით ექ-სტრემალურ სიტუაციაში. ნუ განსჯი! — ო, ეს ლიტონი სიტყვა მართლა არ არის, მაგრამ რა მოხდებოდა თითოეულ თქვენგანს ცალ-ცალკე და ყველას ერთად რომ არ მოგეწერათ ხელი მათ სიკვდილით დასჯაზე და მოსამართლეს „საქ. სსრ ხალხის“ სახე-ლით სიკვდილით დასჯა არ გამოეტანა?

ერთია, როდესაც მოყვასისთვის დღეში ათჯერ სუფრაზე კვდები და მეორე, როდესაც ერთხელ, მაგრამ სინამდვილეში სწი-რავ თავს, თან ისე, რომ არაფერს მოითხოვ და ვერც მოითხოვ ვე-რასოდეს. სიკვდილსაც ცოდნა ნდომებია. მის დახვედრას კი ყვე-ლაზე დიდი სიმამაცე და ძალისხმევა, რაც კი ადამიანს გააჩნია. ჩვენ ყველა წავალთ! — ნეტარია, ვინც ამაყად და ლამაზად წელ-ში გამართული წავა იქ, სადაც წასვლა არ შეეშინდება.

3 ოქტომბერს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს ისე, რომ მამას ბოლო თხოვნა — შვილთან გამომშვიდობება — არ შეუსრულეს. ციხეს დიდი ყურები და თვალები ჰქონია. იქ ყველამ ყველაფე-რი იცის. გავა დრო და მამასავით სიკვდილმისჯილი ერთი ქურ-დი მომწერს წერილს, სადაც ის ამბობს, რომ მას იშვიათად უნა-ხავს ასეთი ძლიერი ნებისყოფისა და სულის ადამიანი.

გამთენიისას პირველი კახა გაიყვანესო. მის ყვირილზე მთელი ციხე ფეხზე დადგა. მას ნახევარ საათში პაატა მიაყოლეს. მერე გეგას რიგი მოსულა. ის ძალიან მაგრად იდგა თურმე და ხმაც არ ამოუღია.

მამა ბოლოს შეიყვანეს, ალბათ მის „მამაობას მიაგეს ჯერო-ვანი პატივი“. სანამ მოუსწრია, ლოცვით და პირჯვრის წერით მიდიოდა „ბოინასთან“. რომ მისულა, ერთმანეთზე უღმერთოდ მიყრილი დანარჩენები დაუნახავს, შეუყვირია და მიცვალებუ-ლის წესის აგება უცდია, მაგრამ არ აცალეს...

ლოცვის დროს ესროლეს ცხრა გრამი ტყვია, რომელიც თა-ვისუფალი ადამიანის სიცოცხლის ნამდვილი ფასია თურმე. თა-

ვისუფლების სიყვარულში თანამოაზიარენი სიკვდილსაც ერთად ეზიარენ. ასე ეყარნენ ოთხივე ერთად ცივ მიწაზე — უჭირისუფლოდ, უპატრონოდ, უსამართლოდ სიცოცხლეწაგლეჯილები... ასე შეხვდა შვიდივე იმ თავისუფლებას, რისთვისაც მთელი ცხოვრება იცხოვრეს, იტანჯეს და ზვარაკივით, კაცთა ხელიდან მსხვერპლად შეეწირნენ. დამთავრდა!

რაც შემეხება მე...

ჩემგან რა თქმა უნდა, არ გამოვიდა ის, რაც მამას სურდა და მით უმეტეს ის, რაც მათ ეგონათ.

მაგრამ როდესაც ცხოვრებაში მართლა ძალიან გამიჭირდება, მივდივარ სარკესთან, მათსავით თვალს ვუკრავ ჩემს თავს, გიჟივით ვუღიმი და ვეუბნები: „Ну и что, что в дерьме, зато фрак белый!“

P. S. მე ძალიან მეშინია ამ სახელმწიფოში ცხოვრება, სადაც ანტურაჟის გარდა არაფერი შეცვლილა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაწილი II

## საბჭოეთის ჯოჯოხეთში შობილნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენეტიკური შიში

ღმერთო! ყოველთვის მაგიჟებდა სულიერი ტრანსფორმაციის ისეთი რადიკალური მეტამორფოზა, რომელიც გვახასიათებს კონკრეტული პოლიტიკური თუ სოციალური ფორმაციის პირობებში ჩაყენებულ ადამიანებს. ჩვენ, განსაზღვრულ ისტორიულ განზომილებაში მცხოვრები ინდივიდები, თითქოს მოლეკულური სიზუსტით ვიმეორებთ ამ დროისათვის დამახასიათებელ იდეოლოგიურ „ანტურაჟს". როგორც წესი, ხელოვნურად წარმოქმნილი მერყევი პრინციპებით გაჯერებული ატმოსფერო წყალში ჩაგდებული ბამბის ქულასავით გვჟღინთავს მისთვის დამახასიათებელი დოგმატებით, ფასეულობებით და მკაცრად გამიჯნული ტაბუირებული აკრძალვებით. საგულისხმოა ის, რომ ჩვენ ყველა ამ დროს განვიცდით პიროვნების ეტაპობრივ მშვინვიერ ფსევდოევოლუციას. პიროვნულ იმპულსს მეტნაკლებად მოკლებულები, გარემოებებმა, სამწუხაროდ, სასტიკი თამაშის ქვეშეცნეულ მსხვერპლად გვაქცია, რის წყალობითაც გუშინდელი „მე" დღევანდელი „ჩვენის" სრულ ოპოზიციურ ანტიპოდად გვევლინება. ჩვენ ბუნებამ ყველა სიკეთესთან ერთად ორგანიზმის თვითგადარჩენის სკრუპულოზური მექანიზმითაც დაგვაჯილდოვა, რომელიც თავის საყრდენს „ტომისაგან გარიყულად" ყოფნის შიშის გაუსაძლისს კომპლექსში ჰპოვებს. „ცეცხლიდან" გაგდების შიშით სიმრავლეში გაერთიანებას და საყრდენის იქ ძიებას ვესწრაფვით, რითაც თავშივე ვეწინაალმდეგებით იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ ბუნებაში არ არსებობას პიროვნული თავისუფლება ბრბოს ნებელობის ფონზე. ჩვენ კი ბუნების ყველა კანონის დარღვევით, გაუთანაბრებელის გათანასწორებას ვცდილობთ და „ჩვენს" სასარგებლოდ ნებაყოფლობით ვაცხადებთ უარს „მეზე". ამის შედეგად ვყალიბდებით თანამედროვე იდეოლოგიასთან სრულ თანხვედრაში მოსულ, მისივე კოლექტიური გონების პროდუქტის

ერთგულად მატარებელ მორჩილ სტატისტიკურ უმრავლესობად, რომლებმაც იმუნოგენეზის დონეზე შევძელით გარე სამყაროსთან ბუნებრივი ზნეობრივი დიფუზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ", რომლებიც ოციოდე წლის წინათ 7 ნოემბრის დღესასწაულზე გულწრფელად, მკლავის სახსრიდან ამოგდებამდე დავაფრიალებდით ექსპლოატირებული მშრომელი პროლეტარიატის სისხლით შეღებილ დროშებს; „ჩვენ", რომლებიც კომკავშირულ თუ პარტიულ კრებებზე ხმის სრულ ჩახლეჩამდე ერთხმად მოვითხოვდით მტრულ კაპიტალისტურ იმპერიალიზმთან უკომპრომისო ბრძოლის გამოცხადებას — ოდნავ განსხვავებული პოლიტიკური დეკორაციების ფონზე „ჩვენვე" არანაკლები გულწრფელობით და პათოსით უმალ შევუნაცვლეთ კომუნისტურ ატრიბუტიკას ეროვნული!.. დავიყვირეთ, ქუდზე კაციო და თავქუდმოგლეჯილები ერთსულოვნად მოხალისეებად გადმოვეწერეთ „ეროვნული მოძრაობის" რიგებში. მიტინგებზე „შავლეგოს" სიმღერით გული ვიჯერეთ, ისე გავიკვირვეთ საზიზღარი წითელი წარსულის შეცოდებები, რომ თითქოს ეს-ეს იყო მთვარეზე 70-წლიანი მივლინებიდან დავბრუნდით და ამ სისაძაგლესთან არანაირი ხელი არ გვქონია.

ჩვენი უპასუხისმგებლობის ბრალია ისიც, რომ რეჟიმს კიდევ ერთხელ თავის მოტყუების საშუალება მივეცით და ნებაყოფლოყით გადავყლაპეთ „ეროვნული სატყუარა". განა შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ მსოფლიოში უძლიერესი პოლიციური სახელმწიფოს უძლიერეს სპეცსამსახურებს მხედველობის არედან გამოეპარებოდა ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, რომელსაც ამ სახელმწიფოს დამხობა ჰქონდა მიზნად? როგორი „მიამიტი" უნდა იყო იმის თუნდაც თეორიულად წარმოსადგენად, რომ პიროვნულ იმპულსდაკარგულმა და დაშინებულმა ხალხმა ერთ მშვენიერ დღეს ეროვნული დროშის ფრიალით, სალამურის წკრიალით და მეგაფონში ღრიალით მოვინდომეთ და დავამხეთ გიგანტური სუპერიმპერია სათანადო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსით, ინფრასტრუქტურებით და პოლიტიკური მეტასტაზებით. ეს იყო „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა", რომლის სახელის შეცვლაზეც კი არ შეიწუხეს თავი, იმდენად ზუსტი სცენარით მუშაობდა იგი ჯერ კიდევ მეფის რუსეთში, მერე ვიეტნამში, ავღანეთში, კუბაში, აფრიკაში და ვინ მოთვლის

კიდევ სად. „Народно-освободительные силы и народно-освободительное движение“ — ყოველთვის იყო, არის და იქნება მასებზე მორგებული, სასპეკულაციო, პოლიტიკური მანევრირების გენიალური საშუალება — თავიდან ბოლომდე მართული პროცესი, რომლის მართვის ბერკეტს მართულები ვერ საზღვრავენ. ამ მართული „პოლიტიკური ძალებისათვის“ რაიმე პირადი ინიციატივის ან მნიშვნელობის მიკუთვნება იგივეა, რაც მარიონეტის წარმოდგენა მეთოჯინის გარეშე. ეს არის „მემანქანის“ მიერ ორთქმავლიდან ორთქლის გამოშვების კლასიკური სქემა, რამაც, წესით, არც ერთი მოაზროვნე ადამიანი არ უნდა შეიყვანოს უტოპიურ მირაჟში.

უმაღლესი ნერვული სისტემის ფიზიოლოგიური მოქმედების მატერიალური მოძღვრების ფუძემდებელმა აკადემიკოსმა ი. პავლოვმა უპირობო რეფლექსისა და გარეზემოქმედების შეუღლების შედეგად მიაღწია ცოცხალ ორგანიზმში პირობითი რეფლექსის გამომუშავებას. უფრო პოპულარულად ამ მოძღვრების არსი ასეთია: საცოდავ ძაღლს ორგანიზმში სადისტურად უტარებენ ძლიერ ელექტრულ მუხტს. ბუნებრივია, იგი ტკივილის მოქმედებით რეფლექსურად ღუნავს თათს. ხოლო დროთა განმავლობაში ეს უბედური ძაღლი ამდენი შიშის და ტკივილის ზემოქმედებით ჯოხის დანახვაზეც თათს ღუნავს. და ასე იქნება მთელი მისი გასაცოდავებული არსებობის განმავლობაში. ტკივილის ზრდა იწვევს რეფლექსის უფრო სწრაფ ათვისებას, რაც ნაწილობრივ გენეტიკურადაც გადადის მის შთამომავლობაში.

საბჭოთა იმპერიის არსებობის მთელი დროის განმავლობაში 275 მილიონი ადამიანის აბსოლუტურ უმრავლესობას 70-წლიანი მასიური რეპრესიების, შიმშილის, წითელი ტერორის და მასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო შედეგის გამო პავლოვის ძაღლივით ჩამოუყალიბდა არსებული რეჟიმის მიმართ ერთგულების, მორჩილების და მეტიც — სიყვარულში გადასული შიშის პირობითი რეფლექსი. 1920-30-იანი წლების მასიური რეპრესიების უშუალოდ მომსწრე თაობას, სასწაულით შენარჩუნებული საკუთარი სიცოცხლის სანაცვლოდ, გაუჩნდა კონკრეტული მადლიერების გრძნობა, რაც მოგვიანებით უკვე ჩემს თაობას გენეტიკურად გადმოეცა — როგორც ყოვლად დაუსაბუთებელი აბსტრაქტული მადლიერების გრძნობა. ჩვენ ვიყავით მადლიერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობისთვის, მშვიდობისთვის, ულრუბლო ცისთვის, ჩვენი მომავლისთვის, რისთვისაც, როგორც გვასწავლიდნენ, მთელი საბჭოთა პარტოკრატია ზრუნავდა თავისი ცოცხალი და მკვდარი ბელადებით. მთელი ეს პათოსი ძირითადად ცარიელი კუჭის ფონზე მიმდინარეობდა. კარლ მარქსის უკვდავ სხვა პრინციპებთან ერთად მოსახლეობას უნივერსალურად არგებდნენ თავის დროზე ამ უკანასკნელის მიერ არისტოტელესგან უცერემონიოდ „ნასესხებ", ოდნავ პერიფრაზირებულ იდეას ბაზისის და ზედნაშენის ურთიერთკავშირის შესახებ, რომლის არსი ასეთია: ჩვენ უბრალო მოკვდავები ქათმებივით ჯერ წყალს ვსვამთ და ცაში მერე ვიხედებით. „წყლის დალევა" კი საბჭოთა კავშირში მართლაც რომ დიდ სირთულეს წარმოადგენდა. მატერიალურ-ენერგეტიკული რესურსებით მსოფლიოში უმდიდრესი სახელმწიფოს მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური დონე და გასტრონომიული კალათა ძალიან გასაცოდავებულ სანახაობას წარმოადგენდა, ისიც მწვავე ხელოვნური სასაქონლო დეფიციტის ფონზე. საბჭოთა იმპერიაში ფაბრიკა-ქარხნების არანორმალური სიმრავლის მიუხედავად, მათ მიერ ნაწარმოები პროდუქცია ძალიან მდარე ხარისხის იყო.

სასოწარკვეთილი მოსახლეობა იძულებული იყო „სპეკულანტებისგან" ცეცხლის ფასად შეეძინა უცხოური წარმოების ფართო მოხმარების ელემენტარული საგნები, რაც, სხვათაშორის, კანონმდებლობით მკაცრად იყო აკრძალული და ისჯებოდა.

მაღაზიის დახლზე შემთხვევით რაიმე დეფიციტურ უცხოურ საქონელს თუ გამოაგდებდნენ, მისი შეძენის მსურველების რიგი ზოგჯერ 2000-3000 კაცს აღწევდა. მე არასოდეს დამავიწყდება, როგორ შეგვხვდა მე და ბებიას მოსკოვის ცენტრალურ უნივერმაღში ჯინსების რიგში მდგომი მისი ნაცნობი ქალი, რომელსაც ხელზე კალმით №2500 ეწერა, რაც რიგში მის რიგით ნომერს აღნიშნავდა. საშუალო სტატისტიკური საბჭოთა ოჯახის თვიური ბიუჯეტი შეადგენდა 300-400 მანეთს, ხოლო მანქანის ოფიციალური ფასი იწყებოდა 4000 მანეთიდან და აღწევდა 24000 მანეთს.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიზანდასახულად მიმართული იყო იქით, რომ მისი მოქალაქეები მხოლოდ ყოფითი პრობლემების მოგვარებაში ყოფილიყვნენ და იდეოლოგიაზე არ ეფიქრათ. ყოფიერების ეს ხაფანგები ისე ოსტატურად იყო დაგებული, რომ საბჭოთა კავშირში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონის დაურღვევლად ცხოვრება. საბჭოთა რეჟიმი, ხელოვნურად შექმნილი მატერიალური პირობებიდან გამომდინარე, გამუდმებით უბიძგებდა მის მოსახლეობას ქურდობისკენ, სპეკულაციისა და ათასნაირი კანონსაწინააღმდეგო მაქინაციებისაკენ, რომელსაც იმავდროულად კანონით მკაცრად სჯიდა. ამ ორი რადიკალურად შეუთავსებელი პოლარობის ბალანსს იგი მოქალაქეებში დათესილი შიშით და აქედან გამოწვეული მორჩილებით აღწევდა, რასაც დანარჩენი კანონდამჯერე მოსახლეობის გამუდმებული შიმშილის ხარჯზე აგვარებდა. ცნობილი აპრიორია, რომ მშრომელთა შიმშილი საუკეთესო საშუალებაა წარმოქმნას ნებისმიერ რეჟიმზე მხრიდან მასზე დამოკიდებულების უფლება. ყველა ტირანული სახელმწიფოს და მათ შორის საბჭოთა იმპერიის რეალური ძალაუფლება ეყრდნობოდა მუშის, პროლეტარიატის მიმართ ძალმომრეობას და მის ქრონიკულ შიმშილს, რადგან ასეთი მდგომარეობით დაუძლურებული, იგი წინააღმდეგობის უნარს კარგავს და პასიურად, მორჩილად მიჰყვება ხელისუფლების დიქტატს. აქ ახალი არაფერია, რადგან ასე იყო, არის და ყოველთვის იქნება ნებისმიერ იმპერიულ წარმონაქმნში, მათ შორის ჩვენს სსრკ-შიც.

საბჭოთა კავშირში, როგორც ფსევდოსოციალისტურ იმპერიაში, რა თქმა უნდა, არსებობდა სიტყვისა და სინდისის თავისუფლება. ოღონდ იგი იქვე რჩებოდა, სადაც ეწერა. ოდნავი პერიფრაზირება რომ გავაკეთო, ეს იყო „პერგამენტის იმპერია, სადაც სატანის ტახტია'', რადგან აქ ყველაფერი ცარიელ ქაღალდზე და ბიუროკრატიაზე იყო აგებული. თუმცა ყოველი შემთხვევისათვის, მასიური ვნებათაღელვის დასაბალანსებლად ხანდახან მაღალი ტრიბუნიდან პერიოდული გამონაკლისებიც დაიშვებოდა თამამი მოხსენებების სახით. ეს უფრო ორთქმავლიდან ორთქლის გამოშვებას ჰგავდა, რომელსაც თვითონვე აკეთებდნენ სხვების თავის მოსაქონად. ეკლესიაში მისულ ადამიანს თავზე კომკავშირის, პროფკავშირის, მონკავშირის და კიდევ ვინ იცის, ვისი რეიდი დაატყდებოდა თავს. პარტიულ მუშაკს თუ ლოცვის ან სანთლის ანთების მომენტში წაასწრებდნენ, თანამდებობას უმალ დაატოვებინებდნენ; სტუდენტს ინსტიტუტიდან გარიცხავდნენ, გაზეთში გამოაჭენებდნენ და ა. შ. რაღას არ ილონებდნენ, ოღონდ ადამიანები მათი მფარველი ღმერთისგან დაეშორებინათ და მთლიანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განემტკიცებინათ მათზე სატანური ძალაუფლება. ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა, მაგრამ ყველა დუმდა და ამაში დასაძრახი არაფერია, თუ გავითვალისწინებთ, რა ფატალურ შედეგს მოიმკიდა ის, ვინც სტატისტიკიდან გამოყოფას და პიროვნული იმპულსის მატერიალიზებას ეცდებოდა. არაფერი არ არის ისეთი საშიში ხელოვნურად შექმნილი მმართველობითი სტრუქტურისთვის, როგორც პიროვნული ინიციატივა; რადგან ნებისმიერი დიქტატორული რეჟიმი სწორედ ადამიანებისაგან ამ უფლების ნებაყოფლობით ექსპროპრიაციაზე დგას — აქცევს რა მათ უტყვ, სტატისტიკურ ერთეულებად. მამა ხშირად ხუმრობდა: „თუ შემთხვევით შეხვდი ადამიანს, რომელიც მასობრივი თავშეყრის ადგილას საბჭოთა კავშირს ხმამაღლა ჰგმობს, ის ან კაგებეს აგენტია, ან შეურაცხადი გიჟი, ან მამა თეოდორეო“...

„თავხედთა და ურჩთა“ მიმართ სისტემა მთელი თავისი სადამსჯელო ფიზიკური და მატერიალური ზემოქმედების ბერკეტებით იწყებდა გეგმაზომიერ გამანადგურებელ ზემოქმედებას. საბჭოთა კავშირი თავისი სტრუქტურული მექანიზმით ძალიან წააგავდა ერთ დიდ ციხეს, სადაც თითო პატიმარზე სამი ოფიციალური და ორი ნებაყოფლობით საწყისებზე მდგომი ზედამხედველი მოდიოდა. აბსოლუტურად იგნორირებული იყო მოქალაქის უდანაშაულობის პრეზუმფცია. სასამართლო იურისპრუდენციაში ფაქტიურად არ არსებობდა დაცვის მექანიზმი. იყო საშინელი კორუფცია და ადამიანის უფლებების სრული იგნორირება. ჩვენ ყველანი ვიყავით უუფლებო პატიმრები, რომლებსაც გარს „რკინის ფარდა“ გვქონდა ჩამოფარებული და გულში ისევე როგორც ყველა პატიმარს, თავისუფლება გვენატრებოდა. ოღონდ სამუდამო პატიმრობამისჯილები გაქცევასაც ვერ ვბედავდით. პავლოვის ზემოხსენებული გენეტიკური უპირობო რეფლექსის მსგავსად, დამორჩილებული მოსახლეობა მაინც „ბედნიერი და მადლიერი“ იყო და როგორც ის უბედური ძაღლი, „ზემოდან“ ჯოხის ყოველ მოქნევას ადეკვატური, 70-წლიანი სისხლით გამოწრთობილი და შიშისაგან გამომუშავებული რეფლექსით პასუხობდა. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის სივრცეში მცხოვრები ადამიანების მასიურმა მენტალიტეტმა, ბუნების ყველა კანონის საწინააღმდეგოდ, რეჟიმის ძალისხმევით განიცადა სპეციფიკური ევოლუციური უკუსვლის პროცესი „ჰომო საპიენსიდან“ — „ჰომო სოვიეტიკუსამდე“.

რა სჭირდება ადამიანს სრული ბედნიერებისათვის? ამ კითხვას უნდა ჩამოვაშოროთ სიტყვა სრული, რადგან ზოგიერთი დღეს კვლავ 2 კგ. გაყინულ ხორცსა და 500 გრ. ლობიოს ტალონს მისტირის, მაგრამ ადამიანური ბუნების უსასრულო ჰორიზონტის ლაბირინთებში თუ გავიქექებით, რომელიც ხშირად ცოდვილ მიწას და სამგანზომილებიან სამყაროსაც შორს სცდება, უამრავი რამ გვჭირდება, რაც ხშირად სერიოზულ დისკომფორტს გვიქმნის. საბჭოეთის დიად სამშობლოში ეს პრობლემაც გაცილებით უფრო გამარტივებული და მოწესრიგებული იყო. მე რომ მკითხოთ, თავისი ფაბულით ელემენტარული არსებობისათვის იგი იდეალურიც კი იყო.

სახელმწიფოს სისტემური პოლიტიკა მთელი თავისი სისავსით მშობელ დედასავით „ნაზად“ ზრუნავდა თავის დაინფანტილურებულ შვილებზე, ათავისუფლებდა რა მათ არჩევანისა და ბედნიერების ძიების უსარგებლო, მტანჯველი, ფილოსოფიური დილემისაგან. სისტემა ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა ხალხის ისედაც უიდეო და უმოქმედო ცხოვრება მაქსიმალურად გაემარტივებინა და თითქმის პრიმიტივამდე დაეყვანა. ხალხს ყოველდღიურად თავს ულაყებდნენ ფუჭი იდეებით, რომლებსაც კომუნიზმისაკენ კი არა, სიცრუის და უტოპიის მორევში მიჰყავდა ისინი. უსირცხვილოდ გვესაუბრებოდნენ თანასწორუფლებიანობაზე, როცა პარტოკრატიული „არისტოკრატიის“ და რიგითი მოქალაქის ცხოვრების დონე და შესაძლებლობები ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა. ამით რეჟიმი ჩვენში სიცრუის, უიმედობის და უსამართლობის სინდრომის გარდაუვალ დაკანონებას იწვევდა. ნამდვილი ინტელიგენცია აღიქმებოდა როგორც „საზიზღარი ბურჟუაზიული წარსულის“ მანკიერი გადმონაშთი. მისი, როგორც პროლეტარიატის იდეური მოწინააღმდეგის მიმართ იყენებდნენ საუკუნეებით აპრობირებულ მეთოდს — ყოველმხრივ აღარიბებდნენ და აჩანაკებდნენ, რითაც ინტელიგენციის მენტალური პოტენციალის გაუვნებელყოფას აღწევდნენ. საბჭოთა კავშირში ოფიციალურად ორი კლასი არსებობდა: მუშების და გლეხების. ინტელიგენციას შუა ფენის სახელი და ძალიან დაბალი ხელფასი ჰქონდა. ისინი, როგორც წესი, „საიდუმლო“ სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტებში მუშაობდნენ, რომლის არც 10-15-ასოიანი აბრევიატურის და არც მასში საკუთარი ფუნქციის და საქ-

მიანობის შესახებ იცოდნენ რამე. ყოველდღე სადღაც დადიოდნენ, რაღაცას ხაზავდნენ, წერდნენ, რაც არავის არაფერში სჭირდებოდა, მაგრამ მათი შრომა გარანტირებულად ანაზღაურებადი იყო. ადამიანებს ხელოვნურად უკარგავდნენ სოციალურ ფუნქციას და აზროვნების უნარს.

ისეთი აზრი მრჩება, რომ საბჭოთა კავშირი გავლენიანი გარეშე ძალების შეკვეთით აგებული დიდი ლაბორატორია იყო, სადაც კურდღლებისა და ზაზუნების ნაცვლად ცოცხალ ადამიანებზე აწარმოებდნენ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებს, რათა რეზულტატი შემდგომ მთელ მსოფლიოში გამოეყენებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, იგი ერთ დღესაც ვერ იარსებებდა.

275 მილიონ მოკვდავ, მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი სულისკვეთებით ნაწრთობ, მორჩილ მოსახლეობას კომუნისტური რეჟიმი პირნათლად უმიჯნავდა ოცნებისა და ბედნიერების ზღვარს. ბედნიერება გსურს? ვინ დაგიშალათ, ძვირფასო ამხანაგო! ოღონდ სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი და დაგეგმილი ნორმატივების ფარგლებში! თავისი არსით ეს იყო ყველაზე გეგმიანი და ამავდროულად ანარქიული, სისტემური უსისტემობის სახელმწიფო, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში ანალოგი არ ჰყავდა. იგეგმებოდა და სახელმწიფო სტატისტიკასთან შესაბამისობაში მოდიოდა ყველაფერი: საბჭოთა მრეწველობა; მეურნეობა; არჩევნები, რომელსაც სტალინის თქმით, ყოველთვის იგებს ის, ვინც ხმებს ითვლის; პარტიის კურსი; პატრიოტული უშრეტი სულისკვეთება; კომუნიზმში შესვლის თარიღი; მოსახლეობის ე. წ. ნებაყოფლობით საფუძველზე უშიშროებასთან თანამშრომლობის სია; დასაჭერი და დასახვრეტი ხალხის რაოდენობა; კვარტალური და წლიური გეგმა.

სახელმწიფო მანქანა ტოტალურად და ავტორიტარულად გეგმაზომიერად ზრუნავდა რიგითი საბჭოთა ოჯახების ბედნიერებაზე, კეთილდღეობასა და მის უზრუნველ მომავალზე, ოღონდ დაუწერელი კანონმდებლობით დადგენილ საზღვრებში. საზღვრის ცნებას საბჭოურ სინამდვილეში ეგზომ განსაკუთრებული და ერთობ დელიკატური ადგილი ეჭირა. ეს იყო ის თოკი, რომელზეც ჩამოხრჩობილის ოჯახში ხმამაღლა არ საუბრობენ.

საზღვარი, ბედნიერებისა და ოცნების ტოლფასად, საკმაოდ აბსტრაქტულ და იმავდროულად ძალზედ ფიზიკურ და ჯეროვნად მატერიალურ მნიშვნელობას იძენდა — გამომდინარე იმ პრიზმის რაკურსიდან, რომელშიც მას ატარებდნენ. საზღვარს საბჭოეთში უდიდესი მონდომებით და რუდუნებით არღვევდნენ და იმავდროულად ყოველმხრივ ამაგრებდნენ. არღვევდნენ შიდა, რესპუბლიკათშორის, ფიზიკურ და კულტურულ საზღვარს, რითაც მასში მცხოვრები ხალხების ასიმილაციასა და თვითმყოფადობის დაკარგვას უწყობდნენ ხელს. აბსტრაქტული და განგრძნობითი გახადეს სამშობლოს საზღვრის ცნება: „Мой адрес не дом и не улица, мой адрес Советский Союз". ამის გამონაშთია ალბათ ისიც, რომ დღეს სამშობლოს საზღვრის ცნება გაიგივებულია იმ „ჯიხურის" მეტრაჟის საზღვრებთან, რომელსაც დღიური პურის ფული შემოაქვს. მაშინ კი აქტიურად არღვევდნენ შლაგბაუმებს სოციალურ და კლასობრივ დიფერენციაციას შორის, ოჯახსა და საზოგადოებას, კეთილისა და ბოროტის აღქმას, ღმერთსა და ეშმაკს შორის, რითაც ტიპობრივად ახალ, კოსმოპოლიტურ აზროვნებას უყრიდნენ საფუძველს. ამას იდეოლოგიურ ფრონტზე „ინტერაციონალიზმი" ერქვა.

ამავე დროს პანიკურად ეშინოდათ და ყოველმხრივ, ჩინური კედელივით ამაგრებდნენ და აშენებდნენ საზღვარს ადამიანის უმაღლეს გამოვლინებას, თავისუფალ გონებასა და პიროვნების შიდა, სულიერ, ღვთიურ სამყაროს შორის. ადამიანებში ამ მიჯნის მოშლას სიკვდილზე მეტად უფრთხოდნენ, რადგან ეს მატერიალურ საზღვარშემორტყმულ ციხეში თავისუფალი სულის ჯანყის ტოლფასი იქნებოდა და ამ საზღვრის მსხვრევას გარდაუვალი განთავისუფლება და მაღლა ცაში ღმერთთან გაფრენის დაუოკებელი ჟინი მოჰყვებოდა. სწორედ ამიტომ არ უყვარდათ მათ ღმერთი, რადგან იგი „რკინის ფარდით" შემოსაზღვრულ სამშობლოს არსებობას ერთადერთ საფრთხეს უქმნიდა. შესაბამისად ყველა და ყველაფერი, რაც საბჭოთა სოციალისტური სისტემის საზღვარს სცილდებოდა, აკრძალული და მკაცრად ტაბუირებული იყო. ნებისმიერ სულიერს, რომელსაც თავისუფლად ფრთების მოქნევისა და არწივივით ამაყად აფრენის სურვილის გამოხატვის თავხედობა ეყოფოდა, პავლოვის ძაღლივით ელექტრობით დამუხტულ ჯოხს მოუღერდნენ,

დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ფრთებს ძირშივე კვეცდნენ და მორჩილ ძაღლებს საგლეჯად უგდებდნენ.

ასე იყო თუ ისე, სისტემაში გადანაწილებული მოსახლეობის ყველა ფენა მეტ-ნაკლებად უზრუნველად თანაარსებობდა: თავ-თავიანთ ორბიტაზე იბადებოდნენ, ქორწინდებოდნენ, თვითონ ფუნქციადაკარგულები ასეთივე შთამომავლობას უვლენდნენ ქვეყნიერებას. ჭამდნენ, სვამდნენ და უსარგებლობით დაქანცულები სულს უფალს აბარებდნენ.

ერთ ასეთ, აბსოლუტურად ჩვეულებრივ თბილისურ ოჯახში 1951 წლის 30 ივნისს ქვეყნიერებას შემატა ერთი რიგითი, არავისაგან გამორჩეული მოქალაქე თეიმურაზ ვლადიმერის ძე ჩიხლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა

თემურ ჩიხლაძის მამა — ლადო ჩიხლაძე — გაკულაკებული მემამულის შვილი, ბუნებით დარბაისელი, ძირძველი თბილისელი და ზომიერად მკაცრი კაცი იყო, რომელმაც ცხოვრების ნახევარზე მეტი ძალიან მაღალ თანამდებობაზე გაატარა.

თემურის დედა — ქეთო გაბათაშვილი — პროფესიით პედაგოგი, ყოფილი მენშევიკის ქალიშვილი, თავისი ქართლური ხასიათის წყალობით ძალიან ჩამოჰგავდა ოთარაანთ ქვრივს.

თემო ოჯახში მეორე ვაჟი იყო, რომელსაც უფროსი ძმის ზურა ჩიხლაძისგან განსხვავებით, ყველა განსაკუთრებით ანებივრებდა. მშობლების თქმით, თემოს ბავშვობიდან ჰქონია ნებისმიერ მოვლენასთან დაკავშირებული განსხვავებული ხედვა და არატრადიციული აზრი.

ასე მაგალითად, ერთ ცისმარე დღეს შვიდი წლისას გამოუცხადებია: „ღმერთის მწამს, რადგან ასეთი მუდმივი ამ ქვეყანაზე არავინ და არაფერი არისო".

კიდევ უფრო სერიოზული შეშფოთება გამოუწვევია ამ აღმოჩენის მისეულ კომენტარს: „პატარა რომ ვიყავი, მეზობელმა სტალინის სურათი მიჩვენა და მითხრა, ეს კაცი ჩვენი ღმერთი და ბელადი არისო. მერე მითხრა, ძალიან ცუდი კაცი ყოფილაო. ცოტა ხანში ხრუშოვის სურათი დამანახა, რადგან ახლა მის მზეს ფიცულობდა. შემდეგ ისიც მავნებელი აღმოჩნდა. ხოლო ის ღმერთი, რომელზეც ჩემი ბებია ეკლესიაში ლოცულობს, იყო, არის და ყოველთვის იქნება, რადგან მაღლა ცაშია და ადამიანის ხელი ვერასგზით ვერ მისწვდებაო".

ოჯახი, მწარე გამოცდილებისგან გამომდინარე, ბავშვის საკუთარი თავისაგან დაცვას ცდილობდა, რადგან კარგად უწყოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა იმ დროს ტაბუირებული თემებისადმი ასეთ „არაჯანსაღ" ინტერესს. ფიზიკაში არსებობს ნიუტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის შესანიშნავი კანონი: „ორი სხეულის ურთიერთქმედება ტოლია და მიმართულია ერთმანეთის საწინააღმდეგოდ". ეს კანონი ადამიანური ურთიერთობების პლასტზე რომ გადმოვიყვანოთ, უფრო პოპულარულად ასეც შეიძლება აღვიქვათ: „რამდენსაც მომაწვები, ზუსტად იმდენსავე მოგაწვები". ფიზიკის ეს საყოველთაო კანონი პატარა თემოზე უბრალოდ კი არა, სშინლად ძლიერად მოქმედებდა და არსებული საზოგადოებრივი ნორმების მიმართ პიროვნული წინააღმდეგობის კოეფიციენტს გეომეტრიული პროგრესიით უზრდიდა. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მისი ეს გაუცნობიერებელი, აბსტრაქტული პროტესტი გასცდა ოჯახის კედლებს და ქუჩაში გადაინაცვლა, რომლის დაუწერელ კანონებში იმდენად საფუძვლიანად გარკვეულა, რომ უბანში მაშინდელი ჟარგონით „კაი ბიჭის" სახელით სარგებლობდა. თემოს სერიოზული პრობლემები ჰქონდა მაკარენკოს ბრძნული იდეებით ანთებულ მაშინდელ პედაგოგებთან, ციხის ზედამხედველებს უფრო რომ ჰგავდნენ, ვიდრე ბავშვების სულიერ აღმზრდელებს, რის გამოც სკოლა გამოიცვალა.

ერთხელ, 12 წლის ასაკში, საპირველმაისო დემონსტრაციაზე მოწინავე მშრომელების კოლონის დანახვისას ნაცვლად პომპეზური ლოზუნგისა „დიდება გმირებს", არანაკლები პათეტიკით — „დიდება ვირებს", — ყვირილი მოურთია, ნახევარი კლასი აუყოლებია. ლოგიკური არგუმენტაცია მოუყვანია პედსაბჭოზეც: „მთელი ცხოვრება მუქთა ვირებივით ამუშავებენ და იქნებ სიმართლემ თვალები აუხილოთო". მასწავლებლები მას გავლენიანი მამის გამო სიმწრით, მაგრამ მაინც უთმენდნენ — მხოლოდ იმ დრომდე, სანამ დირექტორის მოადგილე მომარაგების დარგში იმ მნიშვნელოვან მომენტში არ ჩაკეტა სამოქალაქო თავდაცვის ბუნკერში, როდესაც ეს უკანასკნელი ბავშვებს სკოლის ინვენტარს აპარინებდა და საკუთარ მანქანაში ალაგებინებდა. ჩაკეტვას ვინ ჩიოდა! იმ უბედურს სრული სერიოზულობით უკითხავდა ლექციას ბავშვური შრომის უკანონო ექსპლუატაციისა და მათი ბნელ საქმეებში ჩათრევის პასუხისმგებლობაზე. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ სანამ პარტიული სიტყვა არ ჩამოართვა, რომ ასეთ უმსგავსოებას მომავალში აღარ ჩაიდენდა, გარეთ არ გამოუშვა. პედაგოგიურ კოლექტივს ალბათ აშკარად არ მოეწონა ის „ლიტერატურული ქართული", რომლითაც თემო მათ კოლეგას მიმართავდა. მოთმინების ფიალა

აევსოთ და პრესტიჟული მშობლების შემარცხვენელი შვილი დამის სკოლაში მიაბრძანეს სწავლა-განათლების დასასრულებლად.

თემოს დედასთან საკმაოდ რთული დამოკიდებულება ჰქონდა. შეიძლება ისიც ითქვას, რომ მათ ნაწილობრივ ერთმანეთის არც კი ესმოდათ, რადგან ტიპობრივად განსხვავებული ადამიანები იყვნენ. სითბოს და თანაგრძნობას მორწმუნე დეიდა თამარ გაბათაშვილისაგან უფრო იღებდა, ვიდრე საკუთარი დედისგან. დღევანდელი გადასახედიდან მე მესმის ჩემი ბებიის პოზიცია, რადგან მაშინ განსხვავებული შვილის ყოლა სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა და გარკვეულწილად ღვთის რისხვასაც ჰგავდა. ჰოდა, მასაც უნდოდა, დაენახა თავის შვილი ისეთად, როგორც მას უნდოდა, რომ დაენახა. „თინეიჯერი“ თემო ამას მთელი ძალებით ეწინააღმდეგებოდა, რადგან მისი საერთო შტამპში მოქცევა იგივე იყო, რაც ცაში ხელით არწივის დაჭერა. აქ საქმე მარტო მშობელი როდია. საერთოდ მთელ ქვეყანას, გვარს, საზოგადოებას მიაჩნია, რომ აქვს ექსკლუზიური პრეროგატივა, დაინახოს მისი კანონიერი წევრები ისეთებად, როგორც მის საუკუნოვან ტრადიციებს და დოგმებს ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებს. სურვილი ხშირად იმდენად დიდია, რომ პიროვნებისავე „სასიკეთოდ“ იწყება კოლექტიური ნების სუბსტანციაზე მიდულების მტკივნეული პროცესი მსგავსად შუა საუკუნეების მუსულმანური ქვეყნებისა, სადაც არასასურველ პირებს აქლემის ცხელ კუჭს ადებდნენ თავზე და ხელბორკილდადებულთ უდაბნოში აგდებდნენ, სრული ამნეზიისა და ნებისყოფის აბსოლუტური დათრგუნვამდე.

ბუნებაში არსებობენ ადამიანები, რომლებთან კონტაქტის შედეგად გიჩნდება შინაგანი ცვლილებების სურვილი: გინდა, აიკრიფო გუდა-ნაბადი და ფეხშიშველა გაეკიდო მას თუნდაც ქვეყნის დასალიერში, მთლიანად აენთო მილიონი უხილავი ნათურით და გაუკონტროლებელი ჟინით, რათა ახალ, ჯერ არნახულ ყალიბში გადაედნო. ეს ყველაფერი, რაც უნდა პოეტურად ჟღერდეს, ჩვენს ყოველდღიურ მიწიერ ცხოვრებაში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე წარმოგვიდგენია. ასეთ ადამიანებს აქვთ კონკრეტული ფსიქოლოგიური განმარტება — „ლიდერული ტიპი“. ლიდერი არის პოლიტიკოსი, რელიგიური მოღვაწე, მსახიობი, ცოლი, ქმარი, ქურდი და ა. შ. ჩვენ ყველას ჩვენი ინდივიდუალური ლიდერი გვყავს. ისინი არიან ყველგან, სადაც არსებობს მესიის კომ-

პლექსით შეპყრობილი ხალხი, რომელიც აუცილებლად ვიღაცას უნდა გაჰყვეს, გადასცეს მას პასუხისმგებლობა პიროვნული გადაწყვეტილებისა, რომლის თავის თავზე აღებაც პანიკურად ეშინია ნებელობაწართმეულ ხალხს. ასეთ ფსიქოტიპად უკვე მოზრდილი თემო ჩიხლაძის წარმოდგენა შეიძლება — ლამაზი, ჭკვიანი, კარგი ოჯახის შვილი, ოდნავ ძველბიჭური გადახრით. ქალაქში მის პოპულარობას მრავალი ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის ისიც, რომ როდესაც თბილისში ერთი-ორი ათეული მანქანა დადიოდა, სხვების გულის გასახეთქად ერთ-ერთზე თემოც იჯდა. თან „№1 ოპელ-ჰიჰიკოზე" კი არა — „ვოლგაზე", რადგან მამა ძირითადად სამსახურებრივი მანქანით სარგებლობდა, ბიჭებს თავისი პირადი მანქანა გადასცა განკარგულებაში. გარდა ამისა, ძმებს მან საცხოვრებელი ბინის პირველი სართული დაუთმო, სადაც ძირითადად თემოს მეგობრები იკრიბებოდნენ ბილიარდის სათამაშოდ (და არა მხოლოდ!).

16 წლის ასაკში იგი მ. კალატოზიშვილმა ერთ-ერთ მთავარ როლში გადაიღო მხატვრულ ფილმში „ფილატელისტის სიკვდილი", რამაც მისი პოპულარობა ერთიორად გაზარდა. იგი უყვარდათ, განსაკუთრებით ქალებს. ერთხელ საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მისგან უარყოფილმა ერთ-ერთმა გოგომ ვენები გადაიხსნა. საბედნიეროდ, მას დროზე მიუსწრეს.

გამორჩეული, წარმატებული, ლამაზი, შეძლებული... ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ცა გაიხსნა, რათა მისთვის — ერთადერთისთვის — სრულად გამოებერტყა თავზე მთელი ის სიკეთე, რაც დანარჩენებისათვის დიდი ხვეწნა-მუდარის შედეგად მისხალ-მისხალ უნდა მიეგდო.

თითქოს-და რა ჯანდაბა გინდა, დაეტიე შენს ძვირფას ტყავში, რით ვერ მოგასვენა გაჩენმა! დახურე „დამსწრე საზოგადოებასთან" გახსნილი ფრონტის ხაზი და ისიამოვნე ბედნიერი ცხოვრებით. მაგრამ როგორც კუზიანს ვერ გაასწორებს სამარე, ისე შინაგანი ძიების შხამით მოწამლულ ადამიანს არაფერი ეშველება, სანამ თავის მიზანს არ მიაღწევს. ასეთი ხალხი მთელი ცხოვრება ტრიალ მინდორზე კედლებს აშენებს, ხოლო მერე გმირულად ამტვრევს და კისერსაც მოიტეხს. თითქოს მისი არაშენებისათვის ან სულაც გვერდის ავლისათვის იჭერდეს ვინმე და ხელ-ფეხს აგლეჯდეს. ეს ნამდვილი ავადმყოფობაა — მოურჩენელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუკურნებელი, სასიკვდილო ავადმყოფობა, რომელსაც კლინიკურად სულის თავისუფლების დაუოკებელი მანიაკალური ჟინი ჰქონდა.

მოგვიანებით მამა თეოდორე იტყვის: ,,დედამიწაზე ადამიანის პირდაპირი მოვალეობა და ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ განვლოს გზა ადამიან-მშვინვიერიდან მომადლებულ ადამიან-სულიერამდე, რათა შემდგომი სულიერი და ფიზიკური ბრძოლით ნადავლად ერგოს უდიდესი პატივი — გაიაროს სულიერი ევოლუცია ადამიან-სულიერიდან ადამიან-ქრისტემდე და არა პირიქით, რაც ყველა ზეკანონის პირდაპირ უკუპროპორციულია, რადგან მშვინვაში გაჩენილი სულში უნდა აღმოცენდეს''. იმასაც უმატებდა: ,,მიყვარს თბილისი, მაგრამ გული მწყდება, როდესაც მასში ამდენ მოსიარულე ცოცხალ-მკვდარს, მონას და პატიმარს ვუყურებ. საწყლებს ამაზე ხომ ოდნავი წარმოდგენაც არა აქვთ. თორემ უცებ ჭკუაზე რომ მოვიდნენ, ორ აგურს აიღებენ ხელში და გარანტიისთვის მესამეს დაუწყებენ ძებნას, რადგან არაფერია სულმკვდარ, თავისუფლებადატყვევებულ და ნივთების პირობითობას დამონებულ ადამიანზე საშინელი და დასანანი სანახავი. ამათ კი მარადიულ სიცოცხლეს ხაშლამა, ,,ნაშები'' და ქაღალდის ფული ამჯობინესო''.

ანდა: ,,მთელს შენს საგულდაგულოდ, მისხალ-მისხალ ნაკოწიწებ, ნაცოდვილარ ცხოვრებას შეგნებულად წუთისოფელს თუ არ მიუგდებ ფეხებში, ვერასოდეს მოიპოვებ იმას, რაც მხოლოდ ომით მოიპოვება და რასაც სიცოცხლის ბოლომდე მალვა და თითო ბავშვივით მოფრთხილება სჭირდება. სულის ჭეშმარიტი თავისუფლება ჰგავს ვულკანურ ლავას, რომელიც ცოდვილი პომპეასავით ფერფლავს და წიხლით თელავს გულში ჩაბუდებულ ცოდვის სიყვარულს, ნივთის პირობითობას და სულმოკლეობას, ანუ ყოველივე იმას, რაც დედის ჭიპლარივით გვაკავშირებს ამ ცოდვილ საწუთროსო''. ცნობილი საბჭოთის ,,ტრუბადურის'' ლექსის პერიფრაზირებას ახდენდა: ,,Родившись летать не ползает''.

თემო ჩიხლაძე მთელი თავისი ცხოვრებით კამიკაძესავით ცაში გარბოდა იმ მარტივი მოსაზრებით, რომ მას იქ ყოფნა ეკუთვნოდა. თითქოს ცოტა ხანი რომ დაეცადა, ვინმე შეეცილებოდა სიმართლისთვის თავის აფეთქებაში.

მისი ბოჰემური იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა. იმიტომ კი არა, რომ ვერ ივარგა. პირიქით, რაღაც მიწვევებიც ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჟისორებისაგან. უბრალოდ, ვერ იპოვა ის, რაც უნდოდა, თავზე ქუდი დაიხურა და გზა განაგრძო.

წვერები მოუშვა, თმები გაიზარდა, გახეხილი ჯინსები ჩაიცვა და ჰიპი ვარო, გამოუცხადა დამსწრე საზოგადოებას. უფრო გასაგები რომ გახდეს სიტუაციის დრამატულობა, წარმოიდგინეთ 1967 წლის საბჭოთა სოციალისტური საქართველო. ჰიპობა — ეს დაახლოებით იგივე იყო, რაც ვთქვათ, 1367 წელს წმინდა ინკვიზიციის წინ პენტაგრამით ხელში სტრიპტიზის მოწყობა. არ ვიცი, იმიტომ იყო, რომ იმ წყეულმა ნიუტონის მესამე კანონმა მის არსში მოქმედების პიკს მიაღწია თუ გენური ამნეზიის შედეგად ჯოხის რეფლექსი დაივიწყა ფაქტი რჩებოდა ფაქტად — ბევრი არ უფიქრია, ისე სთხლიშა მარჯვენა ხელთათმანი სახეში „მსოფლიოში ყველაზე მშვიდობისმოყვარე საზოგადოებას" სატისფაქციისათვის. მანაც უმალ მიიღო დაუოკებელი, თავხედი დუელიანტის გამოწვევა და ომიც დაიწყო.

საზოგადოებაში, სადაც მოქალაქეები კანონით გარანტირებულ სამართალს ვერ აღწევენ, ასპარეზზე ალტერნატიული სტრუქტურები გამოდიან — ე. წ. სახალხო მსაჯულები, ადვოკატები და მოსამართლეები ქუჩური და ქურდული ინსტიტუტის სახით. სანამ თემო ამ ორბიტაზე ტრიალებდა, ყველა უცნაურობას დიდსულოვნად პატიობდნენ, რადგან ეს სტრუქტურები მოსახლეობაში, როგორც წესი, სიმპათიით სარგებლობს, ისევე როგორც ძალასთან და გავლენასთან გაიგივებული ნებისმიერი წარმონაქმნი. მისი ყოფილი ბავშვობის „ავტორიტეტული" მეგობარი იხსენებს: „ხალხს ჩამოშორდა, თავი გაიგიჟა, დახეულ-დაგლეჯილმა დაიწყო სიარული და ვილაც ნაგიჟრებში გაგვცვალა, ჩვენც გვეწყინა და სანამ ბერი არ გახდა, ჩამოვშორდით. არადა მაგარი ბიჭი იყო და სულ სხვანაირად შეეძლო ეცხოვრაო". ხანდახან ვფიქრობ, ნეტა ნაკლებად „მაგარი ბიჭი" ყოფილიყო, მაშინ ასე განურჩევლად, გამცემლიძესავით ხომ არ შეაკლავდა თავს შინაურ თუ გარეულ ტანკს.

საერთოდ ცხოვრებაში, მეტადრე კი მაშინ, ყველაზე მომგებიანი პოზიცია შემგუებლობა და შეუმჩნევლობა იყო. ანუ ადამიანი ფსიქოლოგიურად უფრო დაცულად და დაზღვეულად თავს სიმრავლეში გრძნობს: ტომში, ერთიან სისტემაში, მიღებულ ზნეობრივ ორბიტაზე და ა. შ. საყოველთაო ფაქტია, რომ „უცეცხლოდ" დარჩენილი, სტატისტიკიდან გამოყოფილი მარტო კაცი ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისმიერი სახის უმცირესობა უმრავლესობას თევზის ფხასავით ყელში ჰყავს გაჩხერილი და თითში შერჭობილი ეკალივით ნორმალური თანაარსებობის საშუალებას არ აძლევს. ნებისმიერი სისტემური ერთიანობა, უმცირესობის უფლებების შელახვით, საკუთარი თავის სიმართლეს და ხელშეუხებლობას ამტკიცებს და იცავს; უფრო პოპულარულად: თუ ფიქრობ, ცხოვრობ, იცვამ და იქცევი ისე, როგორც ყველა, შენი დამცინავი, დამძრახავი და ქვის მსროლელი კაცი არ მოიძებნება, რადგან ყოველთვის უმრავლესობის მიერ დაკანონებულ ორბიტაზე იდგები. თავში ხელი იმან იცეს, ვინც ამ შეხმატკბილებულ ორომტრიალს დაუპირისპირდება. ასეთ ადამიანებს საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის თეორიული შანსიც კი არა აქვთ. რაღა შორს წავიდეთ, როცა დედამიწაზე ჩამობრძანებული განკაცებული ღმერთი გააკრეს ჯვარზე იმ მიზეზით, რომ უმრავლესობისაგან განსხვავებულ ჭეშმარიტებას ქადაგებდა და მარტოდმარტო მთელ „მსოფლიოო უმრავლესობას“ დაუპირისპირდა!.. გახეხილი ჯინსები, ოდნავ გრძელი თმა და კოხტად შეკრეჭილი წვერი — რა მცირეა საჭირო იმისათვის, რომ შენმა საკუთარმა ხალხმა „პერსონა ნონ გრატად“ გამოგაცხადოს და გოლგოთაზე აგიყვანოს.

„ქუჩაში რომ მივდიოდი, ყველას უცხოელი ვეგონე, სულ „მირ-დრუჟბას“ მეძახოდნენ და ჩემი გარეგნობის გამო აშკარა აღტაცებაში მოდიოდნენ. როცა იგებდნენ, რომ ქართველი ვიყავი, „ვაი შენს პატრონს უბედურსო“, და დედასთან მგზნებარე „მოკითხვას“ მაბარებდნენ. მეც იქვე მათ დედებს „მოვიკითხავდი“, მერე ერთმანეთს „გადავეხვეოდით“ და ასეთ სიმტკბილობაში ვატარებდი ყოველ დღეს“.

ამდაგვარი „გმირობები“ მისთვის უჩვეულო არ ყოფილა. ასე მაგალითად, მის ერთ მეგობართან ერთად, რომელიც დღეს ამერიკაში ცხოვრობს, კინოსტუდიიდან იპარავდნენ გერმანელი ესესელების ფორმას და მასში გამოწყობილები ნაცისტური ჰიმნებით ულოცავდნენ 9 მაისს ვაკის პარკში შეკრებილ ვეტერანებს. თემოს უშიშროების ორგანოებთან პირველი სერიოზული კონტაქტი რვა წლის ასაკში მოუხდა. მან ეს ამბავი 25 წლის მერე ძალიან უადგილო ადგილას, კერძოდ, საკუთარ სასამართლოზე გაიხსენა. ადვოკატ რ. იაშვილის კითხვაზე, ჰქონდა თუ არა მას ბავშვობაში მიღებული რაიმე ტრავმა? — თემოს უნდა ეპასუხა, რომ იგი ორი წლის

ასაკში საიდანღაც გადმოვარდა, თავი რაღაცას მიარტყა, რის გამოც 31 წლის შემდეგ სასამართლოსთვის შეურაცხადია. ამის მაგიერ მან სწორედ ის ისტორიული ეპიზოდი მოუვლინა სასამართლო შემადგენლობას: „ვიეტნამის მშრომელებთან სოლიდარობის დღე იყო, მთელი საბჭოეთის ყველა პროგრესული და მშვიდობისმოყვარე მოქალაქეები მონაწილეობდნენ ვიეტნამის ჩაგრულ მოსახლეობასთან „თანადგომის“ გამომხატველ მიტინგში, სადაც ისინი ჰგმობდნენ აშშ-ის მილიტარისტულ აგრესიას სოციალისტური ვიეტნამის წინააღმდეგ. მე, ბატონო მოსამართლევ, ბავშვობიდანვე ომის და ძალადობის მოწინააღმდეგე ვარ და როგორც შევძელი, ისე შევუერთდი ამ სახალხო აქციას ჩემს მეგობრებთან ერთად“. თურმე თბილისელი ჰიპები მისი პრეზიდენტის თემო ჩიხლაძის მეთაურობით შეიკრიბნენ გრიბოედოვის ძეგლის გარშემო, სადაც მჯდომარე პაციფისტური აქცია გამართეს. ამ დროს მათთან ოპერატიულად მოვარდა იმ რაიონის უშიშროების თანამშრომელი. ყველა გაიქცა თემოსა და მისი ერთი მეგობრის გარდა. ისინი შესაშური გმირული, სამშვიდობო სულისკვეთების გამო განყოფილებაში მოხვდნენ, სადაც გვარიანი ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს. მშობლებს დროზე რომ არ მიესწროთ, ყბა-სახის უფასო პლასტიკური ოპერაციის გაკეთებასაც უპირებდნენ. „ბატონო მოსამართლევ და დამსწრე საზოგადოებავ, ამდენმა წელმა განვლო მას შემდგომ და დღემდე ვერ გამიგია, რისთვის მცემეს ასე სასტიკად. სწორედ ეს დამრჩა გულში უდიდეს მორალურ ტრავმად“, — განუცხადა სასამართლოს მამა თეოდორემ.

ეცვა ჯინსები, კითხულობდა გურჯიევს და შოპენჰაუერს, უსმენდა ჯანის ჯოპლინს, ჩაკა ჰანას და „ლედ ზეპელინს“, როცა ირგვლივ „პრავდას“ კითხულობდნენ, კობზონს უსმენდნენ და დღედაღამ პარტოკრატიულ კარიერაზე ოცნებობდნენ.

1969 წელს კინოსტუდიის ეზოში იჯდა. მასთან ქერა ლამაზი გოგო მივიდა.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა მან.

— მე წმინდა გიორგი ვარ!

— მაშინ მე წმინდა ნინო ვიქნები!

ამის მერე დაიწყო მისი და გულიკო ერისთავის უცნაური მეგობრობა. გულიკოს იუგოსლაველი საქმრო გამოუჩნდა. საქმე საქმეზე იყო მისული, ერთ თვეში ქორწილის დღეც დანიშნეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უეცრად თემურ ჩიხლაძესთან ერთად გაიპარა რომელიღაც უკაცრიელ რაჭულ სოფელში... მათ ქორწინებაზე ვერ ვიტყოდი, რომ უბედური იყო. არც იმის თქმა შეიძლებოდა, რომ ბედნიერება მოჰქონდა. ისე უბრალოდ და ჩვეულებრივად მიედინებოდა, რომ აშკარად ორივეს აღიზიანებდა. „И скучно! И грустно! И некому руку подать!“. დღეს გულიკო იხსენებს, რომ თემო არ იყო ოჯახისთვის და მით უფრო, ყოფისთვის შექმნილი კაცი, პატარა ბავშვივით მოვლა და ალერსი სჭირდებოდა... „ყოველთვის ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მარტო იყო და ძალიან იტანჯებოდა. ყოველდღიურმა სტაბილურმა ოჯახურმა მდგომარეობამ თითქოს ფრთები შეუკვეცა და თავისუფლებისთვის გაჩენილ, მაგრამ გალიაში გამომწყვდეულ არწივს დაამსგავსა. ის სულ ბიბლიაზე, ღმერთსა და კოსმოსზე ლაპარაკობდა. ამ დროსაც ისეთ ზებუნებრივ ენერგიას აფრქვევდა, რომ მეშინოდა, არ წაველეკე კარს იქით დარჩენილ მთელ მსოფლიოსთან ერთად. მისი აზრები ყოველთვის სადღაც ზევით იყო კონცენტრირებული. ვგრძნობდი, რომ დასასრულის დასაწყისი იწყებოდა და ორმაგად ვიტანჯებოდი“, — იხსენებს გულიკო ერისთავი.

ერთი წლის თავზე გავჩნდი მე — ეკა ჩიხლაძე — ეკა-უკა, როგორც მამა და მისი მეგობრები მეძახდნენ და ძალიანაც კარგი, რომ გავჩნდი!!! ოფიციალური ვერსიით ჩემი სახელი ჟღერს როგორც ელისაბედ თეიმურაზის ასული ჩიხლაძე. ჩემს მშობლებს გულიკო ერისთავს და თემო ჩიხლაძეს ჩემთვის ესოდენ ბრწყინვალე სახელი ინგლისის დედოფლის ელისაბედ მეორის, ელისაბედ ტეილორის, იოანე ნათლისმცემლის დედის და კიდევ რამდენიმე ფრიად ღირსშესანიშნავი ელისაბედის საპატივცემულოდ უბოძებიათ, მაგრამ როგორც ყველა კეთილშობილურ განზრახვას, ამასაც დიდი წინააღმდეგობა და აზრთა მწვავე კონფრონტაცია მოჰყოლია ოჯახურ არეოპაგში. მრავალრიცხოვან არგუმენტს შორის დომინირებდა აზრი, რომ ამ უაზრო სახელით ენის მოტეხვას არავინ აპირებდა. თან ჩემი დიდი ბებიის ეკატერინეს (კატოს) აქტიური პროტესტითა და დაჟინებით უბრალოდ ეკას მეძახდნენ. მიუხედავად ჩემი პერსონის მოვლინებისა, დედისა და მამის ქორწინება დიდხანს არ გაგრძელებულა. დედამ მითხრა: „არ მინდოდა ვყოფილიყავი მესამე მამაშენსა და იმას შორის, ვინც ცხოვრებაზე მეტად უყვარდა და ვისთანაც ნამდვილად ბედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერი იქნებოდა. მე იგი ღმერთს დავუთმე, რომელსაც იგი ყოველთვის კანონიერად ეკუთვნოდა. მოვიკრიფე გამბედაობა, გადავკოცნე და კარი გამოვიხურე“. დედას და მამას ბოლომდე თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, მე კი მეუბნებოდნენ, „სულ ტყუილად ცდილობ, შენს ცნობისმოყვარე ცხვირს აქ მაინც არ ჩაგაყოფინებთო“.

1972 წელს განქორწინების ოფიციალური ფორმალობების დასრულების შემდეგ მამა მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც თითქმის ორი წელი გაატარა. ყოველ შემთხვევაში მისმა ოჯახმა ამ წლებზე ბევრი არაფერი იცის. ის ორ თვეში ერთხელ რეკავდა, თანაც მხოლოდ იმის სათქმელად, რომ ცოცხალი ვარო. თბილისში რომ ჩამოვიდა, იგი ძალიან გამოცვლილი იყო. აგრესიის ღია ფორმისა და ირონიის ადგილი უსაზღვრო კაცთმოყვარეობასა და შინაგან სიღრმისეულ ცოდნას ჰქონდა დაკავებული. თვითმხილველების თქმით, ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, რომ მას ვიღაცამ მთელი ქვეყნის დარდი და ვარამი აჰკიდა ზურგზე სათრევადო. მამა იმ პერიოდში თავისი საყვარელი თამარა დეიდის მშობლების სახლში ჩაიკეტა და გარე სამყაროსთან მხოლოდ წერილობითი კავშირი ჰქონდა დამყარებული, ისიც დეიდის ხელით, რომელიც დილით კარებთან საჭმელს და დღის მნიშვნელოვანი ამბების ამსახველ წერილს უტოვებდა, საღამოს კი მის საპასუხო წერილს იღებდა. ასეთმა კარჩაკეტილმა, ასკეტურმა ყოფამ სრული ორი წელი გასტანა. რატომ იქცეოდა ასე, კაცმა არ იცის, მაგრამ რისი მტკიცებაც დანამდვილებით შეიძლება, არის ის, რომ მამა მთელ დროს რელიგიური და კიდევ რაღაც ლიტერატურის კითხვასა და ლოცვაში ატარებდა. 1974 წლიდან ის ჩვეულებრივ საერო ცხოვრებას ეწეოდა, თუ ამას ჩვეულებრივს ვუწოდებთ. დაახლოებით 1977 წელს მან მიიღო მიწვევა კინოფილმ „მიჯნაში“ მონაწილეობის მისაღებად. გადასაღებ მოედანზეც ჩავიდა, მგონი სადღაც ფოთში, საიდანაც ერთ მშვენიერ დღეს დაჰკრა ფეხი და ჯიხეთის სულიწმიდის მონასტერში წავიდა, სადაც ყველასთვის მოულოდნელად ბერად აღიკვეცა. ამ ქვეყნისათვის დასამარებული თემო ჩიხლაძის ადგილი ბერმა მამა თეოდორემ დაიკავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მამა

მამა ძირითადად კარჩაკეტილ ბერულ ცხოვრებას ეწეოდა. 1979 წლამდე ჩვენი ურთიერთობა ბუნდოვნად მახსოვს, რადგან ერთმანეთს იშვიათად ვხვდებოდით და უფრო სატელეფონო კონტაქტით შემოვიფარგლებოდით. ეს მანამ გრძელდებოდა, სანამ ამოიჩემა, 33 წლის გარდავიცვლებიო და დედას ჩემი აღზრდის უფლება სთხოვა. ერთ დღეს მონასტრიდან ჩამოსულმა სახლში დაგვირეკა, რის მერეც დედამ მამასთან მიმიყვანა. ოთახში რომ შევედი, წინ ქერა, მომღიმარე, წვერებიანი ბიჭი შემომეგება. მე რატომღაც გადავწყვიტე, რომ ის იყო მამაჩემი და ინსტიქტურად მისკენ წავედი. თან ვიგრძენი, რომ ირგვლივ რაღაც უხერხულობა ჩამოვარდა, რისგანაც დედამ გამომიყვანა და მეორე კაცზე მიმითითა: ეკა, რა გჭირს შვილო, აი თემოო. მე, მართალია, ვიცოდი რომ მამა ბერი და თან ცოტათი „უცნაური" ბიჭი იყო, მაგრამ იმან, რაც ვნახე, ერთგვარ „კულტურულ" შოკში ჩამაგდო და ჩემს ბავშვურ ობივატელურ წარმოსახვას მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა.

ჩემ წინ იდგა საშუალოზე მაღალი, სიმპათიური, მწვანეთვალება ბიჭი ჯინსებში, ბალანსებში და ამოჩაჩულ ბლაიზერში! ერთ ხელზე — ფსკვნილით, ხოლო მეორეში — სიგარეტით! მან დიდი ხნის ძმაკაცივით თვალი ჩამიკრა: როგორ ხარ, ეკა-უკაო. მერე დედა გადაკოცნა და უთხრა: ნუ ინერვიულებ, საღამოს ცოცხალს მოგიყვანო. ის მეორე ბიჭი კი მამას ძმაკაცი სოსო წერეთელი იყო, რომელიც იმ დღიდან მოყოლებული ასევე შემოვიდა და დარჩა ჩემს ცხოვრებაში — მუდმივად მამის გვერდზე მდგომი და მომღიმარი. მარტო დარჩენილმა და შეშინებულმა ოთახს შევავლე თვალი, სადაც კედლებზე ხატებთან ერთად „ლედ ზეპელინის" და მიკ ჯაგერის პლაკატები იყო გაკრული, შუაგულში კი ბილიარდი, უამრავი დისკი და აპარატურა იყო.

მერე მკითხა: „მუსიკა გიყვარს?" — „არა-მეთქი", — თავი გავაქნიე იმ იმედით, რომ საგალობელს არ ჩამირთავდა. მან არც შემომხედა, ისე ჩართო ვებერის „სუპერ სტარი", რამაც კინაღამ სკამიდან გადმომაგდო ისედაც პირდაღებული და გაოგნებული. რის მამა, რა შვილი — ისე დამიწყო მოქცევა, თითქოს მთელი ცხოვრება იმ ოთახში მქონდა გატარებული და ნახევარი საათით პურზე გასული უკან შემოვსულიყავი. ყურადღების ცენტრში მოხვედრის ეგოცენტრული ილუზია რომ დამემსხვრა, კოპები შევყარე. მამამ შეამჩნია და სოსოს უთხრა: „ნეტა ყველა ბავშვი ასეთი სერიოზულია, თუ ეს მე გამიმართლა ასე განსაკუთრებულად. არა, ისე რომ გამიღიმოს, უფრო გამიმართლებს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ლამაზი ღიმილი ექნებაო", — და კიდევ ერთხელ ჩამიკრა თვალი. თან სოსოს უყვებოდა რაღაც ძალიან სასაცილო ამბავს, თან პერიოდულად ჩემკენ იყურებოდა მოპარული მზერით; დაახლოებით ასე — „ნეტა გამაგებინა, მაგ თავში რა გიდევსო". ეს იყო მამაჩემთან ჩემი შეგნებული კონტაქტის პირველი დღე, როდესაც აგრეთვე პირველად ვიჯექი უფროსების საზოგადოებაში სრულუფლებიანი წევრის ამპლუაში, სადაც ენას არავინ მიჩლექდა და სერიოზულად აღმიქვამდნენ. მას ჩემთან მამა-შვილურ პრინციპებზე არ აუგია ურთიერთობა. მე მამა არ მყოლია, ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით. მე უფრო მეგობარი მყავდა, რომელიც შეთავსებით მამის ფუნქციასაც ასრულებდა და საკმაოდ კარგადაც! იმ პირველ დღეს კი ჯერ ვიღაცას ვესტუმრეთ, ხოლო დღის ვოიაჟი კაფეში დავასრულეთ, სადაც მაგიდაზე იმდენი ნამცხვარი დამიხვავა, რომ ყველა ჩვენ გვიყურებდა. მე არც იმ დღეს და არც მომდევნო დღეებში სახლში არ დავბრუნებულვარ. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვეში ორი-სამი კვირა თემოსთან ვცხოვრობდი, დანარჩენი კი — გულიკოსთან, რაც მათი ახლო მეზობლობის გამო დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა.

მამამ თავი დამოუკიდებელ ადამიანად მაგრძნობინა, ასაკობრივი ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ის ყოველთვის მაძლევდა ჩემი აზრის გამოთქმის საშუალებას იმ საკითხის თაობაზეც, რომლის არაფერი გამეგებოდა, რითაც ლოგიკურ და თავისუფალ აზროვნებას მაჩვევდა. დედასთან ყოველთვის ვმეგობრობდი, მაგრამ ის მაინც

ცხრა წლის გოგოდ აღმიქვამდა. მამამ კი პატარა გოგოდან ზრდასრულ ლილიპუტად გადამაქცია, რითაც საშინლად ვამაყობდი. სრული პასუხისმებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ მე მისთვის ვიყავი ერთადერთი უალტერნატივო და უკონკურენტო ადამიანი, რომელიც მთელ ქვეყანას ერჩივნა და მეც ზუსტად ასევე ვპასუხობდი. ჩვენი ურთიერთობა ძალიან ჰგავდა მომაკვდავი მეთუნის და თიხის გუნდის ამბავს, როდესაც მოხუცი მეთუნე ძალდატანებულ სიჩქარეში გულდასმით ზელს თიხას და ცდილობს სასურველი ფორმა მისცეს იმ იმედით, რომ სიკვდილის შემდეგ რაღაცას მაინც დატოვებს. მამა გულში სადღაც უკმაყოფილო იყო, ბიჭი რომ არ ჰყავდა, თუნდაც იმიტომ, რომ ხელდასხმის ჯაჭვური რგოლი გაეგრძელებინა. მაგრამ ბედს არ ურიგდებოდა, ბიჭივით მზრდიდა და, როგორც ერთადერთ გენეტიკურ მემკვიდრეს, მთელ თავის გამოცდილებასა და ცოდნას მიზიარებდა. როდესაც რაღაც არ მესმოდა, საშინლად ბრაზდებოდა, ჩემი შვილი ხარ და არ შეიძლება, რომ არ გესმოდესო. ერთხელ მამის ,,ნივით'' მე, სოსო წერეთელი და დათო მიქაბერიძე სადღაც მივდიოდით. მამა გზაში კომპლექსებზე გველაპარაკებოდა: ,,კომპლექსებს საშინელი და ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის არასწორ პიროვნულ განვითარებაზე. მათ ძალიან ძლიერი მრავალსაუკუნოვანი ფესვები აქვთ, რომლებიც სათავეს ჯერ კიდევ პირველყოფილი წყობილებიდან იღებს და ჩვენამდე საზოგადოებრივი დოგმების სახით აღწევს. მათთან ბრძოლა იგივეა, რაც წვეთის პროტესტი ზღვის მიმართ. მათი ჩამოშორება ძალიან ძნელია. კომპლექსი ან გაქვს, ან — არა. შინაგანი ძალისხმევით და გაცნობიერებით მათი ზემოქმედების შესუსტება შესაძლებელია. მორწმუნე ადამიანებში აბსტრაქტული სიკვდილი — შიშის კომპლექსი — უფლის შიშზე ფოკუსირდება და ამ მხრივ სასარგებლოც არის სულის გადასარჩენად''. დათო ამტკიცებდა, რომ აბსოლუტურად უკომპლექსო ვარო. მამამ უპასუხა, რომ ასეთი ადამიანები არ არსებობენო. ,,უკომპლექსობა არ ნიშნავს სხვებისთვის ამის გულისკანკალით მტკიცებას ან რაიმე ქმედებას. ეს გაცილებით რთული პროცესია და მასთან ხუმრობა არ ღირსო'', — ამტკიცებდა მამა. დათო მაინც არ ცხრებოდა. მეც მხარი ავუბი. მამამ უცებ შუა ფალიაშვილზე, დათოს სახლთან ახლოს გააჩერა მანქანა და ორივე გადმოგვსვა. მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივად შეგვხედა და გვითხრა, რომ თუ ასეთი მაგრები ვიყავით, „ჭრელო პეპელა“ გვემღერა მთელ ხმაზე და თან ხელი წინ გაგვეშვირა. ვერ ვიმღერეთ „ჭრელო პეპელა“ და საცოდავად ავიტუზეთ. სამაგიეროდ, სოსო იყო ბედნიერი და სახეგაბრწყინებული. ის ბოლო ხმაზე ხარხარებდა, თან გვითხრა: „Тоже мне, хор имени Пятницкого, დროზე დაჯექით მანქანაში, სანამ ვინმეს არ დაუნახიხართ და ასათიანზე არ წაუყვანიხართო“... როდესაც არგუმენტი ადრესატის ინტელექტს ვერ აღწევდა, მამა ყოველთვის პრაქტიკულად უჩვენებდა თავის სათქმელს.

მე ძალიან განებივრებული ბავშვი ვიყავი, რადგან ორივე ბებია-ბაბუის ერთადერთი შვილიშვილი ვყავდი. ერთხელ დილით მამამ მითხრა, სადილზე მინდა დაგპატიჟოო. მეც საგანგებოდ მოვემზადე. ოჯახში სტუმრობის ნაცვლად მუშურ იაფფასიან სასადილოში — „ზაკუსოჩნაიაში“ — აღმოვჩნდი, სადაც ვიღაც ლოთები პახმელიიდან გამოდიოდნენ. ამის დანახვაზე ავიმრიზე და კატეგორიული პროტესტი გამოვხატე, მამამ არც კი მომისმინა, ისე შეუკვეთა რაღაც, გამიღიმა და მითხრა: „ეკა-უკა, არასოდეს შეაფასო არავინ და მით უმეტეს ადამიანი გარეგნული ფორმის და გამოვლინების მიხედვით. ჩვენ ყველას ერთი და იგივე სული გვაქვს და მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა, ყველა ერთსა და იმავეს ვაკეთებთ ცხოვრებაში და ერთნაირი პრობლემები გვაქვს. განსხვავება მხოლოდ ფასშია, რასაც იქ, ზემოთ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მსოფლიოს ყველაზე მდიდარი შეიხიც ვერ წაიღებს თან თუნდაც ერთ გახვრეტილ შაურიანს. და რის წაღებასაც შესძლებს, ეს მისი საკუთარი სულია, რასაც, დამიჯერე, რომ ფასი არა აქვს, რადგან იქ შეუფასებელია და აქ კი არ ფასობს“.

იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში ინფორმაციული ვაკუუმი იყო. ეს უპირველესად რელიგიასა და თეოლოგიას ეხებოდა. მაშინ მრევლს კი არა, მღვდლებსაც არ ჰქონდათ ბიბლია თუნდაც სანახევროდ წაკითხული. იმას ქადაგებდნენ, რაზეც თვითონაც ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ და, აბა, სხვისთვის რა უნდა გაეგებინებინათ. არადა ეკლესიაში ყოველდღეც რომ იარო, თუ ვინმემ არ აგიხსნა, ლიტურგიიდან ბევრს ვერაფერს გაიგებ, თუნდაც იმიტომ, რომ ძველქართულად მიმდინარეობს. ჩვენი სახლის პირველ სართულზე მამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რეზიდენტურაში“ კვირაში ორჯერ — სამშაბათობით და ხუთშაბათობით — იკრიბებოდნენ მორწმუნეები, სადაც იგი ელემენტარულ ქრისტიანულ პრინციპებს განმარტავდა. დღეს სახარებას სკოლაშიც ასწავლიან და თუ ვინმეს აბელი კაენში შეეშალა, ცუდ ტონად ითვლება. იმ დროს კი არათუ მრევლი, არამედ, მამის თქმით, „საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი ღვთისმსახური თუ შეგხვდება, ბიბლია თავიდან ბოლომდე წაკითხული მაინც რომ ჰქონდესო“. მას საშინლად აღიზიანებდა და კატეგორიულად არ მოსწონდა თანამედროვე სტილით თარგმნილი წმინდა წერილი, ევანგელისტური საზოგადოებების მიერ ახალი რედაქტირებით მისი გამოშვება, ძველი კანონიკური ტექსტის გაადვილებისა და თანამედროვეობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მისი თანამედროვე ფრაზეოლოგიით შეცვლა. ამას, მისი თქმით, იმდენად დიდი უზუსტობა შეჰქონდა, რომ პირვანდელ აზრს რადიკალურად ცვლიდა.

„ბიბლიის წმინდა ტექსტში არც ერთი სიტყვა, წერტილი და მძიმე არ არის შემთხვევით მოხვედრილი. იგი მთლიანად სული წმინდის ძალით არის დაწერილი და იქ არაფრის შეცვლა არ შეიძლება. ეს რომ უცილობელი ფაქტია, ამას ბევრი ფაქტორი ამტკიცებს. ნეტარია, ვისაც სწამს, მაგრამ მატერიალისტური დიალექტიკისა და ათეიზმის მსხვერპლთათვის მრავალი ლოგიკური, მეცნიერულად დამტკიცებული არგუმენტის მოყვანა შეიძლება. მარტო ის რად ღირს, რომ თითქმის ყველა მოციქული და წინასწარმეტყველი, ვისი სახარების, წინასწარმეტყველებების თუ ეპისტოლეების საფუძველზეც შეიკრიბა ბიბლია, საერო ცხოვრებაში თავისი ადამიანური ბუნებით წარმოადგენდნენ საკმაოდ გაუნათლებელ ხალხს. ესენი იყვნენ უბრალო მებადურები, ხელოსნები, მწყემსები და ა. შ. თეორიულადაც შეუძლებელია, რომ მათ საკუთარი ცოდნით, სულიწმინდის კარნახის გარეშე, შეექმნათ თეოლოგიურად გამართული, საუკუნოვანი მსოფლიო სიბრძნით აღსავსე წერილი, სადაც მისი ყურადღებით კითხვისას შეიძლება აღმოვაჩინოთ ყველა საბუნებისმეტყველო კანონი, პასუხი კაცობრიობის თითქმის ყველა საიდუმლოებაზე, მისი ხილული თუ უხილავი სამყაროს ზუსტი მოლეკულური მოდელი. ასეთი თუნდაც სტილისტურად დახვეწილი ტექსტის დაწერას უმაღლეს ფილოსოფიურ-ფილოლოგიურ სკოლებში სწავლების წლები სჭირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება. მსოფლიოში კაცთაგან დაწერილი არც ერთი წიგნი არ არის დამუხტული ესოდენ ძლიერი ემოციური და სულიერების მუხტით, რომელსაც ერთდროულად შეუძლია დაგწვას, მთლიანად გაგანადგუროს და იმავდროულად ფენიქსივით ცეცხლიდან აღგადგინოს.

როცა ბიბლიას წმინდა მამა კი არ თარგმნის ან, უკეთეს შემთხვევაში, საყოველთაოდ აღიარებული თეოლოგი, არამედ დღევანდელი ევანგელისტი ფილოლოგი, რომელიც სტილისტურ კორექტურას აკეთებს, ეს კატასტროფულ შედეგს იწვევს. ეს ჰგავს ამბავს, რომელზეც ჩვენ აქ ვილაპარაკეთ, ვიღაცამ ყური მოჰკრა, მეზობელმა შეასწორა და თავის მხრივ მოუყვა თავის ახლობელს. იმან გაალამაზა და ლამაზი ფრაზებით გადასცა თავის ნათესავს და ასე უსასრულოდ. საბოლოო ჯამში შეიძლება, ეს ამბავი ისეთი ფორმით დაგვიბრუნდეს, რომ ვერც კი ვიცნოთ, პირველწყარო იმდენად მისადაგებელი აღმოჩნდეს გარემოსთან და მის რეალობასთან. ზუსტად ამიტომ იცავდნენ მას ასე გულმოდგინედ წმინდა მამები არასწორი თარგმანისაგან. ერთი ასო-ნიშანიც არ იცვლებოდა, სანამ მოქმედი ყველა ეკლესია დასტურს არ მისცემდა. ასე მაგალითად, კათოლიკური ეკლესია მწვალში ორიოდ სიტყვამ „და ძისაგან" შეიყვანა შეცდომაში, სხვა კონფესიები — სხვა სიტყვებმა და ა. შ. ამის თავიდან ასაცილებლად არის დაწერილი იოანეს გამოცხადება „და ვმოწმობ ყველას მიმართ, ვინც ისმენს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს: თუ ვინმე რასმე დაურთავს მათ, ღმერთი დაურთავს მას წყლულებს, რომლებიც სწერია ამ წიგნში. და თუ ვინმე რასმე მოაკლებს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს, ღმერთი მოაკლებს მის წილს სიცოცხლის ხისას და წმიდა ქალაქისას და იმისას, რაც სწერია ამ წიგნში". — 22,18-19. შორს რომ არ წავიდეთ და ღრმა თეოლოგიური დისპუტი რომ არ გავმართოთ, აი ნათელი მაგალითი: მათეს სახარების ძველ ქართულ ტექსტშია: „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა". — 5,3. ახალი თარგმანი ჟღერს ასე: „ნეტარ არიან სულით ღარიბნი, ვინაიდან მათია სასუფეველი ცათა". გლახაკი არის ადამიანი, რომელიც რაღაცას ითხოვს. გლახაკი სულით არის სულის მთხოვნელი ადამიანი. ადრე მცნებაც იყოს — ღვთის გლახა. ეს იყო ხალხი, რომელიც ეკლესიებთან ცხოვრობდა და შეგნებულად

ამბობდა უარს ამქვეყნიურ სიკეთეებზე სულის სასარგებლოდ. ღარიბი სულითა ეს არის სულით ღარიბი ადამიანი, რომელიც ვერასგზით ვერ მოხვდება სასუფეველში, თუ სულს არ გამდიდრებს და ნეტარი კი არა, უბედური და საცოდავია. თუნდაც ამის არასწორად გაგებამ შეიძლება ფატალური შეცდომა გამოიწვიოს. შეუძლებელია ბიბლიის წაკითხვა გარკვეული თანმხლები კომენტარის გარეშე. ამ მხრივ ძალიან სასარგებლო და ფასდაუდებელია წმინდა მამების წერილები და ნაშრომები. როდესაც ადამიანი დამოუკიდებლად შლის ბიბლიას, მხარზე საგანგებოდ მოვლინებული დემონი უზის, რომელიც გულისთქმის სახით არასწორ ინტერპრეტაციას კარნახობს მას და შეცდომაში შეჰყავს. აგრეთვე მნიშვნელოვანია ძველი მსოფლიოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოსის ცოდნა.

სახარებაში არის ადგილი, სადაც ნათქვამია: „როგორც აქლემი ვერ გავა ნემსის ყუნწში, ისე მდიდარი ვერასგზით ვერ მოხვდება ცათა სასუფეველში", რაც თავისთავად ლოგიკურად გულისხმობს, რომ ვერც ერთი მდიდარი ვერ შევა მასში. მაგრამ აქ არის ერთი პატარა „მაგრამ" — მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მომენტი. იერუსალიმის ერთ-ერთ ჭიშკარს სივიწროვის გამო ერქვა „ნემსის ყუნწი", სადაც აქლემი კი გადიოდა, მაგრამ გაჭირვებით, საპალნეების გარეშე.

ახალ აღთქმას ძველის ცოდნის გარეშე ვერ გაიგებ, რადგან აქ ბევრი რამეა დაწერილი მასზე მინიშნებით და დაყრდნობით. ასე მაგალითად, ძნელია გაიგო იოანეს გამოცხადება იეზეკიელ წინასწარმეტყველის და ეზრას გარეშე. მასში კი ძველი მსოფლიოს კულტურისა და რელიგიური დოქტრინის უცოდინარობით ბევრს ვერაფერს მიხვდები. მაგ., „პირველი ცხოველი ლომს ჰამოჰგავდა, მეორე — კუროს, მესამე ცხოველს კაცის სახე ჰქონდა, ხოლო მეოთხე იყო მფრინავი არწივის მსგავსი. — იოანე 4,7. „და ტახტის წინ თითქოს მინის ზღვა, მსგავსი ბროლისა და ტახტის შუა და ტახტის ირგვლივ ოთხი ცხოველი, წინიდანაც და უკნიდანაც თვალებით სავსენი". — იოანე 4,6.

„მათი სახეები კი ასეთი იყო: ადამიანის და ლომის სახე ჰქონდა ოთხ მათგანს მარჯვენა მხარეს; ხარის სახე — ოთხ მათგანს მარცხენა მხარეს, და არწივის სახე — ოთხივე მათგანს". — ეზეკიელი 1,10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ მსოფლმხედველობაში ეს ოთხი ცხოველი ანუ სფინქსი შიფრულ დატვირთვას იღებდა და მისი სწორი ინტერპრეტირებით სამგანზომილებიანი, დროის სარტყელში მოქცეული სამყაროს მოდელს წარმოადგენს, სადაც ყოველ ცხოველს გარკვეული განზომილება — სტიქია და სუბსტანცია — ესადაგება''.

მაგრამ ხალხს, რომელიც ჩვენთან კვირაში ორჯერ მოდიოდა, ის, როგორც წესი, ძალიან მარტივად და ყველასათვის გასაგებ ენაზე ესაუბრებოდა იმდენს და იმ წილით, რისი დატევაც შეეძლო და მენტალურ პოტენციალთან დისონანსში არ მოიყვანდა. ის ამბობდა: ,,თუ ადამიანს აღქმადობის ზღვრის მაქსიმუმს მიაწვდი, ამბიციებიდან გამომდინარე მინიმუმზეც უარს იტყვის და ამაყად გვერდზე გადგება სიტყვებით: პარასკევია დღესაო, მელა ვერ მისწვდა ყველსაო, რითაც გადარჩენის რეალურ შანსს დაკარგავს''.

ასეთ ადამიანებს მამა ძალიან ფაქიზად ექცეოდა და ცდილობდა მათში ეგოცენტრული ღირსების შეულახავად, ძალიან მარტივი სიტყვებით ესაუბრა ქრისტიანობაზე.

ერთხელ მამამ გამომიცხადა, მე ქრისტე ვარო. ამაზე ძალიან მკაფიო უკმაყოფილო რეაქცია მქონდა. ჩემთვის ვიფიქრე, ზედმეტი ჭკუისგან ხომ არ შეიშალა-მეთქი. და, ჩემი ფიქრით, მდგომარეობა ნაკლებად რადიკალური გამონათქვამით ,,შევამსუბუქე'': ანგელოზი მაინც გეთქვა-მეთქი. მამა ჯერ გაჩუმდა, მერე კეთილად გამიღიმა. ალბათ მიხვდა, რაც გავიფიქრე. საქმე ისაა, რომ ანგელოზები, ადამიანებისაგან განსხვავებით, საკმაოდ მარტივად არიან მოწყობილნი და გარკვეულად განსხვავებული სუბსტრატი აქვთ. მათი თავისუფალი ნება თავშივე სიკეთისაკენ არის მიდრეკილი და ფაქტობრივად სულიერი ევოლუციის პროცესს არ გადიან. ანუ მათი ბუნება თავშივე უნივერსალურად, სრულყოფილად და ამავე დროს უბრალოდ არის შექმნილი და სწორი არჩევანის გასაკეთებლად მათ განსაკუთრებული ძალისხმევა არ ესაჭიროებათ. ისინი, უბრალოდ, არიან ასეთები, როგორებიც არიან, უბრალონი და წმინდანი. ადამიანს კი იმაზე დიდი ფასი აქვს, ვიდრე ამის წარმოდგენა ყველაზე ბრძენ ჩვენთაგანს შეუძლია. ჩვენში ძევს ღმერთისაგან ნაბოძები უკვდავი სული — ხატად და მსგავსად ქმნა ზუსტად ამას გულისხმობს. და ადამიანს, თავისუფალი ნების სიკეთისაკენ მიმართვის პირობებში, საკუთარი თავის

უსასრულოდ განვითარების საშუალებას აძლევს. ეს კი ადამიანს ფასდაუდებელ ქმნილებად აქცევს. პრობლემა და ბარიერი მხოლოდ ის არის, რომ თავისუფალი ნება ადამიანებს აბსოლუტურად ნეიტრალური გვაქვს და დედამიწის მატერიალურ პირობებში მისი სიკეთისაკენ მომართვა ჩვენგან კოლოსალურ ძალისხმევას მოითხოვს. რაც უფრო დიდია შიდა ქმედება, მით უფრო მეტია მასზე მოსული უკუქმედებითი ძალების დაწოლა, წარმოიქმნება შიდა კონფლიქტი, ანუ ის, რასაც მამები ბრძოლებს უწოდებდნენ. მხოლოდ ასეთი ბრძოლის „მოგების“ მერე ადამიანი ერთი სულიერი საფეხურით წინ წაიწევს სრულყოფის გზაზე და ეს შეიძლება იყოს უსასრულო პროცესი, როგორც ერთი, ასევე, სამწუხაროდ, მეორე მიმართულებით — სრული აღდგომიდან სრულ დაცემამდე. ღმერთი უსასრულოა, უკიდეგანო და ყოვლისმპყრობელი — ელიატექსენი, მათ შორის ადამიანიც, რომელშიც მისი უკვდავი სული ძევს. ადამიანის ცხოვრების აზრი და პირდაპირი დანიშნულება არის, გაარღვიოს ცოდვის ფრონტის ხაზი და შეუერთდეს იმას, საიდანაც არის წარმოშობილი. ეს ძალიან სერიოზული პროცესია, რომელიც მართლა უნდა „მოხდეს“ ჩვენში მთელი სისავსით და არა ნაწილობრივ, რადგან, არ შეიძლება ბავშვი დედის საშოდან ნაწილობრივ დაიბადოს — ის ან იბადება, ან არ იბადება; ან ცოცხლობს, ან კვდება. ჩვენ ვალდებულები ვართ შინაგანი დასტური მივცეთ საფეხურს მშვინვიერი ადამიანიდან სულიერ ადამიანამდე და ყოველდღიური მუხლჩაუხრელი ბრძოლით, ღვთის კურთხევით „შტურმით“ ავიღოთ საფეხურები სულიერი ადამიანიდან ადამიან-ქრისტემდე. რაღაც მომენტში, ჩაურევლობის კანონის მიუხედავად ჩვენ ზეციდან გვეხმარებიან, ოღონდ მას მერე, რაც პირველ ნაბიჯებს ჩვენით გადავდგამთ და არა უწინარეს ამისა, რადგან დაწერილია: „მომიახლოვდით მე და მოგიახლოვდებით თქვენ“. ხოლო რაც შეხება სამშვინველს (душа ანუ Pneuma), ეს არის ის, რასაც მატერია მოჰყავს მოძრაობაში და განამშვინვიერებს. Одушевляет დაახლოებით ნიშნავს ვესტიბიულარული აპარატის მოძრაობაში მოყვანას, რითაც შეუძლებელია სასუფევლის დამკვიდრება, რადგან რადიკალურად განსხვავებული სუბსტრატია. მაცხოვრის დედამიწაზე განკაცებულად მოვლინების, მისგან ჩვენი ცოდვების თავისთავზე აღების, უკუქმედების ქმედითით გაბათილების უდი-

დესი საკაცობრიო თვითმსხვერპლშეწირვის შედეგად კაცობრიობამ ძლვნად მიიღო სული ანუ дух ანუ Psyche და სასუფეველში შეღწევის შანსიც მიეცა. როდესაც ადამიანი არასულიერად იწყებს ცხოვრებას, მშვინვიერი საზრუნავებითაა დაკავებული და სულისათვის არაფერს აკეთებს, ამით ის სამყაროს კანონზომიერ განვითარებასა და შემოქმედის წმინდა ნებას ეწინააღმდეგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ არ იყო მცნება, არ იყო ცოდვა. დაფიქსირდა ცოდვა, გაჩნდა რჯული და ვერავინ მოახერხა მისით გადარჩენა მთელი რჯულის არსებობის განმავლობაში. ერთადერთს, ვინც დაემორჩილა, მასზე ამაღლდა და მისით გამართლდა, მაინცდამაინც იმას ეცნენ და ჯვარზე სჯულის კანონით დადანაშაულებული გააკრეს. ეს ადამიანის პარადოქსული და უაზრო ცოდვილი ბუნების ნათელი მაგალითია. ზოგი ამბობს, რომ ადამიანებს მაშინ განათლება, კეთილისა და ბოროტის გარჩევა აკლდათო. განა დღეს დედამიწაზე რომ ჩამოვიდეს იესო, როგორც ადამიანი, მას უახლოეს ფსიქიატრიულში არ მოათავსებს ის ხალხი, ვინც მასზე დღედაღამ სხვების დასანახად ლოცულობს? უარეს შემთხვევაში კი, თავისივე თავის გმობისთვის ცოცხლად დახვრეტენ. ვისღა ახსოვს ღმერთი დედამიწაზე, სადაც მისი სახელით სამინისტროები და სახელმწიფოები მოიწყვეს?!

ერთხელ მამასთან ერთი ახალგაზრდა გოგო მოვიდა და შესჩივლა: ,,მამაო, ისეთი ცოდვილი ვარ, სიცოცხლის ღირსი არა ვარ და სიკვდილს ვნატრობო". — ,,რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი, ის დრო არის, ერთ ექიმთან მირბოდე და მეორეს მისამართს ეძებდე, თან გზაში შუქნიშანს უყურებდე, რამე არ დამეჯახოსო, თორემ თუ მოუნანიებელი მოკვდი, ხომ დაიღუპე შენც და მეც. სჯობია, ღმერთს ევედრე, დიდი ხნის სიცოცხლე და მეტი განსაცდელი მოგმადლოსო".

მამა რამდენადაც გარეგნულად არასერიოზულად უდგებოდა სიცოცხლეს, მით უფრო სერიოზულად იყო განწყობილი, რადგან მიაჩნდა, რომ ეს იყო უნიკალური შანსი — ადამიანს თავის შიგნით მოეძებნა საუკუნოვანი დოგმებით და სტერეოტიპული ნაგვით შეჭუჭყნული სამყარო; თავისუფალი ნებით შეერწყმოდა იგი ღვთის ნებას, რათა ადამიანი-სულიერი ადამიან-ქრისტემდე მისულიყო. ის ამბობდა, რომ დედამიწაზე ცხოვრება კარიერისტულ კიბეს ჰგავს, რომელზეც ან ზევით ადიხარ, ან ქვევით

ჩადიხარ, სხვა გზა კი არ არსებობს. „One Way“ — ეს იყო მისი საყვარელი ფრაზა, რომელიც სადღაც იარლიყზე იპოვა, და თავის განუყრელ ჯინსის კეპს საკუთარი ხელით წინ მიაკერა. მამა ამბობდა, რომ ზემოთ მსვლელობისთვის არსებობს მხოლოდ ერთი წინაპირობა — ქრისტიანობის, როგორც აბსოლუტურად შინაგანი ინდივიდუალური პროცესის გათავისება, რომლის დროსაც თუ ქიმიის დონეზე თავით ფეხებამდე არ შეიცვალე, არ გამოიცვალე და ახლიდან არ შეხვედი დედის საშოში, ყველა დანარჩენ შემთხვევაში ბილეთი ქვედა კლასში გაქვს აღებული. ეს ლატარია არ არის და პრინციპი — „იქნებ გავარტყა“ — არ გაამართლებს. ღმერთს კი სურს ჩვენი ყველას განურჩევლად გადარჩენა, მაგრამ იგი ამავდროულად სამართლიანია. გარდა ამისა, ცოდვილი ბუნება ისევე ვერ შეერწყმება წმინდას, როგორც ცეცხლი და ნავთი, რადგან ნავთი აუცილებლად დაიწვება ცეცხლის ალში. სასუფეველში კი ცეცხლით ნათლობის გარეშე ძნელად თუ შეაღწევს ვინმე, დედამიწაზე ყველაზე „საპატიო“ ცოდვილი, მთელი თავისი მონდომების მიუხედავად, გაღმა ერთ მანეთსაც ვერ წაიღებს.

ჩემო კეთილო! დაკვირვებიხართ ადამიანს სიკეთის ქმნის დროს? თუ არა, გირჩევთ დააკვირდეთ! ეს საკმაოდ საინტერესოა. ზოგი ამას იმიტომ სჩადის, რომ ყოველგვარი ემოციებისა და სურვილის გარეშე, მექანიკის დონეზე გრძნობს ამის აუცილებლობას — რა იცი, რა ხდება; ზოგი ხელის კანკალით საზოგადოებრივი კაცთმოყვარის იმიჯს იმაგრებს; ზოგს საერთოდაც არ უნდა, მაგრამ უხერხული მდგომარეობის გამო უწევს ძალისხმევის მოკრება, თავის იძულება და გველიან ჯიბეში ხელის ჩაყოფა; ზოგს უცებ მოუვლის შიდა ადამიანური იმპულსის და ერთი მეათასედი მეორე მეათასედის ჩანაცვლებისას გაკვირვებული თავში ხელებს წაიშენს, ნეტავ რამ გამომაშტერაო; ზოგს კი უბრალოდ ხასიათში აქვს და სიამოვნებას ანიჭებს სიკეთის ქმნა.

მამა თეოდორე, რომელიც საშინლად ამაყობდა თავისი ამ ახალი სახელით — ბერძნულად რომ „ღმერთის ნიჭს“ ნიშნავს, ანუ „საჩუქარს ღვთისას“ — როდესაც ვინმეს რამეს უკეთებდა ან აძლევდა, ისეთ გამომეტყველებას იღებდა, თითქოს მას უკეთებდნენ ან ჩუქნიდნენ რაღაც სასიცოცხლოდ ძალიან აუცილებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არასოდეს მინახავს ადამიანი, რომელსაც სიკეთის ქმნა ახეთ სიამოვნებას ანიჭებდა. ის ამ დროს ბავშვივით ბედნიერი და ამავდროულად მადლიერი იყო იმისთვის, რომ ვინმე მისგან რაიმეს იღებდა. მრავალთაგან განსხვავებით კი არ ამადლიდა, თვითონ იყო მადლიერი ამისთვის. მამას გარკვეული ორსახოვნება ახასიათებდა, რაც ერთდროულად პატარა ბიჭსა და ბრძენ კაცს ითავსებდა თავის თავში. ბერი მამა თეოდორეც საკმაოდ არაორდინალური და თვითმყოფადი აღმოჩნდა. მან სადღაც იშოვა რუხი ნაჭრის ჯინსის ქსოვილი და დეიდამის მაროს ანაფორა შეაკერინა. წირვიდან სახლში მოსული დიუკ ელინგტონს, ბობ მარლეის, ჯანის ჯოპლინს, მაილს დავისს და „ლედ ზეპელინს" უსმენდა, რომელიც განსაკუთრებულად უყვარდა. თამაშობდა ბილიარდს და ამავდროულად დაუსრულებლად წმინდა წერილს ქადაგებდა. ის მაშინდელ ახალგაზრდობაში ე. წ. პოპულარული სულიერი მამის სახელით სარგებლობდა. იმ დროს ეკლესიაში სიარულის მოსურნე ადამიანებს კომკავშირი და პარტია ამის რეალურ შანსს უსპობდა. დედიმისის შვილი იყო და რომელიმე პარტიული მუშაკი ეკლესიაში აშკარად შესულიყო და ერთი ათკაპიკიანი სანთელი დაენთო, მეორე დღეს მაგიდაზე პარტიულ ბილეთს დაადებინებდნენ. ამიტომ მეტი წილი მორწმუნე ახალგაზრდობისა ეკლესიის გარეთ სულიერი მამების გარეშე იყრიდა თავს. ჩვენთან სახლში პირველ სართულზე მამის „რეზიდენტურაში", როგორც თვითონ ხუმრობდა, სადაც მისი თქმით, იესოსთვის „ავერბოვკებდა" მასთან მოსულს, კვირაში ორი დღე ყოველთვის შეკრებები იყო. ყველასთან ყველა ვარო, პავლე მოციქულის თქმით, მათსავე გადასარჩენად. მამაც ამ იდეას აქტიურად ნერგავდა მის ცხოვრებაში. „ძველ ბიჭთან" მისი მსგავსი იყო, სულელთან — სულელი, ბრძენთან — ბრძენი. იგი ყველას მათთვის გასაგებ ენაზე ასწავლიდა და უხსნიდა იმას, რაც ბიბლიაში ეწერა, ოღონდ ეს სწავლა სხვა მოძღვრებისაგან განსხვავებით არ ატარებდა დიდაქტიკურ-მენტორულ ტონს.

მას ეცვა ჯინსები, ბალანსები, საყვარელი ზამშის ქურთუკი და ადამიანებისათვის გასაგებ, არანორმალური იუმორით შეზავებული უბრალო ენით საუბრობდა სულსა და ღმერთზე.

იდეოლოგიას საბჭოთა კავშირის დროს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, ძირითადად ორი მოსაზრების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ეკლესიის სახელმწიფოსაგან ფორმალურად გამიჯვნისა, მას ქვეყანაში მცხოვრებ მოქალაქეებზე ზემოქმედების რეალური ბერკეტები ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა. გარდა ამისა, რეჟიმისვე დავალებით და მითითებით ეკლესიის რიგები ეტაპობრივად ივსებოდა შეგზავნილი პირებით, რომლებიც მის დისკრედიტაციას ეწეოდნენ, თან სარგებლობდნენ და ბოროტად იყენებდნენ აღსარების საიდუმლოს გაუცემლობის კანონს. ცნობილი აპრიორია, რომ სული ცოდვილს უფრო აწუხებს და უმძიმს, ვიდრე არშემცოდე კაცს. ცოდვილები კი კრიმინალურ სამყაროში უფრო უხვად მოიპოვებიან, ვიდრე რიგით კანონდამჯერე მოქალაქეებს შორის, რომლებიც, როგორც წესი, თავს ცოდვილებად არ მიიჩნევენ და წელიწადში ერთი დანთებული სანთლით ცდილობენ მაღლა „საქმის ჩაწყობას". ხოლო ის, ვისაც ცოდვა რეალურად დანაშაულის გრძნობას უტოვებს, ცდილობს თავისი ბრალი და მასზე პასუხისმგებლობა სხვას გადააბაროს, რაც, ფაქტობრივად, აღსარების დროს ხდება. საბჭოთა კავშირის დროს ძალიან ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც აღსარების დროს ნათქვამი, ზოგჯერ ორგანოებისათვის ფასდაუდებელი ინფორმაცია, თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, სხვადასხვა მიწიერი ინსტანციების მაგიდებზე იდებოდა პატაკის სახით. რაც შეეხება საქმის თეოლოგიურ მხარეს, ხშირად სამღვდელოების უმეტესობა თვითონ არ იყო ბოლომდე თუნდაც სიუჟეტურად გარკვეული.

მამასთან ხშირად დადიოდნენ პირები, რომლებიც კრიმინალურ „შავ" სამყაროს ეკუთვნოდნენ, აღსარების სათქმელად და ზიარების მისაღებად, რადგან საიდუმლოს გაუცემლობის სრული გარანტია ჰქონდათ. მათ, როგორც წესი, ფეხდაფეხ სხვა „ცნობისმოყვარე მორწმუნეებიც" მოჰყვებოდნენ, რომლებიც ხან თხოვნით და ძირითადად მუქარით მამას საიდუმლოს „გაზიარებას" სთხოვდნენ, რაზეც კატეგორიული უარის თქმის გამო მას არაერთი პრობლემა შექმნია შესაბამის „ღვთისმოშიშ" ორგანოებთან. მისთვის 1984 წლის 13 აგვისტოს გამოტანილი ოფიციალური ბრალდებაც პოპულარულად ასე ჟღერს: „ის დახვრიტეს იმიტომ, რომ იყო პატიოსანი ბერი, რომელმაც აღსარება არ გასცა და თავისი მეგობრები სუკში არ ჩაუშვა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოსო

სოსო წერეთელი რომ გავიცანი, ცხრა წლის ვიყავი, ის კი — 18-ის. მამას პედაგოგიკაზე საკუთარი აზრი ჰქონდა და ჩვენს ურთიერთობას თანასწორობის პრინციპზე აწყობდა, რასაც სხვებისაგანც ითხოვდა. ბიჭები თავდაპირველად ამას მამის საამებლად აკეთებდნენ, დროთა განმავლობაში შეეჩვივნენ, ხოლო როდესაც წამოვიზარდე, „ჩემს უფლებებში“ ეჭვი აღარ შეჰქონდათ. რაც თავი მახსოვს, მე და სოსო სულ ვკინკლაობდით, რადგან მას ძალიან უყვარდა ჩემი წვალება, თუმცა არც მე ვყოფილვარ „ცხოვრების საჩუქარი“ და ხშირად მას ჩემზე გამწარების საბაბს ვაძლევდი. ერთხელ მახსოვს მამამ ველარ გაგვიძლო და სოსოს ჩხუბი დაუწყო: „კარგი რა, ტო, შენც ბავშვი ხომ არა ხარ, დაუთმეო“. რაზეც სოსომ ნიშნის მოგებით უთხრა: „შენ არ მეუბნებოდი, ბავშვივით ნუ ექცევი, ინფუზორია გაიზრდებაო“. მამა ჯერ ჩაფიქრდა, მერე გადაიხარხარა და ორივეს გვითხრა: „დაგიხოციათ ერთმანეთიო“, რასაც პირნათლად ვასრულებდით კიდევაც. „მელას თავისი მახრჩობელა უყვარდაო“, და მეც ყველაზე ძალიან სოსო მიყვარდა. სულ ერთთავად ვეტმასნებოდი და მასთან ყოფნით ვხარობდი.

მზესავით იყო, ახლოს რომ გწვავს და შორს რომ გყინავს. როცა მოდიოდა და წვალებას მიწყებდა, ერთი სული მქონდა წასულიყო და აღარ მენახა, ხოლო როცა მიდიოდა, საშინლად მენატრებოდა. ერთხელ სოსოს მეგობრის დღეობაზე ვიყავით, უფრო მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ის დაპატიჟეს, მე კი დიდი ძალისხმევის შედეგად ავეკიდე. იქ მას ვიღაც ლამაზი გოგო ეფარცქვალებოდა, რომლის მიმართ ისიც შესამჩნევ ინტერესს ავლენდა. იმ გოგოს სოსოს უმცროსი და ვეგონე და გამოკითხვა დამიწყო, რაზეც მე ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ვუთხარი, რომ მისი უფროსი ქალიშვილი ვიყავი, რომ სახლში კიდევ

ერთი ძმა და საგიჟეთიდან ახალი გამოსული დედა მყავდა. ეტყობოდა, ის გოგო ვერ ბრწყინავდა არითმეტიკაში — ასაკობრივი სხვაობა ვერ გამოითვალა, ჩემი ზღაპარი დაიჯერა, რის შემდეგ სოსოს სათოფეზეც აღარ ეკარებოდა. მის გარშემო სულ ვიღაც ქალები ტრიალებდნენ, რადგან ძალიან სიმპათიური და კაცურად ლამაზი იყო, მიუხედავად თავისი ოდნავი სიელმისა, რომელიც თავისებურ კურაჟსაც კი ჰმატებდა. სოსომ „ჩურჩუტი ეკა-უკა" შემარქვა. ეს დანარჩენებმაც აიტაცეს, რაც ჯერ ცრემლებამდე მწყინდა, ხოლო მერე მომწონდა კიდეც, რადგანაც ვგრძნობდი, რომ დიდი სიყვარულის გამო მეძახოდნენ ასე.

ხომ სულ მაწვალებდა, მაგრამ როდესაც ტვინის შერყევა მივიღე და 21-დღიანი წოლითი რეჟიმი მომისაჯეს, მთელი ამ დროის განმავლობაში თითქმის გვერდიდან არ მომშორებია. ყოველდღე მოდიოდა და საათობით გვერდზე მეჯდა. მიკითხავდა, მელაპარაკებოდა, წამლებს მალევინებდა, რაზეც მამა ხუმრობდა: „გაიხარე, სიდელკა მოგივიდაო". წლების მერე ეს რომ ჩვენს საერთო ნაცნობებს მოუყევი, არ დამიჯერეს, რადგან არავინ იცნობდა ისეთ სოსოს, როგორსაც ვიცნობდი მე.

ერთხელ მამასთან ერთად სადღაც მივდიოდი. უეცრად შუა რუსთაველზე, ზედ გამყოფ ზოლზე ვიღაც ძალიან ნაცნობის სილუეტი დავინახეთ. სოსოს ხელები აკრობატივით განზე გაეშალა და მონდომებას არ აკლებდა, რომ ზოლიდან არ გადასულიყო. მანქანები უპიპინებდნენ, მძღოლები ილანძღებოდნენ, ის კი ყურსაც არ იბერტყავდა და თავის გზას მშვიდად აგრძელებდა. მამამ მანქანა გააჩერა, გადავიდა და გაკვირვებულმა ჰკითხა, რას შერებიო. სოსომ გაუღიმა და თქვა: „თემო, სიკვდილ-სიცოცხლის შუა დავდივარ და ნახე, რა საკაიფოდ გამომდისო". მამამ უპასუხა: „კარგი, ოღონდ ფრთხილად იარე, სადმე კისერი არ წაიტეხოო". სოსომ გზა გააგრძელა, მერე მკვეთრად მოტრიალდა და მომღიმარი სახით ჩვენი მანქანისაკენ გამოქანდა.

ერთხელ მე, სოსო და დათო მამას კახეთში გავყევით, რაღაც დღესასწაულზე, მგონი ალავერდობაზე. მამა საკურთხეველში შევიდა, ჩვენ კი ტაძრის ეზოში გამოვედით. ძალიან ლამაზი ცა იყო, თითქმის ისეთი, მთაში რომ იცის. მე და სოსო ერთმანეთის ზურგებზე მიყრდნობილები ბალახზე ვისხედით. იგი ვარსკვლავებს უყურებდა და თან მათზე შეთხზულ მითიურ ისტორიებს მიყვე-

ბოდა. მე სულგანაბული ვუსმენდი, რადგან არ მეგონა, ამდენი თუ იცოდა. იგი ამბობდა: ,,რა იცი, იქნებ ვიღაცას მეც გავახსენდე და რომელიმე ყველაზე პაწაწინა ვარსკვლავს ჩემი სახელიც დაარქვას და ვიქნები იქ, სადღაც ზემოთ, ვარსკვლავი სოსო წერეთელი და თუ ეს მართლა ასე იქნება, თუ მოგენატრები, ამომხედე ხოლმე და ხელი დამიქნიე''. მერე უცებ თმებში ჩამავლო ხელი, ოდნავ მომქაჩა და დაამატა: ,,ოღონდ, იცოდე, შემპირდი, რომ არ დამემანჭები, თორემ ზემოდან გამოვქანდები და პირდაპირ მაგ ჩურჩუტ თავში დაგეცემიო''.

ჩემთვის სულ ერთია, დაარქმევს ვინმე თუ არა რომელიმე ვარსკვლავს მის სახელს, მაგრამ პატარა სულელი გოგოსავით დაბეჯითებით მჯერა, რომ სადღაც ცაში აუცილებლად არის ლამაზი ვარსკვლავი სოსო წერეთელი, რომელსაც, ძალიან რომ მომენატრება, აუცილებლად დავუქნევ ხელს, და სანამ ამის მჯერა, მე არასოდეს ვიქნები მარტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დათო

მე და დათო, სოსოსგან განსხვავებით, ალბათ შედარებით მცირე ასაკობრივი სხვაობის გამო თითქმის ერთ „წონით კატეგორიაში" გავდიოდით, ერთმანეთს ყოველთვის მხარს ვუბამდით და ხელს ვაფარებდით. დათო ყოველთვის ძალიან უცნაურ ნივთებს მჩუქნიდა. ერთხელ პატარა გაზის ბალონი მაჩუქა, თუ ქუჩაში ვინმე აგეკიდა, სახეში აი ასე მიასხიო და ამ დროს ოთახში შემოსულ სოსოს პირდაპირ სახეში შეასხა, რომელმაც, „საიქიოდან" რომ მოვაბრუნეთ, ისეთი გაუსაძლისი ლანძღვა-გინება აგვიტეხა, ოთახიდან ძლივს გავასწარით. მას მერე საწყალი სამი დღე აწითლებული ცხვირ-პირით დადიოდა და რომ ეკითხებოდნენ, რა გჭირსო, „დათოზე და იმ ჩურჩუტ ბავშვზე მაქვს ალერგიაო", — პასუხობდა. მამა მათ სმის უფლებას არ აძლევდა. ამიტომ მეორე სართულზე, ჩემს ოთახში, საგანგებოდ დათოსთვის ვისკის სამალავი მქონდა გაკეთებული და როდესაც ჩვენთან რჩებოდა, „ტექნიკურად" ვაწვდიდი ხოლმე. ეს შემთხვევით სოსომ გაიგო. ყოველგვარი სინდისის ქენჯნისა და დიდი ფიქრის გარეშე, მშვიდი სულით მამასთან ჩაგვიშვა. თან წარდგენილი „ნივთმტკიცებების" სასწრაფო ექსპროპრიაციაც მოახდინა.

დათოს ძალიან ნატიფი იუმორის გრძნობა ჰქონდა. იტყოდა ერთს და თუ მიხვდებოდი, ცხოვრების ბოლომდე ვერ დაივიწყებდი. ცხოვრებაში სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ ძალიან ჭკვიანი, განათლებული, გასაოცარი ლოგიკური აზროვნებისა და სიტუაციის რეალური შეფასების უნარი ჰქონდა. იყო რაფინირებული და კარგად აღზრდილი. ჰქონდა დახვეწილი ნატიფი ბუნება, ლამაზი მიხრა-მოხრა და თავის დაჭერის განსაკუთრებული მანერა, რისი სწავლაც პრაქტიკულად შეუძლებელია თუ ეს სულში არ გიდევს. ყოველთვის ეცვა სამი ზომით დიდი შარვალი და სუფთად გაპარსული დადიოდა. უყვარდა ჯაზ-როკი, ბავშვივით ოცნებობ-

და ჩიკ კორეას კონცერტზე მოხვედრას. ერთი წლის წინათ მე ამერიკაში დათოს სახელზე დავესწარი ჩიკ კორეას კონცერტს. ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა, რის გამოც ალბათ ყველას გიჟი ვეგონე, რადგან, ბუნებრივია, ჩემ გარდა ამის მიზეზი არავინ იცოდა. ბიჭები დათოს „ფინანსისტს" ეძახოდნენ, რაც ჯერ სწყინდა და გული მოსდიოდა, მაგრამ მერე ამაზე აღარ რეაგირებდა. არ მახსოვს რატომ, მაგრამ ერთხელ კინოთეატრ „რუსთაველში" აღმოვჩნდით და ამერიკულის ნაცვლად ინდურ ფილმზე მოვხვდით, რაზეც ძალიან ვიხალისეთ. რაღაც მომენტში ვიღაც მთავარი გმირი მოკლეს. დათომ ოდნავ ხმამაღლა თქვა, დაგვერხაო, და ჩვენ უკან მჯდომმა ქალმა გამწარებით ორივეს ქოლგა გვთხლიშა ზურგში. სოსომ ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის აღსანიშნავად შავი ქოლგა გვაჩუქა და გვითხრა: მეტი სარგებელი თქვენგან მაინც არ არის, დადექით და იხმალავეთ კინოებშიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსომ და დათომ ლვოვის 32-ში ბინა იქირავეს მეორე სართულზე. იქ ხატავდნენ და დამოუკიდებელი ცხოვრებით ტკბებოდნენ. მათთან მისულმა აღმოვაჩინე, რომ დათო, გამალებული, მამის პორტრეტს ხატავდა, სოსო კი დასცინოდა: „რაღაც მიქარა და ახლა ინდულგენციაზე ჩალიჩობსო". ერთ საღამოს მარტო მოვიდა. გამიკვირდა, რადგან სულ სოსოსთან ერთად დადიოდა. როგორც მამა ამბობდა, Два сапога – пара და ვკითხე: მარტო ხარმეთქი? „ეკა-უკა, იცი, მე უკვე დიდი ხანია, რაც მარტოდ მარტო ვარ, შენც მარტო ხარ, თემოც, ჩვენ ყველა მარტოები ვართ, ამის გვეშინია და სხვადასხვა ზღაპრებს ვიგონებთ, ისე კი მარტო მოვედით და ასევე წავალთო". მერე დაამატა: „იცი, სოსო მეჩხუბება, ლოთი ხარო, ლოთი არა ვარ, მაგრამ ამ სატანებს ფხიზელმა როგორ გავუძლოო".

ბოლო დროს დათოს, ისევე როგორც სოსოს, აღარაფერი და არავინ აინტერესებდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეგობრები ან ახლობლები არ უყვარდათ. არა, უბრალოდ მათ უნდოდათ ცოტათი მეტი, ვიდრე მონურ მორჩილებაში ყოფნა. თავისუფლების და სისხლის გემო ერთმანეთს ჰგავს — ერთხელ თუ გაიგე, ვეღარაფერი ვეღარ დაგაკავებს. ვერც თავს და ვერც სხვას ვეღარ მოატყუებ და ასე იქნები მარტოსული თოლია ლივინგსტონივით, თანაგუნდელთა ზიზღით გარშემორტყმული. მათ აქ გატარებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი წუთი და დღე უკვე ტანჯავდა. როდესაც მამა ქალაქიდან გადიოდა, ჩემს პერსონაზე პატრონაჟი სოსოს და დათოს ევალებოდა, რაც ძირითადად კორტებზე და ინგლისურზე ვოიაჟით განისაზღვრებოდა, რამაც ,,სინ პოლკას" მაგვარ იძულებით უფასო დამატებად მაქცია. ბიჭების არ ვიცი, მაგრამ ჩემი პრივილეგირებული სტატუსი აშკარა სიამოვნებას მანიჭებდა. რადგან ჯერ ერთი, მათთან ერთად ვიყავი, მეორეც, გინდა არ გინდა, ყოველთვის რაღაც „ღონისძიებაში" ვიღებდი, მართალია პასიურ, მაგრამ მაინც მონაწილეობას. ხშირად დათოს საპატიო მიზეზიც ვიყავი: „ძმაკაცის შვილია და აუცილებლად სახლში უნდა გავიყვანო, არ გაგიტყდეს, სხვა დროს გამოგივლით". ერთხელ ამის მიზეზიც ვკითხე. მან მიპასუხა: ,,რაც მაგათ უნდათ, მე ის დიდი ხანია ფეხებზე მკიდია, რაც მე მაინტერესებს, მაგათ არ სჭირდებათო". დათო მარჯვნივ-მარცხნივ ყველას ,,სატანას" ეძახოდა. ბოლოს საერთოდ ძალიან გაღიზიანებული იყო. სულ ჩუმად იჯდა მამის სკუპიაში გახვეული.

იმ საბედისწერო წლის ზაფხულს მამა კახეთში გაამწესეს, რომელიღაც სოფელში, სადაც სოსომ და დათომ ჩამოგვაკითხეს და რამდენიმე კვირით დარჩნენ. კვირა დღე იყო, მამა ტაძარში წირავდა. ამ დროს დათომ დაინახა ვიღაცის ჯაგლაგი ცხენი და შეჯდომა მოინდომა. მეც, რა თქმა უნდა, არ ჩამოვრჩი და დიდი გაჭირვებით ავბობღდი ცხენზე. ის საწყალი ეტყობა, დაფრთხა, გაიქცა და ჩვენც, ორი გაჭირვებულიც თან გაგვიყოლია. გალავანს რომ გავუსწორდით, ამ დროს მამა მრევლთან ერთად ეკლესიას გალობით გარს უვლიდა. რომ დაგვინახა, რა უბედურ დღეში ვიყავით, ანაფორის კალთები აიკეცა და ჩვენკენ გამოქანდა. მრევლს ეგონა, ალბათ ასე უნდაო და გალობით უკან გაჰყვა. საბოლოოდ იქვე შორიახლო გამავალ ბინძურ რუში მოვადინეთ ზღართანი. მამამაც მოირბინა თავის მრევლ-დიაკვნიანად, რომ დაგვინახა, სიცილი წასკდა. ალბათ ნამდვილად ძალიან სასაცილო სანახავები ვიყავით. მე თავდაპირველად საშინლად აღვშფოთდი, რადგან თანაგრძნობას უფრო ველოდი, ვიდრე დაცინვას. ტალახიან, ჭუჭყიან ღელეში ამოვლებული ისეთი საცოდავი ვიყავი, რომ თავი გულით შემეცოდა და თვალებზე ცრემლი მომადგა. ამ დროს დათომ თავისი ისტორიული ფრაზა მოუვლინა ქვეყნიერებას: ,,Ну и что, что в дерьме, зато фрак белый",

და მერკანტილურად, მსუბუქი მოძრაობით გაიბერტყა „ფრაკის“ ბორტი და თვალი ჩამიკრა, რაზეც ისტერიკული სიცილი აგვიტყდა. ვისხედით ასე სოფლის ჭუჭყიან ღელეში და სულელებივით ვხარხარებდით და ასეთად დარჩება ის ჩემთვის მთელი ცხოვრება, რაც უნდა თქვან მასზე, გინდა გმირი უძახონ და გინდა ბანდიტი. ის იყო ჩემი საუკეთესო მეგობარი, რომელიც ძალიან მიყვარდა და რომელიც ჩემ გვერდით აღარ არის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გეგა

გეგა სხვებთან შედარებით უფრო მოგვიანებით გავიცანი. მე მას იმდენად კარგად არ ვიცნობდი, როგორც დანარჩენებს; უფრო სწორედ, მასთან იმდენად ახლოს არ ვიყავი. ისიც თავისებურად ყოველთვის მანებივრებდა. მას ჩემთვის ყოველთვის ძალიან საინტერესო დისკები და ალბომები მოჰქონდა. ძირითადად მუსიკაზე ვლაპარაკობდით. ერთხელ გამოფენაზე წამიყვანა, სადაც თინიკო გამაცნო. მე ის, მგონი, მხოლოდ მაშინ ვნახე, თუმცა უკვე მოგვიანებით, კოლონიაში რაღაც გარკვეული მიმოწერაც გვქონდა.

ერთხელ, ზუსტად არ მახსოვს, რატომ, მაგრამ შევკამათდით. უფრო სწორედ, საპირისპიროს ვამტკიცებდი, ბიჭებმა ჩემი მხარე დაიჭირეს. გეგა კი ბავშვივით გაიბუტა და სრული სერიოზულობით თქვა: „რას ვიტკივებ თავს, მამამისის შვილია და თავისი გააქვს, ვერ გაიტანს და, აგერ არა ხართ, ძალით გაატანინებთო". ჩემი აზრით, რამდენადაც გარედან ხალისიან და ლაღ შთაბეჭდილებას ტოვებდა, იმდენად რთული და ღრმა იყო შინაგანად, საოცრად ფაქიზი, ყურადღებიანი, მგრძნობიარე. მას ძალიან უყვარდა თავისი დედა. გეგა საკმაოდ რელიგიურიც იყო. მას, თუ არ ვცდები, მგონი, ბაბუა ჰყავდა მღვდელი. გულზე კაპელანის ჯვარს ატარებდა და დიდად მოსწონდა თავისი „ტრაფეი".

ერთხელ თბილისის ზღვაზე ვიყავით რესტორანში. იქ ერთი მიმტანი გამოეცნაურა, შენ ის არა ხარ, არტისტიო. გეგამ უპასუხა: „ჰოო, — მერე ნახევრად ღიმილით, ნახევრად ნაღვლიანად დაამატა, — ოღონდ ბოლო დროს რეჟისორებს აღარ ვუყვარვარ, მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვლებაო".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გია

გია ტაბიძეს მე წესიერად არ ვიცნობდი, ერთხელ თუ ორჯერ ვნახე, ისიც შემთხვევით. პირველად, მგონი, სადღაც რუსთაველზე შეგვხვდა მე და მამას, რომელსაც უთხრა: „არ ვიცოდი, ამხელა შვილი თუ გყავდაო". მამამ უპასუხა: „იმდენი ამას რა ვუთხარი, ტანი აქვს დიდი, თორემ ტვინით ბავშვიაო". გია შეეპასუხა: „რაღა ბავშვი, ფრთხილად იყავი, არ მოგტაცონო". რაზეც მამამ გულიანად გადაიხარხარა: „ამას ისეთი „ტკბილი ხასიათი" აქვს, თუ მოიტაცებენ, ნახევარ საათში დიდი ხვეწნა-მუდარით უკანვე დამიბრუნებენო". გიაზე მე მეტი არაფერი შემიძლია ვთქვა, გარდა იმისა, რომ მამა ძალიან აფასებდა და ამბობდა, მაგარი ვაჟკაცი და საქმის შემსრულებელი არისო. როცა ეს საშინელება დატრიალდა, მამამ ისიც თქვა: „გია რომ არა, ვერცერთი ვერ გაბედავდა ამის უჩემოდ გაკეთებასო".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ძმები

კახა და პაატა ივერიელების მნიშვნელოვანი, შთამბეჭდავი და მრისხანე გარეგნობის უკან თბილი, კეთილი ხასიათი და საოცარი ერუდირებულობა იფარებოდა. უბრალოდ, როგორც თვითონ ამბობდნენ, ზომიერად მკაცრი და მომთხოვნი მამა ჰყავდათ და ხასიათის ეს გარეგნული თვისება მისგან ჰქონდათ შეძენილი. ორივე ძმამ განათლება მოსკოვში მიიღო პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის საერთაშორისო უნივერსიტეტში. კახა თერაპევტი იყო, პაატა კი — ქირურგი და ამბობენ, რომ საკმაოდ კარგიც. კახა პაატასთან შედარებით მეტად თავდაჯერებული იყო. ეს შეიძლება იმანაც განაპირობა, რომ ძმაზე ქრონიკული მეურვეობა ჰქონდა აღებული. ის თავიდან, აღზრდა-განათლებიდან გამომდინარე, ათეისტურ პლატფორმაზე იდგა; უფრო სწორედ, ცხოვრებას უფრო მატერიალური დიალექტიკის კუთხით უყურებდა. მამასთან თავდაპირველად პიროვნულად მეგობრობდა. მერე აღმოჩნდა, რომ მასაც არ ეხატებოდა საბჭოთა კავშირი გულის ფიცარზე. ვერ ვიტყვი, რომ მას საზღვარგარეთ წასვლა იერუსალიმის სანახავად უნდოდა, საკუთარ კლინიკაზე კი ნამდვილად ოცნებობდა. გარდა ამისა, როგორც უკვე ვთქვი, „დოგმატური" საბჭოთა რეჟიმის სიძულვილით გამოწვეული პროტესტის გამოკვეთილი გრძნობა ჰქონდა. ძმებს მრავალი მეგობარი არ ჰყოლიათ. ამ ვაკუუმს ისინი ძირითადად ერთმანეთით ავსებდნენ. ამიტომ ძალიან იყვნენ ერთმანეთზე დამოკიდებულები. როდესაც საქმე საქმეზე მივიდა, კახამ გამოაცხადა, რომ ძმის გარეშე ფეხსაც არ მოიცვლიდა და დანარჩენებიც თითქმის ერთი წელი ელოდნენ პაატას თბილისში ჩამოსვლას.

პაატა ძმასთან შედარებით უფრო მეტად მორწმუნე იყო. მასაც თითქოს სისხლში ჰქონდა გამჯდარი ვიღაცაზე ზრუნვა, რასაც იშვიათად აკეთებდა, მაგრამ თუ გააკეთებდა, ყველა შენი

პრობლემის გადაწყვეტას დაიწყებდა იმ მოსაზრებით, რომ უკეთ შეეძლო მათი მოგვარება. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყოველთვის სენბერნარს მაგონებდა, ალბათ გარეგნული სიდიდისა და შინაგანი სითბოს გამო.

პაატა ძალიან ყურადღებიანი, ღია და იმ დროისათვის ფანტასტიკურად განათლებული ბიჭი იყო. მას ჰქონდა განსაკუთრებული, დახვეწილი, თითქმის ლიტერატურული მეტყველების მანერა, რაც დამატებით შარმს სძენდა მის ისედაც მომხიბლავ გარეგნობას. როგორც წესი, თავშეკავებული, ზოგჯერ ისეთ ბავშვურ უაზრობას მოიმოქმედებდა, რომ დანარჩენების კანონიერ ბუნტს იწვევდა.

ერთხელ მას მოსკოვიდან ჩამოაკითხა მეგობარმა სვეტამ (რომელსაც იცნობდა, როგორც ზლატარიოვას და შემდგომ უშიშროებაში ნოსოვას გვარით აღმოჩნდა), რომელიც დროებით ლვოვის ქუჩაზე დაბინავდა. პაატა ნასვამი იყო. მე ამ დროს დათომ მომიყვანა კორტებიდან, სადაცაა სოსო და მამა უნდა მოსულიყვნენ. პაატამ უცებ არც აცია და არც აცხელა და მაცივრის უკნიდან იარაღი ამოიღო და იმ გოგოს უთხრა: „Я скоро на свободе буду". დათო ამაზე გადაირია და მთხოვა მამასთვის არაფერი მეთქვა. ამ შემთხვევამდე რამდენიმე ხნით ადრე, როდესაც მამამ იარაღის არსებობა გაიგო, შარს აიტეხავთო, ბიჭებს იარაღი ჩამოართვა და ჩვენს სახლში კამოდის უკან დამალა. მერე დათომ უთხრა, მაინც გაფუჭებულია (ტყვიას ჭედავდა), ავიღებ, პატრონს დავუბრუნებ და ჩემს ფულს გამოვართმევო. მას კი სინამდვილეში ლვოვის ქუჩაზე დაუმალია. დღეს ვფიქრობ, ნეტა არ დამეჯერებინა დათოსთვის და მამისთვის მეთქვა ყველაფერი, მაშინ იქნებ ეს უბედურება აღარ დატრიალებულიყო.

მე დღემდე მიკვირს და მადლობელი ვარ პაატასი, რომ მას არასოდეს და არანაირი საბაბით არ დავუსახელებივარ. თუმცა შეეძლო, რადგან ჩემდა უნებურად მრავალი ფაქტის მომსწრე ვიყავი. წასვლაზე ლაპარაკი ყოველთვის იყო, მაგრამ რაღაც აბსტრაქტული იდეის დონეზე. კონკრეტული გადაწყვეტილების შესახებ მე შემთხვევით პაატასგან გავიგე, რასაც მამის მხრიდან საშინელი რეაქცია მოჰყვა, რადგან მას არაფერში არ სურდა ჩემი გარევა. მე ძმები ივერიელებით ყოველთვის გარკვეულწილად აღფრთოვანებული ვიყავი, განსკუთრებით კი პაატათი. ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს იგი ოდნავ ნასვამი მოვიდა და მითხრა: „Привет, моя красавица". შუბლზე მაკოცა, გულში ჩამიკრა. კმაყოფილებისგან გავშეშდი. ეს დათომ შემამჩნია, უკნიდან მომეპარა და გაზეთი დამინიავა, „გული არ წაგივიდესო". პაატას მისი სურათი გამოვართვი, თან უკან ბატისფეხური ქართულით წავაწერინე. ამ სურათს ჩემს ოთახში ბალიშის ქვეშ ვინახავდი. სოსომ კი აიღო და ბაბუაჩემის სურათში ამომიცვალა, რაზეც ნახევარი დღე ვიტირე.

* * *

არსებობდა კიდევ ერთი კაცი, რომელიც მამას განსაკუთრებულად უყვარდა. მან კი სუკის მასალების მიხედვით პირველმა დაასახელა იგი, როგორც ანტისაბჭოთა იდეოლოგიის მქადაგებელი: „Человек, опутавший меня религиозным дурманом, он подстрекал и поощрял наши враждебные действия против советской родины". ამ კაცმა თავის დროზე იარაღიც კი აყიდინა დათოს, მაგრამ წყლიდან მშრალი ამოვიდა. სასამართლოზე მამამ უთხრა: „ძმა მეგონე, შენ კი გაგიწირივარო". ერთხელ სოსო და დათო სოსოსთან საჩხერის სახლში წავიდნენ. ამ კაცს ეგონა, ბათუმის თვითმფრინავის გატაცებას აპირებენო და მთელი აეროპორტი და შესაბამისად სათანადო ორგანოებიც 1982 წლიდან ჩააყენა საქმის კურსში. ეს ამბავი მე ბიჭებისგან მახსოვს, რომლებიც მას გამყიდველს და იუდას ეძახოდნენ. მე ამ კაცის სახელს არ დავასახელებ, რადგან მის შვილს არ მოვექცევი ისე, როგორც ის თავისი ძმაკაცის შვილს მოექცა. კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა მამის გამო ირგვლივ ყველა ზიზღით იშვერს შენკენ ხელს. ღმერთი იქნება მისი მსაჯული და პასუხიც მას გასცეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ONE WAY

მამას თითქმის ზებუნებრივი ინტუიციის გრძნობა ჰქონდა. მისი მეგობრები ამას პარაფსიქოლოგიური ფაქტორით ხსნიდნენ. ერთხელ, სადღაც სტუმრობისას დიასახლისს სთხოვა, ოთახში წყლიანი ვედრო დაედგა ხანძრის ჩასაქრობად. რა თქმა უნდა, არავინ დაუჯერა. ზუსტად შუაღამისას ერთ-ერთ სტუმარს სანთელი ჩაეწვა და ხანძარი გაჩნდა. ასეთი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ყველაფერს რომ შევეშვათ, იგი ფულის პრობლემას „სპორტლოტოთი" ხსნიდა. ბოლო პერიოდში მან ბიჭებს პირდაპირ უთხრა, რომ თუ ისინი თავისას არ დაიშლიდნენ და თვითმფრინავს მაინც გაიტაცებდნენ, უამრავი სისხლი დაიღვრებოდა.

მაგრამ მათ უკვე არაფრის გაგონება აღარ სურდათ და ნელ-ნელა ჩამოშორდნენ. იმასაც ამბობდნენ, „შვილით გარისკვის ეშინიაო". მამა ამას ძალიან განიცდიდა: „ახლა ესენი ერთმანეთის ჯიბრით აღარ დაიხევენ უკან, თორემ ერთმა მაინც თუ გადათქვა, ყველა აყვებაო". იმასაც ამბობდა: „არა მგონია, თავზე გადამახტნენ, ვერ გაბედავენო". ასე იყო თუ ისე, ძალიან ნერვიულობდა და ადგილს ვეღარ პოულობდა.

ბოლოს სოსო და დათო ერთად 1983 წლის 14 ოქტომბერს ვნახე სვეტიცხოვლობაზე. მამა საკურთხეველში იყო, ჩვენ კი ტაძარში ვიდექით და ზოგჯერ გარეთ გავდიოდით, სოსო ყოველთვის თბილად მექცეოდა, მაგრამ ეს რაღაც სხვა იყო. ის კი არა, დათოს ვუთხარი კიდეც: რა სჭირს, ხომ არ კვდება-მეთქი. რაზეც სოსომ გულში ჩამიკრა და, არა, არაფერიო. თბილისში რომ წამოვედით, ღამე იყო. მანქანაში რაღაც გულისამრევი უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი, პანაშვიდებზე რომ იცის. ბიჭები ჩვენთან დარჩნენ. მე ზემოთ წავედი დასაძინებლად. რომ ჩამოვედი, დათოს, მამის სკუპაში გახვეულს, სავარძელში ეძინა. მამა და

სოსო ისევ ლაპარაკობდნენ. იმ დღის მერე მე დათო აღარ მინახავს. ბიჭები რომ წავიდნენ, მამა გამხიარულდა: „ახლა მშვიდად ვარ, ვიცი აღარ მიქარავენო". მაგრამ ძალიან მწარედ შევცდი! დაახლოებით 15 ნოემბერს, როდესაც მამა ქალაქში არ იყო, ჩვენთან გეგა მოვიდა, მამა იკითხა. როცა გაიგო, რომ არ იყო, მითხრა, თუ გამოჩნდება ან დარეკავს, აუცილებლად უთხარი, რომ ქორწილი მაქვს, ის მიხვდებაო, და თუ ბიჭები მიკითხავენ, უთხარი, რომ დისკისთვის შემოვიარეო და თავისი ვებერის „სუპერ სტარი" მთხოვა. გადამკოცნა და წავიდა. მეორე დღეს პაატა მოვიდა. უკვე საღამო იყო. „Где Теодор?" — მკითხა. „არ ვიცი, ქალაქში არ არის-მეთქი". სიმწრით გვერდზე გადააფურთხა და გინებაც მიაყოლა, რაც მანამდე, მისგან არასოდეს გამიგია. რომ გაიგო ერთი კვირა არ იქნებოდა, სულ გადაირია. მერე მიხვდა, რომ შემაშინა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: „Ты, маленькая, на меня не обижайся, береги себя и отца, бог даст, еще свидимся", — გადამკოცნა, გულში ჩამიკრა, ძალიან მაგრად ჩამიკრა და წავიდა.

შუაღამე იყო, როცა სოსო მოვარდა. მას თითქმის შეშლილი სახე ჰქონდა. კი არ ლაპარაკობდა, ყვიროდა, თემური სად არისო. — რა ვიცი, სოსო, ქალაქში არ არის, ყველა მაგას რომ კითხულობთ, რამე ხომ არ მოხდა-მეთქი. — ვინ ყველაო, — და რომ გაიგო, გიჟივით გადაიხარხარა. მერე თმებში ჩამავლო ხელი და პირდაპირ სახეში მითხრა: „თემოს უთხარი, რომ სიტყვა არ დამირღვევია, რაღაც მოხდა და სხვა გზა არ არისო". მერე დაჯდა. თითქმის ერთი საათი იჯდა. ხმას არ იღებდა. ხელები და თვალები დამიკოცნა. ადგილიდან გველნაკბენივით წამოხტა და გავარდა. ცოტა ხანში მამამ დარეკა. მე მას ყველაფერი მოვუყევი. რომ გაიგო, ბოლო ხმაზე ღრიალი დაიწყო, საიდანაც მარტო ის გავიგე, რომ ბიჭებისთვის უნდა დამერეკა, რათა მეთქვა, რომ მას დალოდებოდნენ. თვითონ კი იმ წუთას დამჯდარა მანქანის საჭესთან და სოხუმიდან გიჟივით გამოვარდნილა. მე ყველას ვურეკავდი, მაგრამ სახლში არავინ იყო. როგორც მერე აღმოჩნდა, ძმები დათოს მამის აგარაკზე იყვნენ წყნეთში ტაბიძესთან და ვიღაც ქალებთან ერთად. დათო და სოსოც სადღაც გაქრნენ. გეგასი კი არც ტელეფონი და არც მისამართი მე არ ვიცოდი. მამა შუადღეზე ჩამოვიდა და პირდაპირ გეგას სახლში მივარდა, სადაც მისი დედის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ჩაუბუტბუტებია, გამასწრესო. მერე ღამემდე აღარ მინახავს იგი. გამთენიისას დაბრუნდა. ლოგინიდან ამაყენა და ქვემოთ ჩამიყვანა. მას ერთდროულად მშვიდი, შოკირებული და ტანჯული სახე ჰქონდა. ერთადერთი, რაც მითხრა, უფრო სწორედ, რისი კბილებიდან გამოცრაც მოახერხა, იყო: „მამა, იმ კრეტინებს თვითმფრინავი გაუტაცებიათ, ამ წუთშიც შიგნით არიან, მგონი რომელიღაცა მოუკლავთ, ოღონდ რომელი, არ ვიცი, ცოტა ხანში ალბათ მეც მომაკითხავენ და არ შეგეშინდესო". ხელში რაღაც საქაღალდე მომაჩეჩა. თან მითხრა, რომ თუ სხვა გამოსავალი აღარ იქნებოდა, დამეწვა, თუ არადა — შემენახა. მე თითქმის აღარც კი მამჩნევდა. ხატთან მივიდა, მთელი ძალით მუხლებზე დაეხეთქა და შემზარავი ხმით დაიხრიალა: „ღმერთო! ღმერთო ძლიერო! რატომ მომატყუეს!" და რაღაც ღმუილის, გოდების მაგვარი კვნესა ამოუშვა. ეს საშინელი ხმა ამდენი წელია ყურებში მესმის და მოსვენებას არ მაძლევს. მამა იმ დროს ძალიან შემეცოდა. მის დანახვაზე შიგნიდან რაღაც ჩამწყდა და დამეწვა, თან ამას დაემატა ის საშინელი ამბავი, რაც მან მოიტანა. ასეთი უბედური დღე მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში სულ სამი მქონდა და ღმერთმა დაგიფაროთ თქვენ ყველა თუნდაც მსგავსი ერთი საათისაგან! მამა ერთბაშად რამდენიმე ათეული წლით დაბერდა, არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით. თმაში თეთრი შემოერია, გაუთხელდა და სახის გამომეტყველება შეეცვალა. აღარც ჭამდა, აღარც სვამდა, სულ ლოცულობდა და თან გაუთავებლად მელაპარაკებოდა, მაფრთხილებდა, მარიგებდა. ზემოთ დასაძინებლადაც აღარ მიშვებდა, იქვე თავისთან გამშლევინა ლოგინი. ახლა ვხვდები, რომ ის ყოველდღე მემშვიდობებოდა, რადგან ყოველ წუთს დაჭერის მოლოდინში იყო. მამა მუსიკას წერდა. მე მისგან განსხვავებით მუსიკალური განათლება არ მაქვს. ნოემბრიდან თებერვლამდე ანუ ორი თვის განმავლობაში იმდენი ქნა, სანამ 11-ივე ნაწარმოები არ დამაზეპირებინა, რა თქმა უნდა, გამარტივებული ფორმით და მთხოვა, რომ თუ ოდესმე იქნებოდა ამის საშუალება, აღმედგინა ისინი.

დაჭერამდე თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფრის არ ეშინოდა, უფრო სწორედ, მე არ მაჩვენებდა. რადგან ძალიან შეშინებული ვიყავი. ის კი არა, აქეთ მაწყნარებდა: „ეკა-უკა, არა გრცხვენია, შენ ხომ ჩემი ვაჟკაცი ეკა-უკა ხარ, რომც ამიყვანონ, მალევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომიშვებენ, რადგან არაფერი დამიშავებია, და საერთოდ ამ რეჟიმში მთავარია, ქვედა ჩინოვნიკმა არ ჩაგიგდოს ხელში, რაც ამ საქმის მასშტაბიდან გამომდინარე გამორიცხულია, თორემ ზემოთ სულ სხვა ანგარიში და ჩათვლის სისტემა არისო“. ამას ისე ამბობდა, მე მიფრთხილდებოდა, თორემ ცოცხალი ადამიანი იყო და როგორ შეიძლებოდა არ შეშინებოდა. ის ხომ ყოველთვის იმეორებდა, 33 წლის გარდავიცვლებიო. აკი თვითონ ამბობდა: „შიში მარტო გიჟებს და მკვდრებს არა აქვთ, თორემ ყველა სულდგმული ამ კომპლექსის ქვეშ დავიარებით. განსხვავება მხოლოდ მისი კონტროლის და მოთოკვის უნარშია. ოცდაცამეტი წლის ვხდები და დროის სისრულე მომდის. თუ ერთხელ ამათი ხელიდან სიკვდილი მიწერია, იმქვეყნად მეორედ სიკვდილი არ მომიწევს, რადგან წილი პირველ აღდგომაში მექნებაო“. დაიმალე-მეთქი. „შე ჩურჩუტო ეკა-უკა, ძლივს ღმერთმა ასეთი განსაცდელის გავლის შანსი მომმადლა, რომელზეც ყველა წესიერი ბერი უნდა ლოცულობდეს და მე დავიმალო? ის კი არა, ლამის с повинной გამოვცხადდე და ოცდაექვსი ბაქოელი კომისრის დახვრეტა ვაღიარო ნებაყოფლობით, სანამ სამასი არაგველის სათითაოდ ამოხოცვა არ დამაბრალესო“. როცა მოგვიანებით სოსოს და დათოს სიკვდილი გაიგო, სულ გადაირია. ოთახში ჩაიკეტა და სამი დღე არ გამოსულა. ჩემი დანახვაც არ უნდოდა. საშინელი სინანულის გრძნობა და სინდისის ქენჯნა გაუჩნდა იმის გამო, რომ მათ ეს უბედურება ვერ ააცილა. „გია რომ არ ყოფილიყო, ეგენი ვერაფერს გაბედავდნენ, რომელი ძველი ბიჭები ეგენი მყავდნენ, ვერასოდეს ვერ ვაპატიებ ჩემს თავს, სოსოს რომ დავუჯერე და ვენდე, მაგრამ ისიც ალბათ კაცობაზე ააგდეს ან რაღაცით აიძულეს. აკი უთქვამს კიდეც, ალბათ ვეღარაფერი ვეღარ გააკეთა და სხვებიც არ მიატოვა, ბოლომდე გაჰყვა. სიტუაციას მანდ უკვე გია და კახა აკონტროლებდნენ, ისინიც ერთმანეთს ევაჭკაცებოდნენ. არადა გაჩერება ყველას უნდოდა და იმიტომ ირბინეს ის ორი დღე ჩემთან. ესეც მაგათი ბედი, რომ ქალაქში არ ვიყავი, თორემ ამ სასაკლაოს არ დავუშვებდი, აკი ვაფრთხილებდი, იმათ კი შიში ჩამითვალესო“. მამასთვის ყველაფრის დაბრალება შეიძლებოდა ამქვეყნად შიშის, ღალატის და არაკაცობის გარდა, რადგან იგი თავიდან ბოლომდე, თმიდან ფრჩხილამდე ნამდვილი კაცი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1984 წლის 2 თებერვალს დილის 6 საათზე კარზე დაგვიკაკუნეს. დრო დამამახსოვრდა, რადგან ამ დროს რადიოში საბჭოთა კავშირის ჰიმნს გადმოსცემდნენ. შემოვიდა ხუთი კაცი. მათ რაღაც ორდერი წარმოადგინეს და მამას აუცილებელი ნივთების ჩალაგება სთხოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაღალი სიცხე ჰქონდა, იგი თავს მოერია და ძალიან მშვიდად შეუდგა ამის კეთებას. თან თვალებით სულ მე მეძებდა. რატომღაც ვიგრძენი, რომ იმ საქაღალდეზე ნერვიულობდა. მე ზემოთ ავედი და ღამის პიჟამოს შიგნით ჩავიტენე ის ნაწერები, საპირფარეშოში შევიტანე, დავხიე და ისე ფრთხილად დავწვი, რომ ვერავინ ვერაფერი შეამჩნია. მით უფრო, რომ ჯერ პირველ სართულს ჩხრეკდნენ. მამასთან რომ ჩავედი, არ მიშვებდნენ, მაგრამ მისი თხოვნით მიმიშვეს. სანამ ჩხრეკა მიმდინარეობდა, ჩვენ დივანზე ვისხედით ხელიხელ ჩაკიდებულები. მერე, დროაო, და მოემზადნენ. „შვილთან, პირისპირ დამშვიდობება მაცალეთო“... ვიღაც მაღალმა კაცმა უთხრა, რა გჭირს დასამშვიდობებელი, ერთ დღეში სახლში იქნებიო. მამამ თავზე ხელები დამადო, პირჯვარი გადამწერა და მითხრა, „შენ მთელი ცხოვრება Aut Caesar, Aut Nihil იქნები, საშუალო არ გიწერიაო“. მერე თვალებში ჩამხედა, ხელები თავზე ძალიან მაგრად მომიჭირა და უკანასკნელად მითხრა: „ეკა-უკა, გეხვეწები, ჩემ მაგიერ გაუფრთხილდი შენს ჩურჩუტ თავსო“. გულში ჩამიხუტა, თვალი ჩამიკრა და ხელით One Way ნიშანი მიჩვენა. მიბრუნდა და ისე ამაყად წავიდა, რომ იმ კაცებმა ხელბორკილების დადებაც ვერ გაუბედეს.

მას მერე მე მამა აღარასოდეს მინახავს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რისთვის დახვრიტეს მამაჩემი

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ჯერ ჩემს გონებაში, ხოლო მოგვიანებით №201 საქმის 21 ტომის ფურცლებზე, მაღალი კომპეტენციის მქონე იურისტის დახმარებით ვეძებდი კონკრეტულ კრიმინალურ მოტივს, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო 80-იანი წლების საბჭოთა რეჟიმში აბსოლუტურად უდანაშაულო ავტოკეფალური ეკლესიის მღვდელმსახურის დახვრეტის კონკრეტული მიზეზი. ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, კონკრეტული, იურიდიულად დასაბუთებული ბრალდებისა და სამხილების ნაცვლად კომუნისტური სულისკვეთებით გამსჭვალული ანტირელიგიური პროკლამაციის მსგავსი უსაგნო ალოგიკური ბოდვა აღმოვაჩინეთ, რომელიც ძიების ბრალდებას კი არა, უფრო ალბათობის თეორიას და გაზეთ ,,პრავდის'' მოწინავე აბდაუბდა სტატიას ჰგავდა. ეს ყოველივე ვერასგზით ვერ იქნებოდა ჯეროვანი არგუმენტი იმ კაცის დასახვრეტად, რომელიც საერთოდაც არ მჯდარა იმ წყეულ თვითმფრინავში. ინტუიციის დონეზე ვგრძნობდი, რომ ალბათ მამა რაღაცით ძალიან უნდა გასჩხეროდა ყელში რეჟიმს, რადგან ამ უკანასკნელს მისივე კონსტიტუციით მინიჭებული და გარანტირებული უფლებების გამო დაესაჯა იგი. კაცი თუ ჩაფიქრდება, ჭკუიდან შეიშლება. როგორ უნდა გასჭირვებოდათ ბოლშევიკებს, რომ ავტოკეფალური ეკლესიის ბერი სინდისის თავისუფლების კონსტიტუციური კანონიერი უფლებისათვის დაეხვრიტათ. მოგვიანებით, ჩემი ეჭვი გაამყარა ერთმა ,,შემთხვევითმა'' ნაცნობობამ. ჩემი გაცნობა მოინდომა კაცმა, რომელსაც, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში საკმაო წონა და გავლენა ჰქონდა. ამ ფაქტმა ჯერ ძალიან გამაკვირვა. მით უფრო, რომ იგი, რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგიური ორიენტაციის მიუხედავად, პირადად მე ყოველთვის დიდ ავტორიტეტად მიმაჩნდა. ,,მამაშენი ყო-

ველ ფეხის ნაბიჯზე თავხედურად ქადაგებდა იმას, რისი ნახევრის გამხელისთვის ადამიანებს ცოცხლად აგლეჯდნენ ხორცს. ჩვენდა საბედნიეროდ, ბრბო არასოდეს უსმენს მას, ვინც იდეალური სიბრტყიდან საუბრობს. მისი პირიდან ამოსული სიმართლე „კომპეტენტური" ჩარევით პარანოიდულ ბოდვად მოვნათლეთ, რამაც საზოგადოების მხრიდან მისი სრული უგულებელყოფის გარანტია შექმნა. ხალხი, რომელიც ამ საქმეს იძიებდა ან სულაც განაჩენი გამოჰქონდა, თვითონ სანახევროდაც ვერ ხვდებოდა ამის მიზეზს. ისინი უბრალოდ აკეთებდნენ იმას, რაც ვუბრძანეთ და ვუკარნახეთ". ეს კაცი დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემი ცხოვრება რადიკალურად სხვა მიმართულებით წავიდოდა, რადგან ვფიქრობ, რომ მას ჩემზე ოდნავ გადამეტებული წარმოდგენა ჰქონდა.

მამის ბედში გადამწყვეტი და ტრაგიკული როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ იგი ტირანიას, როგორც რეჟიმის გარეგნულ გამოვლინებას არ დაპირისპირებია, რაც ძალიან ჰგავს დონ-კიხოტის ქარის წისქვილებთან უსაგნო ომს, არანაირი შედეგი რომ არ მოაქვს, ყურადღების სხვა ობიექტზე გადატანის გარდა. მამის უბედურება ის იყო, რომ იგი დაუპირისპირდა იმპერიულ ფაბულას, პრინციპს, რისთვისაც თავის დროზე შეიქმნა ეს პოლიტიკური ფარსი და რომლის სცენარიც, ბედის ირონიით და ზემოდან განსაზღვრული შემთხვევითობით, ამისთვის ყველაზე ნაკლებად შესაფერის ადამიანს ჩაუვარდა ხელში. მამას უკან არ დაუხევია და ის, რაც მცირედში ცოტასთვის იყო განკუთვნილი, თავხედურად ბრბოს სიმრავლეში გამოიტანა და ღორებში მარგალიტებივით მიმოაბნია. დღევანდელი გადასახედიდან ხშირად ვფიქრობ: ან კი ამდენ ხანს როგორ არ დახვრიტეს-მეთქი.

როგორც უკვე აღვნიშნე, მამამ ამოიჩემა, 33 წლის ასაკში გარდავიცვლებიო. ამის გამო თითქმის ყველგან თან დავყავდი და ყველაფერზე მასწრებდა, ძირითადად მის საუბრებს ვგულისხმობ. მაშინ, 14 წლის ასაკში, არასრული ასაკობრივი განვითარების გამო, ბუნებრივია, მისგან მომდინარე ინფორმაციას საკმარის გონებრივ ანალიზს და შინაგან დასტურს ვერ ვუკეთებდი — უფრო უტოპიურ ზღაპრად აღიქვამდი, სადაც ბევრი რამე არ მესმოდა. მაგრამ სამაგიეროდ, მექანიკურად, თითქმის წერტილ-მძიმით დამამახსოვრდა, რადგან ხუთი წლის განმავლობაში ყოველდღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისმენდი. მამის საუბრებში არაბუნებრივი არაფერი წარმომედ-გინა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ სამყაროს მიმო-ხედვა და ინფორმაციული წვდომა ყველა მოაზროვნე ადამიანს შეეძლო. მარტოდ დარჩენილი იძულებული გავხდი, გარე სამყა-როსთან დამოუკიდებელი კონტაქტი დამემყარებინა. აღმოჩნდა, რომ მსგავსი ინფორმაცია ჩემზე უფროსი თაობის ადამიანები-სათვისაც უცხო იყო და სიზმარშიც არ ჰქონიათ ნანახი, რის გა-მოც კინაღამ რეაქტიული ფსიქოზით დაავადებულ გიჟად შემ-რაცხეს. მამასავით უმრავლესობის სიბეცეს პირდაპირ შევეჯახე და კინაღამ ცხვირ-პირი დავილეწე, რამაც ძლიერად გადამად-გმევინა ნაბიჯი შიგნით; უფრო სწორედ, გარე სამყაროსაგან თა-ვის დასაღწევად თავქუდმოგლეჯილი საკუთარ თავში აშენებულ სანგარში ჩავიმალე, საიდან გამოსვლისაც დიდი ხნის განმავლო-ბაში პანიკურად მეშინოდა. მაშინ ვიწვნიე პირველად ის გულის ამრევი გაუცხოება, რაც ნორმალურ ადამიანს თოლია ჯონათა-ნივით ისევე მოსწყვეტს საკუთარ ტომს, როგორც თავის დროზე ეს მამას, სოსოს, დათოს და ბიჭებს დაემართათ; ოღონდ იმ გან-სხვავებით, რომ მათ მცირე ხნით ერთმანეთი იპოვეს, რათა ამა-ყი, თავისუფალი თოლიების გუნდივით ამყაყებული ჭაობიდან შორს გაფრენა მოენდომებინათ.

დღეს ვხვდები, რომ მაშინ პრობლემა არც გარე სამყაროში და არც მის შეზღუდულ აზრობრივ კრიტერიუმებში იყო. პრობ-ლემა იყო იმ დროში, რომლითაც მამა ათეული წლებით გვას-წრებინებდა მოვლენებს და იმ გამბედაობაში, რომლითაც მან სა-ზოგადოების მხრიდან გაუგებრობის შიშს დაგვაპირისპირა.

როგორც უკვე აღვნიშნე, 9-დან 14 წლამდე მე თითქმის წარ-მოუდგენელი ინფორმაციით ვსაზრდოობდი.

კარგად მახსოვს მამის მონაყოლი „ლეგენდა ადონირამზე"; საუბრები რელიგიურ საკითხებზე, რომლის შესატყვისი აღნიშ-ვნები დღემდე შემორჩენილი მაქვს მის ბიბლიაში. კარგად მახ-სოვს მისი მონაყოლი მასონობაზე, ჰაუსტჰოფერზე, ტამპლიერებ-ზე, ილუმინატებზე, ანნა ნერვეზე და ა. შ. ეს ყველაფერი უფრო იმის წყალობით დამამახსოვრდა, რომ თავისი ოკულტური არსის წყალობით ერთი შეხედვით ეს მართლაც ზღაპარს ჰგავს და 14 წლის ბავშვის აბსტრაქტულ ცნობიერებაში უფრო დიდი შანსი აქვს აღიბეჭდოს, ვიდრე დიდი ადამიანის პრაქტიკულ გონში.

მოგვიანებით, დროის სიმწიფე რომ მომივიდა, მამის ერთგული მეგობრის დახმარებით (რომლის სახელის დასახელებისაგან შეგნებულად ვიკავებ თავს, რადგან ამ ყველაფერს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა), რომელსაც სასწაულით გადაურჩა მამისეული ინფორმაციული პირველწყაროს მცირედი აღწერილობა, მე მოვახერხე მათი ნაწილობრივი მოპოვება და მამის მიერ ჩემში მექანიკურად ,,ზომბირებულ" ინფორმაციულ კოდთან შესაბამისობაში მოყვანა, რითაც გარკვეული სურათი აღვადგინე.

ამ თავში შესულია მხოლოდ ნაზრევი, რაც მე მისგან დამამახსოვრდა და რაც მისივე ინფორმაციულ პირველწყაროსთან შევაჯერე. ზოგ ადგილას პირველწყაროს პირდაპირ ციტირებასაც ვაკეთებ. თავში აღწერილია მხოლოდ ის საკითხები, რომლის აბსოლუტურ იდენტურობაზე პირდაპირ პასუხს ვაგებ და თავის დროზე მამისგან ამის მოსმენა ორმა კაცმა მაინც დამიდასტურა. დანარჩენის გამოქვეყნებისგან თავს ვიკავებ და ვწერ მხოლოდ იმას, რაც ჩემი აბსოლუტური რწმენით გახდა მღვდელ-მონაზონ მამა თეოდორე (თემურ) ჩიხლაძის დახვრეტის ნამდვილი მიზეზი. ღმერთი იყოს ჩემი შემწე!

ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მამასთან ახლო ურთიერთობაში იყო, მისი პიროვნების დახასიათებისას, დადებითი ადამიანური თვისებების გარდა, აღნიშნავდა: პირველი, განუზომელ და უსაზღვრო სიყვარულს უფლის მიმართ, რაც ხასიათდებოდა არა გრძნობისმიერი ფანატიზმით, არამედ გონისმიერი, შეგნებულად გააზრებული დამოკიდებულებით და, მეორე, საბჭოთა იმპერიის და მის უკან რეალურად მდგომი ძალების, როგორც დედამიწაზე ბოროტების მატერიალური გამოვლინების წყაროს შეურიგებელ სიძულვილს. სხვას ყველაფერს მისთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. ის ცხოვრებაში დაკავებული იყო ძირითადად ორი რამით: ან ღმერთს ადიდებდა, ან საბჭოთა კავშირს ჰგმობდა. ნებისმიერ მოვლენას მხოლოდ ამ პრიზმაში ატარებდა. მის ცნობიერებაში არსებობდა მკვეთრად დაკონკრეტებული ორი საპირისპირო ძალების ბანაკი, გამოკვეთილი უალტერნატივო დიფერენციაცია — ან ზევით, ან ქვევით; ან სამოთხეში, ან ჯოჯოხეთში.

მამა იმდენად იყო დარწმუნებული საბჭოთა კავშირის და მისი საყრდენი იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაში, რომ თითქმის თავიდან ბოლომდე ძირფესვიანად შეისწავლა

იგი. მის მიერ დიალექტიკური მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ცოდნა სპეციალისტების განცვიფრებას იწვევდა. მარქსის ,,კაპიტალი" იცოდა თითქმის ზეპირად და მიაჩნდა, რომ მისი იდეოლოგიური ნაწილისაგან (რომელსაც ფილოსოფიური თვალსაზრისით არანაირი ფასი არ ჰქონდა) განსხვავებით, ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიკას, კაპიტალის და ძირითადი ფულადი საშუალებების ბრუნვას ეხება, საწყისი კაპიტალისტური ფორმაციის იდეალური შპარგალკა იყო. კომუნიზმი მას მიაჩნდა ალოგიკურ ბოდვად, რომლის ნამდვილმა ავტორებმა ოსტატურად მოახვიეს გაბრიყვებულ ხალხს ,,თავისუფლების, ძმობის და ერთობის" ლოზუნგები. ხალხს კი იმის გამბედაობა, სიბრძნე და გამჭრიახობა არ ეყო, რომ მანამ მოეგრიხა კისერი ამ ურჩხულისთვის, სანამ მთელი მსოფლიოს გარშემო ალქიმიური გველივით წრე არ შეკრა. ამ, ერთი შეხედვით, გაცხადებული ბოდვის უკან, ოდნავ გაწაფული ყური დაიჭერს ძალიან შორიდან მომართულ და აგრეთვე შორს გამიზნულ მზაკვრულ გეგმას. ,,თავისუფლება, ძმობა, ერთობა!" ანუ თანასწორობა! ამაზე მშვენიერი და ზნეობრივი თითქოს რა უნდა იყოს?!

მაგრამ სწორედ ეს არის ბოროტის ის სატყუარა, რომელიც მთელ მსოფლიოს შავი ჭირივით მოედო და დასაღუპად განამზადა. თავისუფლებაში თავისთავად ცუდი არაფერია, თუ იგი ღვთისკენ არის მიმართული და სულიერ პროცესებს ეხება. მაგრამ მონარქიის დროს თავისუფლება — ლიბერალიზმის იერით — თავისთავში გულისხმობდა კონკრეტული ძალების მხრიდან, უტოპიური იდეოლოგიით, ოსტატურად წაქეზებული, ბრბოდ გადაქცეული ხალხის ხელით მათი კონკურენტების მოსპობას. თავად ადამიანებს კი შეთითხნილი კოლექტიური გონების პროდუქციის დიქტატი მოახვიეს, პიროვნული თვითმყოფადობა დაუკარგეს და იმ უგუნურ ბრბოდ გადააქციეს, რომელიც გავარდა და მაინცდამაინც იმ ტოტს ეცა მოსაჭრელად, რომელზეც თვითონ იჯდა. მონარქიის და არისტოკრატიის დამხობით ადამიანებმა საკუთარი პიროვნული თავისუფლების დამცველი ერთადერთი ძალა და გარანტი მოსპეს.

მამის თქმით, ადამიანურ ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში მოსული წყობა ღვთივკურთხეული მონარქიული წყობილება იყო: ,,გულნი მეფეთანი — ხელთა შინა ღმრთისათა, სადა ნებავს მიხედ-

ვად, მიაქციოს მუნით". — იგავნი 21,1. სანამ საზოგადოება მეფეს უყურებდა როგორც ღვთივკურთხეულ, მირონცხებულ, კანონიერ და უალტერნატივო ბატონს, შინაგანი ჯანყისა და პროტესტის გარეშე მორჩილად ეგუებოდა იმას, რომ ხელისუფლებისათვის ანუ აღმატებისათვის ბრძოლა უსაგნო იყო — შესაბამისი გენეტიკური წარმომავლობის გარეშე. ეს შეგნება პოლიტიკურ ამბიციებს (დღეს მთელ მსოფლიოში გრიპის ეპიდემიასავით მოდებულს) აწესრიგებდა და ადამიანებს ნორმალური პიროვნული განვითარების საშუალებას აძლევდა. იგი მორჩილად, ყოველგვარი ვნებათაღელვის გარეშე უსიტყვოდ და უშუალოდ ემორჩილებოდა ხელმწიფეთა თვითმპყრობელობას. მაგრამ გარკვეულმა ძალებმა, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში მსოფლიო მიჰყავთ გაერთიანებისაკენ (რადგან დაწერილია, რომ უნდა შეიქმნას ერთი ტახტი ანტიქრისტესათვის), ადამიანებს სატყუარად მატერიალური თავისუფლების შავი ჭირი შემოუგდეს და ცბიერი გველივით ყურში თავისი უფლებების შესახებ ალტერნატიული აზრი უჩურჩულეს. საღმრთო რჩეულობით აღნიშნულმა მირონცხებულმა მეფემ უბრალო მოკვდავის იერი მიიღო; მისი ადგილის დაკავების მსურველმა ამბიციურმა ხალხმა დემოკრატიული რესპუბლიკის ლოზუნგი წამოაყენა; ღმერთის რწმენადაკარგული ადამიანების სახელისუფლებო ძლევამოსილებისათვის ჭიდილმა ქუჩაში გადმოინაცვლა, საჯაროობას დაექვემდებარა და ზემოთ ხსენებული ძალებისათვის მარტივად სამართავი გახდა, მასზე ოსტატურად მორგებული თეოლოგიური ფრაზეოლოგიის და უტოპიური ნონსენსური თეორიების წყალობით; ამ საზოგადოებაში ადამიანებს მოჭარბებული და ურთიერთგამომრიცხავი იდეებით თავგზა აებნათ და წინ პირადული და ეროვნული ანგარიშიანობა დააყენეს მხოლოდ.

კაცი რომ ჩაუფიქრდეს, მამა ძალიან სწორად მსჯელობდა, რადგან, საუბედუროდ, ისტორიული ფაქტია, რომ ყველა გამოუსწორებელი უბედურება ამ ქვეყნად სწორედ მაღალ საკაცობრიო ლოზუნგებს და ადამიანური თავისუფლების თეორიებს მოიცავს. ისიც ფაქტია, რომ ყველა ჯანყი და რევოლუციის ლაიტმოტივი და დევიზი მხოლოდ ლიბერალური თავისუფლების ლოზუნგებში იდო. სინამდვილეში, ჩემი ღრმა რწმენით, შეუძლებელია არსებობდეს პიროვნული თავისუფლება ბრბოს თავისუფლების ფონზე, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი ცუნამივით

მთლიანად შთანთქავს მას, მისი უმრავლესობის ,,წმინდა ნებაზე'' დამორჩილების გზით. ხოლო საკუთარი პიროვნული ამბიციე-ბით გაბრიყვებულმა კაცობრიობამ ფარული ბოროტი ძალების წაქეზებით გზიდან ჩამოიშორა მეფე, მისი საყრდენი ძალა — არისტოკრატია და გზა გაუთავისუფლა მისსავე წამქეზებელს, რათა მომავალ საუკუნეებში იგივე ძალები ჩამოყალიბებულიყვნენ ,,ფულიან არისტოკრატიად'' და აღმატებული უპირატესი კონკურენცია გაეწიათ კანონიერი მემკვიდრეებისათვის, რომელთა ბატონობისაგან თავის დაღწევა შესაძლებელი იყო, ხოლო კაპიტალის ბატონობისაგან გათავისუფლებული ადამიანი საგიჟეთის გარდა, მე ჯერ არსად მინახავს.

,,პროგრესული'' კაცობრიობის მეორე მონაპოვარს — ,,ერთობას'' — მამა ძალიან დიდი შეშფოთებით უყურებდა. მისი თქმით, ,,ერთობის'' ლოზუნგში იმალება საშინელი საიდუმლოს მეორე გასაღები. ანუ, თუ ,,თავისუფლება'' არის მიზნის მიღწევისა და გზის გაკაფვის საშუალება, ,,ერთობა'' არის მიზანი, რომელთანაც მივყავართ გზას. ის ამბობდა:

,,წმინდა წერილში ნათქვამია, რომ ანტიქრისტესთვის უნდა გამზადდეს ერთიანი ტახტი. ამისთვის საჭირო გახდება რაღაც კონკრეტული პრინციპით მთელი მსოფლიოს გაერთიანების პოლიტიკური საშუალების გამოძებნა. გაერთიანებისას შეიქმნება ერთი ტახტი ერთი მსოფლიო მეფისათვის, რომელშიც და რომლის გარშემოც კონცენტრირებული იქნება მთელი უარყოფითი ძალები. წმინდა მამების მტკიცებით, ეს იქნება ფიზიკური პირი — ხელმწიფე ანუ ცრუ მესია, რომელიც თავდაპირველად მსოფლიოს მოევლინება როგორც ყველა ჩაგრულთა და უპოვართა შემწე და გასაოცარი ,,სიქველით'' და ,,კეთილშობილებით'' იქნება გამორჩეული. მაგრამ იქვე მამები აღნიშნავენ, რომ მისი ეს მეუფება გასტანს მხოლოდ 42 თვე, რომლის განმავლობაში დედამიწას საშინელი განსცდელი დაატყდება თავს, ეფრემ ასური ბრძანებდა: ,,ქუჩაში ოქრო-ვერცხლი ეყრება, მაგრამ მათ სარგებელი არ ექნებათ, რადგან ქუჩაში შიმშილით მკვდარი და ქვეწარმავლებით დაგესლილი ადამიანები ეყრებიან''. ან: ,,და ვერავინ იყიდის ან გაყიდის რასმე, გარდა იმისა, ვისაც აქვს ნიშანი, ან სახელი მხეცისა, ან მისი სახელის რიცხვი''. — გამოცხ. 13,17. ადამიანების სრული გაერთიანებისათვის და ცრუ თანასწორობი-

სათვის მოხდება „ეროვნული სახელმწიფოებრიობის“ დათრგუნვა და მისი ამბიციური ხელისუფლების აუცილებელი კონსოლიდაცია და ტოტალური ზეკონტროლის ქვეშ მოქცევა. „თავისუფლების“ ლოზუნგის მოქმედების შედეგად, მწყემსდაკარგული ქვეყნები მართვადი მარიონეტული უღლის ქვეშ აღმოჩნდებიან. „როდესაც ჩვენ სახელმწიფო ორგანიზმში ლიბერალიზმის შხამი შევიყვანეთ, შევცვალეთ მთელი მისი სტრუქტურული აგებულება. ლიბერალიზმიდან იშვა: კონსტიტუციური სახელმწიფოები, რომლებმაც თვითდამპყრობელობა შეცვალეს; ურთიერთშეჯახების, უნაყოფო პარტიული აგიტაციის, უთანხმოების და პარტიული ტენდენციების სკოლა, რაც ძალას ართმევს სახელმწიფო საქმიანობას, რითაც ჩვენს მიზნებს ემსახურება“ (პირველწყარო, რომლის დასახელებისაგან თავს ვიკავებ. — ავტ.).

ამ პროცესებს ხელს უწყობდა, უწყობს და მომავალშიც შეუწყობს გაუთავებელი ომები, რომელთაც არანაირი ტერიტორიული შენაძენი არ მოაქვს. „ჩვენ ის გვინდა, რომ ომები, შეძლებისდაგვარად, არ იძლეოდნენ ტერიტორიულ შენაძენს: ეს ომს ეკონომიკურ ნიადაგზე გადაიყვანს. ასეთი ვითარება მეომარ ორივე მხარეს ჩვენ კონტროლქვეშ მოაქცევს“. — პირველწყარო.

ინსპირირებული რევოლუციები ადამიანების პიროვნულ თავისუფლებას უმრავლესობის დიქტატს და კაპიტალის ბატონობას უმონებენ, რაც მათ მართვად, დაქვემდებარებულ ბრბოდ აქცევს. მეფის რუსეთის ბაზაზე, სამხედრო ტირანიასა და იდეოლოგიურ ექსპანსიაზე დაყრდნობილი ერთ-ერთი პირველი ინტეგრირებული უღმერთო იმპერია აღმოცენდა, რომლის ოფიციალურ სახელმწიფო ატრიბუტს პენტაგრამა წარმოადგენდა. რუსეთში და შემდგომ საბჭოთა კავშირში იმის რეპეტიცია გაიარეს, რასაც უფრო დახვეწილი ფორმით მომავალში მთელ მსოფლიოს მოახვევენ თავს.

მამა ამბობდა, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ადამიანების გაბრიყვება ასე ადვილად ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, ამ „ბალ-მასკარადის“ ავტორების ძირითადი არსენალი — კაპიტალი — იქ არის კონცენტრირებული. ამ სახელმწიფოების ინტეგრირება ეკონომიკური ზეწოლის მანქანებით რეგულირდება: ბირჟებით, „შავი ორშაბათებით“, ეკონომიკური დეპრესიებით, ინფლაციებით და ა. შ. მცირედ განვითარებული სახელმწიფო

მსგავსი „კრიზისების“ შედეგად თვითონ ავლენს საერთო ეკონომიკურ ინტეგრაციაში მონაწილეობის მიღების დაუოკებელ სურვილს. ურჩ სახელმწიფოებს ეკონომიკური ალიანსის დანარჩენი წევრები ხელოვნურად უწყობენ საბოტაჟს ომების, რევოლუციების, ზემოთქმული „შავი“ დღეების ორგანიზებით. „ჩვენ უზარმაზარ მონოპოლიებს დავაარსებთ, რომლებიც ურჩი სახელმწიფოების ქონებასა და კრედიტთან ერთად ჩაიძირებიან ჩვენ მიერ მოწყობილ პოლიტიკური კატასტროფის მეორე დღეს. ეკონომიკური კრიზისები სახელმწიფოებში ინსპირირებულია ჩვენ მიერ, რის შედეგად მიმოქცევიდან მათი ოქროს ამოღება შევძელით. მოგვიანებით ეს სახელმწიფოები სესხის ასაღებად თავიანთივე კაპიტალისთვის მოგვმართავენ. ამ სესხებმა საგრძნობლად დაამძიმეს სახელმწიფოთა ფინანსები საპროცენტო გადასახადებით და დაამონეს სახელმწიფოები ხსენებული კაპიტალის მფლობელებისადმი, ანუ ჩვენ დაგვემონენ. ნებისმიერი სესხი ადასტურებს სახელმწიფოებრივ უძლურებას, ეს არის დამოკლეს მახვილი მათი მმართველების თავზე. საგარეო ვალები კი ის წურბელებია, რომლის ჩამოგლეჯას უგნური მმართველები არ ცდილობენ. ამიტომაც უსათუოდ დაიღუპებიან ნებაყოფლობითი სისხლის გამოშვების გამო და თავებს მოიხრიან ჩვენი ძლიერების წინაშე“. — პირველწყარო. ამას ამტკიცებენ ანტიქრისტეს ბატონობის განმამზადებელი ფარული ძალები.

ეს ყველაფერი სახელმწიფოებს წელში გადატეხს, მუხლებზე დააჩოქებს და საბოლოოდ დაუმონებს მსოფლიო მართვად კაპიტალს (უკვე დღეს ეროვნულმა თუ კანონიერმა ხელმწიფეებმა დიდი ხანია კაპიტულაცია გამოაცხადეს, საკუთარი დროშები ფეხთით დაუყარეს ახალ მსოფლიო ფულად გაერთიანებას).

მამა ამბობდა, რომ დანარჩენი უბრალოდ დროის და ტექნიკის საქმე იქნებაო. რადგან მოვა დრო და ურჩი ქვეყნების გასაერთიანებლად ერთიან ფულს და ერთიან სამართალს შემოიღებენო. ანუ ყველაფერი ის, რაც საბჭოთა სივრცეში გამოიცდება, წერტილ-მძიმით, ოღონდ გაუმჯობესებული ვარიანტით მთელ მსოფლიოს დაატყდებაო თავს.

დღევანდელმა დღემ მამის მოსაზრების სიმართლე თავისთავად დაამტკიცა. ყველაფერი, რაზეც ის დიდი ხნის წინათ საუბრობდა, მართლაც სრულდება. ვფიქრობ, რომ ასეთი ზუსტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგნოზის გასაკეთებლად მხოლოდ ინტუიციური აზროვნება საკმარისი არ არის. დარწმუნებული ვარ, რომ მას ჰქონდა კონკრეტული ინფორმაციული წყარო, ობიექტი, რომელიც თავისი ნიჭიერების წყალობით სწორად აღიქვა, ლოგიკურ პრიზმაში გაატარა და მიიღო ჭკუიდან შემშლელი თეორია, რომელიც საშუალო არითმეტიკულია წინასწარმეტყველებასა და სახელმწიფო საიდუმლოებას შორის, მაგრამ ასეთი საშინელი სიზუსტის გამო გამორიცხულია, რომ ან ერთი იყოს ან მეორე. ჩემი აზრით, აქ კიდევ რაღაც სხვა მომენტი იყო. მარტივად რომ ვთქვათ, მან უბრალოდ იცოდა ზუსტი ფორმულა, რომელსაც ძლიერი აბსტრაქტული ლოგიკური აზროვნებისა და შინაგანი ფსიქიკური პოტენციალის საშუალებით უსადაგებდა კონკრეტულ დროსა და მოვლენებს. მათემატიკური გაანგარიშების შედეგად სწორ რეზულტატს იღებდა. თვითონ ასე ამბობდა ხოლმე: „იმაში, რასაც მე ვლაპარაკობ, ახალი არაფერია, რადგან ჯერ კიდევ პავლე მოციქულიდან მოყოლებული, რომელიც თავისი მწიგნობრობიდან გამომდინარე განდობილი უნდა ყოფილიყო, არ შეიძლებოდა ეს არ სცოდნოდა, რადგან აკი ბრძანებს კიდეც, ურჯულოების საიდუმლო უკვე მოქმედებსო“.

ჩემი აზრით, ყველა თაობის მამები ინფორმაციას მეტნაკლებად ფლობდნენ და თავის დროებასთან შესაბამისობაში მოჰყავდათ, რათა თავისი მრევლისათვის მეტი სიფხიზლისკენ მოეწოდებინათ. მამაც ანალოგიურად მოიქცა. მან ეს ყველაფერი უბრალოდ თავის დროსთან მოიყვანა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. იგი ამბობდა, რომ ამის შეჩერება შეუძლებელია, რადგან უნდა აღსრულდეს ის, რაც უკვე დაწერილია და არავის შეუძლია აიცილოს ის, რისი აცილებაც არ არის გათვალისწინებული. უბრალოდ, შესაძლებელია მხოლოდ რაც შეიძლება მეტი ადამიანის გაფრთხილება. სწორედ ეს მიაჩნდა თავისი ცხოვრების მთავარ აზრად და ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა, გაუთავებლად ამაზე ხმამაღლა საუბრობდა, რაც ხანდახან ანეგდოტურ სახესაც იღებდა. ერთხელ ვუთხარი კიდეც: ყველას რატომ ელაპარაკები, ხომ ხედავ არ ესმით-მეთქი (ვითომ მე მესმოდა!), არგუმენტიც ჩემი ჭკუით შესაფერისი მოვიყვანე, — ღორებს მარგალიტებს ნუ უყრი-მეთქი. ცოტა გაბრაზდა, მაგრამ მერე ღიმილით მითხრა: „შე ჩურჩუტო ეკა-უკა, ვინ დაგაყენა შენ

სამოთხის კართან ადამიანების ზომა-წონის განმსაზღვრელად? ის, რაც შეუძლებელია კაცთათვის, შესაძლებელია უფლისათვის. მე ვაბნევ და სადაც ნოყიერი ნიადაგი დახვდება, იქ ღმერთის ნებით ამოვა, შენ კი გირჩევნია, გამოიჩოჩო სამოთხის კარიბჭედან და ცხვირ-პირი მოიბანო, ღორებზე რომ მელაპარაკები და თვითონ გოჭივით ხარ მოღუდღნულიო“. არ დამიჯერებთ, მაგრამ სარკეში რომ ჩავიხედე, სახე მართლა მოსვრილი მქონდა, თუმცა აბსოლუტურად ვიყავი დარწმუნებული, რომ ცოტა ხნის წინათ დავიბანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საიდუმლო ექვსი დღის შექმნათა“

„წინააღმდეგობის მცდელობა, რასაც ჩვენი ე. წ. დისიდენტები აკეთებდნენ, მხოლოდ თავის მოტყუება იყო. ახლაც არის იმ დიდი ტყუილის ნაწილი, რომელშიც ჩვენ ყველანი ვართ... ჩვენი მიზანი უნდა იყოს, ამ ბოროტების იმპერიიდან გასვლა სხვა იმპერიაში, დასავლეთის თავისუფალ იმპერიაში, რათა იქიდან შევეცადოთ მის მხილებას და მასთან ბრძოლას, — ამბობდა მამა, — დასავლეთში ცხოვრება საშუალებას მოგვცემს პრაქტიკულად შევეწინააღმდეგოთ ბოროტს, ანტიქრისტეს, ვამხილოთ მისი მზადება მსოფლიოს დასაპყრობად, რაშიც უდიდესი როლი საბჭოთა იმპერიას აკისრია, რომელიც ფაქტიურად სახელმწიფო ოკულტიზმის ქვეყანაა. აქ ყველაფერი ღმერთის დაგმობას და სატანის თაყვანისმცემლობას ემსახურება. ყოველწლიურად ათობით მილიონობით ადამიანს აცემინებენ თაყვანს ეშმაკს, რომელიც კრემლში წევს, ილიჩის გვამის სახით. მარტო ის რად ღირს, რომ იმპერიის ოფიციალურ სიმბოლოს პენტაგრამა წარმოადგენს“.

აქ კი აუცილებლად უნდა შევჩერდე და რამდენიმე სიტყვა ვთქვა სიმბოლოების თაობაზე.



საბჭოთა ვარსკვლავი




ტეტრაგრამა — იგი ისაა, ვინც მომავალში შეიქმნება




პენტაგრამა




ანტიქრისტეს ბეჭედი — „საიდუმლო ექვსი დღის შექმნათა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედი (სულიწმინდა) არის წმინდა სამების სიმბოლო. წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედი სატანის სიმბოლოა. წრე ნიშნავს მარადიულობას, საუკუნობას, სამყაროს. ორი სამკუთხედის კვეთა ქმნის ახალ გეომეტრიულ ფიგურას ექვსქიმიან ვარსკვლავს ანუ კაბალისტიკურ ტეტრაგრამას. წრეში მოქცეული ვარსკვლავი აღნიშნავს სატანისტურ უკიდურეს სიცრუეს, რაც გამოიხატება იმაში რომ სატანა თითქოს არის ალფა და ომეგა, პირველი და უკანასკნელი — „იგი არის ის, ვინაც მომავალში შეიქმნება". მაშასადამე, ახლა ეშმაკი მომავალში „ღმერთი" გახდება. „ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ და დავჯდები საკრებულო მთაზე ჩრდილო კალთებზე. მაღლა ღრუბლებში ავიჭრები, უზენაესს გავუტოლდები". — ესაია 14, 13-14.

ბოროტი ლეგენდის თანახმად ადონაი ღმერთი არის ღმერთი ბოროტებისა, ხოლო ეშმაკი — მთიები, ლუციფერი — არის ღმერთი სიკეთისა, ღმერთი სამართლიანობისა (უფალმა შემინდოს ამ სიცრუის გამეორება). ტეტრაგრამა და მით უფრო წრეში ჩასმული ვარსკვლავი ამის ნათელი გამოხატულებაა, რომლის მიხედვითაც სატანა ვითომდა ღმერთს სძლევს და თავის სახელს მისი სახელის ნაცვლად დასვამს.

წრეში ჩასმული ექვსქიმიანი ვარსკვლავი იგივეა რაც კაბალისტიკური ტეტრაგრამა — „საიდუმლო ექვსი დღის შექმნათა" (ექვსი საუკუნის სიმბოლო, როდესაც ლუციფერი ღმერთს განუდგა). სოლომონისეული ბეჭედი ანუ იგივე მსოფლიო მასონობის დიდი სახელმწიფო ბეჭედი — ვარსკვლავი წრის გარეშე — წარმოადგენს საშუალო ბეჭედს, ხოლო ამოტრიალებული სამკუთხედი — მცირე ბეჭედს.

კაბალისტიკურ გნოსტიკაში ვარსკვლავს მაგების წმინდა მისტიკური პენტაგრამა ჰქვია. იმისდა მიხედვით, თუ საითკენ არის მიმართული ამ ვარსკვლავების სახეები, ეს მაგიური აბსოლუტი კაბალისტიკაში აღნიშნავს ან ლუციფერს, ან ვესპერს, ან დილის ვარსკვლავს — მთიებს, ანდა მწუხრის ვარსკვლავს. პენტაგრამის ნიშანს აგრეთვე ეწოდება Microcosme და გამოხატავს იმას, რასაც ზოგარის წიგნის კაბალისტები Microprosope-ს უწოდებენ. რაც შეეხება პენტაგრამას, იგი მომდინარეობს მასონური სოლომონისეული ბეჭდისაგან, რომელსაც ტეტრაგრამა ჰქვია და რომლის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიფვრის თანახმად ბიბლია სიუჟეტურად უკუღმა იკითხებოდა. ტეტრაგრამა შედგენილია მასონების წმინდა წიგნის „ლეგენდა ადონირამზეს“ ბაზაზე. ხოლო ორივე ერთად წარმოქმნის პენტაკლს, რომელიც ფიცილისა და დამუნათების დროს გამოიყენება.

მე ჩემს მონათხრობში მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოვიფარგლები იმ მიზეზით, რომ ეს, ჯერ ერთი, ძალიან შორს წაგვიყვანს და აგვაცილებს მსჯელობის საგანს და მეორე, არ მინდა რომ ჩემი ინფორმაციით უნებურად ვინმე დავაბრკოლო. ფაქტი ის არის, რომ მამამ ამ ორი სიმბოლოსა და მათი ურთიერთკავშირის შესახებ ძალიან ბევრი იცოდა. თუ დაუკვირდებით პენტაგრამის გრაფიკულ გამოსახულებას, იქ აღმოაჩენთ ნამგალს, ხოლო ურო ანუ ქვისმთლელი (Mason — ფრ.) დამატებით სიმბოლიკას ქმნის.

საერთოდ მამისგან იმდენი ინფორმაცია მაქვს დატოვებული, ამის ნიჭი რომ მქონოდა, ათი წიგნის დაწერას მაინც შევძლებდი პოლიტიკურ ოკულტიზმის თემაზე. მამა ამბობდა: „ჩვენ იმ ბავშვებს ვგავართ, კატორღაში რომ იბადებიან სამუდამო კატორღამისჯილ მშობელთაგან, იქვე იზრდებიან კატორღულ მონობაში, იქ ატარებენ ბედნიერ ბავშვობას და ჰგონიათ, რომ ასეც უნდა იყოს — ამქვეყნად ყველგან კატორღაა და ყველგან ასეთივე ციხეაო. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რა ქვეყანაში დავიბადეთ, რა სული ბატონობს აქ. კაცობრიობის ისტორიაში მრავალი სახის დესპოტიზმი და ტირანია არსებულა, საერთოდაც ესე ქვეყანა, ბიბლიის მიხედვით, „ბოროტსა ზედა დგას“ და მისი „მთავარიც ეშმაკია“, მაგრამ ის, რაც საბჭოთა კავშირში განხორციელდა, ყველა სხვა დესპოტიზმს და ტირანიას აღემატება. აქ, ჩვენთან მხოლოდ სხეულს, ადამიანის მატერიალურ ცხოვრებას კი არ ეუფლება ბოროტი, უღმერთო ძალა, არამედ ყველაზე მთავარს — მის სულს: ადამიანს აიძულებენ ბავშვობიდან ღვთისმგმობი და ათეისტი იყოს, ანუ ელემენტარული სატანისტი, რადგან ნათქვამია, რომ ნებისმიერი ცოდვა მიეტევება ადამიანს, გარდა სული წმინდის გმობისა. საბჭოთა კავშირის თითქმის ორას სამოცდათხუთმეტ მილიონ ადამიანს კომკავშირში თუ პარტიაში შესვლისას სწორედ ამას აკეთებინებენ, ხმამაღლა აგმობინებენ ღმერთს. ადამიანები აქ მთელი ცხოვრება ტყუილით ცხოვრობენ და ასეთ სიცრუეში, თავისმოტყუებაში, ყალბი

იმედებითა და განუხორციელებელი, უტოპიური მიზნებით გონებადაბინდულები კვდებიან. საბჭოთა კავშირი იგივე ანტიქრისტეს სამეფოა, ოღონდ მცირე მასშტაბით, მსოფლიოს ერთი მეექვსედის მასშტაბით; ეშმაკი აქ გადის რეპეტიციას, რომ მერე მთელი მსოფლიოს მასშტაბით მსგავსი და „უმჯობესი“ სამეფო თავისი „საყვარელი ძის“ — ანტიქრისტეს — სამეფო დააარსოს და უკვე მთელი კაცობრიობის დაღუპვას ეცადოს. ამიტომ ვისაც შეუძლია, უნდა გაეცალოს ეშმაკის საბატონოს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ამბობს: „ნუ შეებმებით უცხო უღელში ურწმუნოებთან ერთად; რადგანაც რა აკავშირებს ერთმანეთთან სამართლიანობასა და ურჯულოებას? რაა საერთო ნათელსა და ბნელს შორის?“ — 6,14.

„რა შეათანხმებს ქრისტეს და ბელიარს? რა ხელი აქვს მორწმუნეს ურწმუნოსთან?“ — 6,15.

„ამიტომაც გამოდით და გამოეყავით მათ, იტყვის უფალი, და ნუ შეეხებით უწმინდურს; და მე შეგიწყნარებთ თქვენ“. — 6,17.

მამა თეოდორე ამბობდა: „წარმოუდგენელი და ალოგიკური იქნება, რომ სამყარო არ გაერთიანდეს და საბჭოთა კავშირი არ დაიშალოს, რადგან არ შეიძლება ერთ მთელ ორგანიზმში ნაწილი ღია იყოს და ნაწილი — დახურული. გაერთიანება კი გარდაუვალია, რადგან, როგორც წერია, უნდა შეიქმნას ერთიანი ტახტი ანტიქრისტესთვის, რაც მეორედ მოსვლის აუცილებელი წინაპირობაა. ტახტის შექმნა არ გულისხმობს სადმე ტიბეტში შამბალას მთაზე მის დადგმას.

ეს იქნება პოლიტიკური პროცესი, რომელიც მოხდება სამყაროს კანონზომიერების ფარგლებში მოქცეული სრული ინტეგრაციით. ამ ტახტს ლოგიკურად პოლიტიკაში განკაცებული პირველი ანტიქრისტე დაიკავებს და მეორე ცრუ მესიას გზას გაუკაფავს. ერთადერთი წინააღმდეგობა, რაც შეიძლება ამ პროცესს შეხვდეს, ეს იქნება რელიგიური, კონფესიური დენომინაცია. მაგრამ სამყაროში უკვე არსებული და საქართველოშიც ფეხმოკიდებული ეტაპობრივი ეკუმენისტური პროცესი ამ ზღვარსაც წაშლის; ლოზუნგი „ღმერთი ერთია“ შეიცვლება ლოზუნგით „რელიგია ერთია“, რითაც ყველა ანტიქრისტიანული ეკლესიის ლეგალიზაცია მოხდება. ადამიანების ცნობიერებაში ნელ-ნელა კეთილის და ბოროტის ზღვარი წაიშლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, გარდაუვალი მსხვრევის შემდეგად დრო მოვა, როცა კომუნისტები ისეთივე სტატუსით ისარგებლებენ, როგორც ინდიელები რეზერვაციებში; დრო მოვა, როცა ტელევიზორებიდან ,,ვრემიას" მაგიერ სახარებას ქადაგებენ".

მამას მიაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირი არის 1917 წელს პროლეტარიატის დიქტატურის და წითელი ტერორის ნიადაგზე შექმნილი იმპერია, სადაც მის შემქმნელ პროლეტარიატს ყველაზე კნინი ადგილი ერგო. იგი დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ და მთელი მსოფლიო მეტ-ნაკლებად აღიქვამდით, იყო უმნიშვნელო აისბერგი საუკუნოვანი შეთქმულებისა, რასაც საბოლოო ჯამში კაცობრიობა ანტიქრისტეს მეუფებისაკენ ნებაყოფლობით მიჰყავს.

